114
1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მგზავრი

10

ოქტომბერი

1953

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეათე

10

Тбилисский Филиал
Библиотека
Института истории (Ф)

★

ოქტომბერი

19 სახელგამი 53
თბილისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ

# ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ

★

შემოდგომაა. წვიმს. საითაც გაიხედავ, ყველგან ნისლი წევს. აღარც მთა ჩანს, აღარც ტყე, არც მინდორ-ველი.

გამოვაღებ ბოსლის კარს — ჭრიჭინებს, მივხურავ — ჭრიჭინებს, გულს მიწვრილებს.

დეიდა დაროსგანაც მოსვენება არ არის, კრუხივით დაგვქოთქოთებს. კოპებშეკრული დადის და გაიძახის:

— გოგოებო, რძე, რძე!

საღამოობით კი ფანქრით ხელში ჩამოგვივლის და გვეკითხება:

— დღეს რამდენი მოწველე? — უბის წიგნაკიც გაუჩენია. შიგ იწერს.

ფერმის გამგეა! მერე რა, რომ ფერმის გამგეა, ამიტომ უნდა გამოიცვალოს? რამდენი ხანია გაღიმებული არ მინახავს. სულ გვედავება:

— ეს რა ცოტა მოგიწველია? ეს კასრი სუფთა არა ყოფილა! ეს ესაა, ეს ისაო!..

ჩამოვა შალვა და მაშინაც გამოიდოს თავი. მაგრამ რატომ დაიგვიანა? იმ სიშორეს რომ არ წასულიყო, განა ჩვენში არ მოიძებნებოდა კარგი საქონელი? ცხრა მთას იქით გადაიკარგა!

დღეს დედამისთან უნდა წივიდე, ბეჭედი უნდა მივუტანო, თორემ მეჩხუბებიან, ვინ მოგცაო. შალვამ, გულმართლად ვეუბნები. დაგნიშნაო? თუ არ დაუნიშნიხარ, მაშ რატომ მოგცაო?

რატომ და იმიტომ, რომ შემენახა. არა სჯერათ.

— ხალხი რას იტყვის. ნიშანი მოუცია და ჩვენ კი არაფერი ვიცით! — ჩამძახის დედა ყოველდღე.

— მმუუ! — მომესმის ბოსლიდან.

ეს ძროხებიც ისე ბღავიან, თითქოს არაფერი ეჭამოთ.

რას ბღავით? ვით ვერ მოიპირეთ ეგ მუცლები? იბღავლეთ, რამდენიც გინდათ, არა მცალია!

ბოსლის კარი გამოვიხურე და შალვას დედისკენ გავეშურე. რატომღაც ვჯავრობ... შეიძლება იმიტომ, რომ დღემუდამ წვიმს? ან იმიტომ, დედაჩემი რომ წავიდა და ოჯახი მე დამაწვა? ან იქნებ იმიტომ, შალვამ რომ დაიგვიანა? ესეც მაჯავრებს. დეიდა დაროს ანაბარა დაგვტოვა.

შალვას სახლთან მივედი. ღობეს გადავადექი.

— დეიდა საბედო! — დავიძახე.

დეიდა საბედო აივანზე გადმოდგა და განცვიფრებით გადმომხედა. შავ ხილაბანდში თეთრი კავები მოუჩანს. თვალი გაუშტერდა. ისედაც ფერმკრთალ სახეზე სიყვითლემ გადაჰკრა. არასოდეს არ ვყოფილვარ მასთან და გაუკვირდა ჩემი დანახვა. შეშფოთდა კიდეც.

— დეიდა საბედო, შეიძლება თქვენი ნახვა?

— შემოდი, შვილო. რომელი ხარ?

— მე ვარ, დეიდა საბედო, მე, სალომე!

კარი შეეაღე. ღიმილით მომეგება. ორივე ხელი გამომიწოდა. ნელი ნაბიჯით მივუახლოვდი. ავღელდი. გული საგულეში არ მიჩერდება, ისე მიცემს, თითქოს გადმოვარდნას აპირებსო.

— კარგი ამბავი მომიტანე?

პასუხი არ გავეცი. არც კარგი და არც ცუდი. რა ამბავი უნდა მეთქვა? შეშფოთებული მიცქეროდა.

— ისეთი არაფერი, დეიდა საბედო, მე ეს მოგიტანეთ, აი ეს...

— რა, შვილო?

დამშვიდდა. მე კი ენა არ მომიტრიალდა ვთქვა, რაც მივუტანე.

— რამოდენა გოგო გაზრდილხარ, როგორ დამშვენებულხარ! სად იყავი, რომ არა ჩანდი?

— მთაში ვიყავი, ფერმასთან ერთად. ვერც აქ ვიცლი. ძროხებს ვერ ვშორდები.

— კარგი ამბები მესმის შენზე. ყოჩაღი გოგო ყოფილხარ. საქმის ერთგული. აგრე უნდა, შვილო, აგრე!

ღიმილით მოვისმინე ჩემი ქება.

— აბა, მაჩვენე, რა მომიტანე?

— აი, ეს... ბეჭედი... მთაში რომ ვიყავით, შალვამ მომცა, შემინახეო.

დეიდა საბედო უცებ სახეში მომაჩერდა და განცვიფრებით შემეკითხა:

— აჰაა, ეს შენა ხარ?!

— ვინ, დეიდა საბედო?

— მივხვდი, მივხვდი, მაშ ეს შენა ხარ?! — გაიმეორა და ხელი მომკიდა, ოთახში შემიყვანა.

— მთაში ყოფნის დროს მომაბარა, არ დამეკარგოსო! — თავის მართლება დავიწყე.

დეიდა საბედო გაჩუმდა, ჩაფიქრდა და რატომღაც უცნაურად დამაცქერდა. მივხვდი, დაეჭვდა. „რა ვიცი, იქნება მართლა?“ — გამოიხატა მის სახეზე. თავი ჩავღუნე და ბეჭედი გავუწოდე. იატაკს დავცქეროდი. მე არაფერს ვხედავდი, გარდა ძირს გაშლილი ჭრელი ფარდაგისა, რომლის წრეები და წერტილ-ხაზები წითელ-ყვითლად ირეოდნენ ჩემს თვალებში.

ვიგრძენი როგორ შემეხო მისი ხელი, როგორ გამომართვა ბეჭედი. ეკლებივით მომხვდა მისი გამხმარი თითები.

— დეიდა საბედო, აი, შეხედეთ, არც ერთი თვალი არ აკლია. ხომ კარგად შემინახავს? — წავილუღლუღე და კარისკენ გავიწიე.

— რა გეჩქარება, დაიცადე. ტკბილეულს მოგართმევ, თაფლს გადმოვიღებ!

შეხედეთ ამ უგულოს ტკბილეულს მოგართმევო, თაფლს გადმოვიღებო. რად მინდა მე მაგისი თაფლი? თითქოს ჩვენ არა გვქონდეს. მამაჩემმა წელს თექვსმეტი ფუთი თაფლი ამოიღო.

— მშვიდობით, უნდა წავიდე. შალვას გადაეცით, ბეჭედი დაგიბრუნა-თქო. ყველა თვალი თავის ადგილას ზის. მარგალიტები არ დაუკარგავს-თქო. ხომ მართალია? — და პასუხს არ დავუცადე, კარი გამოვაღე და გარეთ გამოვედი.

დეიდა საბედომ კიდევ რაღაც მითხრა, მაგრამ მე არ გამიგონია, არც მინდოდა გაგონება. მე იმისი არც თაფლი მინდა არც ტკბილეული!

ნეტავი წვიმა არ მოდიოდეს, მთაში წავიდოდი, ნაცნობ ფერდობებს შემოვივლიდი, ხევებში წყაროებს ვინახულებდი. თურმე კამკამა ადიდებულა. თავისებურად წმინდად აღარ ციმციმებს, ამღვრეულა.

შინ უნდა წავიდე. იქნებ დედა ჩამოვიდა. სათქმელი ბევრი მაქვს, სხვას ვის გავანდობ?!

შინისაკენ გავწიე.

— ლექსო, დედა ჩამოვიდა?

— რას მიჯავრდები? — წყრომით მომიგო პატარა ძმამ.

ნუთუ მართლა გიჯავრდები, ჩემო ძამიკო? — უცებ კილო შევიცვალე, მივეფერე.— არა, ლექსო, შენ ნუ მომიკვდები, არ გიჯავრდები. დედა ხომ არ ჩამოსულა, ჩემო ლექსო?

— სალომე, გატყობ, გიტირია. ვინ გატირა? — მეკითხება და სახეზე მაკვირდება.

— ეს წვიმის წვეთებია. წამწამებზე დამსხმია. მაშ დედა არ ჩამოსულა?!

— არა, გიტირია, შეგატყვე. ხაა, ხაა, ხااا! ვიღაცას გაუჯავრებია! — დამცინა კიდეც.

ერთხელაც რომ გაემეორებინა ეს ხარხარი, მართლა წამსკდებოდა ცრემლები.

— მამა სად არის?

— მარანში.— მიპასუხა და გავარდა გარეთ. მისთვის სულ ერთია, გინდ წვიმა იყოს, გინდ თოვლი. არაფერს დაეძებს, გარეთ უჭირავს თვალი.

თავშალი გადავიძრე, თმები შევისწორე და მარანში ჩავედი. მამაჩემი ცალ მუხლზე დაჩოქილა და ერთი ქვევრიდან მეორეში გადააქვს ღვინო. თავისთვის ჩურჩულებს:

— კარგი ღვინო დამდგარა, კარგი.!..

შემომხედა, მაგრამ არაფერი მითხრა, ღიღინით განაგრძო მუშაობა. ეტყობა, გადაუკრავს კიდეც, შეიძლება ღვინის სუნმაც დაათრო?

— ქორწილი' გვექნება, შვილო, ქორწილი! — მცირე დუმილის შემდეგ აღტაცებული მეუბნება. ამ სიტყვებთან ერთად მესმის ღვინის ჩხრიალი და კასრის ხმაური.

— ქორწილი კი არა, ერთი შენც? — თავშეკავებული ბრაზით ვუპასუხე.

მეწყინა. წამოვწითლდი. სახეზე ალმური მომედო. გარეთ გამოვვარდი. ისევ ფერმისაკენ გავწიე: ვნახავ მახინჯას, სათუთას, გვრიტოს. მივეფერები, მივუალერსებ. ძალიან გაიზარდა გვრიტო, ტანი აიყარა, უფრო დამშვენდა. დედამისს დაემსგავსა.

ბოსლის კარი შევაღე თუ არა, მაშინვე მომესმა: მუუ! გამოველაპარაკე, მივეფერე. ყველას ბეჭზე ხელი გადავუსვი.

— დაწყნარდი, ჩემო გვრიტო, სულ მალე ახალი ამხანაგები ჩამოგივლენ. არ იჯავრო, ისინი შენზე ლამაზები ვერ იქნებიან. მე მაინც შენ მეყვარები, მაინც შენ...

ამ დილას სახლიდან წვრილად დაჭრილი კარტოფილი მივუტანე. ძალიან უყვართ, მადიანად ახრამუნებენ. ახლავე დავუყრი ყველას. დეე, დაძღნენ, რომ ბევრი რძე მოვწველოთ... კარტოფილიც ვაჭამე, სოიონარევი ჩალაც დავუყარე, წყალიც დავალევინე, მაგრამ მაინც კარისაკენ იხედებიან.

„წვიმს, თორემ განა გარეთ არ გაგიყვანდით? მეც მინდოდა სოფლის გარეთ გავსულიყავი, მაგრამ რას იზამ, წვიმს!“

მართლაც, თითქოს ტირის ბუნება.

შეხედეთ ჭადრებს, ცრემლებივით სცვივა წვიმის კრიალა წვეთები. შეხედეთ ვერხვებს, ან და ძეწნებს შეხედეთ, ძეწნებს, რა დაბლა დაუხრიათ შტოები. მათი გრძელი, შეყვითლებული ფოთლები ცრემლებივით დაკიდებულან. მე ამ ხეებზე, მათ ტოტებსა და ფოთლებში მზის სხივებიც ბევრი მინახავს, ოქროსფერი მზის სხივები!

— გოგოებო, რძე, რძე! — მომესმის გომურის ბოლოდან დეიდა დაროს ხმა.

ისმის თუნუქის კასრების ბრახუნი.

მეც შევუდექი წველას.

— დეედო, დეეედო! — ვუყვავებ, როდესაც ძროხა ფეხს მოინაცვლებს, თითქოს რაღაც ეწყინაო.

მართლა დედაა. რამდენ ბავშვს დედის რძესავით შერგებია მისი რძე, ვინ დათვლის?!.

— სალომე, მართლა საქორწილოდ ემზადებით? — დამინახა თუ არა, მაშინვე შემეკითხა დეიდა დარო.

— არა, რას ამბობ?

— მთელი სოფელი ლაპარაკობს!

— მე კი პირველად მესმის.

— ჩამოვა შალვა და რა პასუხს გასცემ?

დეიდა დარომ არც კი იცის, შალვას დედასთან რომ ვიყავი, ბეჭედი რომ გამომართვა და შინ დაიტოვა. თაფლს გადმოვიღებო, ტკბილეულს მოგართმევო!.. რად მინდა იმისი თაფლი?

— დეიდა დარო, დედასთან წასვლა მინდა, გამიშვი ერთი დღით!.. — შევეხვეწე.

უცებ კოპები შეიკრა, გაჯავრდა.

— მერე ძროხები?

— ჩემს ძროხებს ტასო მოუვლის, ვთხოვ, უარს არ მეტყვის.

— ერთი ამას დამიხედეთ, დედა მოსდომებია! — ჩაილაპარაკა და სახეში შემომაცქერდა. ალბად ნაღვლიანობა შემატყო, ცოტახანს გაჩუმდა და მითხრა, კარგი წადიო.

რძე ჩავაბარე, ტასო ვნახე, დავითანხმე და შინ გავიქეცი.

ეს რა ამბავია? მამაჩემს ღორი დაუკლავს. ძია რაჟდენი და პაპა დიმიტრიც მოსულან და ეხმარებიან. გაუფუფქავთ, გაუსუფთავებიათ და სახსრებად დაჭრილი წათხში ჩასადებად გაუმზადებიათ. ცალკე აწყვია თავ-ფეხი, მუცლის ქონი და შიგნეული.

— მოდი, შვილო, შენც მოგვეხმარე! — მთხოვა მამამ.

დავტრიალდი, როგორც შემეძლო. მამაჩემი ხალისიანად იყო და მეც წავხალისდი. მალე ყველაფერი მოვათავეთ.

— აბა, ახლა სუფრა მოიტა. — მითხრა მამამ, თვითონ კი შამფურებზე გულ-ღვიძლი წამოაგო და მწვადები ააშიშხინა. ქვევრიდან ხელადით ღვინო ამოიღო. შემოუსხდნენ სუფრას.

— შალვა როდის ჩამოვა? — იკითხა პაპა დიმიტრიმ.

— აქამდეც უნდა ჩამოსულიყო! — მიუგო ძია რაჟდენმა.

— ჩემი რძალი დღედაღამ ფერმაშია შინ ვეღარ ვხედავ. — შესჩივლა მეგობარს პაპა დიმიტრიმ.

პატარა ხანს ჩუმად შეექცეოდნენ მწვადებს. სამივეს სიყვარულით შევცქეროდი და ვხარობდი. ერთმანეთს სჯობდნენ ხანში შესული ადამიანის სიდარბაისლით. მამაჩემს მოკლედ შეკრეჭილი, ვერცხლნარევი ულვაშები აქვს, წარბები დიდრონი და აბურძგვნილი, თმა ჭაღარა, უკვე შეთხელებული და უბრალოდ გვერდზე გადავარცხნილი. სუფთად გაპარსულ წვერთან მისი ულვაშები, წარბები და თმაც ერთსა და იმავე დროს სასიყვარულო იერსაც აძლევდნენ და მკაცრ გამომეტყველებასაც. ძია რაჟდენს წვერ-ულვაში ერთმანეთში შერეული ჰქონდა. ჭერის შუა ადგილას დაკიდებულ ელნათურს ღიმილით ახედავდა ხოლმე. სულ სხვანაირი იყო პაპა დიმიტრი. ჩაფიქრებული დასცქეროდა სუფრას. დროდადრო ძირს დაშვებულ ჭაღარა ულვაშებზე გადაისვამდა ხელს და ხმამაღლა, ეშხიანად ჩაახველებდა ხოლმე.

— ეს გაუმარჯოს ცის ნამს, დედამიწის მოსავალს, ხარის ქედს და კაცის მარჯვენას! — წარმოთქვა პაპა დიმიტრიმ. ის ყველა მათზე უფროსი იყო და პირველი სიტყვაც მას ეკუთვნოდა.

— კარგი სიტყვაა, — თქვა მამამ, — მაგრამ ცის ნამთან ერთად ისიც მინდა გავიხსენო, რაც ჩვენს ქვეყანაში დედამიწის მოსავლისათვის არხები გაიყვანეს. ხარის ქედთან ერთად ტრაქტორი და კომბაინი უნდა გაგახსენოთ. არც ის დავივიწყოთ, რომ კაცის მარჯვენას ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაეხმარა მეცნიერება. მეცნიერებსაც გაუმარჯოთ, მათი შემწეობით დედამიწის მოსავალი ძალიან გავზარდეთ.

— მე შენ სიტყვას როგორ მოგიგებ, აგრე იყოს! — გულკეთილი ღიმილით უპასუხა პაპა დიმიტრიმ.

სამივემ ძირამდე გამოსცალა ჭიქები.

ძია რაჟდენი ცარიელ ჭიქას ჩასცქეროდა და სიამოვნებით თავს აქნევდა. პაპა დიმიტრი აღტაცებული შესცქეროდა მამას.

— მოგწონთ, ბიჭებო, ჩემი დაყენებული ღვინო? — საზეიმო გამომეტყველებით ჰკითხა მამამ.

— სანაქებოა, სანაქებო!! — წაიდუდუნა პაპა დიმიტრიმ.

გამეღიმა... „ბიჭებოო!“ ახალგაზრდობიდან მეგობრები არიან და როგორც სიყმაწვილეში, ახლაც ისე მიმართავდნენ ერთმანეთს.

— საქორწილო ღვინოა, საქორწილო! — გულმხიარულად წარმოთქვა მამამ. ყველამ მე გადმომხედა.

— ღვინო მარტო ქორწილში კი არ არის საჭირო, ბევრ რამეში გვჭირდება, აი, რაჟდენს შვილიშვილი გაუჩნდა, სახელს რომ შევარქმევთ ღვინო არ უნდა დავლიოთ?

— მე თუ მკითხავთ, უღვინოდ არც დაბადება ვარგა და არც სიკვდილი. ღვინო მუდამ საჭიროა — ჭირშიც და ლხინშიც! — დაუმატა თავის მხრივ ძია რაჟდენმაც.

— ვაზის ქვეყანაა საქართველო, — დაიწყო აჩემებული სიტყვა მამამ, — ჩვენშიც, მესხეთში, დიდძალი ვენახი ყოფილა ძველად, მაგრამ დიდი თურქობის დროს ერთიანად გაუკაფავთ ვაზი. ამ მარანს ხომ ხედავთ? ეს ძაძაპაპური მარანია. მე კი არ ჩამიყრია ეს ქვევრები! სამასი წლის წინათ ვიღაც ჩვენს წინაპარს აქ მარანი ჰქონია. მაშასადამე, ვენახიც ექნებოდა. საკარმიდამოზე მიწასა ვხნავდი. ღრმად მოხანითო, კარგი მოსავალი მოვაო, სულ ამას გვასწავლიან ჩვენი აგრონომები. მეც ღრმად ვხნავდი. უცებ, ვხედავ, ბელტს თიხის სარქველი ამოჰყვა. გამიკვირდა, აქ სარქველს რა უნდა-მეთქი. დავარტყი ბარი და ტარამდე ორმოში ჩამივარდა. მოვათავე ხვნა და მეორე დღეს მიწის თხრას შევუდექი. ქვევრები აღმოჩნდა. ზოგი ჩამტვრეული იყო, ზოგი მთელი. მთელი თვე ვიწვალე, სანამ ამ ქვევრებს ამოვასუფთავებდი. მერე გადავხურე კიდეც და... ახლა, თქვენც ხედავთ, ძალიან კარგი მარანი მაქვს.

ყველანი გატაცებით ვუსმენდით. სახეში მივჩერებოდით, კიდევ ხომ არაფერს იტყვისო.

— დიახ, ასეა, თუ მარანი ყოფილა, ვენახიც იქნებოდა. ასე არ არის? — იკითხა მამამ.

სამივემ ერთმანეთს შეხედეს. ძია რაჟდენმა მაშინვე დაუდასტურა:

— ასეა, ასე!..

არც პაპა დიმიტრიმ დააყოვნა.

— ასეა, ასე! — წარმოთქვა იმანაც.

— ჩვენი სოფლის ამბავი თუ გაგიგონიათ, — ჩაურთო თავის მხრივ ძია რაჟდენმა, — გეცოდინებათ, მაგრამ მე მაინც გეტყვით. თურქების შემოსევის დროს გახიზნულან სვირელები, იმერეთში გადასულან და იქ დასახლებულან. თავიანთი სოფლისათვის იქაც სვირი დაურქმევიათ. ხომ გაგიგონიათ სვირი?

— როგორ არ გამიგონა, მე იქ ვყოფილვარ კიდეც! — გამოეპასუხა პაპა დიმიტრი. პატარა ხანს გაჩუმდა და განაგრძო, — ბევრი სისხლი დაღვრილა ჩვენს მიწა-წყალზე, ბევრი. თქვენ არ იცით რა თქმულებაა ჩვენში ყაყაჩოებზე? ასე ამბობენ, მიწაში ჩაღვრილი სისხლი გაზაფხულობით წითელ ყაყაჩოებად ამოდისო. ძველი დროების უბედურების ნიშანი, შავი არშია, ქვემოდან ქობასავით შემოვლებია ამ ლამაზ ყვავილს. რა ამოაშრობს ჩვენს მამულში დაღვრილ სისხლს? არც ყაყაჩოები გამოილევა!

პაპა დიმიტრი ამას ისე მოჰყვა, ეტყობოდა თვითონ სჯეროდა. ოჰ, რა საყვარელია ყაყაჩოები! მეტადრე მაშინ, ველ-მინდორს ერთიანად რომ გადააწითლებენ ხოლმე! პაპა დიმიტრის ნათქვამი მე არა მჯერა, მაგრამ, რადგან ხალხს ასე ჰგონია, მეც ასე მეცოდინება... ამას შემდეგ უფრო მეყვარება ეს შავქობიანი წითელი ყაყაჩოები!

ამ დროს ლექსო მოვარდა, ხმამაღლა მეუბნება:

— სალომე, შალვა ჩამოსულა, საქონელი ჩამოუყვანია. წამოდი, გოგო, შალვა, გესმის, შალვა!

— მომწყდი თავიდან. — ბრაზით მივაძახე. — ყველას შალვა გაკერიათ ტუჩზე!

— ჰმ, საქონელი ჩამოუყვანია! ორმოცი წელიწადია საქონელს ვწყემსავ, არც რძე გამოგვლევია, არც ერბო-კარაქი. გასეირნება უნდოდა, თორემ ცხრა მთას იქით რას დაეძებდა, როცა კარგი ძროხა აქაც ბევრი გაგვაჩნია?

„მართალია, გასეირნება უნდოდა“, — გულში დავეთანხმე და გულშივე გავიმეორე ძია რაჟდენის სიტყვები.

— ჯიშიანი ბუღები, ჯიშიანი დეკეულები! საქონელს კარგად მოუარე და ჯიშიანი იქნება.

„სწორია, სწორი... საქონელს კარგად მოუარე და ჯიშიანი იქნება“ — ასევე გულში დავეთანხმე პაპა დიმიტრისაც.

— არა, ბიჭებო, დიდი განსხვავებაა! შალვას ესმის. ის ტყუილად არ გაირჯებოდა. ჩვენი ფერმის გულისათვის ის ცხრა მთას კი არა, ცხრა ზღვას გასცურავდა! — გამოექომაგა მამა და მართალიც იყო, ფერმის გულისათვის შალვა ცხრა მთას კი არა, ცხრა ზღვას გასცურავდა.

— რადგან სიტყვამ მოიტანა, შალვას სადღეგრძელო დავლიოთ. იცოცხლოს შალვამ, კარგი ბიჭია, კარგი!! — დაუმატა მამამ.

„იცოცხლოს შალვამ... იცოცხლოს შალვამ“! — ვჩურჩულებ გულში ამ სადღეგრძელოს.

ლექსო ფერმაში გაიქცა. მე კი ვზივარ და მოხუცების ტკბილ საუბარს ვუსმენ. მათი დატოვება არც შეიძლება. ხან რა სჭირდებათ, ხან რა. შექეიფიანდნენ. დედაჩემის სადღეგრძელო შესვეს. პაპა დიმიტრიმ თქვა, ქართველი ქალის შესახებ ძველი ამბავი უნდა გიამბოთო, მე ეს პაპაჩემისაგან გამიგონიაო. ულვაშებზე ხელი გადაისვა, რამდენჯერმე ჩაახველა და საამბობლად მოემზადა. დაიწყო კიდეც... მაგრამ არც ძია რაჟდენმა, არც მამაჩემმა არ დააცადეს მოყოლა.

— მოყევი, პაპა დიმიტრი! — შევეხვეწე,— თუ ეგენი არ მოგისმენენ, მე მოგისმენ.

ისევ წამოიწყო პაპა დიმიტრიმ, მაგრამ პირველ სიტყვაზევე შეაწყვეტინეს.

— სხვა დროს, გიამბობ,— დამპირდა და მეც მოვეშვი.

— ცოლოურს უნდა წავიდე, ჩემი ეფემია უნდა ჩამოვიყვანო. მარტო გაძლება აღარ შემიძლია. ოცდახუთი წელიწადი ერთად ვეწევით უღელს. თქვენც უნდა წამომყვეთ! — რიხიანად წარმოთქვა მამამ, — ადექით, წავიდეთ!

— რა დროს წასვლაა, დღესაც მოითმინე და ხვალ წავიდეთ. — დაუყვავა პაპა დიმიტრიმ.

— მართალია, ასე წასვლა არ შეიძლება, მოუმზადებელი ვართ. ხვალ წავიდეთ! — თქვა ძია რაჟდენმაც.

— არა და არა, — დაიჯინა მამამ, — ახლავე უნდა წავიდეთ, ქეიფი იქ უნდა განვაგრძოთ, მე იმათ ნამდვილი ქორწილი უნდა გადავახდევინო. ხომ გახსოვთ ჩემი ქორწილი? სწორედ თქვენ იყავით ჩემი მაყრები. ცარიელტარიელი გოგო რომ გამომატანეს. მაშინ ღარიბები იყვნენ, არაფერი გააჩნდათ. მე კარგად მახსოვს, სოფელს ქათმის დასალევი წყალიც კი არ ჰქონდა. ახლა კარგად არიან მოწყობილნი. ქვაც აქვთ და კაკალიც!

— მამა, შენ გენაცვალე, დაწექი, მოისვენე, გამოფხიზლდები და მერე წავიდეთ!

— როგორ, მე მთვრალი ვარ?! ვინ არის მთვრალი?! მე სულაც არა ვარ მთვრალი! ჰმ, მთვრალიო! ერთი ხელადა ღვინო დამათრობდა?!

— არა, მამიკო, შენ მთვრალი როდი ხარ, შენ ფხიზელი ხარ! — მოვეფერე.

ახლა შუბლშეჭმუხვნილი მომაცქერდა. არც ეს ესიამოვნა.

— როგორ თუ ფხიზელი? განა მე ფხიზელი ვარ?! სულაც არა ვარ ფხიზელი! მაშ ჩემი დაყენებული ღვინო ღვინოდ არ ვარგებულა! განა თქვენ ფხიზლები ხართ? — შეეკითხა ორივეს.

მათ არ იცოდნენ, რა ეპასუხათ. ძია რაჟდენი თავს უკანტურებდა: ხოო-ო, პაპა დიმიტრი თავს აქნევდა, არა-ო.

ცყუილად კი არ იცის დედაჩემმა თქმა: როდესაც ნიკო ფხიზელია, ბრძენზე ბრძენია, დაითვრება და ბავშვად გადაიქცევაო. მამამ თავისი გაიყვანა, დაითანხმა ამხანაგები და წასასვლელად გავემზადეთ. მეც ეს მინდოდა.

მანქანაში ჩასასხდომად სოფლის გზაზე გავედით.

მამაჩემი შეწითლებულია, იღიმება, თავი მხნედ უჭირავს, ცდილობს, გამართულად გაიაროს.

წვიმა კვლავ წვრილად სცრის.

— რა ღმერთი გაუწყრათ ამ შოფრებს, რომ არა ჩანან? — ამბობს მოლოდინით მოღლილი პაპა დიმიტრი.

— როცა არა გვჭირდებიან, მაშინ გიქნევენ ხელს. — გამოეპასუხა ძია რაჟდენი.

— ახლავე ჩამოიქროლებენ, — დააიმედა მამამ, — ჩვენს სოფელში იმდენი ურემი არა ჭაჭანებს, რამდენიც მანქანაა!

სწორედ ამ დროს გუგუნი მოისმა, რამდენიმე წუთიც, და საბარგო მანქანა გამოჩნდა.

— გააჩერე, გააჩერე! — ყვირის მამა.

— წაგვიყვანე! — ყვირის ძია რაჟდენი და ორივე ხელს უქნევს.

მანქანა კი მოჰქრის. მგონი არ გააჩერებს. წინ ჩაგვიქროლა. არ მოეშვნენ, ყვირილით გამოეკიდნენ:

— წაგვიყვა, წაგვიყვა!

მანქანა მოწყვეტილად გაჩერდა. შოფერმა თავი გადმოყო.

— სად მიდიხართ? — შემოგვძახა.

— მუსხში!

შოფერმა ცალი ხელი გაშალა და ხუთი თითი დაგვანახვა.

არც ძია რაჟდენი დაიხევდა უკან, არც პაპა დიმიტრი. აბა, ასეთ დროს, როდესაც მაყრებად მიჰყვებოდნენ, ხუთი მანეთი რა დასანანი იქნებოდა?

— ნიკო, შენ შოფერთან დაჯექი, ცოლოურს მიდიხარ, — სთავაზობს ადგილს პაპა დიმიტრი.

— არა, შენ დაჯექი, ჩემი პირველი მაყარი შენა ხარ!

— სალომე დავსვათ! — ამბობს ძია რაჟდენი.

— ისევ შენ დაჯექი რაჟდენ!

ასე ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს.

— აქ არც ერთისათვის არა მაქვს ადგილი, — რიხიანად გადმოგვძახა შოფერმა, — ყველანი მაღლა ადით!

„ასე აჯობებს, ყველანი მაღლა ავიდეთ!“ — სამივემ დარცხვენით ჩაილაპარაკა და ერთმანეთის მიპატიჟებას თავი დაანებეს.

— ჩქარა, ხალხო, პატარძალი ხომ არ მოგყავთ, რა დაგემართათ?! — უკმეხად მოგვაძახა შოფერმა.

— პატარძალი კი არა, სიძე-კაცი მიემგზავრება! — თავმომწონედ წარმოთქვა ძია რაჟდენმა.

— დიახ, სიძე-კაცი! — კვერი დაუკრა პაპა დიმიტრიმ.

მამაჩემი კი იღიმებოდა. თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს მართლაც და სასიძო ყმაწვილი ყოფილიყოს.

პაპა დიმიტრი მაშინვე ჩაცუცქდა, ძია რაჟდენმაც მას წაბაძა. მამაჩემი კი, ძარაზე ცალი მუხლით მიბჯენილი, ყოჩაღად იდგა. ეტყობოდა, გამოფხიზლდა.

დაღმართზე ნჯღრევით ჩავედით, სწორეზე გავედით და თავისუფლად ამოვისუნთქეთ, ასფალტზე მანქანა მსუბუქად მისრიალებდა.

წვიმამ გადაიღო. ცამ გაიღიმა. შემოდგომის სუსტმა სხივებმა გასჭრეს ღრუბლები და გამოიდარა.

ხეებს ფოთლები შეჰყვითლებია. გზის ნაპირებზე გვხვდება ვერხვები, არყები, ნეკერჩხლები. წვიმისაგან გაბანილან და კრიალებენ. შიგადაშიგ წყდება ფოთლები და ფრთამოტეხილ პეპელებივით ფარფატით ცვივა ძირს. აგერ მოჩანს ტყიანი მთები — პაწაწულა, ავაზანა, ჩხერელო და ჩემი საყვარელი ირმისთავი. სადაც არ უნდა იყო, საიდანაც არ უნდა გაიხედო, მაინც მოჩანს ირმისთავი. რა დამავიწყებს ირმისთავს, რა დამავიწყებს წრეევანდელ ზაფხულს. სადარდებელიც ბევრი მქონდა და სასიხარულოც... ვერ ვივიწყებ სიტყვებს: „თაფლს გადმოგიღებო, ტკბილეულს მოგართმევო“. მიხარია, რომ ერთი დღით მაინც ვშორდები ჩვენს სოფელს. მიხარია, რომ სწორედ იმ დღეს მივდივარ, როდესაც შალვა ჩამოვიდა. მიიღოს თავისი მარგალიტებიანი ბეჭედი. მარგალიტები ადამიანს გულში უნდა ჰქონდეს!..

პაპა დიმიტრი თვლემს, დროდადრო მანქანის რყევისაგან თვალს ახელს და უაზროდ გვაცქერდება. ძია რაჟდენი ფხიზლობს, მაგრამ მაინც ქინდრავს თავს, ცალ ხელს სახეზე იფარებს, რომ არ დავინახოთ, თუ როგორ ერევა ძილის რული.

ახალციხე უკან მოვიტოვეთ. ასპინძის გზას დავადექით. მტკვრის ხეობას მივყვებით.

მანქანა გაჩერდა.

— ახლა ფეხით მოგიხდებათ წასვლა, მე ასპინძაში მივდივარ! — გვითხრა შოფერმა. — ფული შეაგროვე! — უბრძანა თანამემწეს.

გადმოვედით. სამივემ ჯიბეზე იტაცა ხელი. პაპა დიმიტრიმ უბეში ხელი ჩაიყო. შეკვანძული ცხვირსახოცი ამოიღო. ძია რაჟდენმა ხან ერთ ჯიბეში ჩაიყო ხელი, ხან მეორეში. უბეებშიც ეძება. მერე საიდანღაც ამოაძვრინა გაზეთის ქაღალდში შეხვეული ფული.

— მე გადავიხდი! — თქვა პაპა დიმიტრიმ და ცხვირსახოცის კვანძს დასწვდა. კბილებიც დაიხმარა, მაგრამ კვანძის გახსნას მაინც ვერ ახერხებს.

— შენ რატომ უნდა გადაიხადო, განა ჩვენ არა გვაქვს ფული? — უპასუხებს ძია რაჟდენი და გაზეთში შეხვეულ ქაღალდებს არჩევს.

— ჩემი სტუმრები ხართ, ხარჯიც მე მეკუთვნის! — ამბობს მამაჩემი და დაკეცილ თუმნიანებს აწოდებს შოფერს.

პაპა დიმიტრი და ძია რაჟდენი ფულის ძებნას განაგრძობენ.

— ხომ არ დაბერდით, ბიჭებო, ალბათ თვალი აღარ გიჭრით, რომ ქაღალდებისგან ფულს ვეღარ არჩევთ?!

ორივემ ღიმილით შეხედა მამას. მანქანა კი უკვე მიჰქროდა.

ბევრჯერ ვყოფილვარ დედულში. დედული ისევე საყვარელია, როგორც მამული. ავდიოდი ხოლმე და მაშინვე შემოვირბენდი ბაღებს. ვაშლები... ვაშლები... ვაშლები... ქარვასავით ყვითელი და ვარდივით წითელი, მალამოსავით ტკბილი და გულის ჩამწმენდი... ვაშლებით კალთას ავივსებდი და შინ მივარბენინებდი. „ჭამე, გოგო“, — მეუბნებოდა ხოლმე დიდედაჩემი. მე კი ტახტზე ვყრიდი, როგორც ფერად ბურთებს. თვალი რომ ძღებოდა, გულიც მაძღარი

იყო. თვალწინ წარმომიდგა დიდედაჩემი. ვიცი, როგორ მომეგებება, როგორ ჩამიკრავს მკერდში. „ჩემო პაწაწკინტელა“, — მეტყვის და დამკოცნის. რაღა პაწაწკინტელა ვარ, როდესაც ასეთი დიდი ჯავრი მაქვს გულში.

— ძველი სოფელია მუსხი. დიდი წარსული აქვს. სამი მხრიდან კლდოვანი მთა აკრავს. მთებშია ჩამალული. თუ სოფელს ზედ არ მიადექი, ვერ დაინახავ. ძველად თურმე „დამალულაც“ რქმევია. როდესაც ძველი მუსხი აუოხრებიათ. მას შემდეგ ამ ადგილას დასახლებულან — დამალულაში.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, გაშლილ ადგილას გროვებად აწყვია ქვა, ხე-ტყე, საშენი მასალა. წისქვილი შემოგვხვდა. შარშან არ იყო, წელს აუშენებიათ. აქვე გრძლად გადაჭიმულა ბოსლები. ესეც ახალი აშენებულია. აქა-იქ ორსართულიანი სახლების კედლები აღუმართავთ.

— ახლა რაღა გვაქვს დასამალი? — თითქოს თავისთავს ელაპარაკება მამა, — გამოვიდა მუსხი თავისი უზარმაზარი გამოქვაბულიდან! — გაჩუმდა. კარგახანს ჩუმად მიდიოდა. მერე ფიქრებში წავიდა. რამდენჯერმე ქვებს წაჰკრა ფეხი. წაიბორძიკა.

— ჭკვიანი კაცი იყო, ჭკვიანი! — ჩაილაპარაკა.

გაკვირვებით შევხედე.

— ვინ იყო ჭკვიანი კაცი?

— მეფე ერეკლე!

გამიკვირდა, რად გაახსენდა მეფე ერეკლე?

— ისეთ ქვეყანას დაუმეგობრდა, ისეთ ხალხს მიანდო საქართველო, რომ ქართველ ხალხს სიცოცხლე შეუნარჩუნა!

— რუსეთს?

— რუსეთს! მას შემდეგ ჩვენში მტრის ფეხი არ დადგმულა. ერთხელ ორიოდე წლით მოსწყდა ჩვენი მხარე რუსეთს და მაშინვე შემოიჭრა მტერი. ააწიოკა აქაურობა. მეც კარგად მახსოვს. ეს 1918 წელს იყო.

მთას შემოვუარეთ და გამოჩნდა მუსხი.

აქ მამა გაჩერდა. თავისი ნაცრისფერი კრაველის ქუდი მოიხადა, ხელზე დაიბერტყა, წვიმის წვეთები მიმოფანტა და ისევ დაიხურა. მერე ულვაშები გადაიგრიხა, შუბლზე ხელი გადაისვა, რამდენჯერმე ჩაახველა კიდეც.

— დაიღალეთ? — თითქოს ახლა გაახსენდა თავისი მაყრები.

ასე ადვილად რომელი დაიღლებოდა? ორიოდე კვირის წინათ პაპა დიმიტრიმ ორ ჰექტარ მიწაზე საკუთარი ხელით დათესა ჩვენებური დოლი. დილიდან დაბინდებამდე მუშაობდა, არავისთვის შეუჩივლია — დავიღალეო. ძია რაჟდენმა კი თოვლში და უგზოობაში მთიდან ფერმის საქონელი ისე ჩამოიყვანა, მუხლიც არ ჩაჰკეცვია!

ჩვენს წინ მოულოდნელად „პობედა“ გაჩერდა. მანქანიდან გადმოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე იასონ იველაშვილი. მან ღიმილით გაშალა ორივე ხელი.

— მთელი ტატანისი აქ ჩამოსულა. თავდასხმა ხომ არ მომიწყეთ?

— მოყვრების თავდასხმა სტუმრობაა!

— გამარჯობათ, ამხანაგო ნიკო, გამარჯობათ!

ხელს გვართმევდა და გამომცდელი თვალით გვიცქეროდა, უნდოდა გაეგო ჩვენი ჩასვლის მიზეზი.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, მაგრამ ცუდი დარი შეგირჩევიათ, — გაბაგრძო გულში ფარული ფიქრით და ცას ახედა, — ისევ იწვიმებს!

— ავდარში თუ მოიცლის კაცი, თორემ მზიან ამინდში იმდენი საქმე გვაქვს, კოლმეურნეობას ვერ მოვშორდებოდით! — მიუგო მამამ.

პაპა დიმიტრიმ და ძია რაჟდენმა დრო იხელთეს და მანქანასთან ჩამოსხდნენ. მამა და იასონი ერთმანეთს ღიმილით შესცქეროდნენ, ერთმანეთის სიტყვას ელოდნენ. პირდაპირ ჭალა მოჩანდა. უნებურად თვალი გადაიტანეს ამ ჭალაზე, სადაც ბალახზე გაშვებული საქონელი ნებიერად ძოვდა.

— საქონელი როგორ გყავთ? — თითქოს თვალწინ გადაშლილმა სურათმა გაახსენა, იკითხა მამამ.

— კარგად! ჩვენ შეჯიბრებულები ვართ, არა? შემოწმებაზე ხომ არ მოსულხართ? თუ გინდათ ვინახულოთ ფერმა, აი, აქვეა!..

— შემოწმებაზე არა, მაგრამ ვიდრე ორივეს შეგვამოწმებენ, ცუდი არ იქნება თქვენი ფერმის დათვალიერება. წავიდეთ, კვიცსაც გავხედნით და მამიდასაც ვინახულებთ!

იასონი შეტრიალდა და სასწრაფოდ მანქანაში ჩაჯდა. საჭეს ჩასჭიდა ხელი. მამა გვერდზე მოისვა. რამდენიმე წუთში ფერმასთან გავჩნდით.. რბილ სავარძელში ჩაჯდა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა პაპა დიმიტრის. არ გავაღვიძეთ. ასევე დავტოვეთ მანქანაში.

ბოსელი ახალია. ელექტრონითაც გაშუქებულია. ეტყობა, ძროხებიც მოვლილი არიან. სუფთაა იატაკი, კედლები. ბოსლის მთელ სიგრძეზე, შუაში ვიწრო ლიანდაგია გაყვანილი, ზედ პატარა ურიკას მიაგორებენ. კედლებზე გაკრულია ნახატები: ჯიშიანი ძროხები, ელექტრონით წველა, ბრიგადირისა და მწველავების გვარების მაჩვენებელი წარწერები.

მივყვებით ძროხების რიგს.

— ორას სამოცდასამი მსხვილფეხა საქონელი გვყავს! — გვიხსნის იასონი. — აქედან ოთხმოცდახუთი რქა მუშა ხარია. წრეულს მოზარდეული მთლიანად შევინარჩუნეთ. ას ორმოცდახუთი რქა...

— იასონ, რქების ჩამოთვლას თავი დაანებე. შენ ეს მითხარი, ბერწი ძროხები გყავთ?

— გვყავს.

— რამდენი?

— ხუთი თუ ექვსი.

გაჩუმდა. მცირე დუმილის შემდეგ იკითხა:

— თითო ძროხა რამდენს იწველის?

— თითო ძროხა? — გაიმეორა შეკითხვა იასონმა, პასუხს კი ვერ აძლევდა.

ამ დროს ფერმის გამგე მოგვიახლოვდა, სანდრო ივანიძე. ჩვენ მას კარგად ვიცნობდით. გაზეთებულზე სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაზე სანდრომ და შალვამ მოაწერეს ხელი. ხელის მოწერას მეც დავესწარი.

— რამდენს იწველის თითო ძროხა, სანდრო? — შეეკითხა მას იასონი.

— თორმეტ ლიტრას.

— რაჟდენ, ჩვენი ძროხები რამდენს იწველიან?

— მთაში თექვსმეტს ვწველიდით, ახლა თოთხმეტს!

ერთმა ძროხამ მოიტაცა ჩემი თვალი. წითელი სტეპის ჯიშისა იყო. ფეხებზე თეთრი ლაქები ეყარა. ტანდიდი, ლამაზი, ღაბაბიანი ხავერდივით უკრიალებდა ბალანი.

— რა ჰქვია ამ ძროხას?

— ლალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენს იწველის?

— ჩემი ძროხები საშუალოდ თორმეტ ლიტრ რძეს იწველიან.

— ცალ-ცალკე?

— არ ამირწყვია.

— ცხიმიანობა როგორი აქვს ამ ძროხის რძეს?

მან ცხიმიანობაც საერთო მითხრა.

გამიკვირდა. მწველავმა ქალმა განცვიფრებით შემომხედა — რა გაუკვირდაო. მამაჩემი ჩუმად გვისმენდა. ჩაფიქრებული გადახედავდა ხოლმე ხან მწველავს, ხან ფერმის გამგეს, ხან იასონს. ნელი ნაბიჯით ჩავიარეთ ბოსელი. დუმდა მამა, დუმდა ძია რაჟდენი, მეც ჩუმად ვიყავი. იასონი თვალებში შემოგვცქეროდა, მას უნდოდა გაეგო ჩვენი აზრი მისი ფერმის შესახებ.

ბოსლის ბოლოში ცალკე ოთახი იყო გადაყოფილი. იქ შევედით და მაგიდას შემოვუსხედით. მამა თავჩაქინდრული ოჯდა. დასცქეროდა მაგიდაზე გადაშლილ გაქონილ ქაღალდს.

— პურის მოსავალი როგორი გქონდათ? — იკითხა მამამ ფიქრიანად.

— გეგმა შევასრულეთ სახელმწიფოს სრულად ჩავაბარეთ, სათესლე ფონდი გადავდეთ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურს თავისი კუთვნილი გადავუხადეთ.

— ჰექტარზე რამდენი ცენტნერი მოიყვანეთ?

— რვა.

— ყანები ხომ არ დასეტყვილა?

— არა.

— თაგვი ხომ არ გაჩენილა?

— არა.

— გვალვა?

— წრეულს გვალვა არა ყოფილა, ეს თქვენც კარგად იცით.

— რამდენი გაანაწილეთ შრომადღეზე?

ოველაშვილი დუმდა.

— არ გახსოვთ?

— როგორ არა, სამასი გრამი. — დამნაშავესავით ჩუმად წაილუღლუღა იასონმა.

— წამალი ხომ არ იყო, გრამობით რომ გაგინაწილებიათ?!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. უხერხულად ვდუმდით. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შუახნის ქალი შემოვიდა. ხელში დიდი ტაბაკი ეჭირა. ტაბაკზე ვაშლები ეწყო. ქალმა ტაბაკი ჩვენს წინ მაგიდაზე დადო და ალერსიანად შემოგვთავაზა:

— მიირთვით, ჩვენი ბაღებისაა.

მამამ დახედა ვაშლებს. უცებ სახე გაუბრწყინდა. ბაგეებზე ღიმილმა გადაურბინა. თვალებში სიხარულის სხივი აუთამაშდა, გამხიარულდა და ისეთი გამომეტყვილება მიიღო, როგორც ბედნიერ წუთებში იცის ხოლმე. მართლაც, ერთმანეთში არეული წითელლოყება შაფრანი და ქარვასავით ნაზი სიყვითლის ანტონოვის ვაშლები, ისეთივე მშვენიერი სანახავი იყო, როგორც საგულისგულოდ გაწყობილი საახალწლო ტაბაკი.

— რა მშვენიერი ვაშლებია! — წარმოთქვა მამამ მხიარულად და ერთი ცალი ხელში აიღო, თითქოს ხმაც შეეცვალაო, ზარივით აუწკრიალდა, — რა დიდრონია, რა საღი! — განაგრძო მან. დაყნოსა. — სურნელოვანიც რომ არის?!

აღტაცებული ვარ ასეთი ძვირფასი ნაყოფით. იასონ, ძმაო, როგორ გამოიყვანეთ ასეთი ხილი?

გაიხარა იასონმაც. სახე გაუნათდა, თვალები ნაპერწკლებმა გაუბრწყინეს. ხალისიანად ალაპარაკდა:

— კოლმეურნეობაში მიჩურინელები გვყავს. გატაცებული არიან მეხილეობით. საუკეთესო ჯიშის ნერგები დაამყნეს და გაახარეს. იცი, როგორ უვლიან? საგულისგულოდ. თვითეულ ხეს თავს დასტრიალებენ. ჩვენმა მებაღეებმა ზეპირად იციან, რომელი ხე რამდენ ნაყოფს ისხამს. შესწავლილი აქვთ. ხე რომ მოიწყენს, ამასაც კი გრძნობენ და მაშინვე მიხედავენ. საკვებს არ დააკლებენ, ზედმეტ ყვავილს არ დაუტოვებენ, მავნებელს არ გააკარებენ. შრომამ გაგვიმართლა. დიდი მოსავალი მივიღეთ! — აღფრთოვანებით დაამთავრა იველაშვილმა.

მამაჩემმა ვაშლი გათალა, ოთხად გაჭრა და მიართვა ჯერ ძია რაჟდენს, მერე თავმჯდომარეს, ბოლოს — მე.

— დატკბით, დატკბით ასეთი მშვენიერი ნაყოფით!

უხაროდა იველაშვილს მათი ბაღების ნაყოფის ქება. თვითონაც შეასხა ქება-დიდება:

— განა მარტო ჩვენში ტკბებიან ამ ხილით. სხვაგანაც ვგზავნით. მოსკოვში, შორეულ აღმოსავლეთში, მთელ რუსეთში!

— იასონ, ჩემო ძმაო, განა არ სჯობს თქვენი ფერმის ნაყოფითაც ასევე დატკბეს კოლმეურნე? მსუქანი რძე და ბევრი ერბო-კარაქი ჰქონდეს? საქონელსაც ასე უნდა მოუაროთ! თქვენ კი არ იცით, რამდენ რძეს იწველის ესა თუ ის ძროხა, როგორი ცხიმი აქვს მის რძეს. საერთო კასრში ასხამთ მოწველილს. ბერწებს ინახავთ, აჭმევთ და ასმევთ, რქების რაოდენობა მეტი გვყავდესო. ეს როგორ შეიძლება? ბაღებში უჯიშო ხე რომ გედგეთ, რომელიც ნაყოფს არ მოგცემთ, განა მას ძირფესვიანად არ ამოგლეჯთ? ის ხომ ხეხილად არ ჩაითვლება?

როგორც განაჩენს, ისე უსმენდა მამაჩემის სიტყვებს იველაშვილი.

— ჩვენ მეგობრულად გესტუმრეთ. შემოწმებაზე რომ მოვლენ, იმათ მაინც ნუ დახვდებით ასე, შერცხვებით!..

იველაშვილს სწყინდა, დამდურებით კი ვერ დაგვემდურებოდა, რჩევა-დარიგება მეგობრული იყო.

ფერმიდან გამოვედით. ჩუმად, თავჩაღუნული მოგვყვებოდა იველაშვილი. ხმაამოუღებლივ მივედით მანქანასთან. კარი ფრთხილად გამოვაღეთ და შევედით მანქანაში. პაპა დიმიტრის ისევ ეძინა, მხოლოდ გუგუნზე გამოეღვიძა.

— მივედით? — იკითხა.

— არა, ჯერ არ მივსულვართ!

მიიხედ-მოიხედა და ღიმილით მკითხა:

— ხომ არ მეძინა?

— არა, პაპა დიმიტრი, თქვენ არა გძინებიათ, ისე თვლემდით!

— ჰოო, მართალია, ცოტა ჩამთვლიმა. — დამეთანხმა და წელში გასწორდა.

— ოჯახში მესტუმრეთ. — გვთხოვა იველაშვილმა.

— არა, ვერ წამოვალთ. ცოლოურს მივდივარ. ჩვენ მაშინ გესტუმრებით, როდესაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გვაჯობებთ. როდესაც ფერმაც, ყანებიც ისეთ ნაყოფს მოგცემენ, როგორსაც ბაღები გაძლევენ. ახლა კი შენ წამო-

ხვალ ჩვენთან! — მტკიცედ უთხრა მამამ, — ჯვარიძეებში მიმიყვანე, ჩემს ცოლოურში!

— სად არის ჩემი სიდედრი?! — ჭიშკართანვე დაიძახა მამამ, — ოდესაც მანქანიდან გადმოვედით.

— აქა ვარ, შვილო, მობრძანდი! — მოგვეგება დიდედაჩემი.

— გამარჯობა, ჩემო ძვირფასო სიდედრო! — ხმამაღლა და რიხიანად მიესალმა. მის ხმაში ხუმრობაც ჩანდა და გულწრფელი პატივისცემაც.

— დედაკაცი ხომ არ წამართვით, შინ აღარ უნდა გამოუშვათ?

— შენი ჩამოსვლა გაგვეხარდებოდა, შვილო!—ალერსიანად მიუგო. მერე მე მომიბრუნდა, — ჩემო პაწაწკინტელა, ჩემო სიხარულო! — უნდა გადამეხვიოს, მაგრამ ვერ მწვდება, თანაც პაწაწკინტელას მეძახის. დაბლა ვიღუნები, რომ გულში ჩამიკრას. რა კარგია დიდედა... სითბო და სიტკბოა!..

ფეხების წმენდით და ბაკუნით, მხიარული ხმაურით ავედით კიბეზე. აივნის კედლებზე ჰკიდია ძაფზე ასხმული ჩირები, ხახვი, ნიორი, ზაფრანის ყვავილები, მოაჯირებზე გადაფენილია ტყლაპი. აივნის ბოლოში დგას დიდი კიდობანი, იქვე ალაგია ქილები, ქოთნები, ბოთლები — ჭირნახულით და სარჩო საბადებლით სავსე.

— პატარძალი დაგვანახვეთ!

— გამოიყვანეთ პატარძალი! — რიხიანად გაიძახიან პაპა დიმიტრი და ძია რაჟდენი.

ალბათ გაახსენდათ, ოცდახუთი წლის წინათ მაყრებად რომ მოსულან და ვერაფრით ვერ უპოვნიათ სადღაც მიმალული დედაჩემი. მის დამმალველს თურმე თეთრი ჩერვონეცი აჩუქეს და მხოლოდ მაშინ გამოაჩინეს.

ოთახში შევედით. მაგიდაზე ეწყო თაფლი და ხილი, თუთის ბაქმაზი და არაყი.

გამოჩნდა დედაჩემი. გაეხარდა ჩვენი დანახვა. ამ დროს ბიძებიც მოვიდნენ, უცბათ ამოირბინეს კიბეები. ულვაშებზე ხელი გადაისვეს, ტუჩები მოიწმინდეს, გადაკოცნეს მამა. კარგა ხანს შესცინოდნენ ერთმანეთს.

მამა აივანზე გადადგა, მთელ სოფელს გადაავლო თვალი და ხმამაღლა მიმართა ყველას:

— გადახედეთ მუსხს. ხომ კარგად ხედავთ? ოცდახუთი წლის წინათ სოფელი არ ჩანდა. როგორ გამოჩნდებოდა მიწასთან გასწორებული მიწურები? ახალი სახლები აშენდა ... მე რომ ეფემია წავიყვანე, აგერ, იმ ხვრელიდან გამოვიყვანე. — და მან ხელი გაიშვირა ოდნავ შემაღლებულ ადგილისაკენ, სადაც ახლა საქონელს ამწყვდევდნენ. — საბჭოთა მთავრობამ გამოგვიყვანა ამ მიწურებიდან. ეფემია რომ მიმყავდა, ნათხოვარი ცხენებით მივდიოდით. მე კარგად მახსოვს ის დღე. დიმიტრი და რაჟდენი წინ მიდიოდნენ და მღეროდნენ:

მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
დაგვიცალეთ დარბაზი,
მოგვყავს ქალი ლამაზი...

უკრავდა დაფი და ზურნა. ხურჯინით საჭმელ-სასმელი მიგვქონდა. ისიც კარგად მახსოვს, სოფლის გარეთ მწყემსი დაგვიხვდა, მას უზარმაზარი ყოჩი დაეყენებინა გზაზე. „ინებოს პატარძალმაო!..“ ეფემია ცხენიდან ჩამოუსვლე-

ლად უნდა დასწვდომოდა და ხელში აეტაცა ყოჩი. თუ აიყვანდა, მისი საჩუქარი იქნებოდა, თუ არა და მწყემსს ცხვრის საფასური უნდა მიეღო.

ჩემმა ეფემიამ ადგილიდანაც ვერ დასძრა ცხვარი. გაიქექა ჯიბეები რაჟდენმა და ვერცხლის მანეთიანები ამოაძვრინა. მეცხვარეს ბოხოხში ჩაუჩხრიალა.

— ასე არ იყო, რაჟდენ?

— ასე იყო, ასე!

სოფლიდან რომ გავედით, მტკვრის პირას, ხიდთან, ურავლელი ფალავნები დაგვიხვდნენ. წელს ზევით გახდილები ჭიდაობდნენ. არ გაგატარებთო. ან ფული მოგვეცით, ან მაყრებიდან ვინმე დაგვეჭიდოსო. გადმოხტა ცხენიდან დიმიტრი. დაიმკლავა. მოჭიდავის ხელში ჩასაგდებად ერთი-ორჯერ წრეს შემოუარა. მერე უცბათ ცალ მკლავში ხელი ჩაავლო, გვერდული გაუკეთა და მიწაზე ზღართანი გაადენინა.

— ასე არ იყო, დიმიტრი?

— ასე იყო, ასე! — თავმომწონედ მიუგო პაპა დიმიტრიმაც. ისე ამაყად, თითქოს ეს გუშინ მომხდარიყოსო!

— დაალევინეთ მაგათ მამაპაპური ხიზაბავრული! — გადავძახე რაჟდენს, — დამარცხდნენ მაგრამ, გულს ნუ გაიტეხენ. დაიხსომონ, რომ ტატანისელ ფალავანს დაეჭიდნენ!

გადაჭკრეს ხიზაბავრული. გზა დაგვილოცეს. მერე ველარავინ გაბედა გზის გადაჭრა. გოლიათი მომყვებოდა მაყრად! მივდიოდით ტატანისისაკენ ცეკვით, სიმღერით, დაფისა და ზურნის ხმებით გამხიარულებულნი.

— ასე არ იყო, ბიჭებო, რას გაჩუმებულხართ?

ოცნებაში წასული თვალებით სადღაც შორს იცქირებოდნენ პაპა დიმიტრი და ძია რაჟდენი. ხარობდნენ ახალგაზრდობის მოგონებით.

სუფრა ელექტრონით განათებულ აივანზე გაიშალა. მოვიდნენ სოფლის თავკაცები. დიდი ქეიფი გაჩაღდა. ულოცავდნენ დედას და მამას ოცდახუთი წლის სიამტკბილობით ცხოვრებას. უსურვებდნენ ჩემს გაბედნიერებას. მაგრამ, განა კეთილი ხალხის სურვილი ისე სრულდება, როგორც მათ გულს უნდა?

მხოლოდ იველაშვილი იყო მოწყენილი, ხმას არ იღებდა. ღვინოს სვამდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გამხიარულდა. ეს მამამ შენიშნა და გულმხიარულად შესძახა:

— იასონ, ძმაო, რას მოგიწყენია. ხომ გაგიგონია ქართული ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო! შენც მოყვარე ხარ, მტერი ხომ არა?!. პირში დაგძრახე. საქმე გამოასწორე, თორემ თვითონ ცხოვრება არ ითმენს!..

მხოლოდ ახლა გაიღიმა იველაშვილმა. შუბლი გაეხსნა, მართალი ხარო, — თქვა, — შენი დარიგება გულში ჩამწვდაო. ღღეიდან მეც თქვენს კვალზე ვივლიო!

გარიჟრაჟზე, როდესაც უკანასკნელი სიმღერა მისწყდა, მამამ თქვა, ეს ჩემი ვერცხლის ქორწილი იყოო!

Библиотека

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

# ოქროყანა

## მოთხრობა

★

## ნაწილი პირველი

## თავი პირველი

1

იმ წელს ოქროყანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — იაკობ დოლიაშვილმა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლობდა, მოსვენება არ მისცა ახალგაზრდა მეცნიერ ირაკლი ჯავახიშვილს, კოლმეურნეობაში აგრობიოლოგიური ღონისძიების გატარებაში დახმარებას სთხოვდა. ჯავახიშვილმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ინსტიტუტთან შეთანხმებით მივლინება ოქროყანაში აიღო და აი, ზაფხულის ერთ შაბათ საღამოს კიდევაც მივიდა სოფელში.

მუდამ ხმაურიან, ხალხმრავალ და ხალისიან ოქროყანაში კაციშვილი არ ჩანდა. ხალხს თითქოს პირი შეეკრა და სადღაც წასულიყო.

ირაკლიმ არ იცოდა დოლიაშვილის სახლი. უნდა ვინმე მოენახა ვკითხა, თუ სად ცხოვრობდა სოფლის თავკაცი. ჯერ კანტორაში მისვლა გადაწყვიტა. ამ განზრახვით ძველ ნაცხარს მოუარა და სოფლის ფართო მოედანზე გავიდა. მოედანი დიდი არ იყო, მარჯვნივ ლამაზი სახლები მოჩანდა საკარმიდამო ბაღებით. მეორე მხარეს შეღობილი სკვერი იყო, რომლის ჭიშკარიც ვიღაცას აეფიცრა. სკვერში დიდი ბალახი ყელყელაობდა. სკვერის გვერდით, დიდ შენობაში კოლმეურნეობის გამგეობის კანტორა იყო მოთავსებული.

ირაკლი კანტორის მეორე სართულის აივანზე ავიდა. აქაც სიწყნარე სუფევდა. თავმჯდომარისა და პარტბიუროს მდივნის კაბინეტები დაკეტილი დახვდა. სხვა ორი კარიც მოსინჯა, მაგრამ არც ესენი იყო ღია. სულ ბოლოს ბრიგადირების სამუშაო ოთახს მიადგა. როცა კარები შეაღო, მაგიდასთან მიმჯდარი შუახნის ქალი შენიშნა. ქალს თვალები ჭერისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ისიც დაინახა, თუ როგორი მოწყურებული სურვილით იყო გამსჭვალული ქალის გამომეტყველება — თითქოს ლოცულობდა ჩუმად, თავისთვის.

ქალმა, ხმაური რომ გაიგონა, კარებისაკენ მოიხედა. ირაკლის არ ესიამოვნა ქალის უნდო, უსიცოცხლო შემოხედვა. ინანა, რომ ამ ოთახში მოხვდა, ქალს ხელი შეუშალა, მყუდროება დაურღვია.

ირაკლიმ მაშინვე დააპირა გაბრუნება, მაგრამ ქალი ხალისიანად შეინძრა, სტუმარს გაუღიმა და თბილად მიმართა:

— მოდი, შვილო... შემობრძანდი. აი, გაგიმარჯოს. დაჯექი. ჩვენი თავკაცები არც კი ვიცი, როდის მოვლენ.

ეს იყო და ეს, დამლაგებელ ქალს ამის მეტი არაფერი უთქვამს. ისედაც ცხადი იყო: რაკი კანტორაში მოვიდა, ან თავმჯდომარე, ან პარტბიუროს მდივანი ენდომებოდა. ეს პირველი შემთხვევა ხომ არ არის. ასეთი ანალგაზრდები ხშირად კითხულობენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს.

სტუმარმა გადაწყვიტა მოეცადა, პორტფელი და შლიაპა მაგიდაზე დააწყო და სკამზე ჩამოჯდა. იქაურობა შეათვალიერა. საკმაოდ მოზრდილ ოთახში თავისუფლად ეტეოდა ექვსი საწერი მაგიდა, დავთრებითა და სხვადასხვა ქაღალდებით გამოტენილი სამი კარადა. პატარა მაგიდაზე რადიომიმღებიც იდგა. ერთ კუთხეში კი სტუმარმა საოცარი სანახაობას მოჰკრა თავალი. აქ, მაგიდაზე ცხრა თუ ათი ნავთის ლამპა ეწყო. ერთ ლამპის შუშას თავი მოსტეხოდა. შუშაზე ნახევრად დამწვარი დაგორგოლებული ქაღალდი იყო ჩამოცმული.

ჯავახიშვილმა კვლავ დამლაგებელს შეხედა. ქალი ფიქრს წაეღო. ნამდვილად სადღაც სხვაგან ქროდა მისი გონება და რაღაცას განიცდიდა. აგერ ღიმილმა გადაურბინა სახეზე, მერე უცებ მჭმუნვარება გამოეხატა. ისევ ჭერს ახედა.

„ნეტავ ასე ყურადღებით რას უყურებს“, — გულში გაივლო ირაკლიმ და თვითონაც ახედა იმ ადგილს, სადაც ქალს მიეპყრო მზერა. თეთრ ჭერზე ჩვეულებრივი ელნათურის მეტი ვერაფერი დაინახა. იქ სხვა არაფერი იყო საყურადღებო.

მაგრამ ეს შეგროვებული ლამპები? ეს ელნათურა რატომ არ ანათებს? აქ რაღაც ამბავია, — დაასკვნა მან და დაუცადა, რა მოხდებოდა.

ქალმა ჭერს მოაცილა თვალები და ოდნავ გაჯავრებულმა ჩაიბუტბუტა: ზოგს რა ბევრი ლაპარაკი უყვარსო. ვაჟკაცს შეხედა და კვლავ გაუგებრად დაიწყო ლაპარაკი:

— გამოვლენ და არ დატოვებენ ამ მთისას და იმ მთისას. სიტყვის ისეთ კორიანტელს დააყენებენ, გეგონებათ, ჯერ გაუგონარ რამეს ამბობდნენ! — დამლაგებელი ქალი გამწყრალი იყო რაღაცაზე. — ჯერ ჩვენი სოფლიდან რამდენი კაცი გამოვა, — განაგრძო მან და თან დამჭკნარი თითები მოიშველია. ეტყობოდა, რაღაც უნდა ჩამოეთვალა. პირველი თითი რომ მოკეცა, თავმჯდომარეო, თქვა; მეორედ პარტბიუროს მდივანი ახსენა; მესამეც მიაყოლა, ვიღაც დიმიტრის ბიჭი ფარნა. მერე თვითონვე განმარტა, რა კაციც იყო ეს დიმიტრის ბიჭი. კოლმეურნეობის შოფერი ყოფილა. ყბედიაო, თავის ქნევით დაუმატა ქალმა.

— ის თუ მართლა აუშვეს ტრიბუნაზე. მგონი, დილამდე არც კი ჩამოვიდეს. თუ მიტინგი არ დამთავდრა, ისე ხომ არ გაუშვებენ.

— ელსადგურს, არა? — შეაწყვეტინა უცებ ირაკლიმ.

„ეს რა? პირველად ესმის?“ — გაიკვირვა გონებაში დამლაგებელმა ქალმა. ის იყო რაღაცის სათქმელად მოემზადა, რომ ოთახი უცებ ელნათურის შუქით გაბრწყინდა. მოულოდნელი განათებით შემკრთალმა და გახარებულმა ქალმა ძლივს ამოილულლუღა:

— გაუშვეს, შვილო!

მერე, როცა სული მოითქვა, გულზე ხელი მიიდო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საათი ამ წუთს ელოდა, თქვა: რა უცებ მოვიდა, შემეშინდა კიდეცაო.

## 2

დამლაგებელ ქალს რაღაც მოაგონდა. სტუმარს რადიომიმღებზე მიუთითა და უთხრა:

— დიდი ხანია იყიდეს, ჯერ მაგის ხმა არ გამიგონია, მე მაგისი არა ვიცი-რა. მიდი ერთი, შენს გახარებას, ხმა ამოაღებინე.

ირაკლი ჯავახიშვილმა მაშინვე შეუსრულა სურვილი. ჯერ შეამოწმა, რადიო ჩართული იყო თუ არა, და ანტენა თუ გააჩნდა. აღმოჩნდა, რომ ყოველივე რიგზე იყო. მხოლოდ ჩამრთველი რგოლის გადატრიალება-ღა უნდა. პირველად რადიომ ხრიალი მორთო, მერე ისეთი წივილი ატეხა, რომ ნატოს სახე დაემანჭა და ყურებზე ხელები მიიფარა. მალე დიქტორის სუფთა და მკაფიო ხმა მოისმა. დამლაგებელი ქალი კვლავ გახალისდა, თავი მაღლა შემართა.

— ორნი ვიყავით, მესამე შემოგვემატა, — თქვა მან კმაყოფილებით და სმენად გადაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ დიქტორმა გამოაცხადა, — ორი წუთის შემდეგ კონცერტი მოისმინეთო.

— აი შენ გაგახარა ღმერთმა! — დალოცა ქალმა ის უჩინარი კაცი, აქამდე ასე ხმამაღლა რომ ლაპარაკობდა, თავშალი შეისწორა და კონცერტის დაწყებას დაელოდა.

საიდანღაც სიმღერა მოისმა. დამლაგებელს ეგონა რადიოშიაო, ყური ახლოს მიიტანა, მაგრამ რადიომიმღები ჯერ კიდევ დუმდა. სიმღერის შორეული ხმა ღია ფანჯრიდან შემოვიდა ოთახში.

ხალხი ელსადგურიდან მოდიოდა.

სიმღერა თანდათან ძლიერდებოდა, აზვირთებული, ხმატკბილი სიმღერა გუგუნად იქცა.

ირაკლიმ ხმა დაუწია რადიოს, რომელიც ამ დროს სიმფონიურ მუსიკას გადმოსცემდა, ფანჯარას მიადგა და უკვე ბინდში ჩაძირულ შორეულ სივრცეს გახედა. გუმანით მიხვდა, რომ სწორედ იმ მხრიდან მოედინებოდა ამ სოფლის მოსახლეობა, საითკენაც პირველად მიაპყრო მზერა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ კანტორის წინ, მოედანზე, ხალხით გაჭედილი საბარგო მანქანა შემოგრიალდა. ძარიდან ყიჟინით გოგო-ბიჭები გადმოცვივდნენ.

ბრიგადერების სამუშაო ოთახში მკვირცხლი ბიჭი შემოიჭრა.

— რომ იცოდე, ელსადგურთან რა ამბავი იყო, დიდედა! ყური მიგდე, გიამბობ, — აღტაცებით უთხრა ბავშვმა დამლაგებელს, ცმუკავდა, ვერ ისვენებდა, ლოყები შეწითლებოდა, დიდრონი თვალები შუქით ავსებოდა.

ბიჭმა დიდედას გვერდით მიიტანა სკამი, ჩამოჯდა და სხაპასხუპით მოუთხრო ელსადგურის გახსნის ამბავი. მარტო სიტყვით კი არა, ხელებითაც გამოხატავდა, რაც თვალით ნახა, რამაც აღტაცებაში მოიყვანა, უნდოდა ყველაფერი ეამბო დიდედა ნატოსათვის, არაფერს ტოვებდა, ჩქარობდა, ერთ ამბავს ხელად მეორეს მოაყოლებდა. ისიც კი უთხრა, დაახლოებით რამდენი კაცი ესწრებოდა, რამდენი დროშა და პლაკატი იყო.

— ოჰ, იქ! რომ ყოფილიყავი იცი, რა ამბავი იყო, დიდედა!? — მალიმალ წამოიძახებდა ბავშვი. ზოგიერთი ორატორიც გამოაჯავრა.

ჯავახიშვილი ფანჯარასთან იდგა, უსმენდა ბავშვის დაულაგებელ ლაპარაკს, ხალისით მოყოლილ ამბავს და ნატოსთან ერთად ისიც იღიმებოდა.

— დიმიტრის ფარნა იყო? — იკითხა ნატომ.

— ტრიბუნაზე თუ აუშვეს? — უმალ დაუმატა სტუმარმა.

ბავშვმა ჯერ გაკვირვებით შეხედა უცნობ ძიას, ამან საიდან იცის ჩვენი, ფარნაო, გაიფიქრა და მერე უპასუხა:

— იყო, მაგრამ ტრიბუნაზე არ აუშვეს. იმოდენა რვეული ეჭირა, იმას ვინ ალაპარაკებდა! გუშინ პარტორგს წაუკითხა თავისი სიტყვა, — განაგრძო ბავშვმა, — ბიჭებიც იქ ვიყავით. ესტატემ თვალი ჩაგვიკრა, იმას კი უთხრეს, ჩანებული სიტყვა მოგიმზადებია, აუცილებლად გამოგიყვანთ მიტინგზეო. მაგრამ ხახამშრალი დატოვეს. მიტინგის დამთავრებამდე იმედი ჰქონდა, სულ ტრიბუნის გვერდით ტრიალებდა. როცა ყველაფერი დამთავრდა, მიფხრიწ-მოფხრიწა რვეული და ესტატეს ფეხებთან დაუყარა.

— ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, — ნიშნის მოგებით წარმოთქვა ნატომ, — სხვებმა საქმე გააკეთონ, წელზე ფეხი დაიდგან, ოფლი დაღვარონ და ფარნამ მთელი რვეული აბდაუბდა ჯღაბნოს და იყბედოს: ასე ვქენით და ისე ვქენითო. ვინ აიყვანდა ტრიბუნაზე!

— იმიტომაც დროზე მოვიდა დენი, — გაიღიმა ირაკლიმ და ფანჯრიდან ახლა სოფლის მოედანს გადახედა, სადაც რიგრიგობით მოგრიალებდა ხალხით გაჭედილი მანქანები. ბევრი მანქანა მოედანზე არც კი ჩერდებოდა, ნაციხარის იქით მოსახვევში ეფარებოდა თვალს. ალბათ ეს მანქანები სხვა სოფლისა იყო. საბარგულების კვალდაკვალ რამდენიმე „პობედამაც“ გაისრიალა. მოედანი განათებული იყო და მტვრის კორიანტელი იდგა.

ელსადგურიდან ხალხის უმრავლესობა ფეხით წამოსულიყო. ყველა სახლისაკენ მიიჩქაროდა.

მოედნის იქით, ორსართულიან სახლებში ელნათურები ციმციმებდა და აივნები გაშუქებულიყო. ერთ სახლში ხალხის დიდი ჯგუფი შევიდა დოლსალამურის თანხლებით. აივანზე მოცეკვავე ქალ-ვაჟი გამოჩნდა.

ასეთივე სანახაობა იყო მეორე სახლშიც იქაც ხალხს მოეყარა თავი. ორი ახალგაზრდა აივანზე გრძელ მაგიდას მოათრევდა. ცხადი იყო, ამას რაც უნდა მოჰყოლოდა.

ირგვლივ კისკისი, ირგვლივ მხიარულება.

უცებ საიდანღაც როხროხა სიცილი მოისმა.

— ჩვენი თავმჯდომარე! — წამოიძახა ნატომ იმ ხმის გაგონებისთანავე, ფანჯარასთან მივიდა.

— აგერ თქვენი თავმჯდომარე, — ირაკლიმ ხალხით სავსე აივნისკენ მიახედა ნატო.

ქალმა მართლაც დაინახა ტანადი, მელოტი კაცი, თავი მაღლა რომ ჰქონდა შემართული და ულვაშებს იგრეხდა.

თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ჩაიროხროხა თავისი განსაკუთრებული, ზარდამცემი ხმით. ნატო შვილიშვილს მიუბრუნდა:

— არიქა, მიტო, ჩქარა გაიქეცი! სანამ სუფრაზე დასხდებოდნენ, დაუძახე. უთხარი კაცი გელოდება და მალე მოდი-თქო.

ირაკლიც მოუტრიალდა ბავშვს, უნდოდა რაღაც დაებარებინა თავმჯდომარესთან, მაგრამ მიტომ უკვე მოასწრო ოთახიდან გასვლა, კიბეზე ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა, მოედანი გადასჭრა და კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის სახლთან მიირბინა, სადაც ამ დროს თავმჯდომარე იმყოფებოდა. ეზოში შემოვარდნილ ბავშვს ყველამ ყურადღება მიაქცია.

მიტომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იაკობ დოლიაშვილთან მიირბინა,

— რა ამბავია? — იკითხა თავმჯდომარემ.

იაკობმა იცოდა, რომ ეს ბავშვი დამლაგებელი ქალის შიკრიკი იყო. როცა

კანტორაში ვინმე მოვიდოდა, ან საიდანმე დარეკავდნენ და იქ იაკობი არ აღმოჩნდებოდა, ნატო თავის შვილიშვილს მაშინვე მასთან აფრენდა ხოლმე.

— კანტორაში კაცი გელოდებათ ძია იაკობ. — მოახსენა ბიჭმა.

სხვა დროს იაკობი ხმაამოუღებლივ მიდიოდა ხოლმე კანტორისაკენ, ახლა კი ბიჭმა რისხვა წაიკითხა თავმჯდომარის თვალებში.

— საიდან არის?

— არ ვიცი.

— როგორი კაცია?

— კარგი, ძალიან კარგი კაცია, მაღალი, ლამაზი, — გულუბრყვილოდ მიუგო მიტომ. ბავშვის ამ სიტყვებმა ღიმილი მოჰგვარა სტუმრებს. ზოგმა გაიცინა კიდეც.

— თვითონ გიცნო. კანტორიდან დაგინახა, — დაუმატა თავის ნათქვამს ბიჭმა.

— მიცნო?

„რა გიკვირს? შენი ცნობა რა ძნელი საქმეა? საცა შენი „ვახაახა" იქაც შენ". გაივლო გუნებაში მიტომ, დავალება შესრულებულად ჩათვალა და წასვლა დააპირა.

— დაიცა, — შეაჩერა თავმჯდომარემ, მან რაღაც მოიფიქრა მიტოსათვის დასაბარებლად, მაგრამ ჭკუაში არ დაუჯდა. კანტორას გადახედა, სადაც აივანი და ბრიგადირების ოთახის სამი ფანჯარა იყო განათებული. ერთ ფანჯარაში კაცის სილუეტი მოჩანდა.

— ჰო, წადი, — უთხრა ბოლოს იაკობმა მიტოს. გადაწყვიტა, თვითონ წასულიყო კანტორაში. ამან უკმაყოფილება გამოიწვია სტუმრებს შორის. ზოგმა თქვა: ვინმე გავაგზავნოთ და მოვიყვანოთ ის, ვიღაც არისო, ზოგმა კიდევ რაღაცა თქვა. მაგრამ იაკობმა სხვა რამ ივარაუდა. სტუმრების არც ერთი რჩევა არ გამოადგებოდა.

ამ დროს ოჯახის ბურჯი, ესტატე კარგარეთელი სამზარეულოში ქალებს ეხმარებოდა, სუფრის დროზე გაშლას აჩქარებდა.

დღეს ესტატე კარგარეთელი ახალ სახლში დაბინავდა და ელსადგურის გახსნასთან ერთად ამასაც დღესასწაულობდა. დიდძალი ხალხი დაპატიჟა, თავისი ოჯახებით მოიწვია რამდენიმე ბრიგადირი, მასწავლებლები, აგროტექნიკოსები და ექიმი. აქვე იყო ესტატეს ძმა ილიკო, რომელიც სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა.

ესტატე ცდილობდა, ყველაფერი იმდაგვარად მოეწყო, რომ დიდი ხნის განმავლობაში სასიამოვნო მოსაგონრად დარჩენილიყო ყველასათვის ეს ძვირფასი დღე. არაფერი დაზოგა. სული არ დაიშურა სტუმრებისათვის.

ერთხანს აივნიდან მხიარული ხმები ესმოდა, მაგრამ როცა დუმილი ჩამოვარდა და კარგა ხანს არ დაირღვა იგი, ესტატე წელში გასწორდა და ყური მიუგდო. სიჩუმე იყო. ქალებმა, ასე განაბული და განცვიფრებული ესტატე რომ დაინახეს, მას მიაჩერდნენ.

მასპინძელს არ ესიამოვნა აივანზე ჩამოვარდნილი სიჩუმე. გული მოუვიდა თავის შვილებზე — რატომ ვერაფერი გამონახეს სტუმრების გასართობადო; აქ უთუოდ სხვა ამბავი არისო, — გულმა უგრძნო. ადგილს მოსწყდა, სახლს მოუარა და კანტორისაკენ მიმავალ თავმჯდომარეს კიბესთან შეხვდა.

— რა ამბავია, იაკობ? — შეეკითხა შეშფოთებული ესტატე.

— ვილაც ჩამოსულა. ალბათ ისევ იმ ესპარცეტის თაობაზე იქნება, მივხედავ. — მიუგო თავმჯდომარემ.

— მაშ მეც უნდა წამოვიდე, — განაცხადა ესტატემ, — ვიცი, მომიკითხავს, — წამით ჩაფიქრდა, მერე თავი აიღო. — აქ გადმოვიყვანოთ, ჩავაცეცხლოთ რამე, — ურჩია თავმჯდომარეს, — რა დროს ჩამოსვლა იყო! დღე და ღამე კანტორაში ხომ არ უნდა ვიჯდეთ! ბოლოსდაბოლოს ჩვენც ადამიანები ვართ, ოჯახი გვაქვს. შუაღამისას რომ მოდის, რას ფიქრობს, ვინ დახვდება ამ დროს კანტორაში?! ტვინი არ უდევს თავში, თუ რა ჯანდაბა მოსდის, ვერ გამიგია: დაიქცა იმის მოსვლის საათი, სულ მთლად გუნება ამიმღვრია!

ესტატეს არ უნდოდა, რომ დიდი ხნის სამზადისს უშედეგოდ ჩაევლო და წვეულება ჩამწარებოდა. ვაითუ კეთილი სტუმრების სადღეგრძელოების, დანა-ჩანგლების წკრიალის, კარგი სუფრულის მაგივრად საანგარიშოების ჩხაკაჩხუკი გაიგონოს ამ საღამოს!

ვინ იცის, იქნებ სუფრიდან სხვისი წამოყენებაც მოუხდეთ! ამ საზეიმო დროს სად არ არის გაშლილი სუფრა! კაცის სუფრიდან წამოყენება მეტად უხერხულია. თუკი მართლა ესპარცეტის თაობაზეა ჩამოსული, ეს კიდევ უარესი.

შეიძლება ისე მოგვარდეს საქმე, რომ ის ვილაც, რევიზიაზე ჩამოსული, დაითანხმონ დაესწროს წვეულებას. მაინც რა გული უნდა ჰქონდეს ესტატეს, როცა სუფრაზე წამდაუწუმ თვალში შეეჩხირება ის კაცი და ყოველ წუთს მოაგონებს ესპარცეტის ამბავს. დღეს ესტატეს დანა-ჩანგალს ააწკრიალებს. ხვალ კი საანგარიშოს ცხვირწინ გაუკრავს და გამოუკრავს! თუმცა, რა ესტატეს საქმეა ეს ყველაფერი? იაკობმა იკითხოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ესტატეს წვეულება ჩაეშლება, თითქმის მთელი გამგეობა ჰყავს მოპატიჟებული. ამდენ ხალხში შერცხვება.

— არა, შენ ნუ წამოხვალ, — უთხრა იაკობ დოლიაშვილმა.

„წადი, რაც გინდა ის გიქნიაო", — გულში გაივლო ესტატემ და გუნებამღვრეული შებრუნდა სამზარეულოში.

იაკობი კანტორისაკენ წავიდა. არ იცოდა, ვინ ეწვია ასე უდროოდ. ცოტა ხნის შემდეგ ბრიგადირების ოთახის კარები ფართოდ შეაღო.

სტუმარი ღიმილით დახვდა.

იაკობმა შეხედა თუ არა მის სახეს, მაშინვე გულზე მოეშვა.

— საკვირველია, საიდან, როგორ მოგაგონდი? — წამოიძახა დოლიაშვილმა და ხელი მაგრად ჩამოართვა სტუმარს.

— აი ასე... ქარმა აქეთ გადმომისროლა.

— რამდენი გეპატიჟე, როგორც იქნა, მეწვიე. იქნებ ჩვენი სარაიონო ელსადგურის გახსნაზე გინდოდა დასწრება.

— ელსადგურის გახსნას მე და დეიდა ნატო აქ დავესწარით, — უპასუხა ირაკლიმ და ღიმილით გაიხედა პატარა მაგიდისაკენ.

— ოჰო! — გაიკვირვა თავმჯდომარემ, — ნატოს კიდევაც მოუსწრია ლამფების დემობილიზაცია. რაღა უჭირს — მიალაგ-მოალაგებს აქაურობას, მოუჯდება რადიოს და სიმფონიით დატკბება. მოგწონს ნატო? — მიუბრუნდა დამლაგებელს იაკობი.

— რა? — იკითხა ნატომ და თავმჯდომარეს ისეთი გამომეტყველებით შეხედა, რომ ნამდვილად ვერ გაუგო, რაზე ეკითხებოდა — მოგწონსო.

— რა და სიმფონია, — განუმარტა შეკითხვა იაკობმა.

— მაშ, ქა — ნატომ ისე გაიკვირვა, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე სულ ოპერის თეატრში და საკონცერტო დარბაზებში გაეტარებინოს.

— ისემც რა გითხრა! — როხროხით გაიცინა თავმჯდომარემ, — მე კი ამ რაღაც გაუთავებელ ჟღარუნს ხალხური სიმღერა მირჩევნია. არ მოგწონს სიმფონია.

— ეს ხომ ბეთჰოვენია! — ჩაიღიმა ირაკლიმ — არ მოგწონს მისი მუსიკა?

— არა, გეთაყვა, ვინც არ უნდა იყოს. მარტო მე კი არა, აქ ბევრს არაფერი გაეგება ამ სიმფონიებისა და ოპერებისა. ახლა რადიო გვაქვს, ხშირად მოვისმენთ, შევეჩვევით და.. მაგრამ რა დროს ამაზე ლაპარაკია. — უცებ სხვა, კილოზე წარმოთქვა იაკობმა, — დაღლილი იქნები ირაკლი, თქმა არ უნდა. წავიდეთ ჩვენსა, მოისვენე.

ირაკლიმ აიღო თავისი პორტფელი და შლიაპა, ნატოს დაემშვიდობა და იაკობ დოლიაშვილს გაჰყვა.

## თავი მეოთხე

### 1

კანტორიდან რომ გამოვიდნენ, იაკობმა შინისკენ სხვა გზით წასვლა არჩია. არ უნდოდა ესტატეს სახლთან გაევლო. სტუმრის პატივისცემა კარგად იცოდა, იაკობმა რაკი მასთან მოვიდა ირაკლი, უნდა კიდევაც დახვედროდა რიგიანად თავის ოჯახში. ესტატეს სახლის წინ რომ გაევლო, იცოდა, არ მოეშვებოდა პარტბიუროს მდივანი, თავმჯდომარეს თავის სტუმრიანად შინ შეიყვანდა. მოიძებნება საქეიფო დროც. ახლა კი სულ სხვაგვარი დახვედრა უნდა სტუმარს. ასე მოიფიქრა იაკობმა, მთავარი გზა გვერდზე დატოვა და სტუმარი ორღობით წაიყვანა. გზაში ელსადგურის გახსნაზე უყვებოდა ირაკლის.

ანაზდად ფეხი ტალახში ჩაუვარდა. ადგილი სწრაფად მოინაცვლა და ფეხი მშრალ მიწას დაჰკრა. ასანთი ამოიღო; იქაურობა მკრთალი შუქით განათდა. რუდან გადმოხეთქილ წყალს გზა აეტალახებინა.

— წეღან აქეთ ჩამოვიარე მშრალი იყო, — შეწუხდა იაკობი, ასანთი კიდევ გაჰკრა და კოლოფი ირაკლის მიაწოდა, — აბა ერთი, გამინათე, ქვებს ჩავყრი.

ირაკლიმ ასანთის შუქი ყორეს გაუსწორა. ანთებულ ასანთს ხელებს უფარებდა, რომ ნიავს არ ჩაექრო.

თავმჯდომარემ ყორედან ორი ქვა გადმოიღო და ტალახში ჩაყარა. მერე ხელები მოიფშვნიტა, რათა ტალახი მოეცილებინა და თან დასძინა:

— სოფელს სოფლობა უნდა ეტყობოდეს, ორღობეებში რომ ასფალტი დააგო, ხომ არ მოუხდება?

— რასაკვირველია, ასფალტი არ მოუხდება, მაგრამ რუს გამართვა კი შეიძლება ისე, რომ წყალი ბილიკზე არ გადმოვიდეს, ეს სულ ადვილი საქმეა, — შენიშნა ირაკლიმ, ასანთი თავმჯდომარეს გაუწოდა და ტალახში ჩაყრილ ქვებზე გადაიარა.

ისინი შეღმართზე ავიდნენ.

აქედან მთელი სოფელი ისე გამოჩნდა, თითქოს ვარსკვლავიანი ცის ნაჭერი მიწაზე დაუფენიათო.

უზარმაზარ სოფელს შუაზე გასდევდა მონაცრისფერო ზოლი. ეს იყო

მდინარის მორიყული კალაპოტი. ახლა იქ ცოტა წყალი მოედინებოდა და მიტომ შხუილი არ მოისმოდა.

ღამე არც თუ ისე ბნელი იყო. შორეული მთების მოხაზულობაც ეტყობოდა. მიმქრალიყო ნათელი. ოდნავ-ღა გაჰკრავდა ცას რაღაცა შუქი. ჩრდილოეთით დიდებულ მთათა შორის, ჩალურჯებულ-ჩაშავებულ ხეობაში, კაშკაშა სინათლე შეტყორცნილიყო ცისკენ.

—ჩვენი ელსადგური!—წამოიძახა იაკობმა, როცა სტუმართან ერთად პირველად შეხედა ამ სანახაობას; ტაშიც შემოჰკრა. ელსადგური არ ჩანდა, გორაკი ეფარებოდა. იაკობს აქამდე ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი კარგი სანახაობა იქნებოდა იმ მხრიდან.

იაკობმა სახე მიაბრუნა და კვლავ გახედა სოფელს.

ეს დღე დაუვიწყარი იყო.

2

მალე სოფლის ქუჩას დაუბრუნდნენ. ერთმანეთის შორიახლო ჩამწკრივებულ ახალთახალ ბოძებიდან დღეს პირველად იღვრებოდა სინათლე. შუქი ეფინებოდა მიწას, ღობეებს, ხეხილს. ქუჩის გასწვრივ რუ ჩამოდიოდა და მის პატარა შხეფებიც ციმციმებდა სხივის ანარეკლი.

ახლებურად გამოიყურებოდნენ სახლები, ღობეები, ხეები, ბოძები. გამვლელ-გამომვლელთა სახესაც ეტყობოდა თვალებში აგზნებული სხივით მოკამკამე და მოზეიმე სიხარული.

სტუმარ-მასპინძელმა პატარა ხევზე გადებულ ბოგირზე გაიარა.

საიდანღაც ჩხუბის ხმა მოესმათ. ორივე ერთდროულად შედგა.

დიდი აურზაური იყო სოფლის სახელოვანი ბრიგადირის, მარადოს სახლში. იქ ვიღაც კაცი დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა. იაკობი და ირაკლი ღობეს მიუახლოვდნენ. დოლიაშვილმა ყვირილზე იცნო მარადოს ძმა იასონი, რომელიც ამ საღამოს თბილისიდან ჩამოსულიყო. მარადოს ხმაც ისმოდა. ქალი ნახევრად მოთქმით უტევდა გამხეცებულ ძმას. ამას ერთვოდა მარადოს მამის, მოხუცი გაბრიელის ხრინწიანი ხამუშ-ხამუში წამოყვირება. ისეთი არეულობა იყო, რომ კაცი ვერ გაიგებდა, რა ხდებოდა ქვრივის სახლში.

ერთ წუთს გახევდა იაკობი. შორს. ბნელ სივრცეში მოკამკამე ვარსკვლავი ამოიღო თვალში და მას მიაჩერდა. ამ ოცდასამი წლის წინათ, ვინ იცის რამდენჯერ, დიდხანს, უჭვრეტიათ მას და მარადოს ამ ვარსკვლავისათვის, ყველაზე მკაფიოდ რომ ციმციმებდა იმდენ ვარსკვლავთა შორის და მაშინ თავიანთი მომავალი ისევე კარგი ეგონათ, როგორიც იყო ეს ვარსკვლავი.

იაკობსა და მარადოს თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი.

მაგრამ ახლა ეს გრძნობა იმდენად არ უწვავდა გულს დოლიაშვილს, როგორც თავისი კოლმეურნეობის წევრის, ბრიგადირი ქალის ბედი, მისი უფლება და თავი მოვალედ ჩათვალა, შესულიყო სახლში, ჩარეულიყო ბრიგადირის შინაურ საქმეში. მაგრამ სტუმარი?

— რა ამბავია, ცოლ-ქმარი ხომ არ ჩხუბობს? — იკითხა ირაკლიმ, რომლისთვისაც გაუგებარი იყო საქმის ვითარება.

— არა, ცოლ-ქმარი არ არის. ძმა ეჩხუბება ჩვენს ბრიგადირს. ლოთი, გაოხრებული კაცია. მამის ქონება უნდა ხელში ჩაიგდოს. ირაკლი, მოდი ერთი შევიაროთ, მოვალე ვარ.

— კეთილი, შეიარე!

იაკობმა კარზე დაკაკუნებით არ გააფრთხილა მასპინძელი, როგორც თავის სახლში, ისე შეაღო კარები და შევიდა. ირაკლი ეზოში დარჩა, მას ერიდებოდა უცხო ოჯახში შესვლა, მითუმეტეს ასეთ არეულ-დარეულობის დროს.

იაკობის გამოჩენა ისე მოულოდნელი და სწრაფი იყო, რომ მარადო შეშფოთდა. ქალს ნამტირალევი თვალები დასიებოდა. ტახტზე ოჯდა და უღონოდ ჩამოვარდნოდა ხელები.

შუა ოთახში გამარჯვებული იდგა იასონი, ორმოცდაათწელს მიტანებული პირხმელი კაცი. მის წინ, იატაკზე, დამსხვრეული სკამის ნაწილები ეყარა. ახლა სკამის მხოლოდ ერთი ფეხი ეჭირა ხელში და მუქარით ჰაერში ატრიალებდა. როგორც კი თავმჯდომარე ოთახში გამოჩნდა, მაშინვე დაუშვა სკამის ფეხით შეიარაღებული ხელი.

მაგიდასთან იდგა მაღალი, გამხდარი, ერთი შეხედვით მიუკარებელი და გულჩათხრობილი მოხუცი გაბრიელი.

ოთახში უწესრიგობა იყო. სკამები აქეთ-იქით მიეყარ-მოეყარათ, ზოგი ფეხზე არ იდგა, ზოგი კედელთან იყო მინარცხებული. კედლიდან ჩამოგლეჯილი ხალიჩა საწოლზე ეგდო. მაგიდა ირიბად იდგა, სუფთა იატაკზე გადმოვარდნილიყო.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

იასონმა სკამის ფეხი იატაკზე დააგდო და თითქოს სწორედ ამ სიჩუმესა და მყუდროებას ელოდაო, მარჯვე დრო იპოვა პაპიროსის მოსაწევად. მოუკიდა, გააბოლა ზედიზედ, შემდეგ ფეხი წაჰკრა სკამის ნამტვრევებს და ქვეშქვეშად შეათვალიერა დაუპატიჟებელი სტუმარი.

— რა გინდა? — ღვარძლიანად იკითხა იასონმა, უსუფთაო, ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა.

დიდი ხანია იაკობი არ ყოფილა მარადოსთან. იგი ოდესღაც დადიოდა ამ სახლში. ის ტკბილი და სამახსოვრო დღეები გუშინდელივით ახსოვს და სამარადისოდ ინახავს მარადოს პირველი სიყვარულის სითბოს. და ახლა, ამ მძიმე წუთებში კვლავ აღსდგნენ მეხსიერებაში ის ტკბილი წუთები.

3

იაკობს მშობლები არ ჰყავდა და სოფელში ნათესავებთან იზრდებოდა. ობლისათვის დიდი ნუგეში იყო მარადოს წრფელი სიყვარული.

მარადოს მამა, გაბრიელი, კეთილი გულით ილებდა შინ მარჯვე და შრომაში დაუზარელ იაკობს, გადაწყვეტილი ჰქონდა მარადო მისთვის მიეთხოვებინა; თავისი სახლ-კარის ნაწილს ქალიშვილს უთმობდა. მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ველარ მოხერხდა. იასონმა ყოველი ღონე იხმარა, რომ მარადო თავიდან მოეშორებინა. მამის სახლ-კარს თავიდანვე ხარბი თვალით უყურებდა, ცდილობდა, როგორმე ხელში ჩაეგდო. როცა გაიგო, რომ გაბრიელი თავისი ქონების ნაწილს ქალიშვილს უთმობდა, გულზე ცეცხლი მოედო იასონს და ამ დღიდან დაიწყო კიდევაც მოქმედება. პირველი სიყვარულის ასაკში მყოფი ქალიშვილი თბილსში წაიყვანა და იქ ძალით მიათხოვა ერთ თავზეხელაღებულ ახალგაზრდას.

შვილის საქციელით გაბოროტებული გაბრიელი წაეჩხუბა იასონს და რაც ეკუთვნოდა, ისიც არ დაანება.

„ჩაძალება და ყველაფერი მე დამრჩება," — დიდი ხნის განმავლობაში ამით ინუგეშებდა თავს იასონი, თვალს არ აშორებდა მამის კარგად გამართულ

სახლ-კარს, ბაღსა და ვენახს. გადიოდა დრო, გაბრიელი არ „ჩაძაღლდა“ და იასონმაც ვერაფერი მიიღო.

მარადოს ცხოვრება გათხოვების შემდეგ, პირველ ხანებში, წამებით მედიოდა. თვრამეტი წლისას ვაჟი ეყოლა. მარადოს ცხოვრება სულ მალე გამოიცვალა. ქმარმა მიატოვა ძმა-ბიჭები, ქეიფი და დროსტარება. ისე გამოიცვალა, რომ ნათესავებიც ვეღარ სცნობდნენ. ამიერიდან მის საზრუნავს ცოლ-შვილი შეადგენდა, მარადოს გულში ისევ გაიფურჩქნა ის სურათი, რომელსაც იგი ოცნებით თუ წარმოიდგენდა მაშინ, როცა იაკობის მკერდს ეკვროდა და ვაჟის მიერ მოტაცებული კოცნით თავბრუდახვეული რაღაც ზღაპრულ სამყაროში შედიოდა. გადიოდა წლები და სწორედ ასეთი სამყარო იშლებოდა მარადოს წინაშე. ბავშვი წამოეზარდა. მარადო ახლა სავსებით ბედნიერად გრძნობდა თავს, მაგრამ გულით მაინც პირველ სიყვარულს დაატარებდა.

მოხუცი გაბრიელი კარგად გრძნობდა, თუ რა მიზანი ჰქონდა იასონს. მას სოფელში ცხოვრება არ სურდა. მამის ქონების განიავება უნდოდა, მაგრამ როდემდე გაყვებოდა მამის ქონებაში აღებული ფული, ამაზე არ ფიქრობდა.

მარადოს ქმარი სამამულო ომში წავიდა. ომით გამოწვეულმა სიძნელეებმა გაჭირვებაში ჩააგდო მარადო. გადაწყვიტა, სოფელში წასულიყო და მამასთან ეცხოვრა დროებით; უპატრონოდ დარჩენილ კაცსაც მოუვლიდა და საერთო საქმესაც გამოადგებოდა. პირველ ხანებში გაუძნელდა კოლმეურნეობაში მუშაობა, მაგრამ სულ მალე შეეჩვია და საყვარელ საქმედაც გაიხადა სოფლის მეურნეობა. ომის დროს დაწინაურდა, გახდა მერგოლური, შემდეგ მეევნახეობის ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და კარგი სახელიც დაიმსახურა.

ომის დროს იასონი ჯარში იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში მისგან მოსვენებით იყვნენ გაბრიელი და მარადო.

იაკობმა დიდხანს იდარდა მარადოს დაშორება. ბოლოს შეირთო ხუთი თუ ექვსი წლით უფროსი ქალი, რომლისგანაც ნანი ეყოლა. იაკობის ცხოვრება ისე არ მოეწყო როგორც მას სურდა. ის იყო ფეხი მოიკიდა და ოჯახი გამართა — მოუკვდა მეუღლე. დარჩა შვიდი წლის ბავშვი, უმწეო, ფერმკრთალი, მეტად ჭკვიანი და ლამაზი გოგონა. იგი იყო მამის ნუგეში, იმედი და სიხარული.

ომის დაწყებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ მარადო სოფელში ჩამოვიდა. იაკობი ერიდებოდა ქალს. მხოლოდ ერთხელ შეხვდა წყაროსთან. მოიკითხეს. ერთმანეთი, მცირე საუბარი ჰქონდათ. იმ დღეს არეული დაბრუნდა იაკობი შინ.

ორმოცდაერთი წლის დეკემბერში იაკობი ჯარში წასასვლელად მოემზადა. ტოვებდა ცხრა წლის გოგონას. არ იცოდა, რა მოჰყვებოდა ამ განშორებას.

ის ტოვებდა ცხოვრების ახალ კვირტს, უმწეო ბავშვს, რომელიც მცირე დროში მეორე დიდ დანაკლისს განიცდიდა. მას ესაჭიროებოდა აღმზრდელი, მშობლის გულისყური.

იაკობმა გადაწყვიტა უპატრონო ბავშვთა სახლში მიებარებინა ნანი.

დეკემბრის ცივი საღამო იყო. ბუხარში გაბმულად ღმუოდა ქარი.

იაკობი უკანასკნელ საღამოს ატარებდა შვილთან, იგი მკერდზე ჰყავდა მიკრული და ანუგეშებდა, ცდილობდა თვითონ მხიარულად ყოფილიყო და შვილიც გაემხიარულებინა. მაგრამ გოგონა არც ისე პატარა იყო, რომ ვერ გაეგო, ვერ ეგრძნო მამასთან დაშორების სიმძიმე.

ასე ისხდნენ მოგუზგუზე ბუხრის წინ.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. როცა იაკობმა კარი გააღო, ოთახში შალით თავ-

პირშეხვეული ქალი შევიდა, თოვლი გადაიყარა მხრებიდან, ხელის მარჯვე გადაკვრით შალი მოიცილა.

იაკობის წინაშე მარადო იდგა. ეს იყო ამ ქალის პირველი სტუმრობა გათხოვების შემდეგ, და ისიც ამ დროს.

— როდის მიდიხარ, იაკობ? — ჰკითხა მარადომ.

— ხვალ დილით.

— ბავშვს ვისთან ტოვებ?

იაკობმა პირდაპირ შეხედა ქალს. ეს ის მარადოა, ის მარადო, მასთან ერთად რომ ჩურჩულებდა ბედნიერებაზე, შვილებზე, ოჯახზე. აი, როგორ მოეწყო მათი საქმე.

— უპატრონო ბავშვთა სახლში მივცემ, მაშ, რა ვქნა?

— იაკობ, გთხოვ მე დამიტოვო შენი შვილი, შენი სახლ-კარი, ჩემი იმედი გქონდეს. სანამ დაბრუნდებოდე, მოვუვლი — ამ თხოვნაში იყო მგრძნობიარე, ალერსიანი მუდარა.

მარადო ნანის მიუახლოვდა, წამოაყენა და მაგრად მოხვია ხელები გოგონამ მაშინათვე იგრძნო სასურველი, მშობლიური, თბილი ალერსი. მას ქვითინი აუვარდა. იაკობმა გაიგონა ცრემლში შერეული. „დავრჩები, მამა“.

იმღამინდელი ამბავი ვერა და ვერ ამოიღო გულიდან იაკობმა.

ხუთი წლის განშორების შემდეგ, სოფელში ღამით დაბრუნდა, ფეხაკრეფით ავიდა მარადოს სახლის აივანზე და ფანჯრიდან ოთახში შეიხედა.

მაგიდას ოთხნი შემოსხდომოდნენ.

მოხუცი გაბრიელი ამ ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად შეცვლილიყო და მოტეხილიყო. მარადოც თითქოს დაბერებულიყო. ლამპის შუქით განათებულ შუბლზე ჩრდილის ორი ზოლი ემჩნეოდა. ამ ნაოჭებმა გული მოუკლეს იაკობს. მარადო არ იყო მისი მეუღლე, მაგრამ მაინც დაუწვა გული ქალის ჩაფიქრებულმა გამომეტყველებამ. ის სხვაზე ფიქრობდა, სხვაზე დარდობდა და არა იაკობზე.

იქვე, მარადოს გვერდით, იჯდა მისი ვაჟი ვახტანგი, უკვე წამოზრდილი ყმაწვილი, დედის სილამაზე გამოჰყოლოდა, მაგრამ უფრო მეტად სხვას ჰგავდა. ვახტანგის შორიახლო ნანი იჯდა.

ნანი ხმამაღლა წიგნს კითხულობდა. ყველანი ყურს უგდებდნენ. როგორ გამოცვლილა. უკვე ქალიშვილია. პირმრგვალი, ხორცით სავსე, ლამაზად ჩაცმული. ეს ნამდვილად მარადოს შეკერილი კაბა აცვია, მერე როგორ უხდება.

იაკობს გული აუჩქროლდა, ველარ მოითმინა და ოთახში შეიჭრა. პირველად მარადოს შეხედა. უღრმესი მადლობის ნიშნად წუთით გულზე მიიკრა ქალი. შემდეგ თავის ქალიშვილს გადაეხვია.

## 4

ბევრი კარგი რამ მოსაგონარი აკავშირებდა იაკობს მარადოსთან და ამიტომ შესტკიოდა გული ამ ქალზე. იასონი უთუოდ უნდა მოეშორებინა თავიდან. თავმჯდომარე მეტად ააღელვა ჯერ არეულობამ, რასაც შეესწრო, მერე მარადოს ცრემლიანმა თვალებმა და გაბრიელის ფერმრკრთალმა სახემ მთლად მოუღეს ბოლო, მაგრამ მაინც შეიკავა თავი და ყველას ისე ეჩვენა, თითქოს არაფ-

რად აგდებდა ამ ამბავს, რაც აქ ტრიალებდა. ის თავს იკავებდა უფრო იმიტომ, რომ თავისებურად არ აფეთქებულიყო და არ გაემწვავებინა საქმე. კარგა ხანია, ასე პირდაპირ არ მდგარან ერთმანეთთან ის და იასონი. იაკობი დაიხარა, ერთი სკამი ფეხზე დააყენა, მაგიდასთან ახლოს მიიტანა და ჩამოჯდა.

მარადოს მოაგონდა ამ ოცდასამი თუ ოცდაოთხი წლისწინანდელი ამბავი, აქვე, ამავე ოთახში მოხდა სწორედ. ამ მაგიდასთან იჯდა იაკობი, ხოლო მის გვერდით გაბრიელი. ისინი ტკბილად საუბრობდნენ. მარადო სულგანაბული უსმენდა მათ ლაპარაკს და გულში სიხარულს გრძნობდა, რომ მამა ასე ტკბილად, ასე კარგად იღებდა იაკობს. იმ საღამოს თბილისიდან ჩამოვიდა იასონი. მან უტიფრად დაავლო ხელი სტუმარს და გარეთ გააგდო.

ახლა, როცა იგივე ადამიანებს ერთად უყურებდა, ეგონა, თითქოს თვალის დახამხამებაში გაიარა ცხოვრებამ.

გაბრიელი მძიმედ დაეშვა სკამზე. ღრმად ამოიოხრა.

მხოლოდ იასონი იდგა ფეხზე, პაპიროსს აბოლებდა და არავის უყურებდა.

— დაჯექი, იასონ, — მშვიდად მიმართა იაკობმა და სკამი დაუდგა.

— რა გინდა, ვინ დაგიბარა, რომ მოხვედი? — ღვარძლიანად წაიბუტბუტა იასონმა, — მე არ მჭირდება მოწმე.

— მამაშენსა და შენს დას რომ ედავები, სადავო ჩემთან გაქვს. ვიცი, რაც გინდა. სახლ-კარი გინდა, მამული გინდა და არც კი იცი, სად მიდიხარ და ვის ედავები. რატომ ჩემთან არ მოხვედი?

— რაო, რა თქვი?! — ვითომ ვერ გაიგო, ისე შეეკითხა იასონი და თუ აქამდე არ შეუხედავს იაკობისათვის, ახლა თვალი თვალში გაუყარა.

— ჩემთან უნდა მოსულიყავი და გეთქვა, რაც გსურდა, — გაუმეორა იაკობმა.

— შენ ვინ ბრძანდები, რომ ანგარიში ჩაგაბარო? მე თვითონ, უშენოდაც მოვაგვარებ ჩემს საქმეს. შენი დახმარება არა მჭირდება. კოლმეურნეობას მიხედე, იმას მოუარე.

— როგორ ფიქრობ, მარადოს ოჯახი კოლმეურნეობისა არ არის?

— იცი, რა გითხრა? ჩემს ოჯახში მე ვარ უფროსი და არავის უფლებას არ მივცემ ისე იპარპაშოს, როგორც მოესურვება. გათხოვდა, წავიდეს ქმრის ოჯახში. ასე იყო და ასე იქნება. მეცა მყავს ცოლ-შვილი. იმასაც რჩენა უნდა, — ხმა აიმაღლა იასონმა.

— იმუშავე და არჩინე, — დარიგების კილოთი უპასუხა იაკობმა.

მარადოს გული უწუხდა. მეორდებოდა იგივე ამბავი, რაც იასონის მოსვლისთანავე დაიწყო. პირველად ასევე ტკბილად ურჩევდა მოხუცი გაბრიელი თავის შვილს, მაგრამ შემდეგ დიდი აურზაური მოყვა.

დოლიაშვილს ერიდებოდა, რომ გარეთ ირაკლის ალოდინებდა. ჩქარა უნდა გასულიყო, თორემ უხერხული იქნებოდა ასე დიდხანს დაყოვნება მარადოს ოჯახში.

— თავმჯდომარე პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— შენ გინდა ეს სახლი, ეს კარი, ბაღი და ვენახი, არა?

— დიახაც ასეა და მოვითხოვ.

— რომელი კანონის ძალით? ხედავ, რომ მამაშენი ცოცხალია, კოლმეურნეობაში მუშაობს, მას ეკუთვნის ეს სახლ-კარი, რაღას ედავები?

— მაშ, მამაჩემის ქონებაზე მარადო პარპაშობდეს? მაშ, მე შვილი არ ვყოფილვარ. თუ იმას ეკუთვნის რამე, მე წილი არ მიდევს? დაუფიქრდი რაღა!

— შენ თვითონ დაუფიქრდი, რომელ ქონებაზე ლაპარაკობ.

— სახლი. სახლთან მაქვს საქმე. აქ ხუთი ოთახია. ორი მე მეკუთვნის, სულაც მე მეკუთვნის, მაგრამ ხომ ხედავთ, დათმობაზე მივდივარ.

— შენს მაგივრად გველის წიწილი დამბადებოდა! — გულზე ხელი მიირტყა გაბოროტებულმა გაბრიელმა.

— ნერვებს ნუ იშლი, გაბრიელ, — მიმართა იაკობმა მოხუცს, შემდეგ ისევ იასონს მიუბრუნდა: — კარგი, იასონ. მე შემიძლია საქმე ისე მოვაგვარო, რომ მარადოს და გაბრიელს კოლმეურნეობამ სხვა სახლი აუგოს, შენ კი მთლიანად დაგიმტკიცებთ ამ სახლს.

— იცი, ეს ზღაპარი აკვნის ბავშვებს მოუყევი, — უთხრა იასონმა და პაპიროსს მოუკიდა.

— ზღაპარი კი არა, დამიჯერე, რასაც გეუბნები. მე შენსკენ ვარ, შენ კი ეშმაკებისაკენ. მე არა ვარ ბოროტი კაცი. მზადა ვარ, ყოველი შენი სურვილი შევასრულო, რომ ჩხუბის გარეშე მოვაგვარო ეს საქმე. მე მინდა, რომ მამაშენთან და მარადოსთან ტკბილად იყო.

— იმისთვის მოხვედი, რომ მასხარად ამიგდო? — დაიქუხა იასონმა, წამოვარდა და მაგიდას ღონივრად დაჰკრა მუშტი, — უმჯობესი იქნება, აქედან, წახვიდე.

— იაკობი ადგილიდან არ დაძრულა, კვლავ მშვიდად იყო.

— დაჯექი, — რბილად ურჩია იასონს, — მე თავმჯდომარე ვარ, ეს ხომ კარგად იცი? უჩემოდ მაინც ვერაფერს მიიღებ.

— რას შემომიჩნდი, რა გინდა ჩემგან? — კვლავ დაიღრიალა იასონმა, — დიდი კაცი გახდი და გინდა ყველას დააჯდე თავზე? გვინახავს შენისთანები.

— რაკი ადამიანური ლაპარაკი არ გინდა, მაშ მოისმინე ჩემი უკანასკნელი სიტყვა, — მიმართა იაკობმა, — ამით ყველაფერი დამთავრდება.

თავმჯდომარეს მოთმინების ფიალა აევსო, ახლა უფრო აჩქარდა.

იასონი დაემორჩილა თუ პაპიროსის გამო ჩაკმიდა ხმა, ერთხანს დუმდა, ბოლს ქულა-ქულა უშვებდა პირიდან.

მისი დუმილით ისარგებლა იაკობმა, ფეხზე წამოდგა და ახლა კი მკაცრად, მაგრამ მაინც დაბალი ხმით განუცხადა იასონს:

— ამ საღამოსვე დაიკარგე სოფლიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მილიციას გამოვუძახებ და შენ თავს დავაპატიმრებინებ. იაკობი აღელდა, ახლა კი ველარ შეიმაგრა თავი, ვეებერთელა მუშტი მაგიდას დაუბრაგუნა და მთელი ხმით იყვირა: შენისთანა მაწანწალებისათვის არსად არ არის ადგილი.

ირაკლის ესმოდა თავმჯდომარის მქუხარე ხმა. გრძნობდა, რომ შინ საქმე მწვავედ იყო. ცაცხვებს ქვეშ გრძელ სკამზე იჯდა და აქ ელოდა იაკობ დოლიაშვილს.

ოთახში უარესი ამბავი მოხდა: გამხეცებულმა იასონმა კარადაზე დადგმულ გრაფინს ხელი დასტაცა და თავმჯდომარეს თავზე შემოამსხვრია. იაკობის სახე სისხლმა დაფარა. მოხუც გაბრიელსა და მარადოს თვალთ დაუბნელდათ ამ სურათის დანახვისას. გაბრიელმა არადამიანური ხმით შეღრიალა შვილს.

— რა ჰქენი, მხეცო! — შემდეგ იაკობს მივარდა, რომ დასერილი თავიდან წამოჩქეფილი სისხლი შეეჩერებინა.

იასონმა მაშინვე იგრძნო, რომ აღარ ედგომებოდა. სისხლის დანახვამ თავ-ბარი დასცა. საქმე საბოლოოდ წაუხდა. კარებს მივარდა და გარეთ გაიჭრა. მალე სიბნელეში გაუჩინარდა.

ირაკლიმ გაიგონა თუ არა მოხუცი გაბრიელის ყვირილი, მაშინვე წამოიჭრა. სწორედ ამ დროს გამოვარდა სახლიდან იასონი. ჯავახიშვილი მიხვდა, რაღაც უბედურება დატრიალა მარადოს სახლში. ამ დროს მან ანგარიში არ გაუწია იმას, რომ უცხო იყო მასპინძლისათვის, მხოლოდ ერთმა კეთილმა განზრახვამ აამოქმედა. მიშველებოდა ოჯახში მყოფთ და ამ ფიქრით აიჭრა აივანზე.

გაბრიელი და მარადო იაკობს დასტრიალებდნენ თავს. ნამტირალევი მარადო დაბეჩავებული, ფერდაკარგული ჩანდა.

— რა ამბავია, რა მოხდა? — იკითხა შემკრთალმა ირაკლიმ.

გაბრიელმა შლიაპიანი და პორტფელიანი უცნობი რომ დაინახა, ექიმი ეგონა და უზომოდ განცვიფრდა, ასე უცებ საიდან გაჩნდა, ნამდვილად ღვთით მოვლენილი ანგელოზიაო, უმალ ჩამოშორდა იაკობს და მარადოს დახმარება „ექიმს“ მიანდო.

არცთუ ისეთი სერიოზული ჭრილობები ჰქონდა იაკობს. ნამსხვრევებს დაესერა კანი. როცა თავი შეუხვიეს, იაკობს მწარედ ჩაეღიმა.

— აი რით დამთავრდა ჩემი ჩარევა, ირაკლი.

— გრაფინით გაუტეხა... — თქვა გაბრიელმა. უნდა ეთქვა, „ექიმოო“, მაგრამ თავი შეიკავა, ეჭვი შეეპარა, თუ ექიმია, რატომ ჭრილობის შესახვევი საჭირო რამ არ აღმოაჩნდაო, თანაც იაკობის ნაცნობი ყოფილა. ალბათ აქამდე გარეთ უცდიდა, მიხვდა მოხუცი.

შემდეგ მარადომ ველარ შეძლო დღეს გადატანილი უბედურების მოთმენა. ტახტზე ჩამოჯდა და აქვითინდა.

— დამშვიდდი, მარადო, — ანუგეშა იაკობმა, — რა გატირებს, ქალო?

მარადომ ცრემლები მოიწმინდა, გული მაინც ვერ დაიამა, კვლავ თრთოდა.

— ხვალ უნდა ჩამოვიდეს შენი ბიჭი, არა? — ჰკითხა იაკობმა, მერე ირაკლის მიუბრუნდა და უთხრა. იცი რა ბიჭი ჰყავს! უკვე მასწავლებელი კაცია. ჩემს ნანის უნდა ასწავლოს. იმ შვილის დედა როგორ უნდა ტიროდეს!

5

როცა იაკობი და ირაკლი მარადოს სახლიდან გამოვიდნენ, მთვარე მაღლა წასულიყო. სოფელში დღესასწაული გრძელდებოდა. ისმოდა სიმღერისა და საკრავების შორეული ხმები.

თავმჯდომარეს ბაღში ედგა ორსართულიანი მაღალი სახლი. ტყრუშული ლობე ჰქონდა შემოვლებული. კარ-მიდამოს ორი მოზრდილი ნაგაზი ყარაულობდა. ერთი ჭიშკართან ება, მეორე სახლის უკან.

ირაკლიმ იცოდა, რომ იაკობს ცოლი არ ჰყავდა. ერთადერთი ქალიშვილი დარჩენოდა, რომელიც საშუალო სკოლას ამთავრებდა. ჯერ კიდევ ნორჩი იყო ნანი, მაგრამ იაკობის გადმოცემით, იგი უკვე კარგა ხანია გამოცდილი ქალივით დიასახლისობდა.

ჭიშკარს რომ მიადგნენ, განათებულ აივანზე სწორედ ის ქალიშვილი დაინახა ირაკლიმ. აქედან ერთმა ძაღლმა ასტეხა ყეფა, იქით მეორე გამოეხმაურა და ყურთა სმენა წაიღეს.

— ჰაი. თქვე სამგლეებო! — მჭექარე ხმით დასძახა მათ იაკობმა. ერთი დაძახილით ხმა ჩააკმენდინა ეზოს საიმედო მცველებს და შემდეგ ირაკლის შეუძღვა თავის კარმიდამოში.

ნანი კიბესთან შეეგება მამასა და სტუმარს. ტანსრული ქალიშვილი იყო, მაგრამ სახეზე ბავშვის უმანკო იერი შერჩენოდა. ბანდით შეხვეული. თავი რომ დაუნახა მამას, შეშფოთდა.

— ეს რა არის, მამა? მითხარი, რა დაგემართა. მითხარი მალე. უიმე, სისხლი!

— არაფერია, შვილო, — ანუგეშა იაკობმა, თავზე ხელი გადაუსვა, დაუყვავა, — ცხოვრებაში კაცს ხან გულს გაგიტეხენ, ხან თავს.

სტუმრის შერცხვა ნანის, მამას მოშორდა. ცრემლით გაბრწყინებული თვალები ირაკლის შეანათა, მერე ხელი გაუწოდა.

## თავი მესამე

### 1.

სოფელ ვნუკოვოს პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ბორის შებენჩუკი ორთვალათი რაიკომიდან შინ ბრუნდებოდა, რომელიღაც მგზავრულ სიმღერას უსტვენდა და მხიარულად მიაჭენებდა მოწითალო იორღას.

გზა არყისხიან ტევრთან მიდიოდა. არყის ხეები ახალი ამონაყარი იყო, ძველი ხეების ძელქვებზე ნორჩი ყლორტები ყელყელაობდნენ. გარემო ისეთი სანახავი იყო, თითქოს ქვეყნად ახლახან გაჩნდა სიცოცხლე. ტყიდან ფრინველთა გალობა ისმოდა და ბორისიც მათ უწყობდა თავის სტვენას.

შებენჩუკი გზაში უცნობ ჭაბუკს წამოეწია. წელან ბორისმა სადგურში მოსკოვის საგარეუბნო ელექტრომატარებელი დაინახა. ალბათ მას მოჰყვაო, გაიფიქრა მგზავრზე. ჭაბუკი, რომელიც ვნუკოვოსკენ ფეხით მიდიოდა, ტანადი, შავულვაშება იყო, ცალ მხარეზე ფოტოაპარატი და ნაცრისფერი პიჟაკი გადაეკიდნა.

— ამხანაგო, საით შენი გზა? — გადასძახა ბორისმა. მან სადავის ერთი ლონიერი მოწევით შეაჩერა ორთვალა.

— ვნუკოვოში მივდივარ.

— მოდი დაჯექი, წაგიყვან, რა ძალა გადგია ფეხით. ორ წუთში სოფელში ვიქნებით.

მგზავრს მოეწონა რუსი ჭაბუკი, რომელმაც თავიდანვე შინაურულად დაუწყო ლაპარაკი, — ბევრი არ უფიქრია, ორთვალაზე შეხტა და გვერდით მოუჯდა.

— კავკასიიდან ხარ? — შეეკითხა ბორისი, რომელმაც სახის შავგვრემან ფერზე და ულვაშებზე შეატყო ჭაბუკს, რომ უთოდ კავკასიელი უნდა ყოფილიყო; ხოლო რომელ ერს ეკუთვნოდა, — სომეხს, ქართველს, თუ აზერბაიჯანელს, ამას ვერ მიხვდა. ქართველი ყოფილა.

— ვნუკოვოში ვისთან მიდიხარ?

— არავისთან. ჩემი მასპინძელი მკვდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აა, საძმო საფლავი უნდა ნახო? — მიუხვდა შებენჩუკი, — ვინ არის, მამა, ბიძა, თუ ძმა?

— მამაა, ორმოცდაერთში დაეცა.

— რა გვარი ხარ?

— კავთიაშვილი.

— მე ვიცი მამაშენის საფლავი. იგი ცალკეა ოთხ მებრძოლთან ერთად. ჩვენ ყველა საფლავი მოვლილი გვაქვს. პიონერები და კომკავშირლები ყოველ წელს ახალ-ახალ ყვავილებს რგავენ იქ. შენი სახელი?

— ვახტანგი.

— მე ბორის პეტროვიჩ შებენჩუკი ვარ, კოლმეურნეობა „პირველი მაისის" აგრონომი და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ვიცნობდეთ, — ბორისმა მარჯვენა ხელი სადავეს გაუშვა და ვახტანგს გაუწოდა.

ორთვალა რბილად მიდიოდა მოასფალტებულ შარაზე, ლონიერი ცხენის ფლოქვების ხმა გაისმოდა.

— ამ ოთხი წლის წინათ დედაჩემი იყო აქ, — უთხრა გზაში ვახტანგმა ბორისს, — მე მინდოდა მაშინ წამოვყოლოდი დედას, მაგრამ ვერ მოხერხდა. შინ გვაქვს მამის საფლავის ფოტოსურათი, მე შემიძლია თავისუფლად მივაგნო.

შემდეგ ვახტანგმა გაიხსენა დედის ვნუკოველი ნაცნობი ვასილ შულგინი, ყოფილი პარტიზანი.

— შულგინი ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა... შენ ამბობ, ვნუკოვოში მივდივარ და ჩემი მასპინძელი მკვდარიაო?!. შულგინი რომ არ იყოს, აგერ აჰა, მე რა, შენი ნაცნობი არა ვარ?! ოჯახი მაქვს, შეგიძლიან მეწვიო, დარჩი ჩემთან ერთი დღე, ორი, სამი რამდენიც გენებოს.

— რას ამბობ, მე მალე უნდა დავბრუნდე მოსკოვში. ხვალ ორ საათზე თბილისის მატარებელს უნდა გავყვე, ბილეთი აღებული მაქვს.

— მაშ ამაღამ შეგიძლია დარჩე ვნუკოვოში. ნახავ სოფელს, რომელიც ამ რვა-ცხრა წლის წინათ მარტო ნაცარი იყო, გაიცნობ ხალხს. აქ ხშირად ჩამოდიან დაღუპული მებრძოლების ცოლ-შვილი, ნათესავები, კოლმეურნეობათა დელეგაციები. შენც ჩვენი სტუმარი ხარ და მე მინდა ჩემს პატარა ოჯახში მიგიყო.

შებენჩუკი ისე გულწრფელად ამბობდა ამ სიტყვებს, რომ ვახტანგმა უარის თქმა ვეღარ შეძლო და უთხრა:

— სიამოვნებით გეწვევი, ჯერ სასაფლაოზე მივიდეთ.

— კარგი, მაშინ ჩვენ ამ გზას უნდა გადავუხვიოთ.

## 2

საგანგებოდ მოვლილი ძმათა სასაფლაო სოფლიდან მოშორებით, ნაძვნარში იყო. ორთვალა სასაფლაოს პირას გაჩერდა და ჭაბუკები პატარა ბილიკს გაჰყვნენ. მცირე მანძილის გავლის შემდეგ ისინი მიადგნენ ერთ საფლავს, რომელიც ვახტანგმა მაშინვე შეიცნო და ახლა როგორც არასდროს, ცულმა მთელი ძალით დაუწყო ფეთქვა. ვახტანგმა თავი დახარა. ერთხანს ასე იდგა მდუმარედ. თვალწინ წარმოუდგა მუდამ წყნარი, გულკეთილი, ყოველთვის აუჩქარებელი მამა. ვახტანს კარგად ახსოვდა იგი, სათნო ადამიანი, რომელმაც შემდეგ დიდი საგმირო საქმე ჩაიდინა — სამშობლოს შესწირა ყველაზე ძვირფასი რამ — სიცოცხლე.

ვახტანგს ბევრჯერ უფიქრია მამის თავდადებაზე და ყოველთვის, მისი დიდი საქმის გახსენებისას, სიამაყის გრძნობით იმსჭვალებოდა.

ბორის შებენჩუკს საფლავის მესერის დირეში ხელი შეეყო და წაქცეულ ყვავილს ფეხზე აყენებდა.

ცოტახნის შემდეგ ორთვალაში ჩასხდნენ და ვნუკოვოსკენ გასწიეს.

წელან, სასაფლაოსაკენ რომ მიდიოდნენ, ბორისმა სოფელს გარეთ გაატარა ორთვალა, ახლა შუა ვნუკოვოში მიაჭენებდა იორღას.

ძველი ვნუკოვო, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და ერთ-ერთ უძველეს სოფლად ითვლებოდა რუსეთში, გერმანელმა ფაშისტებმა ძირფესვიანად გადაბუგეს. ძველ ვნუკოვოდან მხოლოდ ერთი დანგრეული ეკლესია-ღა დარჩა, გუმბათი ყუმბარით ჰქონდა წაცლილი. ბორისმა უთხრა ვახტანგს, რომ ეს ეკლესია ისტორიული ძეგლია და მისი აღდგენა გეგმაში გვაქვსო.

კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლები — თეთრი კედლებით, თუნუქის წითელი სახურავებითა და ცისფერი დარაბებით,—ერთმანეთს ჰგავდა, ხოლო საბჭოს, კოლმეურნეობის კანტორის, მაღაზიის, აფთიაქის და საავადმყოფოს შენობები თავისი არქიტექტურული გაფორმებით ვნუკოვოს ვშვენებას წარმოადგენდა.

ორთვალა შუაგულ სოფელში შევიდა. ხარაჩოში ჩამჯდარ შენობის წინ ერთი ახოვანი კაცი იდგა. მას ფიჯაკის ყაიდაზე შეკერილი ტილოს დიდი ხალათი ეცვა და ამავე ნაჭრით შეკერილი კეპი შუბლზე ჩამოეფხატა.

— აი, ჩვენი ვასილ შულგინი, — უთხრა შენობის წინ გაჩერებულ კაცზე შებენჩუკმა ვახტანგს, — აქ კი ჩვენი სასტუმრო იქნება ორასამდე საწოლით, რასაკვირველია, ლუქსიც ექნება. მე თვითონ ვნახე პროექტი.

სადავე მოსწია და ორთვალა გაჩერდა.

— გამარჯობათ, ვასილ ვასილიჩ.

— აა, ბორის პეტროვიჩ, თქვენა? — გაუღიმა თავჯდომარემ, მერე კეპი ცოტა მაღლა აიწია და სტუმრის დანახვაზე ბორისს ხუმრობით უსაყვედურა:

— გეთაყვა, ცოტა ადრე მომაყენე სტუმარი. ხომ ხედავ, ჯერ არ დაგვიმთავრებია.

უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ, ბორის პეტროვიჩ.

— სტუმარი საიდანაა? — იკითხა მერე.

— საქართველოდან.

ჭაბუკები ორთვალადან გადმოხტნენ.

შულგინმა ხელი ჩამოართვა სტუმარს.

— თქვენი ნაცნობის შვილია, ვასილ ვასილიჩ, — უთხრა ბორისმა.

— რომელი ნაცნობის? მე ბევრი ნაცნობ-მეგობარი მყავს საქართველოში.

ვახტანგმა დედის სახელი და გვარი უხსენა. შულგინმა თავი მაღლა შემარა და მოწონებით ჩაათვალიერა ქართველი ჭაბუკი.

— შეხედე რამხელა შვილი ჰყოლია! დედათქვენი სულ ახალგაზრდაა. მამის საფლავზე იყავით?

—დიახ, გახლდით. ახლა იქიდან მოვდივარ. გმადლობთ ყურადღებისათვის, ვასილ ვასილიჩ.

ვასილ შულგინს კარგად ახსოვდა მარადო, მოიკითხა, მისი კარგად ყოფნა ესიამოვნა.

შულგინმა შუბლი შეჭკრა, როცა გაიგო, რომ ვახტანგი ხვალ დილაადრიან უნდა დაბრუნებულიყო მოსკოვში.

როცა მოსკოვიდან ელექტრომატარებელით მამის საფლავის სანახავად მიემგზავრებოდა, ვახტანგს აზრადაც არ მოსვლია ვნუკოვოში დარჩენა. მოსკოვში სოჭიდან ჩამოვიდა რამდენიმე დღით, დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებოდა ოქროყანას, 20 აგვისტოს სკოლაში უნდა გამოცხადებულიყო. ვნუკოვოში მიმზიდველი, ნათელი, ხალისიანი ბუნების ადამიანები შემოხვდნენ მას და არა თუ ერთ დღეს, დრო რომ ჰქონოდა, მთელ კვირასაც დაჰყოფდა მათთან და განუწყვეტლივ ისაუბრებდა ყველაფერზე, რაც კი ადამიანების ურყევ მეგობრობასთან, ძმობასთან და სიყვარულთანაა დაკავშირებული.

ვასილ შულგინმა დაუბარა ჭაბუკებს, რომ იგი კვლავ ინახულებდა მათ და ფერმისაკენ გასწია, ხოლო ვახტანგი და ბორისი ორთვალაში ჩასხდნენ.

შინ მისულ ბორისს სასადილო მაგიდაზე ბარათი დახვდა:

3

„ბორია, სასწრაფოდ გამომიძახეს, ბერიოზკაში მძიმე ავადმყოფია, შეიძლება გვიან დავბრუნდე. ვალია."

„კარგი საქმეა, გვიან თუ დაბრუნდა. შინ სტუმარი მოვიყვანე, ვალია კი არ არის, აი როგორ არ გამიმართლა, — ბორისი ერთხანს მდუმარედ უყურებდა წერილს. გზაში მოუხაროდა — შინ მეუღლე დახვდებოდა, თავისი ახალგაზრდა ოჯახით თავს ისახელებდა შორეულ კუთხიდან მოსულ სტუმართან. რა გამოვიდა — ოჯახის დიასახლისი შინ არ არის!

შებენჩუკმა სტუმარი სასადილო ოთახში დატოვა, თითონ სამზარეულოში გავიდა. ვაითუ ვალიას არაფერი მოუმზადებია, გუნებაში გაივლო ბორისმა, მაგრამ შუბლი უმალ გაეხსნა: ღუმელზე ორი თავი სადილი ნახა. ვალიას ხილიც გაემზადებინა.

როცა ბორისმა სუფრა გააწყო, ვახტანგს მაშინ გადასცა მეუღლის მცირე ბარათის შინაარსი და აქვე სიამაყით დასძინა:

— ერთი წელია, რაც ექიმად მუშაობს, უკვე მძიმე ავადმყოფობის მკურნალობასაც ანდობენ.

შებენჩუკმა შარშან მოსკოვში დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, აგრონომის დიპლომი მიიღო და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ვნუკოვოში ახლობლებიდან არვინ ჰყავდა. ვასილ შულგინმა სტანდარტული საკოლმეურნეო სახლი დაახვედრა ახალგაზრდა აგრონომს და უთხრა:

— აი ბორის პეტროვიჩ, გააჩაღე კერა, შეირთე ცოლი და იცხოვრე ბედნიერად.

ბორისი ერთხანს მარტო იყო. დღედაღამ კოლმეურნეობაში ტრიალებდა, დაუღალავად შრომობდა, მაგრამ რაღაც კარგი რომ აკლდა მის ცხოვრებას, ვერავითარი საქმით ვერ ივსებდა ამ დანაკლისს. შინ გვიან მისულს სულიერი სიმარტოვე აწუხებდა, ოჯახს სითბო აკლდა.

იმ წელს ვნუკოვოში მივიდა ახალგაზრდა ექიმი ვალია ჟიგარიოვა, ნათელთმიანი, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი. ბავშვობაში ვალია და ბორისი ერთად სწავლობდნენ, მოსკოვშიც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

არასოდეს ისე ძალიან არ უნატრია ვალიას სიახლოვე ბორისს, როგორც ვნუკოვოში დაბრუნებისას. და აი, ხანმოკლე სეირნობის, რამდენიმე მთვარიან ღამის შემდეგ მთელი სოფელი მათ შეუღლებას ზეიმობდა.

ცხოვრობდნენ სოფლის განაპირას პატარა, მყუდრო კარ-მიდამოში, სადაც, ისე როგორც ბევრ ეზოში, ყველაფერი ახალია.

ბორისი, როცა თავის ოჯახის შექმნაზე ლაპარაკობდა, მოზეიმე თვალებით იყურებოდა.

— ახლა ფეხმძიმედაა ვალია, ვშიშობ — სიარულმა არ ავნოს, თქვა მზრუნველი ქმრის კილოზე ბორისმა და ვახტანგს თეფში გამოუცვალა, მერე განაგრძო: — ძალიან ბევრს დადის სოფლებში. ჰა, რას იტყვი, ამდენი სიარული ცუდად ხომ არ იმოქმედებს?

— მე მგონი არა. გამიგია: ფეხმძიმე ქალი, გამუდმებულ მოძრაობაში უნდა იყოსო, რატომ ეს კი არ ვიცი.

— შენ გყავს ცოლი?

— არა, წელს დავამთავრე გორის პედინსტიტუტი; ახლა კი ვფიქრობ ოჯახურ ბედნიერებაზე.

— ჰო, მეც ბევრს ვფიქრობდი ოჯახურ ბედნიერებაზე, მეგონა, შევირთავდი ცოლს და ეს იქნებოდა სრული ბედნიერება... მაგრამ ბედნიერებაზე მე კიდევ ვფიქრობ, რადგან სრულყოფილად დღემდე კიდევ არ არის იგი ჩემს ოჯახში.

— რატომ? ნუთუ ვალია შენთვის სრული ბედნიერება არ არის?

ბორისმა ჩაიცინა.

— ჩვენ მალე შვილი გვეყოლება, — თქვა მან, — აი, ოჯახის სრული ბედნიერება. მეტი საზრუნავი, მეტი საფიქრებელი, მეტი შრომა ემატება ოჯახს. ზრდი ახალ ადამიანს, რომელმაც შემდეგ დიდი საქმე უნდა გააკეთოს — მე ეს მიმაჩნია სრულ ბედნიერებად და აი, საცაა იგი ჩემს ოჯახში შემოვა.

შებენჩუკმა ღია ფანჯრიდან სტეპს გახედა. არც ქვეყნის საზღვარი ჩანდა, არც ბორისის ოცნების დასასრული.

## 4.

ბორისი და ვახტანგი დაბინდებამდე კოლმეურნეობაში იყვნენ. ვახტანგმა უამრავი სურათი გადაიღო. ოქროყანელებს ბევრ საყურადღებო რამეს აჩვენებდა. ვახტანგს ვნუკოვოში თითქმის არაფერი დარჩა, რომ თავისი ფოტოაპარატი არ მიემარჯვებინოს. ვინ მოთვლის, რამდენი კოლმეურნე გაიცნო, ისინი ღიმილით ართმევდნენ სტუმარს ხელს და უყოყმანოდ ემზადებოდნენ სურათის გადასაღებად.

ვახტანგი კმაყოფილი იყო, რომ ვნუკოვოში დარჩა. ამიერიდან მის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა ამ სოფლის ნათელი აწყმო და უფრო კარგი მომავალი.

მთელი დღე კოლმეურნეობაში იყვნენ, მაგრამ ვასილ შულგინს ვერსად ვერ შეხვდნენ. ვახტანგს კი უნდოდა ამ კაცთან საუბარი.

კარგი საღამო დადგა ვნუკოვოში.

სტეპიდან სიო მოქროდა. ღია ფანჯრებიდან ჩამოფარებულ მარმაშა ფარდებს აფრიალებდა. ოთახში გრილოდა.

ვალია არ ჩანდა. ბორისი წუხდა მის დაგვიანებას. ვალიას ბევრჯერ დაუგვიანია ხანდახან შუაღამითაც კი წაუყვანიათ შინიდან. ამ ბოლო დროს ბორისს უფრო მეტად ტანჯავდა ცოლის გარე-გარ სიარული, რადგან ფეხმძიმედ იყო და თავის დროზე დასვენება არ ჰქონდა ქალს.

როცა ცაზე ვარსკვლავები აინთო და ამომავალმა მთვარემ ნარინჯისფერი გაუსვა ცის აღმოსავლეთის მხარეს, ვასილ შულგინი „პობედით“ მიადგა შებენჩუკების ბინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საღამო მშვიდობისა, ახალგაზრდებო, — თქვა მან ოთახში შესვლისას და მერე ერთი სწრაფი გადახედვით იქაურობა შეათვალიერა.

— ვალია სად არის?

— ბერიოზკაში, მძიმე ავადმყოფის მოსარჩენად დაუძახეს.

ვასილ შულგინი ახალგაზრდებთან ჩამოჯდა. „პობედა“ ჭიშკართან უცდიდა, ამით ეტყობოდა რომ თავმჯდომარე მცირეხანს დაყოფდა აგრონომისას. იგი ალბათ საქმეზე მოვიდა.

ცოტახნის საუბრის შემდეგ ვასილ შულგინმა მზერა გაუსწორა ვახტანგს და მიმართა,

— აბა მომიყევი ერთი, როგორი კოლმეურნეობაა თქვენი „პირველი მაისი“...

ასე არასოდეს არ მიუმართავთ ვახტანგისათვის.

ვასილ შულგას ეტყობოდა რომ მართლაც ძალზე აინტერესებდა თავისი კოლმეურნეობის მოსახელე კოლმეურნეობის საქმიანობა. ვახტანგმა უთხრა, რომ იგი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ქალაქად-იყო და არცთუ მაინცდამაინც კარგად იცნობდა ოქროყანის კოლმეურნეობას, რაც იცოდა ყველაფერი გულწრფელად უთხრა.

— ახლა ხომ სოფელში იქნები? — ჰკითხა შულგინმა.

— დიახ, ახლა ოქროყანის საშუალო სკოლაში ვარ მასწავლებლად.

— ჰოდა, აი, პატივცემულო მასწავლებელო, სოფლის ინტელიგენციავ, უფრო ღრმად დაუკვირდი სოფელს, პატარების გარდა, ჩვენში ზოგიერთ მოზრდილსაც უნდა აღზრდა. ახლა კი ერთი თანამდებობა მინდა შეგთავაზო და იმედია, უარს არ მეტყვი.

შულგინს ულვაშებში ჩაეღიმა, ბორისს შეხედა და თვალი ჩაუკრა.

— ხომ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, რომ თქვენ ოქროყანის ელჩი იყოთ ვნუკოვოში? — მიმართა ვახტანგს.

შულგინს კონვერტი ეჭირა ხელში. ვახტანგი მიხვდა თავმჯდომარის ხუმრობას, გაიღიმა და მიუგო:

— დიდად მოხარული ვიქნები.

— მაშ ეს ბარათი თქვენს თავმჯდომარეს გადაეცი, — უთხრა შულგინმა. მერე საათს დახედა და აჩქარდა, თათბირზე მაგვიანდებაო.

როცა მანქანაში ჯდებოდა ვახტანგს მხურვალედ დაემშვიდობა, დედასთან გულთბილი მოკითხვა დააბარა.

— ხვალ დილით მანქანას გამოგიგზავნი, პირდაპირ მოსკოვში ჩაგიყვანს. თქვენს თავმჯდომარეს უთხარი, რომ პასუხი აუცილებლად მომწეროს. ნახვამდის.

— ნახვამდის. კარგად ბრძანდებოდეთ, ვასილ ვასილიჩ.

## 5.

მაგიდაზე შულგინის მიერ დატოვებული კონვერტი იყო.

ბორისმა უთხრა ვახტანგს ის, რაც არ უთქვამს ვასილ ვასილიჩს ამ ბარათის დატოვებისას.

ვასილ შულგინი მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მუშაობის გამოცდილებათა გაზიარების მიზნით მრავალ კოლმეურნეობასთან იჭერდა წე-

რილობით კავშირს. ბევრს მოგზაურობდა მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებში, ეცნობოდა მათ, სწავლობდა მათგან, ზოგან თავის გამოცდილებას უზიარებდა თავმჯდომარეებს, სოცშეჯიბრებაში ებმებოდა, დახმარებას ითხოვდა, თვითონაც ეხმარებოდა ბევრ კოლმეურნეობას.

ვასილ შულგინი დაინტერესებული იყო მეზობელი კოლმეურნეობების ყოველდღიური საქმიანობით. მისი ინტერესი უფრო შორსაც მიდიოდა. მას არ შეეძლო ჩვენი სამშობლოს შორეული კუთხის კოლმეურნეობებში წასვლა. იქ კი, ვინ იცის, რამდენ კარგ რამეს აკეთებენ კოლმეურნეები! შულგინს უნდოდა ყველაფერი სცოდნოდა, ახალი, მოწინავე, პროგრესული ყოველთვის მისი ძიების საგანს წარმოადგენდა და საქმეშიც ახორციელებდა. ვნუკოვო სულ მოკლე ხანში გაიმართა, მოღონიერდა, მილიონერი გახდა, მაგრამ ვასილ ვასილიჩის გულს ბევრი რამ კიდევ აკლდა.

ბორისმა უთხრა ვახტანგს, რომ ვასილ შულგინმა ამ მიწერ-მოწერით ვნუკოვო მრავალი კოლმეურნეობის დაახლოების, დამეგობრების კერად გადააქციაო.

ვახტანგმა სათუთად შეინახა შულგინის ბარათი.

## 6.

რადიოთი უკანასკნელი ცნობები გადმოსცეს. შუაღამისას დარეკეს კრემლის კურანტებმა.

ვახტანგი გუშინ ამ დროს წითელ მოედანზე იყო და უჩვეულო სიამაყის გრძნობით შეჰყურებდა კრემლის კოშკურების ლალის ვარსკვლავებს.

ნაშუაღამესაც არ ჩანდა ვალია.

ვახტანგი და ბორისი ერთხანს კიდევ ფხიზლობდნენ მის მოლოდინში, ღია ცისქვეშ ალუბლებთან ისხდნენ და საუბრობდნენ.

შორს, სტეპზე ანეულს ხნავდნენ ტრაქტორები და მათი გრიალი ოდნავ აღწევდა ჭაბუკთა ყურამდე.

მოსკოვიდან მომავალი გზატკეცილი შებენჩუკების სახლის წინ გადიოდა. ელნათურები ქათქათებდნენ გზისპირა ბოძებზე. ახალგაზრდები კლუბიდან ბრუნდებოდნენ, ბაიანის დაკვრითა და სიმღერით მოდიოდნენ და... კარგი იყო რუსული ღამე!

ვინ იცის, რა დღეშია ვალია? — ვერ ისვენებდა ბორისი, სტუმარს ლოგინი დაუგო. ვალიას, ალბათ, მძიმე ავადმყოფი ჰყავს, რომ ამდენხანს არ მოვიდა, და შეიძლება, დილამდეც არ გამოჩნდესო, გაიფიქრა.

სახლის წინ „მოსკვიჩი“ გაჩერდა.

სანამ ბორისი გარეთ გამოიხედავდა, ვალია შემოიჭრა ოთახში. ჯერ ქმარს შეანათა გაბრწყინებული თვალები, მერე ვახტანგი გაიცნო და სავარძელში მოწყვეტით დაეშვა. სახის ზაფრანისფერი ელექტრონათურის სიახლოვით უფრო მკვეთრი მოუჩანდა. უზომოდ მოღლილი იყო, მაგრამ თვალებში სიხარულის სხივი ენთო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის მუშაობით გაიტანჯა, არ შეეძლო ქმრისათვის დაუყოვნებლივ არ გაემხილა, რაც გულში ჰქონდა. და მან წამოიწყო ბერიოზკაში გამგზავრების ამბავი. შემდეგ კარგახანს ჰყვებოდა, თუ როგორ გადაარჩინა ის მძიმე ავადმყოფი.

ბორისი ვალიას გვერდით იდგა და თვალებში ჩაჰყურებდა.

შებენჩუკის წეღანდელი ტკბილ-მწარე განცდა, ცოლის სიყვარულით გამოწვეული დარდი და ახლანდელი მისი სიამაყე, სასოებით გამოხედვა, რაღაც უჩვეულო გრძნობას აღვივებდა ვახტანგის გულში და ახლა უფრო მძაფრად გრძნობდა ტკბილი ოჯახის სითბოს.

შებენჩუკების ბინაში მამლის პირველ ყივილამდე არ ჩამქრალა სინათლე.

## თავი მეოთხე

### 1

ოქროყანის ავტობუსი გორიდან დღის ორ საათზე უნდა გასულიყო. მოსკოვის მატარებელი კი ადრე ჩამოვიდა და ვახტანგმა გადაწყვიტა, რომელიმე სხვა მანქანას გაჰყოლოდა საკონტროლო პუნქტიდან. საქალაქო ავტობუსით ქალაქის თავში გავიდა, შემდეგ ცოტა მანძილი ფეხით გაიარა და ორი ფერით აჭრელებულ ბერას მიუახლოვდა.

გზას გადახრუკული გორაკი მოსდევდა, მეორე მხრით ტინის მთას ლიახვი გზასთან სულ ახლოს გამოუგდია და ეს ადგილი ქალაქის დიდ კარიჰჭეს წარმოადგენდა ტირიფონის უზარმაზარ ველისკენ გამავალს.

ქრის და ქრის მაცოცხლებელი გრილი ნიავი ტირიფონის ველიდან, თითქოს შორეული მთები, კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები აგზავნიდნენ სიგრილეს, სიცხით რომ არ შეწუხებულიყო ქალაქი.

ბერასთან ცოტა შელმართი იყო ქალაქის მხრიდან. აღმართზე გაჭირვებით ამობობღდა საზღვარგარეთული სისტემის ძველი მანქანა და სწორ გზაზე ძლივს მოითქვა სული. მისი მოტორი ჩაიდანივით თუხთუხებდა, ფრთები და რადიატორის ხუფი რიგიანად ვერ იყო დამაგრებული, ინჯღრეოდა, თუნუქის ხმა უფრო იქცევდა ყურადღებას, ვიდრე მოტორის უწესრიგო მუშაობა.

ბერადან ავტოინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გამოვიდა. იგი ვახტანგის ნაცნობი გამოდგა. უფროსმა ლეიტენანტმა გამოსვლისთანავე ჩამოართვა ხელი კავთიაშვილს და მერე საკონტროლო პუნქტს მიახლოვებულ მანქანის პატრონს შეუკურთხა.

— რა გულმოსული ხარ, ლევან? ვისია ეგ მანქანა? — შეეკითხა ვახტანგი.

— თქვენებურია, — ფარნა თირიაშვილისა. რამდენჯერ დავუშალე, ეგ მაინც ჩამოარახრახებს ხოლმე მაგ ტიალ მანქანას! ნომერიც კი არ აქვს.

— შენი ჭირიმე, ლევან, ახლა ხმას ნუ გასცემ, ეგებ სოფელში წამიყვანოს!

— სხვა უკეთეს მანქანაზე დაგსვამ და გაგისტუმრებ, რაღა მაგითი უნდა დაიმტვრიო გვერდები.

— არა, გზაში გავერთობი, ფარნას ამბავი ხომ იცი.

— ყველაფერი უცნაური აქვს, მაგ ყბედს, მაგას.

ფარნა თირიაშვილმა თავისი მანქანა ბერასთან გააჩერა ვახტანგს მიესალმა და მერე ფერდაკარგულმა ავტოინსპექტორს უსიტყვოდ შეხედა.

ცოტახნის შემდეგ ხიფათს გადარჩენილი ფარნა მხიარულად „მიაქროლებდა“ თავის „ოპელს“. ვახტანგს უმადლოდა:

— შენ რომ არ ყოფილიყავი, ჩემი „ოპელი“ პეპელასავით გამიფრინდებოდა ხელიდან. ბევრჯერ დაუძვერი უფროს ლეიტენანტს, ერთხელ მაგრა დამეუქრა. ახლა ცხრა საათია, დღეს ადრე გამოსულა... სხვა, ისე როგორ ხარ, ვახტანგ? გეტყობა, კარგად დაისვენე, არა? გაშავებულხარ. მე კი ტირიფონის არხის წყალში ვბანაობ ელსადგურთან და ისე ვიხრუკები მზეზე, აი ნახე, ცხვი-

რიდან უკვე მძვრება კანი. ერთხელ ისე მაგრა დავიწვი, რომ სამი ქილა მაწონი არ მეყო გასაგრილებლად, აბა ეს რა კურორტია! ზღვაზე მზე კარგია, არა?

ფარნა აუარებელ შეკითხვას აძლევდა ვახტანგს.

— სად იშოვე, ბიჭო, ეს მანქანა? სხვა უკეთესი ვერ გამონახე? — ჰკითხა ბოლოს ვახტანგმა.

— იმ ფასად, რაც მე ამაში მივეცი, ურიკელას ვერ იყიდიდა კაცი. მამაჩემმა ამაზედაც ერთი ამბავი დამაყენა, რად გინდოდაო. იმან რა იცის, რა მატარებს. ტარება ისე არ მეხალისება, როგორც მანქანის აწყობა და დაშლა. რა ვუყოთ, რომ კვირაში ხუთი დღე სულ რემონტში მყავს მანქანა! თითო ხრახნის მოჭერით ათი წლის სიცოცხლე ერთბაშად მემატება.

ჭორფლიანი, ქერა ფარნა ორივე ხელით ისე ჩასჭიდებოდა საჭეს, გეგონებოდათ, ხელი რომ ოდნავ გაუშვას, სულ ერთიანად დაიშლებოდა ისედაც უწესრიგოდ დაწყობილი „ოპელი“.

კარგახანს მიდიოდნენ, გორის მიდამოს ძლივს გასცდნენ. ოქროყანამდე კიდევ რამდენი გზაა!

ლაპარაკით არ იღლებოდა ფარნა. თუხთუხებდა „ოპელი“, ქაქანებდა მისი შოფერი. რა არ უამბო ვახტანგს. ელსადგურის გახსნიდან დაიწყო (ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამბავი იყო), ირაკლი ჯავახიშვილის ჩამოსვლის ამბავიც მოახსენა. სოფელში თუკი რამ მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო მოხდა იმ ხნის განმავლობაში, რაც ვახტანგი წასული იყო, სულ ჩამოკენჭა. განგებ ბოლოში მოიტოვა იასონისა და მარადოს ჩხუბის ამბავი. ვახტანგი შეძრწუნდა, აღშფოთდა, როცა გაიგო ბიძის უმსგავსო საქციელი იაკობის მიმართ. ახლა კი ინანა, ფარნას მანქანას რომ გამოყვა, უნდოდა, რაც შეიძლება მალე მისულიყო შინ, დედასთან, რომ გვერდში ამოსდგომოდა მას, დაემშვიდებინა, გული გაემაგრებინა.

გზაში ბევრი მანქანა წამოეწია „ოპელს“. მგზავრები დაცინვით უძახოდნენ ფარნას:

— დაიცა, ხარებს გამოგიგზავნით.

ერთმა ლაზღანდარა შოფერმა ბუქსირი შესთავაზა.

შორს, ჩრდილოეთით, მწვანეში ჩაფლული ოქროყანა გამოჩნდა.

## 2.

მარადოს გადაწყვეტილი ჰქონდა, ვახტანგისათვის არ ეგრძნობინებინა გუშინდელი უსიამოვნება, მაგრამ ჭიშკართან შეეგება თუ არა შვილს, არ ეპიტნავა ფარნას დანახვა. მარადოსათვის უკვე ცხადი იყო, რომ ვახტანგმა ყველაფერი იცოდა.

მარადოს შუბლი გაეხსნა შვილის დაბრუნებით.

— ნეტავ გუშინ აქ ვყოფილიყავ! შეარჩევს ხოლმე დროს. —თქვა ვახტანგმა და ოთახი მიმოათვალიერა.

ხალიჩა ჯერ კიდევ არ ჩამოეკიდათ. გრაფინიც არ იდგა თავის ადგილზე. ფანჯარასთან ფეხმომტვრეული სკამი ეგდო. სულ ორი სკამი აკლია ოთახს. ეს კიდევ არაფერი, მარადოს და გაბრიელს დარდით დაშანთული გული აქვთ, მათ თვალებში ჯერ კიდევ არ გამქრალა მწუხარება. რასაკვირველია, არავისთვის არ არის სასიამოვნო ახლობელი ადამიანის სიძულვილი, გული სწყდებათ, რომ იგი ცუდია და მთელი არსებით განიცდიან ამას. იასონის ბედზე, წუხან, რომ

იგი ყველაფრით დაშორდა მათ. იასონი მზად არის სასიკვდილოდაც კი გაიმეტოს მამა და და, ოღონდაც თვითონ შეისრულოს პირადი ზრახვა, მზად არის ღვინოში და ქეიფში ჩაკლას, ჩაახშოს ყველაფერი, რაც კი გააჩნია და რასაც მომავალში იშოვნის, მზად არის დის ოჯახი დაანგრიოს.

დუმილი იდგა ერთ ხანს. გაბრიელმა ღრმად ამოიოხრა და მარანში ღვინის ამოსაღებად გავიდა.

როცა შინ მარტო დარჩნენ, ვახტანგმა ვასილ შულგინისგან მოკითხვა გადასცა დედას.

მარადომ შვილს გაკვირვებით შეხედა.

— შენ სად ნახე შულგინი? ვნუკოვოში იყავი? რატომ არ შემატყობინე, თუ წასვლას აპირებდი?

— მოხდა ისე, რომ ვერ შეგატყობინე, დედა. მამის საფლავი ვნახე. კარგად უვლიან ვნუკოველები, ზედ ცოცხალი ყვავილებია დარგული.

— მაშინაც ასე იყო. კეთილი ხალხი ასეთ ადამიანს მუდამ პატივს სცემს.

მარადოს თვალში ცრემლი აციაგდა. ვახტანგმა უმალ სხვა რამ გაიხსენა:

— ვასილ შულგინმა იაკობთან წერილი გამომატანა.

— რა წერილი?! შულგინს საიდან იცნობს იაკობი?

— არ იცნობს და სწორედ ამიტომ წერს, რომ გაცნობა უნდა. მე ძალიან მომეწონა ვასილ ვასილიჩი.

—გულკეთილი და საქმის კაცია. მის ოჯახში იყავი?

— არა, მე სხვაგან გავათიე ღამე. სადგურიდან რომ სოფლისაკენ მივდიოდი გზაში ვნუკოვოს აგრონომი წამომეწია, ბორის შებენჩუკი. ცოლი ჰყავს. ორივე კარგები არიან, მათ მალე შვილი ეყოლებათ და უფრო ბედნიერები იქნებიან.

— შენც ბედნიერი იქნები, შვილო. აბა შემომხედე თვალებში, გულისსწორად არავინ დაგიგულებია?

— არ ვიცი, დედა.

3.

ვახტანგმა დოლიაშვილის ჭიშკარი შეაღო. ძაღლმა შეჰყეფა, მაგრამ უმალ შეიცნო და კუდის ქიცინით მიეგება.

ნანიმ სწრაფად ჩამოირბინა კიბე და პეპელასავით პირდაპირ ვახტანგისაკენ გამოფრინდა კისერზე მოეჭდო და მხურვალედ აკოცა.

ის პატარა ნანი, რომელსაც ომის დროს ძმასავით მფარველობდა და შემდეგაც ალერსს არ აკლებდა, ეგონა, მუდამ ამ გრძნობით იქნებოდა მასთან დაკავშირებული, მაგრამ ახლა კვლავინდებურად აღარ დაემორჩილა გული და ნანის შეხვედრისთანავე საოცარი მღელვარებით აძგერდა იგი.

„ახლა კი ვფიქრობ ოჯახურ ბედნიერებაზე“, — გაუელვა თავში ამ სიტყვებმა რომლებიც ბედნიერების მთელი წყურვილით უთხრა შებენჩუკს ვნუკოვოში.

„შენც ბედნიერი იქნები, შვილო. აბა შემომხედე თვალებში, გულისსწორად არავინ დაგიგულებია?“

და ვახტანგმა სასოებით ჩახედა ნანის თვალებში. ქალიშვილმა კი არაფერი იცოდა, თუ რა გრძნობა დაიბადა ვაჟის გულში.

— იცი, როგორ მომენატრე, პატივცემულო მასწავლებელო? — ნანი მოელი ხმით კისკისებდა, ხელს უჭერდა ვახტანგს და სახლისაკენ მიჰყავდა.

კაკლის ხისქვეშ სკამზე ჩამოსხდნენ. ორივეს უხაროდა, ბავშვურად უხაროდათ ერთმანეთთან ყოფნა.

ნანი უცბად არ შეჰყვარებია ვახტანგს. წლების განმავლობაში ღვივდებოდა სამუდამო ბედნიერების თესლი და აი, დადგა დრო, როცა ეს თესლი გაღვივდა, აღმოცენდა და სურნელოვანი ყვავილიც გაიშალა.

„იცი, როგორ მომენატრე, პატივცემულო მასწავლებელო?“

— მეც, მეც ძალიან მომენატრე, ნანი!

— ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დაგიძახო „პატივცემულო მასწავლებელო“, შენთან სხვანაირად ვარ შეჩვეული, ვახტანგ, ვახო.. და უცებ — „პატივცემულო მასწავლებელო“.

— ორიანს რომ დაგიწერ, მაშინ დამიძახებ, როგორც წესია, — გაუღიმა ვახტანგმა.

— ეგ არასოდეს არ მოხდება! — წამოიძახა ნანიმ, — სკოლაში სხვების დასანახავად მოგერიდები. „პატივცემულ მასწავლებელსაც“ დაგიძახებ. თუ გინდა, სულ მცირედ რამეზე კუთხეშიც დამაყენე.

კვლავ იცინიან და ერთმანეთისათვის ჯერ უთქმელი გრძნობით ორივე უზომოდ ბედნიერად გრძნობდა თავს.

სანამ საშუალო სკოლას არ დაამთავრებს ნანი, ვახტანგს არ შეუძლია, ოდნავ მაინც აგრძნობინოს რამე, შემდეგ კი, შემდეგ შეიძლება.

ვახტანგმა უთხრა ნანის, რომ რუსეთიდან მამაშენის სახელზე წერილი მაქვსო, შემდეგ მოკლედ მოუთხრო ვნუკოვოზე.

— დღესვე გამოვამჟღავნებ სურათებს და გაჩვენებ, რა კარგი სოფელია, რა კარგი ხალხი ცხოვრობს იქ.

უჩემოდ არ გამოამჟღავნო, მეც შენთან ვიქნები.

— ახლა კანტორაში წამოხვალ? წერილი ჩავიტანოთ და მერე პავლე მასწავლებელი მინდა ვნახო. როგორ არის? ავადმყოფობა ხომ არ გაურთულდა?

— ხანდახან აქვს გულის შეტევები. ხშირად გკითხულობს, სულ შენს ქებაშია, ჩვენს მოწაფეებს უკვე უყვარხარ. წავიდეთ, ვნახოთ. გაუხარდება.

ისინი ეზოდან გავიდნენ და კანტორისაკენ გასწიეს. ათასგვარი მგალობელი ჩიტი მოსდებოდა ბაღებს. ორღობეზე მაღალი, ფოთლოვანი თაღი იყო, სადაც მზის სხივი ვერ ატანდა.

ნანის კარგი ხმა ჰქონდა და ახლა ჩიტების სტვენით მოხიბლულმა სიმღერა წამოიწყო. ქალიშვილს არ უნდოდა სხვის მიერ შეთხზული ჰანგისათვის სხვისი სასიმღერო ლექსი შეეწყო. ბავშვივით აღტაცებული ამბობდა იმას, რაც ენაზე მოადგებოდა.

ნანის გულუბრყვილობა ვახტანგსაც ახარებდა. მალე იგიც აჰყვა ქალიშვილს და ასე მხიარულად მიდიოდნენ ისინი ბუნების წიაღში, მშვიდსა და ნათელ დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

— აბა მომეცი ეგ წერილი, საინტერესოა, რას იწერება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში საწერ მაგიდასთან თავშეხვეული იაკობი იჯდა. მეორე წითელმაუდიან მაგიდასთან ისხდნენ: ესტატე, ირაკლი, კოლმეურნეობის აგრონომი შიო ბაკურაძე და ბუხჰალტერი ამბაკო. ვახტანგი და ნანი ფანჯარასთან იდგნენ.

ყველა იქ მყოფი, თვით ვახტანგიც კი, დიდი ინტერესით მოელოდა შულგინის ბარათის შინაარსს.

იაკობმა კონვერტი გახსნა, ქაღალდს დახედა და მერე ესტატეს მიაწოდა. ესტატემ იაკობზე უკეთ იცოდა რუსული. თავმჯდომარე ხუთი წლის განმავლობაში სულ რუსებთან იყო, მაგრამ ისე ვერ შეისწავლა მათი ენა, რომ ხელნაწერი თავისუფლად წაეკითხა. რუსული საუბარში ემარჯვებოდა.

— წაიკითხე ერთი, — მიმართა მან ესტატეს, — ცოტა ნელა, რომ ყველამ გაიგოს.

— საინტერესოა, — თქვა ესტატემ, უბის ჯიბიდან სათვალე ამოიღო.

ბარათი ორგვერდიანი იყო. ესტატეს უნდოდა, ისე თავისუფლად წაეკითხა, როგორც საერთოდ ნაბეჭდს კითხულობდა, მაგრამ პირველივე სტრიქონში გაუჭირდა შულგინის გაკრული ხელის გარჩევა.

— „ძვირფასო უცნობო, ამხანაგო თავმჯდომარეო! — ჩამარცვლა პარტბიუროს მდივანმა, — მე თქვენი თანასოფლელის მეშვეობით გავიგე, რომ სათავეში უდგახართ პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობას. მე პირადად და ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობა, დაინტერესებული ვართ იმ კოლმეურნეობების საქმიანობით, რომლებიც პირველი მაისის სახელს ატარებენ...“

— სხვა საქმე არაფერი აქვს? შეხედე: სხვისი საქმე აინტერესებს! — თავი წამოსწია ესტატემ. ეტყობოდა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, იაკობმა სიტყვა შეაწყვეტინა.

— განაგრძე! — უთხრა ცივად.

„...გადავწყვიტე, გამოგეცნაუროთ, გაგაცნოთ ჩვენი კოლმეურნეობა.“

ესტატემ ჩაიცინა.

— ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები ერთმანეთს რიგიანად არც კი იცნობენ. მიდი და ახლა ვიღაც ვასილ შულგინს აბარე ანგარიში სამი ათას კილომეტრზე, რა გავაკეთეთ და რა არ გავაკეთეთ.

— ბოლოში რასა სწერს, საინტერესოა, — იხუმრა ბუხჰალტერმა.

— მერე, — იაკობი წელში გაიმართა და გადახედა ვახტანგს, რომელსაც ესტატეს ნათქვამი არ ესიამოვნა და შუბლი შეკრული ჰქონდა.

ესტატემ კითხვა განაგრძო.

შულგინი უცნობ თავმჯდომარეს მოუთხრობდა ვნუკოვოს კოლმეურნეობის წარმატებას.

— მაგ დალოცვილებს ყველაფერი ჰქონიათ, — წამოიძახა ბუხჰალტერმა.

— მოსკოვი ახლოა და იმიტომ. ექნებათ, მაშ!

— მოსკოვი რა შუაშია?! — ვახტანგი წინ წამოდგა, — მე ვიცი, რომ თავიანთ სოფელში ყველაფერი თვითონ ვნუკოველებმა გააკეთეს თავიანთი შრომით, თავიანთი მაღალი კომუნისტური შეგნებით.

— როგორ, რა, რაკი აგროქიმიური ლაბორატორია და ელექტრომანქანები დღემდე არა გვქონია, კომუნისტურ შეგნებას მოკლებულნი ვართ? —

ესტატემ სათვალეებს ზემოდან ახედა ვახტანგს, — შეგნება არაფერ შუაშია. საქმე ისაა, სად როგორი პირობებია განვითარებისათვის. ჩვენი მიწა ვერ შეედრება რუსეთის მიწას. მოსკოვის სიახლოვე ყველაფერს ნიშნავს. ძანქანები, მოწყობილობები, სპეციალისტები, ყველაფერი ახლოსაა.

— მერე ილაპარაკეთ, რა დაგემართათ?! წერილი წაიკითხე, — შეაწყვეტინა იაკობმა. იგი სანახევროდ ფიქრში იყო წასული. ამას მეტყველებდნენ მისი მოღლილი თვალები.

„როგორც ხედავთ, ჩვენი კოლმეურნეობა საკმაოდ ძლიერია. იმედი მაქვს, რომ თქვენი კოლმეურნეობაც ძლიერია“, — წერდა შულგინი.

— ახირებული კაცი ყოფილა, — გულგრილად შენიშნა კვლავ ესტატემ.

დასასრულ ვასილ შულგინი პირდებოდა ოქროყანის თავმჯდომარეს, რომ ჩვენი კავშირის ბევრ მილიონერ კოლმეურნეობას გაგაცნობთო. ამავე დროს, ეტყობინებოდა, რომ ვნუკოვო მუდამ მზად იქნება, ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ოქროყანის „პირველ მაისს“, თუკი ეს საჭირო იქნებაო. ვასილ შულგინი სწერდა დოლიაშვილს, რომ ვნუკოვო ხილით ღარიბია. რუსმა თავმჯდომარემ კი იცის, რომ გორის რაიონში მაღალხარისხოვანი ვაშლი, ატამი და სხვა მრავალი ხილი მოდის. შულგინი სთხოვდა: ოქროყანას ამ მხრივ გაეწია დახმარება ვნუკოველებისათვის, თავის მხრივ კი ვნუკოველები ბევრ რამეს პირდებოდნენ ოქროყანელებს.

წერილის წაკითხვის შემდეგ ერთხანს დუმილი იდგა. თავისთვის ყველა შულგინის ბარათზე ფიქრობდა.

დაბოლოს იაკობმა თქვა:

— ამხანაგებო, საჭიროა დღესვე მივწეროთ პასუხი ვნუკოველებს.

— შიგ რას ჩასწერ? — იაკობს ესტატეს თვალები მიაცივდნენ.

— ეს თქვენი საქმეა, ამხანაგო ესტატე, დღესვე საერთო კრებაზე წავიკითხოთ ეს წერილი, ვნახოთ ხალხი რას იტყვის. მე დარწმუნებული ვარ ყველა სიხარულით შეხვდება ჩვენი რუსი ამხანაგის გამომცნაურებას. კოლექტიურ წერილს მივწერთ, რომ ჩვენებურ ხეხილის ნერგებს არ მოვაკლებთ, პირდაპირ მივწერთ, რომ ჩვენ მათ ბევრ რამეში ჩამოვრჩებით და სულ მალე...

იაკობმა ირაკლის შეხედა. ახალგაზრდა მეცნიერი აგზნებულ თვალებში უყურებდა და გრძნობდა, რამდენი ცეცხლი შეუნთო თავმჯდომარეს შულგინის გულწრფელმა ბარათმა.

## თავი მეხუთე

### 1.

საღამომდე მთელმა სოფელმა გაიგო შულგინის წერილის შინაარსი. კოლმეურნეები, სადაც კი იყვნენ — მინდორში, ვენახში, ბაღში, თუ ბოსტანში, ყველა ამ წერილზე ლაპარაკობდა.

— ეგრე მოუწერია: ჰექტარზე ოცდაათი ცენტნერი ხორბალი მოგვყავსო, აბა თქვენ რა მდგომარეობა გაქვთ, მოგვწერეთო.

— ჩვენ ისეთი ლაბორატორია გვაქვსო, კაცს ინსტიტუტი ეგონებაო.

— ახლა სასტუმროს ვაშენებთო.

— მარადოს ვახტანგს იმ სოფლის სურათები ჩამოუტანია.

— ხილი არა გვაქვსო, ჩვენს თავმჯდომარეს სთხოვს თქვენ ხეხილის ნერგებით დამეხმარეთ და დანარჩენი მე ვიცი.

— ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი პირიო. ჩვენ ნერგებს გავუგზავნით, ის მართლაც სხვა რამით დაგვეხმარება და ამით ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ხალხი უფრო ძლიერი იქნება.

— იმ კაცს მართლა კარგი საქმე მოუფიქრებია, მე და ჩემმა გამჩენმა.

— რაო, ჩვენი თავკაცები რას ამბობენ?

— ამალამ კრება დაუნიშნავთ, ხალხს იმ წერილს წაუკითხავენ, ხალხი რასაც იტყვის, იმას მისწერენ.

— იქიდან რა, ხალხი იწერება?

— არა, მარტო თავმჯდომარეს მოუწერია.

— კოლექტივს არ ეკითხება?

— რას ლაპარაკობ, იმ კაცს ერთი და ორი წერილი კი არ დაუწერია კოლექტივის სახელით. ალბათ ერთხელ მოიწონა ხალხმა და აი, თავის თავკაცს ენდობა კიდეც. კარგ საქმეს ვინ არ მოუწონებს. ერთმანეთს დავეხმაროთ, ერთმანეთის მეგობრობა და ძმობა გვქონდესო, ერთმანეთის ავი და კარგი გავიგოთო.

— თავი მართლა გვექნება მოსაჭრელი, თუ ასეთ ხალხთან შევრცხვით.

— ბევრი რამ გვჭირდება, ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. ლაბორატორიაც გვინდა და ელექტრომანქანებიც. ხეხილს რიგიანად უნდა მივხედოთ, ახალ-ახალი გამძლე ჯიშები უნდა გამოვიყვანოთ.

— დღედაღამ მოსკოვს ვუგდებთ ყურს, მას შევცქერით იმედის თვალით, ჩვენი აწმყო და მომავალი მისით გვწამს, მისით გვიხარია. ჩვენი სამშობლოს გული კარგად მუშაობს, ჩვენ კი დღემდე რიგიანად ვერ ავყოლივართ.

## 2

თათბირის შემდეგ ესტატე კარგარეთელი კოლმეურნეობის საწყობში ჩავიდა.

— რაო, ესტატე, ის რა წერილი მოსულა რუსეთიდან? — ჰკითხა საწყობის გამგემ, ჩაკურატებულმა თედომ, რომელსაც ლურჯი სატინის გვერდზე ჩახსნილი ხალათი ეცვა.

— რაო და, ხეხილი არა გვაქვსო, ნერგები გამოგვიგზავნეთო, ხილი გამოგვიგზავნეთო.

— გაუგზავნოთ, მერე რა... წავუღოთ. ერთხელ და ორჯერ ჩაგვიტანია ხილი? შარშან, არ გახსოვს, ორი ვაგონი ვაშლი, კილო ოცდაათ მანეთად გავყიდე... რუსეთში კარგად ფასობს... წავიღოთ, რა გენაღვლება! სახლები რომ წამოვჭიმეთ, ახლა შიგ გვინდა რამე-რუმე, ძმაო...

— შენ რომ ფიქრობ, ეგრე არ არის, — უთხრა ესტატემ და სკამზე ჩამოჯდა.

— სამაგიეროდ, მეგობრობას, ძმობას გვთავაზობენ, არა?

— ასე გამოდის... იაკობი ველარ ისვენებს, დღესვე კრება დანიშნა. წერილს წავიკითხავთ და საპასუხოდ კოლექტიურ წერილს დავწერთ.

თედო წამით ჩაფიქრდა, ხორბლით სავსე ყუთს ხუფი დაახურა და ესტატეს წინ გაჩერდა.

— ხო, მაგრამ, ჩვენ ხილს ჩვენვე დავუკარგოთ ფასი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას იზამ! გულს ნუ გაიტეხ... შენს საქმეს ყოველთვის იშოვი, კიდევ რამე გამოჩნდება. ჩვენ ყოჩაღად ვიყოთ და... ახლა, ყური მიგდე, რისთვის მოვედი.

— გისმენ, ესტატე.

— ამაღამ კრებაზე სიტყვაში უნდა გამოხვიდე. აჰა, დაწერილი მაქვს და წაიკითხე. შენ რომ იცი, ისეთი რიხით თქვი.

ესტატემ ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, თედოს გადასცა და მაშინვე საწყობიდან გამოვიდა. იქ დიდხანს არ ჩერდებოდა ხოლმე. ფრთხილობდა: სოფელში ათასი თვალი იყო!

3.

ვახტანგს დღეს საღამოსთვის უნდა მოესწრო სურათების გამომჟღავნება და დაბეჭდვა, მისი აზრით, სხვა დროს ისეთი საინტერესო აღარ იქნებოდა, კოლმეურნეებისათვის სურათების ჩვენება, როგორც ამ საღამოს შულგინის ბარათის წაკითხვისას, კრებაზე.

საღამომდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, მაგრამ სამუშაოც ბევრი ჰქონდა. შინ ფოტოლენტების გამოსამჟღავნებლად კუთხე უნდა მოეწყო. ამისათვის ყველაზე კარგ ადგილად ძველი მარანი მიაჩნდა, სადაც ორი მომცრო ქვევრი ჰქონდათ ჩადგმული და კარგადაც ბნელოდა. საჭირო იყო მარანში ელექტროენის გაყვანა. ნანიმ უთხრა, რომ ყველაფერში მოეხმარებოდა, ოღონდაც საღამოს, კრებაზე, სულ თუ არა, სურათების ნაწილი მაინც მიეტანათ, ის სურათები, სადაც უფრო კარგად ჩანდნენ ვნუკოველები.

გორის პედინსტიტუტში ყოფნისას ვახტანგი ამხანაგის ფოტოაპარატით ხშირად იღებდა სურათებს და მისივე ფოტოლაბორატორიაში კარგ სურათებს ამჟღავნებდა. როგორც კი საგზური მიიღო, სოჭის სანატორიუმში წასასვლელად, ვახტანგმა იყიდა „ზორკი", ბლომად მოიმარაგა ფოტოლენტები. გამოსამჟღავნებელი ხელსაწყოები. გამადიდებელი აპარატი მოსკოვში იყიდა.

ვახტანგი და ნანი სწრაფად წამოვიდნენ კანტორიდან. ვახტანგს არ შეეძლო დღესვე არ ენახა პავლე მასწავლებელი.

მოხუცი შუშაბანდში იწვა. ყველა ფანჯარა ღია იყო. ხეხილის ტოტი მწოლიარის თავზევით ქანაობდა.

როცა ვახტანგი და ნანი პავლეს მეუღლის თანხლებით ფეხაკრეფით შევიდნენ შუშაბანდში (პავლე დაძინებული ეგონა მეუღლეს), მოხუცი ტოტზე შეფრენილ ჩიტს ელაპარაკებოდა:

— რა კარგა ჭიკჭიკებ, კარგო გულთეთრა. მაპატიე, რომ ასე გეძახი, ჩემო ჩიტუნავ. იქნებ სხვებმა უფრო კარგი სახელი შეგარქვეს? არ ვიცი, დღემდე არ ვიცი შენი სახელი. ხედავ, დავასრულე ჩემი სიცოცხლე და დღემდე შენი სახელი არ ვიცი... შეიძლება ბევრი, ძალიან ბევრი რამ არ ვიცი, ბევრი რამ არ გამიკეთებია... შენ ხშირი სტუმარი ხარ ჩემი, გულთეთრა... იჭიკჭიკე, კარგო...

ჭიკ, ჭიკ, ჭიკ ჭიკ.

ჩაიჭიკჭიკა ჩიტმა და მოხუცს ბავშვივით გაუხარდა მისი ჭიკჭიკი, ფრინველმა თითქოს თანხმობა უთხრა, რაც გინდა, ის დამიძახეო.

— კარგია სიცოცხლე, გულთეთრავ... მეც შენსავით დავხტოდი, ვჭიკჭიკებდი, ყველაფერი მიხაროდა... მაგრამ მოვიდა ავადმყოფობა და აი, ხედავ...

ვწევარ და მარტო ვსუნთქავ... ახლა უფრო მწყურია სიცოცხლე, გულთეთრავ... ხშირად მოდი ხოლმე და ასე იჭიკჭიკე, იჭიკჭიკე, იმღერე სიცოცხლეზე. ძვირფასო გულთეთრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიკ, ჭიკ, ჭიკ.

ჩიტი გაფრინდა.

სარკმელთან ტოტი დაირხა.

პავლემ თვალი გააყოლა ფრინველს, სინანულით თქვა:

— ასე გაფრინდება სიცოცხლე.

მერე თვალები მოხუჭა და საფეთქლები შეუთრთოლდა.

ძვირფასი ადამიანი იყო პავლე, პირველივე დღიდან სიყვარული დაიმსახურა ოქროყანის სკოლაში, ასეთი იყო ოცდაათი წლის განმავლობაში, მთელი თავისი ადამიანობით, კეთილი ბუნებით, საქმიანობით მოწოდებული იყო ადამიანის აღზრდისათვის. მას არ ჰყავდა საკუთარი შვილი, საკუთარ შვილს ვერ გაუწია მამობა, სამაგიეროდ, აღმზრდელი მამის კეთილი გრძნობა მრავალ ათეულ ბავშვს შეალია და ასე დაბერდა, ასე დაეცა იგი ერთხელ შუა გაკვეთილზე მეთერთმეტე კლასში და მის შემდეგ მიეკედლა საწოლს.

ერთხელ, როცა მომჯობინდა და საწოლზე წამოჯდომა მოახერხა, რაიონის განათლების განყოფილების გამგეს მისწერა, რომ ახალგაზრდა პედაგოგი ვახტანგ კავთიაშვილი მის მაგივრად დაენიშნათ ოქროყანის სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

მისი შუშაბანდი ყოვლდღე სტუმრებითაა სავსე. განუწყვეტელ ნაკადად მოდიან და მოდიან მოსწავლეები.

ვახტანგს არასოდეს არ დაავიწყდება ის დღე, როცა განათლების განყოფილების გამგემ ოქროყანაში გამოისტუმრა. პირდაპირ პავლესთან მივიდა და მთელი საათი უსმენდა მოხუცს. პავლეს უჭირდა ლაპარაკი, მას კი ბევრის თქმა უნდოდა ახალგაზრდა პედაგოგისათვის.

პავლე წლების განმავლობაში მრავალათეულ ადამიანს ასწავლიდა. განსაკუთრებით სიხარულს გრძნობდა იგი მაშინ, როდესაც მეთერთმეტეკლასელები გამოსაშვებ გამოცდებს ამთავრებდნენ. ამ დროს, ისტუმრებდა რა სკოლიდან ახალგაზრდებს, თვალს ავლებდა მათ და თავის განვლილ მუშაობას აჯამებდა. იგი ყოველთვის ფაქიზად ეჭცეოდა თვითეულ მოზარდს და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, მოუმწიფებელ ხასიათს შესაფერისად უდგებოდა. პავლეს იმდენი ენერგია გააჩნდა, რომ ორას-სამაც მოზარდს უწყობდა ხასიათს ეს იოლი საქმე არ იყო. ხშირად უხდებოდა ნერვების დაძაბვა, დიდი ენერგიის ხარჯვა, მოთმინებით იტანდა მარცხს.

წელს მეთერთმეტე კლასს ბოლომდე ვერ მიჰყვა.

აგერ ჩიტთან ლაპარაკიც კი ვერ შეძლო დიდხანს.

— გულთეთრა გაფრინდა. სამაგიეროდ, სხვა ჩიტები მოფრინდნენ შენთან, პავლე.

მეუღლეს სიტყვებმა პავლე წამიერ ფიქრიდან გამოარკვიეს. თვალები გაახილა და აღტაცებით წამოიძახა:

— აი, სიხარული! მოდით, ორივეს გაკოცოთ, ჩემო კარგებო!

ვახტანგი დაიხარა და აკოცა. ასევე მოიქცა ნანიც. იგი ყოველთვის კოცნიდა მოხუცს, როცა სანახავად მივიდოდა.

ახალგაზრდები იქვე, საწოლთან, ჩამოსხდნენ. ის ჩიტიც ჩამოჯდა იმავე ტოტზე.

— რაღაც უნდა მითხრას და ვერ მოუხერხებია გულთეთრას. წადი, გულთეთრა, გაინავარდე. ახლა ჩემს გვრიტებს დავუგდებ ყურს.

ჭიკ, ჭიკ, ჭიკ.

გულთეთრა არ მიფრინავს, იქვე ფართქალებს და უხარია სიცოცხლე.

ვახტანგის ნაამბობიდან ისე არაფერს არ გაუხარებია მოხუცი, როგორც შულგინის ბარათს.

— იბრძოლეთ, იშრომეთ, გიყვარდეთ ერთმანეთი! — წამოიძახა მოხუცმა და შორეულ სივრცეს გახედა.

— წადით, ჩემო გვრიტებო, გაამზადეთ სურათები, ხალხს აჩვენეთ, რაც კარგია, ისწავლეთ და სხვებსაც ასწავლეთ რიგიანი ცხოვრების მოწყობა. კეთილი გზა გქონდეთ, გამარჯვებას გისურვებთ.

ვახტანგი და ნანი წავიდნენ.

კვლავ საამოდ ჭიკჭიკებდა გულთეთრა.

## 4.

ნანის და ვახტანგს გაბრიელიც მიეხმარა. მარადო სადილს ამზადებდა და მათთვის არ ეცალა. ახალგაზრდების საქმიანობამ გაართო მოხუცი, იქ ლურსმანი მიაწოდა ვახტანგს, აქ მავთული გაჭიმა და კოჭაზე გადაახვია, მერე წვერები დანით გაუწმინდა, მარანის უსწორმასწორო იატაკზე მაგიდა გაამაგრა. ახლა დიდი ცნობისმოყვარეობით მოელოდა, რა გამოუვიდოდა ვახტანგს. გაბრიელს არასოდეს არ უყურებია, როგორ ამქღავნებენ ფოტოლენტებს, შემდეგ რას აკეთებენ ისეთს, რომ ქაღალდზე ადამიანის ზუსტი გამოხატულება გამოდის. სოფელში იყო ფოტოგრაფი, მაგრამ გაბრიელს არასოდეს არ ჰქონია საქმე მასთან. მხოლოდ ერთხელ კოლმეურნეობის კანტორაში მოწმობისათვის მოსთხოვეს სურათი, ჩავიდა ფოტოგრაფთან სკამზე დაჯდა, თავი გაისწორა, ისე როგორც ფოტოგრაფმა უთხრა, შემდეგ რაღაც დაწკარუნდა და ეს იყო და ეს. სურათები მარადომ მოუტანა საღამოს. გაბრიელს არც აინტერესებდა, როგორ გამზადდა მისი სურათი. ახლა კი, მცირე ზომის ფოტოაპარატი რომ ნახა, მერე — გამადიდებელი და გამოსამქღავნებელი მოწყობილობები, წითელშუშიანი ნათურა, ცოტა რამ კიდევაც გამოჰკითხა შვილიშვილს, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

— ეს თეორიულად, ახლა პრაქტიკულად გაჩვენებთ.

ეუბნებოდა ნანი და ასისტენტივით ვახტანგის ყოველ დავალებას ასრულებდა, წამლებს ხსნიდა წყალში, ურევდა, თეფშებში ასხამდა და მაგიდაზე აწყობდა.

დაბოლოს, სადილამდე ყველაფერი მოამზადეს, ვახტანგმა მრგვალ შავ ყუთებში გამოამქღავნა ფოტოლენტები, შემდეგ თოკზე გაფინა გასაშრობად.

სადილად დასხდნენ. გუშინდელი მწუხარება, დარდი და ვარამი გამქრალიყო მარადოს ოჯახში. მარადო ყმაწვილი ქალივით წრიალებდა, სუფრაზე ყველაფერი მისი ხელით მოდიოდა.

პაპა გაბრიელს ღვინო ყოველთვის გამოულეველი ჰქონდა. სადილობისას თითო ბოთლს მოიტანდა ხოლმე მადის გასახსნელად. რადგან კვირადღე იყო და ერთი თვით შინიდან წასული შვილიშვილი ჩამოუვიდა, დღევანდელი სადილი სადღეგრძელოების, ერთმანეთის დალოცვისა და კეთილი სურვილების გარეშე ვერ ჩაივლიდა.

გაბრიელმა პატარა სველი ხელადა ჩამოდგა სუფრაზე.

ნანისაც დაალევინეს.

— დედავ, რა მაგარი ღვინოა, თავში ამივარდა, — წამოიძახა ქალიშვილმა, როცა ჭიქა გამოსცალა. ლოყები შეუფაკლდა. ვახტანგის გულში სასოება ღვივდებოდა. მას უზომოდ ახარებდა ნანის სიახლოვე.

...მარანში წითელი სინათლე ბნელს ვერ ერეოდა.

გამადიდებელ აპარატთან სამნი დახრილიყვნენ. ვახტანგმა აპარატის ლენტი გაამაგრა. ყვითელი სინათლე ოთხკუთხედ თეთრ ქაღალდს ეცემა. შემდეგ გაურკვეველი ლაქები ეფინება ზედ. ვახტანგმა ფოკუსი გაასწორა და უკვე გარკვევით, მაგრამ შებრუნებულ ფერებში, გამოჩნდა ადამიანის სახე, საგნები.

პაპას მხედველობა ღალატობდა. სათვალითაც კი ვერ დაინახა ქაღალდზე დაფენილი ჩრდილი — სინათლით გამოხატული სურათი.

— სულ რომ გაამზადებთ, მაშინ მაჩვენეთ, — თქვა მან და მარნიდან გავიდა.

მარტონი დარჩნენ ნანი და ვახტანგი. ნანი მხარზე შეეხო ვახტანგს. მან არ იცის, რომ იქვე ახლოს, ვაჟის გვერდში ძგერს მისი სიყვარულით გამთბარი გული.

ყვითელი სინათლე ქრება, ენთება წითელი, შემდეგ ისევ ყვითელი ენთება რამდენიმე წამს და მერე კარგა ხანს ისევ წითელი ანთია. ქაღალდი წამლით სავსე თეფშში გადააქვს ვახტანგს. რამდენიმე ხნის შემდეგ წითელ ნათურასთან მიაქვს სველი პრიალა ქაღალდი, ნანი გარკვევით ხედავს უზარმაზარ ჯიშიან ძროხასთან თეთრხალათა ქალს.

— ამ სურათს რომ ვიღებდი, ფერმაში ერთი ამბავი ჰქონდათ ქალებს, ყველას ცენტრალური გაზეთის ფოტოკორესპონდენტი ვეგონე. — თქვა ვახტანგმა და სურათი გარეთ გაიტანა.

ასეთი სურათი გაზეთებში და ჟურნალებში ხშირად უნახავს ნანის, მაგრამ ახლა ის კი არ ახარებდა, რომ ზედ ჯიშიანი ძროხა და მისი მომვლელი ქალი იყო გამოხატული, არამედ ის, რომ სურათის დამზადებაში თვითონაც მიიღო მონაწილეობა და პირველად ნახა, როგორ მზადდება ფოტოსურათი.

პაპა გაბრიელი შუშაზე გასაშრობად დადებულ სურათს ერთხანს დუმილით დაჰყურებდა, მერე თავი აიღო, წელში გასწორდა და თქვა:

— ალბათ ის გამადიდებელი შუშა რომ აქვს აპარატს, იმიტომ გამოჩნდა ასეთი მოზრდილი ძროხა, — თავი გააქნია გაბრიელმა.

— აბა იმ გამადიდებელ შუშამ თუ ძროხა გაადიდა, რატომ ეს ქალი არ გაადიდა... ხომ ხედავთ, ჩვეულებრივი რუსი ქალია! — გაიცინა ნანიმ.

— ადამიანი ბევრ რამეს იგონებს. იი აპარატს ისეთი ჯადო რამ ექნება, რომ ერთს გაადიდებს, მეორეს დააპატარავებს. ძროხა გაადიდა, ქალი კი ისეთი ღატოვა, როგორიც იყო. ამ აპარატის ჯადოქრობა ისე არ მაკვირვებს, როგორც ეს ძროხა. განა რამდენს იწველის?

— წელიწადში ხუთიათას ოთხას ლიტრ რძეს იძლევა, დღეში თხუთმეტი ლიტრი მოდის.

პაპა გაბრიელმა გაკვირვებისაგან პირი დააღო.

— ჩვენმა ძროხამ გუშინ რამდენი ჩამოიწველა? — მიუბრუნდა მარადოს.

— რა ვიცი, მგონი ორი ლიტრა.

—გამარჯობა თქვენი! — დაიძახა პაპა გაბრიელმა, ქუდი მოიხადა, მერე ისევ დაიხურა. — შედით, ჯიდევ გამოიტანეთ საკვირველი რამ, — თქვა და

სურათის წინ სამფეხა დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ჩიბუხის დატენვა დაიწყო.

მარანის კარი მიიხურა.

პაპა გაბრიელი უყურებს, უყურებს რეკორდსმენი ძროხის სურათს, თავს აქნევს და ამბობს:

— დიდება შენდა, ღმერთო ერთი ასეთი ძროხები მოგვცა ოქროყანაში!

გავიდა დრო.

დაბინდდა.

მარნიდან ახალ-ახალი სურათები გამოჰქონდათ ნანის და ვახტანგს, უზარმაზარ შუშაზე აკრავდნენ. გამშრალი სურათები თავისთავად სძვრებოდა შუშას.

უამრავმა ბავშვმა მოიყარა თავი მარადოს ეზოში. პაპა გაბრიელი წესრიგს იცავდა: სამ-ოთხ ნაბიჯზე არც ერთ ონავარს არ აკარებდა სურათებს.

## თავი მეექვსე

### 1.

კოლმეურნეობის აგრონომი შიო ბაკურაძე კირიან წყალში ამოვლებულს ჰგავდა. ყველაფერი თეთრი ეცვა, — შარვალი, ტუფლები, აბრეშუმის კიტელი. ტანად ძალზე პატარა იყო. სოფლის ლაზღანდარები ამბობდნენ: შიოს კოსტუმიდან ერთი ხეირიანი ქუდი ძლივს გამოვაო. ზოგი ღობემძვრალას ეძახდა.

ამ ტანსაცმელით მხოლოდ კვირაობით გამოიპრანჭებოდა ხოლმე, დაიხურავდა ჩალის შლიაპას, კანტორას არ გაეკარებოდა, რადგან კვირაობით კანონით დასვენება ეკუთვნოდა, წავიდოდა თავის მეგობარ მასწავლებელთან და მასთან ბაღში დილიდან საღამომდე ხან გიტარას უკრავდა, ხან კარტს თამაშობდა, ხან ნარდს.

შიოს გაქათქათებული თეთრი ტანსაცმელი მზის სხივებს ისე ირეკლავდა, რომ თვალის გაჩერება ამ კაცზე მზიან დღეში ძნელი იყო.

კვირადღეს ჩვეულებისამებრ გამოეწყო შიო და მეგობრის სანახავად გასწია. მოედანზე რომ გამოვიდა, შორიდან ვიღაც უცნობ ახალგაზრდასთან თავშეხვეული იაკობი დაინახა. მათ ბოგირი გადმოიარეს და პირდაპირ მოედანზე გამოვიდნენ. ახლა ამ წუთში შიოს არ უნდოდა შეხვედროდა თავმჯდომარეს. იაკობი ისეთი კაცია, საქმე რომ არა ჰქონდეს რა, მაინც დაუძახებს კანტორაში და რაიმეს გამოუძებნის. რა დროს ეს არის! საპარიკმახეროს კარებში პარიკმახერი იდგა. შიო მას გამოელაპარაკა იმ იმედით, რომ თავმჯდომარე არ შეაწუხებდა და ისე ჩაივლიდა.

— გამარჯობა, შიო.

შიო მობრუნდა.

— გაგიმარჯოს, იაკობ! ეს რა მოგსვლია?

— თავი გამიტეხეს, — გულგრილად მიუგო აგრონომს და მერე უთხრა.

— გაიცანი!

შიომ მხოლოდ ახლა შეხედა სახეში უცნობს და შეკრთა:

— ბოდიში, მე უცებ, ვერც კი... გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით?

— არა მიშავს, კარგად ვარ, გმადლობთ, — ხელი ჩამოართვა ირაკლიმ, — შენ რა, აქ მუშაობ?

— დიახ, კოლმეურნეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ წამოდი ჩვენთან. ხედავ? აქაც არ გშორდები.

მწარედ ეჩვენა ეს სიტყვები შიოს.

— წამოდი, — უთხრა იაკობმაც, — კარგ დროს შეგვხვდი, ბიჭის გამოგზავნას ვაპირებდი შენთან.

შიო იძულებული იყო გაჰყოლოდა. ხასიათი წაუხდა, ირაკლის თვალს ვერ უჩერებდა.

შიო მესამე კურსს ამთავრებდა მაშინ, როცა ირაკლის პირველად შეხვდა. პროფესორი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ლექციებს უკითხავდა მესამეკურსელებს, გამოცდების დროს მოულოდნელად ავად გახდა. მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა და ამიტომ მესამე კურსელების საგაზაფხულო სესია დოცენტ ირაკლი ჯავახიშვილს უნდა მიეღო. პროფესორი მკაცრი გამომცდელი იყო, შიოს გაუხარდა ირაკლის მოსვლა გამოცდაზე, მით უმეტეს, სტუდენტებში ხმა დადიოდა, რომ იგი მეტად იოლად იბარებდა საგანს.

შიომ ბილეთი აიღო, დაფიქრდა, ხანდახან თვალს შეავლებდა და ათვალიერებდა უცნობ დოცენტს. მართლაც არა ჩანს იგი საშიში. წყნარი, კეთილი თვალები აქვს და მეტად ზრდილობიანია. პირველი სემესტრში პროფესორმა ჩაიბარა გამოცდა. მოხუცი სკამს არ მოშორებია, ირაკლი კი ფანჯარასთან დგას და მერხზე ჩამომსხდარ სტუდენტებს უყურებს. რამდენჯერაც აიხედავს შიო, იმდენჯერ მის თვალებს შეხვდება. უწყინარი ჩანს. ადვილად ჩააბარებს გამოცდას.

შიომ დაიწყო. ირაკლის გაბუტული ბავშვივით აებურცა ტუჩები, როგორც კი პირველი საკითხის შესავალი მოისმინა შიოსაგან. შემდეგ იგი ტუჩებს უფრო ბურცავდა და თავს აქანებდა უარის ნიშნად.

მას სტუდენტის პასუხი არ მოეწონა, საგამოცდო ფურცელში ნიშანი „სუსტი“ ჩაწერა და ბაკურაძეს უთხრა:

— განცხადება დაწერე დეკანის სახელზე. თუ ნებას დაგრთავენ, მოემზადე და ხელმეორედ ჩავიბარებ.

„გუშინ დისერტაცია დაგიცავს, დღეს თავი პროფესორად მოგაქვს?! შენ მე არასოდეს არ ჩაგაბარებ ხელმეორედ“. იფეთქა შიომ. აუდიტორიიდან გაბრაზებული გამოვიდა, ჯახანით მიკეტა კარი.

— მთელი თვეა, ვამზადებ საგანს. მაგან კი!...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. შიო ინსტიტუტში აღარ შეხვედრია ირაკლის, თავის დანაშაულს მიხვდა, მაგრამ თავმოყვარეობამ დასძლია და ბოდიში არ მოუხდია დოცენტისათვის.

და აი, სამი წლის შემდეგ ოქროყანაში შეხვდნენ ერთმანეთს.

## 2.

— თავმჯდომარე უკმაყოფილოა თქვენი მუშაობით, ამხანაგო შიო, — მიმართა ირაკლიმ ბაკურაძის, როცა ისინი თათბირის შემდეგ განმარტოვდნენ,— თურმე ინიციატივას არ იჩენთ მუშაობაში, ცალკეული დავალებების შესრულებით კმაყოფილდებით. ამ სამი წლის წინათ, გამიბრაზდით, გეწყინათ „სუსტი“ რომ დაგიწერეთ... როგორც ჩანს, ცხოვრებამაც დაგაჭერინათ გამოცდა და აქაც ჩაჭრლიხართ.

ერთხანს ორივე დუმდა.

— გახსოვთ, რა გირჩიეთ მაშინ? ახლაც მზადა ვარ, მივიღო თქვენგან გამოცდა, — დაარღვია დუმილი ირაკლიმ. — მხოლოდ ახლა შედარებით უფრო მკაცრი იქნება... და, იცოდეთ, ის აღარ განმეორდება, რაც ამ სამი წლის წინათ ჩაიდინეთ ჩემთან.

— რა საჭიროა ასეთი მკაცრი კილო? მე სტუდენტი ხომ არ გგონივართ!

— თქვენ ჩემს თვალში იგივე ბაკურაძე ხართ, როგორიც იყავით ამ სამი წლის წინათ. შეიძლება ახლა სხვაგვარად შეგხვედროდით, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენ ერთი ნაბიჯიც კი არ გადაგიდგამთ ცხოვრებაში.

— რას მოითხოვთ ჩემგან?

— გამოიცვალეთ ეგ ტანსაცმელი და წავიდეთ მინდორში, მე მინდა ოქროყანის მიწები ვნახო.

ირაკლის ოდნავადაც არ ეპიტნავა შიო ბაკურაძის შეხვედრა. ასევე თავის მხრივ შიოსაც არ ესიამოვნა ჯავახიშვილის ჩამოსვლა ხანგრძლივი მივლინებით.

შიო ტანსაცმელის გამოსაცვლელად წავიდა. ირაკლი იაკობის კაბინეტში დაბრუნდა.

— მაგას არ უნდოდა ჩემთვის ხელმეორედ ჩაებარებინა გამოცდა. ახლა კარგი ბიჭია და ნუ ჩამაბარებს! — ღიმილით უთხრა ირაკლიმ იაკობს და აქვე საყვედურით დასძინა: — თქვენც მიგიძღვით დანაშაული, იაკობ. გაუჩარხავს გაჩარხვა სჭირდება. მაგარი გაჩარხვა!

## 3.

დასწყევლა ეშმაკმა, რაღა მაინცდამაინც ეს კაცი შეხვდა! ერთი კვირა დღე აქვს და ისიც ჩაამწარეს! ახლა, ამ სიცხეში მინდორში სიარული ხომ... სულის მოთქმა არ გინდა?

შიო ბაკურაძე ისეთი დატანჯული სახით წავიდა შინისაკენ, კაცს ეგონებოდა, მიცვალებულს გლოვობსო.

შიო ამ სოფლის მკვიდრი არ იყო. ოქროყანაში სამინისტრომ გამოგზავნა აგრონომად. მიუხედავად თავისი მრავალგზისი თხოვნისა, ადგილი მაინც არ შეუცვალეს.

ერთ-ერთ კოლმეურნესთან ცხოვრობდა ნაქირავებ პატარა ოთახში. თავის სახლის პატრონის გოგოს ეარშიყებოდა და დიდი იმედი ჰქონდა, რომ იგი უთუოდ გაჰყვებოდა, მაშინ ბინის ქირას კი არ გადაიხდიდა, თვითონ იქნებოდა ამ სახლის ბატონ-პატრონი. მერე რა სახლი, მერე რა ბაღი აქვს საცოლეს! თვითონაც არა უშავს-რა.

შიოს საცოლე, მოკლე ჭკუის და დაბალი გემოვნების ქალიშვილია. მისთვის, მაგალითად, სულ ერთია, რომელი ნაჭრის კაბას ჩაიცვამს, სულ ერთია, შინ იქნება, თუ სასეირნოდ წავა, ან კლუბში კინოს, წარმოდგენას, ან ლექციას დაესწრება. შეუძლია, საათობით იჯდეს აივანზე გაუნძრევლად, უყუროს გარემოს, ისე, რომ გარემოზე არ იფიქროს.

იმ დღეს დიდი გასაჭირი დაადგა შიოს. რა მუხლმა და ჯანმა გაუძლო ირაკლის, რომ იოტის ოდენაც არ შეიმჩნია დაღლილობა, ლიახვისპირა მინდვრები ისე მოიარა — ერთხელაც არ დაუჩივლია, სიცხემ შემაწუხაო, ერთხელ არ უთქვამს, ამდენმა სიარულმა მომქანცაო. ალბათ შიოს ჯიბრზე მოიქცა ასე.

სოფლიდან ლიახვისპირა მინდვრებამდე ოთხი-ხუთი კილომეტრი იყო. შიოს უნდოდა, ეს გზა მანქანით გაევლოთ, მაგრამ ირაკლიმ უარი უთხრა და

ქვეითად წაიყვანა აგრონომი. ნამდვილად ჯიბრს მიწევსო, — გული გაუსივდა შიოს.

ორი მოზრდილი ცხვირსახოცი გასაწური გაუხდა ბაკურაძეს, შუბლიდან ღვართქაფი მოსდიოდა, გული ლამის ამოუვარდა, ისე სუნთქავდა.

ირაკლი უყურებდა შიოს ტანჯვას, დასამშვიდებელს არაფერს ეუბნებოდა. თვითონ ადლიან ნაბიჯებს ადგამდა, შიო ცუხცუხით მიჰყვებოდა და მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ისინი მინდვრის ერთ ნაწილს შემოვლას დაამთავრებდნენ, ბაკურაძე ახალგაზრდა მეცნიერის განუწყვეტელ ლანძღვას ისმენდა. იქ ნიადაგში წაურევს ხელს, დახედავს, დაფშვნის, აქ სიმინდის მომცროტანის ყანაში შევა, შემდეგ ჭარხლის პლანტაციაში გადავა და არა აქვს ბოლო მის უკმაყოფილებას.

ნუთუ ასე გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში? არა, შიო დღემდე განმეორებით დაწერს განცხადებას სამინისტროში, რომ აქ მუშაობა აღარ შეუძლია, რომ აუცილებლივ უნდა გადაიყვანონ სხვაგან, სხვაგან...

ირაკლიმ დაბინდებამდე, მინდვრის პლანტაციებს გარდა, დაათვალიერა კოლმეურნეობის ერთი ბაღი და ვენახიც. შედარებით მინდვრის პლანტაციებთან, კარგად გამოიყურებოდა ბაღ-ვენახი.

შიო ბაკურაძე კი მემინდვრე აგრონომი იყო.

კანტორაში მისვლისას, ნაცვლად იმისა, რომ ირაკლის ეთქვა მისთვის: აი, ამხანაგო შიო, თქვენს მიწებს აკლია აგრონომის ხელი, თქვენ გიმუშავიათ, მაგრამ სათანადოდ მაინც ვერ დაგინერგავთ აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევანი ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში, ამიტომ მეც მოგეხმარებით და ეს ჩამორჩენა ერთად დავძლიოთო, — მკაცრად გამოუცხადა: — დღეიდან ყველა ჩემს დავალებას უყოყმანოდ შეასრულებ! არავითარი ნერვულობა და კარის გაჯახუნება!

იმ საღამოს შიო საკოლმეურნეო კრებაზე არ მოსულა, არც თინასთვის გაუცია ხმა, მაგიდის ნათურასთან თავწახრილი იჯდა და უზარმაზარ განცხადებას წერდა სოფლის მეურნეობის მინისტრის სახელზე.

## 4.

კრებაზე მიმავალ ნანის და ვახტანგს გზაში ფარნა წამოეწია.

— რატომ არ მითხარი, ის წერილი რომ ჩამოგიტანია! — უსაყვედურა ვახტანგს, — მთელი ორი საათი ერთად ვიყავით გზაში, იმდენი რამ ვთქვით და ეს, ეს როგორ დაგავიწყდა.

— რა იყო, რა მოხდა ისეთი?

— რაღა რა მოხდა. დღევანდელ .კრებაზე სიტყვაში უნდა გამოვიდე. იმ რუსის წერილის შინაარსი რომ ვიცოდე, უფრო კარგად ვიტყოდი. აბა ნახე, ეს გამოდგება?

ფარნამ ჩვეულებრივი თორმეტფურცლიანი რვეული გაუწოდა. ვახტანგმა ჩამოართვა იგი, გადაფურცლა. ავტორის მეტი ვერავინ ვერაფერს გაიგებდა, რა ეწერა შიგ. მთელი რვეული, პირველი გვერდიდან ბოლომდე, ჩასწორებული იყო მელნით და ფანქრით.

თავფურცელზე მელნით ეწერა: „სიტყვა, წარმოთქმული ელსადგურის გახსნაზე“. ეს წარწერა ფანქრით იყო გადაშლილი და ამის მაგივრად იმავე ფანქრით მრგვალი ასოებით ავტორს შემდეგი წინადადება გამოეყვანა: „სიტყვა, წარმოთქმული საკოლმეურნეო კრებაზე, როცა რუსი ამხანაგის წერილი

მივიღეთ". აქვე ორი თარიღი იყო, ერთი მელნით — წაშლილი, მეორე ფანქრით — ახალი.

— მერე-და, ერთი და იგივე სიტყვა როგორ გამოდგება ორივეგან, ბიჭო?

— როგორ თუ როგორ გამოდგება?! ზოგიერთი რამ ჩავასწორე. საერთოდ ასეთ სიტყვებს ამბობენ ხოლმე საზეიმო კრებებზე, მიტინგებზე. მე ვიცი, რასაც ვაკეთებ.

ნანის ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა ფარნაზე, რომელიც საზეიმოდ გამოწყობილიყო, თავის დალაქავებული შარვლისა და ხალათის მაგივრად ახლა ფაქიზად დაუთოვებული ტანსაცმელი ემოსა. თმა ვერ დაევარცხნა, ვერაფერი მოუხერხა ჯაგარივით ურჩსა და აპრეხილს.

ერთხანს დუმილით მიდიან. ვახტანგი ფარნას ნაწერს კითხულობს.

— ბიჭო, ეს უნდა წაიკითხო საზეიმო მიტინგზე. ახლა ასეთი რამ როდი ეწყობა. შეინახე, შემდეგ გამოგადგება.

— მე მაინც ვიტყვი, — უცებ გული მოუვიდა ფარნას და რვეული გამოართვა ვახტანგს. გუშინ იყო და არ გამოიყვანეს მიტინგზე. მერე, როგორ უნდოდა ხალხის წინაშე, შემაღლებულ ადგილიდან ეთქვა რამე. შინ რამდენი ივარჯიშა, ლამის ხმა ჩაუწყდა. ფუჭად კი ჩაიარა იმდენმა გარჯამ. ახლაც, უყურე ერთი, მაშ ფარნას სიტყვას ფასი არა ჰქონია. მაშ რატომ ალაპარაკებენ ხოლმე ახალ ამბებს სოფლელები? რატომ უყვართ მისი ენამახვილობა?

— ალბათ წერტილი და მძიმე თავის ადგილზე არ არის, პატივცემულო მასწავლებელო, — ეს შეიძლება ასე იყოს, მაგრამ ხალხი რას გაიგებს, სად წერტილია და სად მძიმე.

ფარნა ჯერ ერთი ნაბიჯით ჩამორჩა ვახტანგსა და ნანის, მერე ორით, სამით...

ვახტანგს ნანი რაღაცას ეჩურჩულებოდა, უცებ მიხედა ვაჟმა თავის ჩამორჩენილ თანამგზავრს.

— რა შენი „ოპელივით" მოჩანჩალებ? თუ ჩვენთან მოდიხარ, ფეხი გამოადგი!

## 5.

სკოლის წინ, ღია ცისქვეშ, ხალხს მოეყარა თავი. ეზოში ჩვეულებრივი პატარა მაგიდა გამოეტანათ, ზედ წითელი ნაჭერი გადაეფარებინათ. მაგიდას იაკობი, ესტატე და კიდევ რამდენიმე კაცი მისხდომოდნენ. კრებას ჯერ არ იწყებდნენ, ხალხს კიდევ ელოდნენ. ვახტანგმა სწორედ ამ დროს მოიტანა სურათები, იაკობს გადასცა და მაშინვე, როგორც კი თავმჯდომარემ მაგიდაზე გაშალა ისინი, პატარა მაგიდას კოლმეურნეები შემოეხვივნენ.

ხელიდან ხელში გადადიოდა სურათები. კოლმეურნეები ხედავდნენ კულტურის სახლს, აგროქიმიურ ლაბორატორიას, ელექტროფიცირებულ და ელექტრომანქანებით მოწყობილ ფერმას, მარცვლეულის დასამუშავებელ მანქანებს, ჯიშიან ცხოველებს, კეთილმოწყობილ საკოლმეურნეო სახლებს, ნაძვნარში გაშენებულ საავადმყოფო-პოლიკლინიკას, რომელიც თავისი გარეგანი და შინაგანი მოწყობილობით სანატორიუმს ჰგავდა. ვახტანგს არც ერთი სურათი ისე არ გადაუღია, რომ ამ დოვლათის, ამ კარგი ცხოვრების შემოქმედი ადამიანი არ ყოფილიყო გამოსახული. ყოველი ოქროყანელი კოლმეურნე კეთილი გრძნობით იმსჭვალებოდა ამ ადამიანების მიმართ.

ხალხი ალაპარაკდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სანამ სხვა არ მოგვწერს, არ დაგვაინტერესებს, ჩვენ ყურებს არ ვიბერტყავთ!

— შეხედე, რა ხდება ქვეყანაზე!

— ეს ვნუკოვოში. სხვაგან, სხვაგან ვინ იცის, უკეთესი რამ კეთდება!

— ცოტა ჩვენც უნდა გავინძრ-გამოვინძრეთ, მივდგეთ-მოვდგეთ, ქვეყანას უფრო შორს უნდა გავხედოთ.

— ის კაცი თურმე ყველა კოლმეურნეობას იცნობს.

— აბა, შენ რას ლაპარაკობ, ყველას როგორ გაიცნობს!

— ყველას თუ არა, ჩვენზე მეტს ხომ იცნობს. ჩვენ, აგერ, რაიონს იქით არ გაგვიხედავს. კომუნიზმი კი სულით და გულით გვინდა.

— ახლა რამდენ რამეს ვისწავლით ვნუკოველებისაგან!

— ჩვენც შეგვიძლია ზოგიერთი რამ ვისწავლოთ.

— ჰოდა, ის კაცი ამას იწერება თურმე, რომ ერთმანეთი გავიცნოთ, დავმეგობრდეთ და კარგი ვასწავლოთ ერთმანეთსო.

— მართლა კარგად მოუწყვიათ თავიანთი კოლექტივი.

— ახლა ჩვენი ნაკლი დავინახოთ, შრომა გავიადვილოთ, სახალისო გავხადოთ, საამური ცხოვრება შევქმნათ. აგერ ელსადგური გვაქვს, მიწები გვაქვს, ბაღ-ვენახი გვაქვს, მთავრობა ყოველნაირად გვეხმარება. ფხა უნდა გამოვიჩინოთ.

ერთი ჯგუფი რომ ასე ლაპარაკობდა, მეორეში კიდევ სხვას გაიგონებდით, მაგრამ ყველა მაინც ერთ რამეზე ბჭობდა — ბედნიერი და საამური ცხოვრების მოწყობაზე, მეგობრობასა და სიყვარულზე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე განგებ აჭიანურებდა კრების დაწყებას, მას უნდოდა, რომ დრო მიეცა გლეხებისათვის, რათა გული მოეოხებინათ სათქმელით, ერთმანეთისათვის ეთქვათ, რაც გულში ედოთ, კარგად დაეთვალიერებინათ სურათები და შემდეგ კრება უფრო ხალისიანად წავიდოდა.

მართლაც ასე მოხდა.

ხალხმა დიდი გულისყურით მოისმინა შულგინის წერილი, შემდეგ თითქმის ყველას უნდოდა სიტყვით გამოსვლა.

— ეს ვინ ყოფილა, კაცო! არ გეყურება? გამომიყვანე, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა, კაცო! — გაჭირვეულდა ფარნა, თავმჯდომარეს საშველს არ აძლევდა, როცა რომელიმე ორატორი თავის სათქმელს დაამთავრებდა.

— შენ რის მთქმელი ხარ, მანდ დაეტიე, ყური დაუგდე! — შეუტია ერთმა ბერიკაცმა, — შენზე მეტი მინახავს და გამიგია ცხოვრებაში, მე ვერა ვბედავ გამოსვლას. ერთი ამას შეხედეთ!

სიტყვა თედომ აიღო.

უკვე დაღამებული იყო, მაგრამ სკოლის წინ ცაცხვებზე ჩამოკიდებული ასოცსანთლიანი ნათურები დღესავით აჩახჩახებდნენ იქაურობას.

თედოს სიტყვა მთლიანად ხალხთა მეგობრობას ეხებოდა. იგი წვალებით არჩევდა ესტატეს ნაწერს, ხმა კი რიხიანი ჰქონდა, მალიმალ გადმოიხედავდა ქაღალდიდან, ხალხში როგორი განწყობილებაა, როგორ მისმენენო. იგი ლაპარაკობდა მეგობრობაზე, ძმობაზე, მშვიდობაზე, მაგრამ არაფერს ამბობდა, თუ რა უნდა მიეწერათ ვნუკოველებისათვის.

ფარნა ვერ ისვენებდა, ცმუკავდა, წრიალებდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ითმენდა რაღაცას. ბოლოს გველნაკბენივით წამოვარდა და მთელი ხმით უყვირა თედოს:

— ჩაიწყვიტე ხმა, შე გასუქებულო ბურჟუავ!

ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ ნამდვილად მეხის გავარდნას ჰგავდა ფარნას წამოძახილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო ადგილზე გაშრა. ნაღვერდალივით ანთებული ფარნა მაგიდასთან მიიჭრა.

— მეგობრობაზე ლაპარაკობს, რუსი ხალხის სიყვარულზე ლაპარაკობს, და იქ ვაშლი რომ მიაქვს, ტყავს აძრობს მათ... კილოს ორმოც მანეთად ყიდის... სახლი აიშენა, მანქანა იყიდა... საიდან?! თვალი გაახილეთ.

ფარნას მეტისმეტი მღელვარებისაგან სიტყვა გაუწყდა. უცებ მას სახეში რაღაც მოხვდა, ვერ გაარკვია რა იყო, გონება დაკარგა.

თედომ ტყვიასავით მაგარი მუშტი დაუნდობლად სთხლიშა ფარნას და ზედ მაგიდაზე მიაგდო.

ატყდა ჩოჩქოლი, აურზაური. კოლმეურნეები გამხეცებულ თედოს მივარდნენ და ძლივს შეაკავეს. საწყობის გამგე უშვერი სიტყვებით აგინებდა ფარნას, რომელიც სასწრაფოდ გააქანეს საავადმყოფოში.

კრება ცოტა ხნით ჩაიშალა.

სოფლის მილიციონერმა თედო დააპატიმრა...

კრება განახლდა.

მაგიდასთან ერთი ახოვანი ჭაბუკი გამოჩნდა. ეს იყო მებაღეობის ბრიგადის მეთაური ბიძინა ჯინჭარაშვილი, პარტიის წევრი, სპეტაკი ადამიანი, სახელოვანი ბრიგადირი.

მან ხელები გაშალა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— ეს საქმეა? ნუთუ ბოროტი ადამიანები ერთხელ და სამუდამოდ არ უნდა მოვიცილოთ? გუშინ ჩვენს თავმჯდომარეს თავი გაუტეხეს, დღეს ფარნას სცემეს, ხვალ მე მომდგებიან, ზეგ კიდევ სხვას.

ბიძინა წამით შეჩერდა, მაგიდისაკენ მიბრუნდა და ესტატეს მიაჩერდა, სიტყვას ეძებდა, მაგრამ ვერ მოენახა და ერთ ხანს ასე იდგა.

— რას მიყურებ, ჩემგან რა გინდა? — წამოიწია ესტატე.

— იმას გიყურებ, რომ თვალში არ მომდიხარ. პარტიის წევრი ხარ, მეც პარტიის წევრი ვარ, შენ თუ ნამდვილ კომუნისტათ მოგაქვს თავი, მითხარი, რა წელით დაიდგი ის სახლი? ყველაფერი ვიცით. ხალხს არაფერი დაემალება. — ბიძინა ხალხისკენ მიბრუნდა და განაცხადა:—წინადადება შემომაქვს, როგორც კომუნისტს, უახლოეს ხანში მოწვეულ იქნეს პარტორგანიზაციის კრება და განხილულ იქნეს ესტატეს საკითხი.

— შენ ენა დაიმოკლე, ის გირჩევნია.

— მემუქრები კიდევაც?!

ჩაიცინა ბიძინამ, მერე იაკობს მიუბრუნდა:

— სოფელში მჭამელები მრავლდებიან, საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ. ერთი შენც უნდა შეგეკითხო: რისთვის აგირჩიეთ? იმისთვის, რომ ასეთი არეულ-დარეულობა იყოს სოფელში?

„ცხოვრებაში ხან გულს გაგიტეხენ, ხან თავს...“ ანაზდად მოაგონდა ნანის. ქალიშვილი ფეხის წვერებზე შედგა, მიაჩერდა მამას, რომელსაც დაუნდობლად აკრიტიკებდა ბიძინა.

„უფრო უარესიც ხდება ცხოვრებაში, — დაასკვნა ნანიმ. მან ვახტანგს შეხედა, ვაჟი აგზნებული თვალებით უყურებდა რიხიან ბიძინას და თვითეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სიტყვაში, დაუნდობელ, გაბედულ გამოსვლაში გრძნობდა სიმართლეს, კომუნისტის სიმართლეს.

კარგი იქნებოდა, ოქროყანაში ყველა ასეთი იყოს.

— ჩვენ ისეთი თავმჯდომარე, გვინდა — განაგრძო ბიძინამ. — როგორიც შულგინია. ამხანაგო იაკობ, შენ თუ მეტ სიფრთხილეს, მეტ ინიციატივას გამოიჩენ, შეგიძლია იყო ისეთი თავმჯდომარე. ჩვენი რჩეული ხარ და არასოდეს არ გაპატიებთ საქმის მოდუნებას. მკაცრად დაგსჯით... ესტატეს საკითხი კი გადაუდებელია, ხვალვე შევატყობინებთ პარტრაიკომს.

ვნუკოვოში გასაგზავნი წერილის ტექსტი მთლიანად ესტატეს მიერ იყო შედგენილი. როცა საჯაროდ წაიკითხეს ხალხს არ მოეწონა. წერილს საზეიმო, შეფერადებული ელფერი ჰქონდა.

ხალხის ნებით, ახალი წერილი დაიწერა შულგინთან.

ბიძინა ჯინჭარაშვილი ყოფილი სერჟანტი იყო და კარგად იცოდა რუსული ენა. იგი მაგიდას მიუჯდა, კალამი მოიმარჯვა...

— კიდევ რა მივწეროთ, — მალიმალ ხალხს გადაავლებდა თავის დიდრონ შუქიან თვალებს.

— მისწერე, რომ ვნუკოვის თავმჯდომარის კეთილ სურვილებს სიხარულით ვიღებთ, ამასთან ერთად ოქროყანელი კოლმეურნეები პირობას დებენ, რომ სულ რამდენიმე წელში ჩვენი სოფელიც ისეთივე გაზრდილი და აყვავებული იქნება, როგორც ვნუკოვოა.

— კიდევ, კიდევ რა მივწეროთ?.

— მისწერე, რომ ხილს არ მოვაკლებთ და წელს რამდენიმე ათას ძირ ხეხილის ნერგს გავუგზავნით. ასე არ არის, ხალხო?

— ასეა... ასე უნდა იყოს, — დაუდასტურა ხალხმა.

მთელი ორი წლის განმავლობაში ბიძინას მებაღეობის ბრიგადა ვაშლისა და ატმის ახალი ნერგების მოვლა-პატრონობას მოუნდა. ბრიგადაში მას გამოცდილი მებაღეები ჰყავდა. მათ დიდი ხნის მუშაობის შედეგად გამოიყვანეს ახალი ჯიშის ატმები, რომლებიც თავისი სილამაზით და არომატით ბევრად განსხვავდებიან ჩვეულებრივი ატმისაგან. თავისუფლად შეუძლიათ გაუძლონ ყინვას. ბიძინა ამის შესახებაც წერდა. იგი პირდებოდა რუს მეგობრებს, რომ ისინი მალე ოქროყანიდან გორულ ატმის ნერგებსაც მიიღებენ.

წრიპინებდა კალამი, ბიძინა გამალებით წერდა.

წერილი გვიან ღამით წაიღეს ფოსტაში.

## თავი მეშვიდე

### 1.

ღამე იყო წყნარი, უმთვარო, ბნელი. ოთახის კარები აივანზე გადიოდა. აივანზე იაკობი იწვა, დიდ ოთახში ირაკლის ეძინა, ხოლო პატარაში ნანის საწოლი იდგა.

კრების შემდეგ ძილი არ მიჰკარებია იაკობს. არ დასძინებია ნანისაც. ესმოდა, როგორ მოუსვენრად წრიალებდა მამა, გრძნობდა, როგორი ტანჯვით ილეოდა ეს ღამე.

იაკობი ფიქრში იყო წასული.

დღევანდელი კრება ეჭვმიუტანელი სიცხადის წინაშე აყენებდა თავმჯდომარეს. როგორც კი ბიძინამ დაუნდობლად დასცხო ესტატეს, გააკრიტიკა და წამოაძახა, რა წელით აიშენე სახლიო, თუ მართალი იყო, კარგა ხანს ელმ... რატომ საპასუხო სიტყვა არ მოითხოვა? პირიქით, ლამის გაქრა კაცი. აი, სად ყოფილა ეშმაკის თავი დამარხული! გვერდით კაცი გყავს, შენთან ერთად მუშაობს და ღალატს ვერ ამჩნევ... ეს კაცი თითქოს ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდა, ყველა ღონისძიებას ცხოვრებაში ატარებდა... იქნებ იაკობს ეჩვენებოდა, იქნებ არ ესმოდა პარტიული ცხოვრების ზოგიერთი რამ და სულ მცირედი საქმეც, ესტატეს მიერ გაკეთებული, მოსწონდა, ახარებდა.

როგორც ბიძინამ აღნიშნა კრებაზე, ესტატე ახლოს ყოფილა ყველა იმასთან, ვისაც ღორული მადა ჰქონდა და დაუნდობლად ანადგურებდა საკოლმეურნეო ქონებას. თედოსთან ერთად ესტატემაც წამოჭიმა სახლი. თედომ ზომიერება ვერ დაიცვა და თავის სახლს ხელად მსუბუქი მანქანაც მიაყენა.

ყველას როგორ უნდა უყურო ხელებში, რას აკეთებს და რას არა? აი, ესტატეს გაკეთებული საქმე, აი, როგორ დააყენა მან ალმზრდელობითი მუშაობა, აი, როგორ ატარებდა ის პარტიის ხაზს ცხოვრებაში.

დღეს მაინც ყველაზე მეტი სირცხვილი იაკობმა ჭამა. ხალხმა არ მიიღო ესტატეს მიერ შეთხზული ბარათი. ალბათ შულგინიც გაოცებული დარჩებოდა ასეთი პასუხით. რამდენი დაკვირვება გინდა კაცს! მართლაც, განა ისე იწერებოდა თვითონ შულგინი, როგორი პასუხიც ესტატემ დაუწერა? ესტატე არწმუნებდა იაკობს, რომ ისინი ჭეშმარიტად კარგ ბარათს უგზავნიან რუსებს...

რუსებს მართლაც გაუგზავნეს კარგი ბარათი, მაგრამ ის ესტატეს შეთხზული როდი იყო...

ირაკლის მშვიდად ეძინა და არ გაუგია, როგორ წრიალებდა იაკობი.

მამლებმა მეორედ იყივლეს. რიჟრაჟი ახლოვდებოდა, მაგრამ ცას ჯერ კიდევ არ ეტყობოდა მზის პირველი სხივის ნათელი. იქნებ მოღრუბლულია? ადგა იაკობი, ცას გახედა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. კარგი დღე დგებოდა.

იაკობი სკამზე გადაკიდებულ შარვალს გადასწვდა, ჯიბიდან პაპიროსი და ასანთი ამოიღო.

ნანის გაუკვირდა: მამამისს ლოგინში არასოდეს არ მოუწევია პაპიროსი. ჩვეულებრივ ვახშმობის შემდეგ და დილით, საუზმემდე, არასოდეს არ წევდა პაპიროსს. ახლა კი...

ნანიმ ხალათი მოიგდო მხრებზე და აივანზე გამოვიდა...

— შვილო, რატომ არ გძინავს.

— ვერ დავიძინე.

— ავად ხომ არა ხარ? რა დაგემართა?

— არა, ავად არა ვარ... შენ რაღა მოგივიდა, რატომ შენ კი არ გძინავს, მამა?

— მოდი, აქ მო, აქ დაჯექი.

შვილი გვერდით მოისვა იაკობმა, მისი თავი გულზე მიიხუტა და ახლობელი ადამიანის სიახლოვით შვება იგრძნო.

—შენ ნურაფერს ნუ იდარდებ, შვილო... სულ მალე ყველაფერი გამოსწორდება. იმ რუსი ამხანაგის წერილმა ბევრი რამ დაგვანახვა, ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტს დავინახავთ და გავიგებთ.

— გახსოვს, გუშინ რა მითხარი? ხან გულს გაგიტეხენ ცხოვრებაში, ხან თავსო?

— არა, მე ახლა თავგატეხილი ვრჩები, ხოლო ჩემი გული ჯერ ისევ ძველია. ასეთი ამბავი, რაც დღეს დამემართა, მხოლოდ სუსტ ადამიანებს უტეხს გულს. გახედე, რა კარგად თენდება!

ცის აღმოსავლეთის კართან განთიადი მოდგა.

## 2.

ბიძინას ცოლს გაუკვირდა თავმჯდომარის ასე ადრიანი სტუმრობა. იაკობი ეზოში შესულიყო და ბრიგადირს უხმობდა. ჭიშკართან კოლმეურნეობის საბარგო მანქანა იდგა.

წუხელ ბიძინა შინ გვიან მივიდა. მამლის მეორე ყივილი იქნებოდა, როცა სახლს უკანა აივანზე დაგებულ ლოგინში ჩაწვა და მაშინვე ძილს მისცა თავი. ახლა ტკბილად ეძინა, სიზმარში წასული ძლივს გამოაღვიძა ცოლმა.

უცნაური ჩვეულება ჰქონდა ბიძინას. თუ ვინმე გააღვიძებდა, მთელი დღე აღრენილი იყო, დილით არეული გუნება დაღამებამდე მიჰყვებოდა ხოლმე.

— რა იყო, ვინ არის? — ჰკითხა მან თავზე წამომდგარ ცოლს.

— იაკობია, შენ გკითხულობს, — უთხრა ცოლმა. ქალის კილოში გამოხატული იყო: „იაკობი რომ არ ყოფილიყო, არც გაგაღვიძებდი“. მათ ტკბილი ცოლქმრობა ჰქონდათ, ერთმანეთს ყველაფერში უწყობდნენ ხასიათს. ბიძინას ამ წუთში ტკბილი სიტყვა და მოფერება უნდოდა, რომ კარგ გუნებაზე ყოფილიყო.

— იაკობია? — იკითხა ბიძინამ და მაშინვე ტანსაცმელს გადასწვდა, — სთხოვე, აქ ამოვიდეს.

ბიძინა ფეხსაცმელის ყაითანს იკრავდა, როცა იაკობი მოვიდა, ბრიგადირს დილამშვიდობის უსურვა თავმჯდომარემ და მერე უთხრა:

— შეგიძლია წამომყვე გორში? შენ ხომ თქვი, ხვალვე შევატყობინოთ რაიკომსო... წამოდი, მხარში ამომიდექი. შენ მარტო კრებაზე კი არა, ბევრ რამეში ხარ საჭირო. ფიქრი და დაყოვნება საჭირო აღარაა. დროზე უნდა ჩავიდეთ ქალაქში, თორემ რაიკომის მდივანს ველარ ვნახავთ.

— მზადა ვარ, იაკობ, — უპასუხა ბიძინამ, — არც ვფიქრობ და არც ვაყოვნებ... მარო! — დაუძახა ცოლს, — თითო არაყი მოგვიტანე, გზა დავილოცოთ.

მათ თითო ჭიქა არაყი გადაკრეს, პური გატეხეს, მერე მანქანაში ჩასხდნენ და რაიონის ცენტრისაკენ გაემართნენ.

თავმჯდომარე და ბრიგადირი ძარაზე ისხდნენ. დილის ანკარა ჰაერი პირისახეში ელამუნებოდა მათ. ცის აღმოსავლეთის მხარე, უზარმაზარი სივრცე, სავსე იყო მზის სხივებით. გზა მინდორ-მინდორ გადარბოდა.

ოქროყანა უკან დარჩა, ჯერ ბაღები ჩამოეფარა, მერე სადღაც მის უკან მთები ამოიმართნენ, ხოლო ოქროყანა ვიწრო ზოლად გაწვა ამ მთების ძირში.

მანქანამ გორაკს მოუარა, მერე თავდაღმართზე დაეშვა და მაშინ კი ოქროყანა სულ დაიკარგა. წინ გორისციხე გამოჩნდა, გორის ციხის იქით — ბედიდური ბურეთი.

— მე რაიკომის მდივანს, ვთხოვ რომ პარტბიუროს მდივნად შენ გაგიწიონ რეკომენდაცია. უთხრა იაკობმა ბიძინას. — დარწმუნებული ვარ, ჩვენი ამხანა-

გები ერთსულოვნად მიიღებენ ამ წინადადებას და აგირჩევენ კიდევაც. შენ თვითონ რა აზრის იქნები? თანახმა ხარ, თუ არა?

თურმე რა უფიქრია იაკობს; ბიძინა კი იმ განზრახვით წამოჰყვა, რომ იაკობთან ერთად რაიკომის მდივნისათვის მოეხსენებინა ესტატეს დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ, ეთქვა ის, რაც წუხელ კრებაზე ხალხს განუცხადა და ხალხის სახელით მოეთხოვა — კოლმეურნეობის პარტიულ კრებაზე და რაიკომის ბიუროს სხდომაზე განეხილათ ესტატეს საკითხი.

ბიძინა ერთხანს დუმდა. ღრმად ჩაუფიქრდა იაკობის ნათქვამს და ახლა პირველად დაეკითხა თავის თავს: შეძლებ კოლმეურნეობის კომუნისტების მეთაურობას?

იაკობმა მოფიქრება აცალა, მერე, თითქოს ბრიგადირის ფიქრს მიაშველაო, ისე წარმოთქვა:

— ძნელია განა?

ბიძინამ ცეცხლოვანი თვალებით შეხედა.

— მე თანახმა ვარ, იაკობ, მომეცი შენ ხელი. თუკი ჩვენი კომუნისტები ამირჩევენ, მზად ვარ, პარტიის ყოველი დავალება პირნათლად შევასრულო, მე სხვა უფლება არა მაქვს.

3.

თედოს საქციელმა და მისმა დაპატიმრებამ საგონებელში ჩააგდო ესტატე. საწყობის გამგის საქმე ხელიდან წასული იყო. მარტოოდენ ფიზიკური შეურაცხყოფა, რომელიც მან ფარნას მიაყენა, სასამართლოს წინაშე აყენებდა. შეიძლება გამოძიების დროს თედომ ესტატეზეც წამოროშოს რამე. ესტატეს არ უნდოდა ეფიქრა ამაზე, ჟრუანტელი უვლიდა და უკვე მკაფიოდ გრძნობდა გულის შეტევას. წინათ გულის ტკივილს უჩიოდა რამდენი ხანია, აღარ უგრძვნია ეს ავადმყოფობა. იმ საღამოს კი, კრებიდან რომ დაბრუნდა, საშინელი შეტევა ჰქონდა. იქნებ მოჩვენებითი ტკივილიც იყო, რაც ჩვეულებრივად საღ ადამიანსაც ემართება, როცა იგი რაიმე საშიშროების წინაშე აღმოჩნდება?

ოჯახის წევრები შეშინებული უყურებდნენ ესტატეს, ხმის ამოღებას ვერ უბედავდნენ და გრძნობდნენ მოახლოვებულ უბედურებას. რა დააშავეს ესტატეს შვილებმა? ახარებდათ ფართო და ნათელი ახალი სახლი, მაგრამ არც კი იცოდნენ, ვისით და რისით იქნა აყვანილი ეს კედლები, ვისით და რისით დაახურეს თუნუქის სახურავი, გაუკეთეს კოხტა აივანი, რომლის ბადალიც თედოს სახლს თუ ჰქონდა მთელს სოფელში.

სახლს ვინ არ იშენებს, ვის არა აქვს უფლება, დაიდგას ორსართულიანი ლამაზი, ნათელოთახებიანი სახლი, რომ ბედნიერად იცხოვროს! მაგრამ აშენებაცაა და აშენებაც, გააჩნია, როგორ შენდება!

მეტად საკვრიველი იყო ერთი გარემოება: როცა ესტატე კარგარეთელი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, იმ წელს პარტიულმა კრებამ მესაქონლეობის ფერმის გამგის საქმე განიხილა. კარგარეთელი მთელი სისასტიკით მოითხოვდა ფერმის გამგის გარიცხვას პარტიის რიგებიდან. „შეჭამა, გაფლანგა, გაანიავა“, — ეს სიტყვები პირზე ეკერა ესტატეს, როცა იგი სხვას ამუშავებდა, როცა სხვას კიცხავდა. მაგრამ გავიდა ერთი წელი და სხვისი მისამართით წარმოთქმული ეს სიტყვები თავის გულზე ამოიჭრა და შეიყვარა ესტატემ ცოტა-ცოტა და, კოლმეურნეობის თავკაცს ჭამის მადა გაე-

ხსნა. ყველაფერი იოლად მიდიოდა. გაფლანგვისა და განიავების გეგმები განსაკუთრებით წარმატებით ხორციელდებოდა ესტატეს შეფობით.

კანტორაში სარევიზიო კომისია მუშაობდა და თედო მილიციელის თანხლებით ყოველ დღე მოჰყავდათ დაკითხვაზე. ესტატე ახლო არ ეკარებოდა მას, ვითომ არც კი იცნობდა, შორიდან ისე ეჭირა თავი.

ერთ დღეს პარტრაიკომის ინსტრუქტორიც მოვიდა. პარტორგანიზაციის მდივნის ოთახში დილიდან ნაშუადამევამდე იჯდა, ქალალდებს ჩაჰკირკიტებდა, პარტბიუროს წევრებს რიგრიგობით იძახებდა და ესაუბრებოდა. წასვლისას ესტატეს ცივად გამოეთხოვა.

ამ დღეებში შედგებოდა პარტიული კრება. ეს იქნებოდა ესტატეს ბედის გადამწყვეტი ნაბიჯი. თუკი პარტიული კრება არ გარიცხავდა კარგარეთელს პარტიიდან და დაკმაყოფილდებოდა სასტიკი საყვედურით, თუნდაც პირად ბარათში შეტანით, ანდა უკანასკნელი გაფრთხილებით, მაშინ მისი სასჯელი უკვე განსაზღვრული იქნებოდა: სახლიც დარჩებოდა და კოლმეურნეობის გამგეობაც თავს შეიკავებდა კარგარეთელის საქმის სახალხო სასამართლოზე გადაცემისაგან.

ვინ იცის, რით გათავდება ყოველივე ეს.

ოთხი დღედაღამე არ ეძინა ესტატეს. მეხუთე დღეს ამბავი მიუტანეს, რომ თედომ პროკურორთან ყველაფერი აღიარა და გარდა ესტატეს, მან კდევ ორიოდე კაცი გასცაო.

— გველო, არამზადა! — დუღდა ესტატე, კბილებს აღჭრიალებდა.

გარდა იმისა, რომ საკუთარი ჯიბე გაესქელებინა თედოს, ესტატე მას სხვანაირადაც უწყობდა ხელს, ცდილობდა ხალხის წინაშე სპეტაკ ადამიანად გამოეყვანა. ყოველ კრებაზე სიტყვას აძლევდა, თავისივე დაწერილს აკითხებდა, მასზე მუდამ კარგს ლაპარაკობდა. და აი, საკმარისი გახდა პროკურორის წინაშე წამდგარიყო, რომ ესტატეს უკანასკნელი იმედიც კი ძირს დასცა და ფეხქვეშ გაეთელა თედოს.

უკვე გვან იყო ყველაფერი.

კოლმეურნეობის კანტორის წინ ფირფიცრის დიდ დაფაზე გაკრული იყო უზარმაზარი განცხადება პარტიული კრების შესახებ.

ამ კრებაზე „პირველ მაისის“ კომუნისტებმა ერთხმად აღიარეს ესტატეს დანაშაულებრივი, ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება, რაც გამოხატული იყო ქურდებისა და გამფლანგველების მფარველობაში.

კრებამ ნაძირალების მფარველი პარტიიდან გარიცხა.

იმ საღამოდან კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ პარტიული ორგანიზაციის მდივნად ბიძინა ჯინჭარაშვილი იყო.

პირველი ნაწილის დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ კუპრავა

# დედის სურათთან

★

თეთრი კედლიდან შემომცქერის
სახე ნათელი,
გადაჰფენია მშობლის სურათს
სხივთა არილი...
ცხოვრების გზაზე
გაბედულად მივემართები,
დედის ჭაღარა
წინ მიმიძღვის კელაპტარივით, —

დედის ჭაღარა —
დასაკოცნი და საალერსო,
იალქანივით
მოყოლილი ცხოვრების წინსვლას...
შევხედე სურათს,
ოცნებებით გული ამევსო,
თვალწინ დამიდგა
ელვარება ქართული ცისა.

შორს არი დედა!
ალბათ მისდევს ფიქრებს ღელვიანს,
გასცქერის ბაღჩას,
მთის ფერდობზე მწვანედ შეფენილს...
აქ — დედა მოსკოვს
ღამე მხრებით აუწევია,
სძინავთ სტუდენტებს,
დუმს საერთო საცხოვრებელი...

მივაჩერდები
გამომწყვდეულს თმებში განთიადს, —
მიმზერს მშობელი,
თვალს ადევნებს ამ ჩემს სტრიქონებს.
თითქოს წამოდგა,
გადმოვიდა ის სურათიდან,
მომიჯდა გვერდით
და განვლილ გზას ერთად ვიგონებთ:

... მამამ საფლავში
ჩაიტანა ვაჟზე ოცნება,
არ შეხვედრია ძველი თოფით
ჩემს დაბადებას...
მე დავიბადე
და ჩემს ბედზე, ჩუმი ლოცვებით,
არ დასცემია
რიონის წყალს ჩრდილი ბადეთა...

ჰქუხდა სიცოცხლე
და დგებოდა ჩემი სამშობლო
ძველი დროების ნამსხვრევების
ცხელი ფერფლიდან.
ქოხში ნაპერწკლის
ჭიატს ჰგავდა ჩემი ბავშვობა,
დედის ღიმილი
ნათელივით მკერდზე მეფინა.

ტკბილი სიმღერით
დამცქეროდა იგი, გულმშვიდი,
აკვნის ჭრიალი
გაისმოდა კაკლის ჩეროდან.
ეზოს ბოლოში
ჭრიალებდა ღობეც, დაშლილი,
და პაპის გუთანს
კაცის ხელი ენატრებოდა...

გზაზე გლეხები ჩაივლიდნენ
ბაასით ნელით,
დაიმედებით შესცქეროდნენ
ღარიბულ ოდებს...
გაიხსენებდნენ
ლენინისთვის გაგზავნილ წერილს,
გლოვობდნენ ლენინს,
მაგრამ პასუხს მაინც ელოდნენ.

*
* *

მე დავიბადე გაზაფხულზე:
კვირტი გაშლილი
აფრქვევდა სურნელს,

ღაჟღაჟებდნენ ბაღში ვარდები...
ბებიამ, თურმე, ხელთ აიღო
კერის ნახშირი,
ქოხის კედელზე მიაწერა
დღე დაბადების...

*
* *

რუსი ძმის ზრუნვით
ობლის კვერი მალე გამოცხვა,
მზის გაღიმება
დაეფინა სიცოცხლის იერს, —
მოვიდა სოფლად
ლენინისგან დიდი პასუხი —
ხელმოწერილი
სტალინის მიერ!

მოვიდა, მაგრამ
არა ფოსტით, არა ბარათით, —
მოვიდა გრგვინვად,
როგორც გლეხკაცს ჰქონდა იმედი;
მოჰყვა სიმღერა, სიხარული,
შუქი მარადი,
მოვიდა პურით,
ტრაქტორებით, კომბაინებით...

ასე გავიდა ჩემი ხალხი
ცხოვრების გზაზე,
ასე აჩქეფდა
საქართველოს ძარღვი პატარა, —
რუსმა ვაჟკაცმა
მკლავში ხელი ჩასჭიდა ქართველს
და გადაუსვლელ
ციცაბოებს გადაატარა.

ბრძოლის წიგნია
გზა დიადი, ჩვენგან განვლილი,
ქოხში შობილებს
განთიადის ხილვა გვეღირსა...
... დედის ღიმილში გავიზარდე
ნაპერწკალივით,
ერთი პატარასანთელი ვარ
ჩემი ქვეყნისა!..

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ვიფიქრებდი
ფეხშიშველი ბიჭი სოფლელი, —
ფიქრით ქვეყანას
ჯოხის ცხენით როცა ვუვლიდი, —
რას ვიფიქრებდი,
რომ ვნახავდი შუქით მოფენილს
მოსკოვის ზეცას,
მუდამ ნათელს წმინდა გულივით?!.

მე აქ მოვედი
არა როგორც ქართლის დესპანი,
ქართველთა ბედის
მაძიებლად გადმოხვეწილი, —
მე აქ მოვედი
მომღიმარი დილის მზესავით,
მომყვა სიმღერა
ჩანთებული გულში ცეცხლივით...

*
* *

ღამე შემოდის
ჩვენს საერთო საცხოვრებელში,
სძინავთ მეგობრებს,
ჭერზე შუქი კიაფობს ბაცად...
მე სურათიდან
დამფენია ჭაღარის ეშხი,
ფიქრის მორევში
მზის სხივივით რომ გამიტაცა.

ყველა საწოლთან
მოჩანს დედის სურათი თითო
(ო, სიყვარულში, მჯერა, ჩვენ მათ
ვერც დავედრებით!).
არ ეძინებათ სურათებში
მოხუცებს, თითქოს,
და მძინარ შვილებს
ესიზმრებათ, ალბათ, დედები...

თვალებს დავხუჭავ
და ოცნებით მთებს გადავივლი:
დედა ბუხართან
ზის, ჩემსავით ფიქრებს შებმია,
და თეთრ ოთახში

მშობლის ხელით შემოტანილი
ჩემთვის აჭრილი
აკიდონი უხმოდ ჭკნებიან...

შორს დაგვრჩენია
სილარიბე და მყუდროება,
შუქი გაუჯდა ქვრივი დედის
ფიქრებს ბინდიანს...
მე დავიბადე
გარიჟრაჟზე ამ დიდ დროების,
კომუნიზმისკენ
იმ დღეების ცეცხლით მივდივარ!..

სულზე უტკბესი
იავნანა მიმღერა დედამ,
წინ დამეფინა
ასპარეზი ფართოდ გაშლილი...
ცხოვრების წიგნში
გადმოსწერა დრომ დაბადება —
ქოხის კედელზე მიწერილი
კერის ნახშირით...

...შევხედავ სურათს,
გამიღიმებს და გავვოცდები,
ეს მშვიდი სახე,
ვიცი, ჩემზე ზრუნვამ დაღარა,
და დღენიადაგ
ჩემზე ზრუნვით, ჩემზე ოცნებით
თითქოს სურათშიც
ემატება დედას ჭაღარა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერა შუბლაძე

# სამი ლექსი

★

## მშობლიურო ნოღელავ!

კვლავ შრიალებენ გზებზე ვერხვები,
შენ კი ლოდებზე ისევ მოღელავ,
ლამაზ ნაპირებს ისევ ეხვევი,
მოუსვენარო ჩემო ნოღელავ!
მე მახსოვს შენი ტალღების თქეში,
და ელვარება მშობლიურ მზისა,
ამ მარადიულ სილაჟვარდეში
ხმაური გზისა, კამკამი ცისა.
მე მახსოვს ღამით გარინდულ ღამით
შენი ბუჩქები, შენი ფშიარი,
ო, რა მოლხენით და რა სიამით
ჩაგჩურჩულებდნენ ხენი შრიალით.
ო, ის ცა ლურჯი, ნაზი ელვარე
რა კარგი იყო და რა საამო
მშობელი მიწა, მშობელი არე,
და ის საღამო, წყნარი საღამო.
და ახლა არც კი გახსოვს ეგება
ჩემი ბავშვობის აურზაური.
დღეს ჩემს გეზათთან შემომეგება
შენი ზვირთების მძაფრი ხმაური.
შენს ირგვლივ ხენი მოლხენით დგანან.
წყეულ ყოფაზე დღეს არვინ ფიქრობს,
კოლექტივების გაშლილი ყანა
ახალ ნანინას გიმღერის თითქოს,
შენ კი, ნოღელავ, კვლავ ისევ ბრწყინავ!
ქვებზე მოღელავ ტალღების წყებად,
იქ, სადაც ფეხი ამიდგამს წინათ
განა ოდესმე დამავიწყდება?!
დამავიწყდება? ტალღათა შეხლა
ან ცხენისწყალის, ანდა რიონის?
მაგ თქვენს ზვირთებთან ხმაურობს ეხლა,
ჩემი ლექსების ყველა სტრიქონი.
ქარი არ შფოთავს, ქარი არ კვნესის,
და ჩემს გარშემო ვერხვები დგანან,
მე მათ შრიალში ლაღად მომესმის
მშობელი ქვეყნის ხმატკბილი ნანა.

—.—

## მშვიდობის გემი

★

მოჩანს შავი ზღვა დაუსაბამო
და ბობოქრობენ ტალღები მძაფრად,
ფიქრი მშვიდობის, ფიქრი საამო,
შვებად მიჰყვება გაფრენილ აფრას.

მზე იძირება სხივთა მფინარი,
ღელვა ტალღების მთებს ატრიალებს.
მოუსვენარი, დაუძინარი,
შმაგი ზღვაური ქრის და გრიალებს.

დასვენების ბაღს — მშვიდ რივიერას
შემოეჭრება, ნაძვებს შეურხევს,
ისევ დაბერავს ზღვიდან ძლიერად
და ბებერ მუხებს ფესვებს შეურყევს.

გემი კი — მიჰქრის მშვიდობის გემი,
გზა გაშლილია დაუსაბამო,
მას თან მიჰყვება ოცნება ჩემი
და რივიერის მშვიდი საღამო.

ქარი დაცხრომას აღარ აპირებს,
ჩანს სიშორეში თეთრი ანძები,
და თავს უხრიან ცისფერ ნაპირებს
ნაგრიგალევი მწვანე ნაძვები.

—.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მშვიდობისკენ მოგვიწოდებს ძმათა სისხლი

★

თვალწინ მიდგას მშვენიერი შარაგზები,
ჩემი სოფლის სილამაზე თვალწინ დგება,
უჩვეულო სიხარულით და აგზნებით.
მამაჩემის კარმიდამო მაგონდება.

მაგონდება სასიმინდე, სახლი ისლის,
სიყრმის განცდებს დაივიწყებს ვინმე განა?
ქარის ხმებში თითქოს ახლაც ლაღად მესმის
სახლის ჭერთან თანშეზრდილი იავნანა.

მახსოვს, მახსოვს, მთას ნისლები გადეყარა,
მზის სხივებზე ფარფატებდა ლაფნის ჩერო,
და მინდვრებზე მოშრიალე მოსულ ყანას
დამღერდი და დახაროდი, ძმაო ჩემო!

მახსოვს, მახსოვს, დაწყნარებულ ქვეყნის სახეს
რომ ეკვეთა დაუნდობი მტარვალთ გუნდი,
შენც მამულის დასაცავად ომში წახველ,
ომში წახველ და იქიდან არ დაბრუნდი.

ჰოი, ძმაო, მე მგონია, გამალებით
ისევ შრომობ, გხიბლავს სოფლის სილამაზე,
ისევ მოჩანს შენი ურმის ნაკვალევი
შენი ხელით დამშვენებულ შარაგზაზე.

მე მგონია, ისევ დგახარ შეკრულ ძნებთან
და შუქს გაფრქვევს მზის მწვერვალზე შემოდგომა,
თანასოფლელ კოლმეურნე მეგობრებთან
შენც გახარებს მარად ლაღი შემოდგომა.

მაგრამ სად ხარ, მსხვერპლი გახდი წყეულ დღეთა,
ჩამოგვშორდი, გულში ბოღმა გაიშალა,
შვილდაკარგულ, ძმებდაკარგულ დებთან ერთად
მეც აღვდგები მტარვალთ მიმართ ქარიშხალად,

რომ მეორედ ჩვენთან ომი ვერ გაბედონ,
რომ სიმშვიდე ვერ წაგვართვან ომის რისხვით,
დიდ დროშის ქვეშ დავირაზმოთ, დებო, ძმებო,
მშვიდობისკენ მოგვიწოდებს ძმათა სისხლი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაქრო სამადაშვილი

# აფხაზური ნაძვი

★

ნაძვი მიცქერს და შემომშრიალებს:
მე აფხაზეთის მიწაზე ვხარობ...
კახელო, მხედავ? მოსაწონი ვარ,
ვით თქვენში მაჭრის ჩუხჩუხა წყარო.
ვერაფერს მაკლებს დელგმა და ღვარი,
თავი ზეცისთვის მიმიბჯენია,
მოციმციმე და ციური ცვარი
ამ გაშლილ მხრებზე პირველს მდენია.
მაშ, რა გგონიათ, რითა მჯობია
ქინძმარაული ჩია ტანისა,
უბრალო ხე ხომ არა გგონივარ,
მე ვარ მარაგი კაცთა ჯანისა.
ნაძვო, ამაგით დაუვიწყარო,
ხარ და იქნები მუდამ ქებული,
რა მაღალი ხარ, ამაყად მდგარო,
ღრუბლებს ხომ არ ხარ ადევნებული!
ვაზი? — მას ვუვლი სასახელოდა,
ვეფერები და თავს დავტრიალებ...
მე ყურძნის წვენის ძალაც მშველოდა
ომში მტერი რომ გავატიალეთ.
ჩია ტანისო... ვაზზე ეგ ვინ თქვა —
ზრუნვით და მოვლით გალაღებული
ყვარლელი კაცის სიხარულს ნიშნავს
მიწაზე კოხტად ჩამწკრივებული.
ჩვენმა ქვეყანამ მტერი რომ სძლია,
ომში აფხაზთა იყვნენ შვილებიც...
გაქვს საამაყო, შენც დაგიზრდია
ბიჭები, როგორც ქარტეხილები.
მშობლიურ მიწის ზრუნვით იზრდები,
მოხიბლული ვარ შენი ეშხითა,
ისევ უშრეტი ძალა ვიგრძენი,
შენი ტანი რომ გადამეჩრდილა.
ვისვენებ, გიცქერ, გული ერთობა,
შენში სიცოცხლის ძალას ვტყობილობ...
მსურს ჩემი ქვეყნის სასიკეთოდა
ნაძვი და ვაზი დავაძმობილო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსულ ნიქაბაძე

# კრემლის ვარსკვლავი

★

გამიგონია, ზღაპრულ ფერებით
ცაზე რომ კრთიან სამარადისოდ,
თვალმოხატული ცის ვარსკვლავები
ადამიანთა ბედი არისო.

ჩემს ბავშვობაში დიდი ხნის წინათ
მეც ეს თქმულება მჯეროდა ასე,
ჩამოვჯდებოდი ცხენისწყლის პირას
და ბედის ვარსკვლავს ვეძებდი ასე.

მერე ხმაურით წავიდნენ წლები
და მხრებზე შუქი გადმომათოვეს,
მდინარის პირას ის ფიქრი მწველი
ჩემს ბავშვობასთან ერთად დავტოვე.

დღეს გული თითქო ღელავს ზღვასავით,
ვღაღადებ დიდი ცხოვრებით სავსე:
ქვეყნად ერთია ბედის ვარსკვლავი
და იგი ბრწყინავს მოსკოვის ცაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ყუშიგაშვილი

# რთველი კახეთში

★

ცაზე იისფრად ინათა, დილაა რიჟრაჟიანი,
ინათა, შუქმა იმატა, ვენახს გაუდის ჟრიალი,
ჰეი, რთველია, ძველიანს ზვრებს კრეფენ წინანდლელები,
რთველია, რთველზე მღერიან ალაზნის ფართო ველები!

ამღერებულან ქვევრები, ცას სწვდება ჰანგი ქებული.
თვალებს გვტაცებენ კასრები, მარანთან ჩარიგებული,
მართლაც რთველია, ძველიანს ზვრებს შესევიან ქალები,
ირგვლივ ნაპერწკლებს კვესავენ მათი ცისფერი თვალები.

ზვრებს კრეფენ — ზღვამოსავლიანს, იზმორებიან ვაზები,
ქალავ, მზე-ქალავ, ცის-თვალავ, ნეტავ ვის ელამაზები,
ვაზები გადაბინდულა, ვაზები რქებმოღუნული,
ისმის ურმების ჭრიალი და მანქანების გუგუნი.

შემოდგომაა რუისპირს, ყვითლად ღაღანებს ბაღები,
საურმეებზე ფრიალებს მანდილის ბაირაღები,
ფრონტზე ასჯერ და ათასჯერ სიკვდილთან შენაჭიდები,
გოდრებით რიგში ჩამდგარან მხარბეჭიანი ბიჭები.

მოდიან შეუჩერებლივ შრომის მაშველი ჯარები,
ბევრს შვენის წარსული დროის ბრძოლების ნახანჯლარები,
ჯერ არნახული კახური ბარაქა მოდის ულევი,
დაღამდა, დასხდნენ ხეებზე ბდღვრიალა ელნათურები.

ელექტროსაწურავები ქშინავენ, როგორც დევები,
ღიმილით იმზირებიან სარქველმოხდილი ქვევრები,
მოსჩქეფს მსწრაფლ, შეუჩერებლად ღვარად ქცეული შაქარი,
აქ არის შრომის დუღილი, კახური სიტკბო აქ არი.

უყივის პაპა ტოლბიჭებს, დაასხით ახალთახალი,
ვადიდოთ, ვერვინ დათვალოს ჯამიჯამს შემონახალი.
ვადიდოთ დიდი ბელადი, ვინც მკლავი გვიქო ვაჟური,
ვინც დაგვიწმინდა ძარღვებში სისხლი გულიდან ნაჟური,

ვადიდოთ სიტყვა მშვიდობა, გულიდან ამონახეთქი,
რაზეც ოცნებობს ნიადაგ ჩვენი დღეგრძელი კახეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**დავით სულიაშვილი**

# დაუცხრომელი გული

## ბიოგრაფიული მოთხრობა *

★

სკოლის ეკლესიაში წირვა დამთავრდა. მოსწავლეები ჟრიამულით გაცვივდნენ ქუჩაში შინისაკენ სირბილით გასწიეს.

— ბიჭებო, დღეს ხომ გორისჯვრობაა?

— მაშა! არ იცოდი?

— მერე, არ წავიდეთ? — შეეკითხა პეტა გოგია გლურჯიძეს.

— რა ვიცი, თუ გინდა, წავიდეთ! წამოხვალ მიხა?

— წამოვალ, მაშა? გორისჯვარზე ჯერ არ ვყოფილვარ!

ქუჩაში ზანტი კამეჩები ნელი ნაბიჯით მიაგორებდნენ ჩარდახიან ურმებს. მათი კოფოები და ჭალები, გაფურჩქვნილი შტოებითა და ყვავილებით აფერადებულნი, ფეხადგმული ბუჩქებივით მისდევდნენ ერთმანეთს. მახლობელი სოფლებიდან წამოსული გლეხების ოჯახები ეკლესიაზე ღამის სათევად მიეშურებოდა. თან მიჰყავდათ შესაწირიც. იმ დღეს იქ გაატარებდნენ დროს. ჭურჭლეულობას — ჩაფებს, დოქებს, სარკეს და სხვა საჭირო საგნებს იყიდიდნენ. ლიმონადს დალევდნენ. ნათესავებსა და ნაცნობებს ინახულებდნენ. წვადებსა და ღვინოს შეექცეოდნენ და შინ დაბრუნდებოდნენ.

უმეტესი ნაწილი ფეხით მიდიოდა. მტკვრის ხიდს რომ გასცილდებოდნენ და რკინიგზის ლიანდაგს გაივლიდნენ, აღმართს შეუდგებოდნენ. ალმაცერად გაჰყვებოდნენ ბუჩქებიან გორაკს. მეურმეები კი გორაკის მეორე მხრიდან ადიოდნენ.

ეკლესიის ეზოში და მის გარშემო აურზაური, ყვირილი და გაძახილი იდგა. იქაურობას აყრუებდა ზურნის ჭყიპინი. სვამდნენ ღვინოს და მღეროდნენ მრავალჟამიერს. ქალები ლიმონადს, ბულკებს და კამფეტებს ეტანებოდნენ.

მიხა და მისი ამხანაგები მოსულთა შორის დადიოდნენ. შემდეგ მინდორში გავიდნენ. სოფლელებს დიდი წრის გარშემო მხრები შეემჭიდროვებინათ. ზურნა საჭიდაოს უკრავდა. შემჭიდროებული მხრები ერთ ალაგას გაიხსნა. ბიჭებმა ისარგებლეს და წრეში შეცვივდნენ. ორი მოჭიდავე, ერთი გამხდარი და მაღალი, მეორე მხარბეჭიანი და დაბალი, ერთმანეთს ფიცრებივით აკვროდნენ. სარმაგამოდებული მაღალი, ცალ ფეხზე შემდგარი, კომპასის ისარივით აქეთ-იქით ქანაობდა, მოწინააღმდეგეს არ ნებდებოდა. ერთ წუთს ასე გაგრძელდა. მხარბეჭიანმა სალმა აუშვა. ორივე ისევ მოიღუნა. ხალხიც დაწყნარდა.

„ჰაი, დედასა! იმ ახალგაზრდამ კინაღამ ძირს არ დასცა!“ — ლაპარაკობდნენ ხალხში.

---

* დასასრული. იხ. მნათობი № 9.

— ნახავ, თუ იმ ახალგაზრდამ არ აჯობოს იმ მაღალსა! — ამბობდა ზოგი.

— აჯობოს კი არა, ის არ გინდა! — უპასუხებდნენ. — ვინ გგონია ისა? ატოხელი ლექსოა! ჯერ მაგის წამქცევი არავინ გამოსულა, იცი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს კიდევ ბერშუეთელი ვანოა! იცი, რა მოჭიდავეა?

— გოგია! შენი სოფლელი ყოფილა, ბიჭო! აბა, ერთი, კარგად დააკვირდი, თუ იცნობ! შენი ფალავანიც ხომ ის არის! — მიმართა პეტამ გოგიას.

ამ დროს ხალხი ისევ აჩოჩქოლდა. ახალგაზრდა მოჭიდავემ მხარზე წამოიგდო მაღალი, მისი აყირავებული ფეხები ერთი წამით ჰაერში შეტორტმანდა, მერე მოჭრილი ხის ორკაპა ტოტივით ძირს დაეშვა. ზევიდან ბერშუეთელი ვანუა დააწვა.

— ვაჰ! შენი ჭირიმე, ბიჭო! ეს რა ჰქნა, ხედავ? — იხუვლა ხალხმა და მოჭიდავეებს მიესია.

— უჰ, შენი ჭირიმე მასახელა, მასახელა! — იძახდა გახარებული გოგია.

ზურნის ჭიჭყინი და დოლის ბრახუნი შეწყდა. ხალხმა მხრებზე შეისვა გამარჯვებული და განაპირა მოედანზე გაიყვანა.

ჭიდაობის მზერა მალე მოსწყინდათ. გორიჯვრის მაღლობიდან მტკვრის ხეობას გახედეს.

ატაცებული, აფრთოვანებული თვალებით უმზერდნენ გადაშლილ ველ-მინდვრებს, კავკასიის მთებიდან მონავარდე ლიახვს და გორის ველზე მოდუდუნე მტკვარს. ამ ორ მდინარეს დაესერა ვენახები და ბაღები, მთები და გორაკები.

ჩარჩოში ჩასმული ფერადი სურათივით მოჩანდა გორის ციხე. მის გარშემო შეჯგუფული ხალხი, ყავრის სახურავები, ერდოები და ეკლესიების გუმბათები. მოშორებით — სოფლები და ვენახები, ეზოები და შარაგზები, ტყემლისა, ატმისა და ფშატის აყვავილებული ბაღები. ვაშლის მომხიბლავი რაგინდრა-ფერები. მდინარეებით დასერილი ქართლის ველი და მასზე რკინის გზის ლიანდაგნ თასმებივით გაჭიმული ორი ხაზი...

მდუმარებით დასცქერდნენ ჩიტის აფრენის სიმაღლიდან ამ შვენიერ სურათს.

— ნეტავ შეიძლებოდეს აქედან გადაფრენა! მოვივლიდი იმ მთებსა და გორაკებს, სოფლებსა და მინდვრებს. ჩავუფრენდი ჩემს სამშობლო წრომს და მის მიდამოს. — დაარღვია სიჩუმე მიხა დავითაშვილმა.

— ეჰ, მართლა, რა იქნებოდა? — დაურთო გლურჯიძემ.

— იქნებ განხორციელდეს ეს ჩვენი ოცნება? — თქვა მიხამ.

— შენც ამბობ, რაღა! — ჩაერია ლაპარაკში პეტა კაპანაძე.

— რატომაც არა! ჩვენს მამაპაპას ხომ არ უნახავს არც მატარებელი, არც ავტომობილი, არც ტელეგრაფი და არც ტელეფონი, მაგრამ ნახე!

— მიწაზე ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ცაში? — არ ნებდებოდა პეტა.

— განა არ ყოფილა, ოცნება სინამდვილედ რომ ქცეულიყოს? — შეეკითხა გოგია გლურჯიძე.

პეტას პასუხი არ გაუცია და ბაასიც ამაზე შეწყდა.

სადღესასწაულოდ მოსული ხალხის ჟრიამული გრძელდებოდა. ისევ არეულ ხალხში გაიარეს. ერთ ფარდულთან შეჩერდნენ. სხვადასხვა ფერის ტყავის ნაჭრებისაგან შეკერილი ბურთები ქანაობდნენ. ბავშვები იდგნენ და შესცქეროდნენ, მშობლებს ემუდარებოდნენ, ეყიდათ ჭრელი ბურთი.

მიხამ ჯიბეში ჩაიყო ხელი და ორი შაური აღმოაჩინა. გამყიდველს შეეკითხა.

— რა ღირს ბურთი?

— შაური! შაური, რაღა! იაფია! აქამდის ორ შაურად ვყიდიდი! აბა! წაიღე! მოვწყვიტო?

მიხამ ფული გაუწოდა, ხელში აჭრელებული ბურთი აათამაშა. ხან გოგია გამოართმევდა, ხან პეტა. იღიმებოდნენ. უხაროდათ, თითქოს ძვირფასი რამე შეიძინეს. არეული ხალხის რიგებს გაშორდნენ. ერთმანეთს ბურთს გადაუგდებდნენ, გაბერავდნენ, ისევ დაიჭერდნენ. ხალისობდნენ, იცინოდნენ.

— აბა, რომ ჩავალთ, გავახუროთ ლაფთი! — თქვა პეტამ.

— ამისთანა ბურთი ვის ექნება? — ამბობდა გოგია.

სხვადასხვა ფერის სამკუთხიანი ნაჭრებისაგან შეფერილი ბურთი ბრწყინავდა, თვალს იზიდავდა.

დაღმართს მიჰყვებოდნენ. ერთი ახალგაზრდა ბიჭი მიხასთან მივიდა. შეეკითხა:

— რა მიეცი მაგ ბურთში? სად იყიდე? მაჩვენე, ვნახო როგორია? — მიხამ ბურთი გაუწოდა.

— აბა, ერთი შემოვკრა, შორს წავა თუ არა! — თქვა ბიჭმა. მართლა შემოჰკრა და გაიქცა, ბურთს დაედევნა. ბიჭებს ეგონათ, რომ ის ბურთს აიღებდა, უკან დაბრუნდებოდა, პატრონს გადასცემდა. ამიტომ არც ერთი არ დაძრულა ადგილიდან. მაგრამ როგორი იყო მათი გაოცება, ბიჭმა რომ ბურთს ხელი სტაცა და დაღმართზე დაეშვა. ერთი კი მოიხედა უკან, პატრონი ხომ არ მომდევსო, გაიცინა და მოჰკურცხლა.

გაშტერებულნი, ერთ ადგილზე შემდგარნი შეყურებდნენ ერთმანეთს. გლურჯიძეს უნდოდა გამოკიდებოდა, მაგრამ ბიჭი შორს იყო. უცბად სამივეს სიცილი წასკდა.

— ვაჰ! ეს რა გვიყო იმ შეჩვენებულმა? — წამოიძახა გოგიამ და მიხას მივარდა, მკლავში ხელი სტაცა და შეანჯღრია.

იცინოდნენ სხვა ბიჭებიც.

*
* *

— აბა, მაჩვენე, მიხა, შენი გამოცდების ცხრილი! — ეუბნებოდა მიხას დიასახლისის ქალიშვილი ნატო.

მიხამ მოძებნა ბერძნული ენის წიგნში ჩადებული საგამოცდო საგნების ფურცელი და მიაწოდა.

— საღვთო წერილი მაისის 4-ში, რუსული 7-ში, კატექიზმი 9-ში, ანგარიში 11-ში, საეკლესიო წესდება 14-ში, ქართული 15-ში, ბერძნული 17-ში, გეოგრაფია 19-ში, გალობა 20-ში. — ხმამაღლა წაიკითხა ნატომ. — ყველა საგნებში დაგეხმარები, მოგისმენ და გაგისწორებ ბერძნულის გარდა. ხომ იცი, სემინარიაში პირველი ხარისხით უნდა გადაგიყვანონ! გახსოვს, მამაშენმა რა გითხრა ამას წინათ, აქ რომ იყო — თუ არ გადახვედი, თვალით არ დამენახოო! მეც პირობა მივეცი. ახლა შენ იცი, თუ არ შემარცხვენ!

— ბერძნულისა და ანგარიშის გარდა არაფერში არ მეშინია! — უთხრა მიხამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოდა, ძალა უნდა მოიკრიბო, იმეცადინო. მეოთხე კლასში ხომ არ დაგტოვებენ! ან სემინარიაში უნდა შეხვიდე, ან ოთხი კლასის მოწმობით უნდა იარო. დიაკვნად ხომ არ გამწესდები? მაშ რას იზამ?

ნატოს თავიდანვე იზიდავდა წიგნების კითხვა. იცნობდა რუსულ ლიტერატურას, ყველაზე ძლიერ ტოლსტოი უყვარდა. ხშირად ამბობდა: „ხელზე თითები იმისთვის არის, რომ ხეზე ვაშლი მოკრიფოს, და არა იმისთვის, რომ თოფი დაიჭიროს და კაცი მოჰკლასო“, ტოლსტოის ეს დებულება ძალიან მოსწონდა. ხორცის ჭამას თავი დაანება, თავისი აზრების გავრცელებას შეუდგა. მეზობლების ზრუნვა ყოველდღიურ ცხოვრებაზე ფუქსავატობად მიიჩნია. წიგნების კითხვამ გააამპარტავნა. გორის მოწყენილ ცხოვრებას სწყევლიდა, თბილისზე ოცნებობდა. რას შესძენდა თბილისი, ან თვით რას მისცემდა მას, არ იცოდა.

დედ-მამასთან ცხოვრობდა, მაგრამ მათთან საერთო არაფერი ჰქონდა. ცხოვრობდა წიგნებით. დიდხანს რჩებოდა უკანასკნელად წაკითხული რომანის გავლენის ქვეშ. უყვარდა კამათი. მაშინ თვალები უბრწყინდებოდა.

გამოცდების დროს ბავშვებს ეხმარებოდა: ჩაუჯდებოდა, აუხსნიდა, გაურკვევდა.

*
* *

მაისის თვე სავსეა სურნელებითა და ყვავილებით. ფანჯრები გაღებულია. ლიახვის სანაპიროდან მოვარდნილი ნიავი ფარდებს აფრიალებს. გული გამალებით სცემს, სისხლი ჩქროლავს.

გამოცდებისათვის მოსწავლეები ჯგუფურად მეცადინეობენ. შინ როდი რჩებიან. ბაღებში მიდიან, აბიბინებულ ბალახს სთელენ, ბერძნულ ენის წიგნს გაშლიან, ჯერ შიგ წაიკითხავენ, მერე დაკეცავენ, ან და თვალებს დახუჭავენ და გაიძახიან: „ვასილევ ურანიე პარაკლიტა, ტო ჰნევმა, ო პანტახუ პარონ, კე ტა პანტა პლიროონ“... თუთიყუშივით ხმამაღლა გაჰყვიროდნენ. სახედამანჭულნი ერთმანეთს ისე უცქერდნენ, თითქოს რამეს შესთხოვენო.

გარემოს ფშატის სუნი ედება. კუნწულა ალუჩა ტოტზე მტევანივით ჩამოკიდებულა. ფუტკრები ბზუიან. შორიდან ყრუ ხმაური ისმის. გარშემო მყუდროება და სიწყნარეა.

ბერძნულზე უფრო თავსამტვრევი, გაუგებარი კატექიზმი იყო. ამ საგანს ორ კლასში გადიოდნენ — მესამეში და მეოთხეში. ვაიზიპირებდნენ, მრავალგზის გაიმეორებდნენ და მეორე დღეს გამოცდაზე მიდიოდნენ.

ამ დღეს კლასში ორი მაგიდა შეჰქონდათ, ზედ წითელ მაუდს აფარებდნენ, გარს ფრაკებში და სერთუკებში გამოწყობილი სამი ან ოთხი მასწავლებელი შემოუსხდებოდა.

ვიდრე ისინი შემოვიდოდნენ, მოსწავლეთა გულები ჩქროლავდა. გამოცდების დღეებში შეწყდებოდა ჩვეულებრივი გაძახილი, ყვირილი, ჩხუბი, ცელქობა.

მოსწავლეები კლასში სულგანაბული ისხდნენ. დაჭიმული, არაბუნებრივი განწყობილება სუფევდა მათში; ზოგი ღმერთს ეხვეწებოდა, პირჯვარს იწერდა, ლოცულობდა, ღვთისმშობლის ხატს კელაპტრის დანთებას პირდებოდა.

კარი გაიღებოდა. შემოსასვლელში გაიჭედებოდა ჯერ ორი სერთუკი — ბრჭყვიალა ღილებით შეკრული, მერე კიდევ — ორი, და მაგიდას მოუსხდე-

ბოდა ოთხი მასწავლებელი. ერთი მათგანი პატარა, ოთხკუთხიან ქაღალდებზე დაწერილ ნომრებს მაგიდაზე სათამაშო კარტივით გაშლიდა, აურევდა. ამ დროს მთელი ყურადღება მოსწავლეებისა იქითკენ იყო მიპყრობილი, ჯერ ცდილობდა გაერკვია, რა განლაგებას მიიღებდა ნომრები. იმ დღეს ყოველივე სადღესასწაულო ელფერით იმოსებოდა.

— ღმერთო! ოღონდაც მეჩვიდმეტე და მეცხრამეტე ბილეთი ნუ შემხვდება და თუგინდ საღვთოს გადაგიხდი! — იძახდა ერთი მოსწავლე.

— ღვთისმშობელო შენი სახელის ჭირიმე, ოღონდ ახლა გამომიყვანე და, რასაც მეტყვი, ყველაფერს შეგისრულებ! — ამბობდა მეორე.

— ბიჭო, ყველაფერი კარგად ვიცი, მაგრამ ის ოხერი ოცდასამი რომ შემხვდეს, დავიღუპები!

დაიწყებოდა გამოძახილი ანბანზე. მერხებზე ისხდნენ ათრთოლებული მოსწავლეები, წითელი მაგიდის გარშემო კი — ოთხი სერთუკიანი. მაგიდაზე ეყარა ოთხკუთხიანი ქაღალდები.

აგერ, გაიძახეს ბასიშვილი. მაგიდას რომ მიუახლოვდა, ქამრის გასწორება მოინდომა, ხალათის ნაოჭი ჩაკეცა და ერთბაშად უბიდან ლიახვის პირად აკრეფილი პატარა კენჭები გადმოსცვივდა. ბასიაშვილი დაიბნა, არ იცოდა, კენჭებს გამოსდგომოდა ასაკრებად, თუ მაგიდასთან გაჩერებულიყო. გაწითლდა. დაიწყებოდა — უბეში რომ კენჭები ჩაიყარა გულის გასამაგრებლად. ატყდა კლასში კისკისი. ხითხითებდნენ მასწავლებლებიც. გამხიარულებულმა მასწავლებლებმა ბასიაშვილს ორიანის ნაცვლად სამიანი დაუწერეს.

*

* *

ოცდახუთში ყველა გამოცდა გათავდა. მიხა დავითაშვილმა ოთხიანი მიიღო ბერძნულში, სხვა საგნებში — ხუთიანები და პირველი ხარისხის მოწაფეთა შორის ჩაირიცხა.

გლურჯიძის სანახავად წავიდა. საღამო იყო. რუსის მოედანთან რომ მივიდა, მთელი გროვა თავისი კლასის ამხანაგების წინ შეეფეთა.

— ოჰ! მიხა? საით? — შეეკითხნენ ამხანაგები.

— გოგიასთან! — თქვენ სად ყოფილხართ, თავი რად მოგიყრიათ?

— ჩვენ? აუტოდაფე გავმართეთ! ჩვენი საძულველი საგნების წიგნებისულ დავხიეთ, დავფხრიწეთ! რელსებზე დავდეთ და მატარებელი ზედ გადავატარეთ! — ამბობდა ერთი

— მაშ, მაშ! მე კატექიზმი ისე დავკუწე ცალკე ფურცლებად, რომ... მერე უცბად ვისროლე და მტკვარს გავატანე! უნდა გენახა, როგორ მოიტაცეს ტალღებმა გაფანტული ფურცლები: ჯერ შეათამაშეს, ზედაპირზე ატარეს, მერე კი ჩააყურყუმელავეს და... გაქრა შენი კატექიზმი...

— მე კი ბერძნული ენის წიგნი რკინიგზის რელსზე დავაბი, რომ არ გადმოვარდნილიყო. შორით დავჯექი და ვუცქერდი, ორთქლმავლის ბორბლებმა როგორ დაფლითა წიგნი ნაკუწნაკუწად, გაფანტული ფურცლები კიდევ დიდხანს ფრიალებდნენ ვაგონების ქვეშ... მატარებელი მიჰქროდა, ბორბლები ბრუნავდა და ფურცლები იფანტებოდა... აღარ იყო შენი ბერძნული... — ამბობდა მეორე.

— მე ანგარიშის წიგნი დავწვი. ისეთი ალი ავარდა, რომ... მალე ფერფლიღა დარჩა... იმასაც ნიავმა შემოუბერა და გათავდა შენი ანგარიში... — დაუმატა მესამემ.

— ბიჭოს! რა გმირობა ჩაგიდენიათ! ახლა დადიხართ და ყველა შენ ხვედრს უყვებით თქვენი რაინდობის ამბავს? — ტუჩების ცმაცუნით უთხრა მიხამ.

— წადი, ერთი... შენ თუ არ გაატრიზავე ყველაფერი, ისე ხომ არ შეიძლება! — უთხრეს და ჯგუფად მოსცილდნენ მას.

ციხის ჩრდილი ირიბად მისდგომოდა დაბალჭერიან და ერდოიან სახლებს. ვიწრო შესახვევებში ნელი, დინჯი ნაბიჯით მიდიოდნენ ჯიქანსავსე ძროხები. მიხამ რამდენიმე შესახვევი გაიარა, გოგია გლურჯიძე მოინახულა. ერთმანეთს შეჰპირდნენ, რომ ზაფხულში ეწვეოდნენ ერთმანეთს სოფელში. მეორე დღეს მიხა უკვე თავის სოფელ წრომში იყო...

*

* *

მიდიოდა გახარებული, ის-ის იყო ჩამოხტა მატარებლიდან, ტრიალი მინდვრის ბილიკზე გავიდა. შეხედა თრიალეთის მთებს, მის სოფელს რომ ასპარეზს უზღუდავდა. საცოდავად მოჩანდა მშობლიური მხარე, — მწირი, უნაყოფო, გორაკის ძირში ქათმის საბუდარივით მიკრუნჩხული, უმწეო და ღარიბი.

მტკვრის ჩხრიალა ნაპირს მიადგა და შვება იგრძნო. მებორნე ვანო მოიკითხა. მთიდან მოვარდნილმა ნიავმა ყურში ჩასჩურჩულა. ნაცნობმა ადგილებმა გული აუჩუყა. მწვანე ჯეჯილი ბიბინებდა, შრიალებდა. ასეთი სიყვარულით სხვა დროს არ მისალმებია თავის სოფელ წრომს. სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული ბრუნდებოდა შინ, გაახარებდა დედას და მამას.

შარაგზაზე ურემი მიჭრიალებდა. კოფოზე მჯდარი მეურმის სახრე სივრცეში ქანაობდა. შორიდანვე მოავლო თვალი თავის კარ-მიდამოს. იქით კი, მეორე მხარეს, კაკლების ტოტებში მიმალული მაღალკედლებიანი, განიერაივნიანი, ერთსართულიანი სახლი იდგა. აქ გაიცნო მან პირველად ელი. ნაბიჯს უმატა.

აგერ საყვარელი ეზოც. ოთხსაფეხურიანი კიბე და გრძელი აივანი მოაჯირით. აფუსფუსებული, ალერსიანი დედა... მხრებზე მოხვეული მკლავები, კოცნა და გულში ჩაკვრა გამხარებელი შვილისა.

— მამა მეორე სოფელშია, შვილო, წასული, მალე დაბრუნდება. გუცა კარგადაა. ახლა აქ იყო. არ ვიცი, სად წავიდოდა.

მიხა მთელი კვირის განმავლობაში მოუსვენრობდა. ცდილობდა და ვერ გაეგო, ჩამოვიდა თუ არა ელი. თავის ძმასაც ჰკითხა. იმანაც პასუხი ვერ მისცა. იმ დღეს კი დედამ უთხრა.

— შვილო, მიხა, ციციანთსა არა ყოფილხარ? მერე, რატომ, შვილო? უნდა მიხვიდე! როცა მოხვალ, პირველად ლევანი უნდა ინახულო! მიდი მიდი, გენაცვალე, ნახე!

ახლაღა გაბედა წასვლა. წინათ კი, ვიდრე ელის გაიცნობდა, ლევან ციციშვილთან მისვლა როდი უძნელდებოდა. დედამ თვალი გააყოლა მიმავალ შვილს. „სემინარისტი მყავს! ენაცვალოს დედა!“ გაიფიქრა გულში.

მიხამ მაღალი კიბე აირბინა. განიერ აივანზე შედგა. გული ძალზე უცემდა. ელოდა, კარი გაიღებოდა თუ არა ელი მიესალმებოდა. ფანჯარაზე აფარებული თეთრი ფარდა შეირხა. ვიღაცამ გამოიხედა. მალე კარიც გაიღო და ლევანის ცოლი მიესალმა.

— მობრძანდით, მობრძანდით, ლევანი შინ არის. ახლავე გამოვა, — თქვა და მიხა ოთახში შეიპატიჟა.

მაგიდაზე ზინგერის საკერავი მანქანა იდგა. იატაკზე აბურდული ჩითი ეგდო. დიასახლისი ისევ საკერავთან მივიდა.

მიხამ მოკრძალებით და ნელი ნაბიჯით გაიარა პატარა მანძილი და სკამზე ჩამოჯდა.

— კატო, ვინ არის? — მოესმა კატოს მეორე ოთახიდან ლევანის ხმა.

— ჩვენი ღვდლის შვილი, მიხა, — უპასუხა ცოლმა.

— მოვიდეს ჩემთან! — დაიძახა ლევანმა და კარიც გააღო.

როცა მიხა მასთან შევიდა, გაოცებული შედგა. ლევანს ხელი ჩამოართვა, მაგრამ მისი მხედველობა კედლის გაყოლებით კარადაში დალაგებულმა წიგნებმა მიიპყრეს. მას ამდენი წიგნი ერთად მაღაზიაში თუ ენახა.

— ეს არის ჩემი ბიბლიოთეკა. აი, ეს რუსული ლიტერატურაა. ეს კიდევ პარიზიდან ჩამოტანილი ფრანგული წიგნებია, აგერ იქ — ქართული. ხედავ, რა ცოტაა?

მიხა ფანჯარასთან დაჯდა. თვალი ვერ მოეშორებინა თაროებისთვის.

— სხვა? როდის მოხვედი?

— ერთი კვირაა!

— რა ჰქენი, დაამთავრე სკოლა?

— პირველი ხარისხით.

— მაშ, სემინარიაში შესვლა უზრუნველყოფილია!

— დიალ!

— მომილოცავს ყოჩაღ, ყოჩაღ. ამ ზაფხულს აქ იქნები?

— სად წავალ აბა!

მიხა ლევან ციციშვილს პატივს სცემდა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი იყო ალალი და მართალი კაცი. არ ამაყობდა თავისი შთამომავლობით, უყვარდა სამშობლო და მზად იყო გლეხებისათვის გადაეცა მიწა, სახნავი და სათესი ადგილები.

ლამაზი, ახოვანი და ტანადი ლევანი ცისფერი, დიდრონი თვალებით წაბლისფერი თმებითა და ქერა წვერულვაშით — ყველას ხიბლავდა. ის, ხალხოსნურ იდეებზე აღზრდილი, ახლა არცერთ მიმართულებას არ მისდევდა. უყვარდა გლეხები და მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის ზრუნავდა.

ლევანს უყვარდა მიხა და იმ არემარეში ყველაზე მეტად პატივს ცემდა მას, ვინაიდან ის არ იყო სხვა თავადების შვილებივით ფუქსავატი.

— არ გინდა საკითხავი წიგნი? ამოირჩიე და წაიღე! — დაარღვია სიჩუმე ლევანმა.

წერწეტა ტანის ციციშვილი გრძელსა და საშინაო ხალათში, წელზე ჯაბრამოჭერილი, ლაღად მოძრაობდა.

— ტურგენევის „Отцы и дети“ წაგიკითხავს?

— არა!

— წაიღე. კარგია!

მიხამ წიგნი გადაუფურცლა და მერე იღლიაში ამოიდო. თითქოს ელის ხმა შეესმა.

— წრეულს მინდოდა გლეხებისათვის ერთი წარმოდგენა მაინც გამემართა, მაგრამ სამწუხაროდ, არ ხერხდება. ელიც არ ჩამოვიდა! — თქვა ლევანმა.

— რატომ არ მოდის? — ისეთი დაბალი ხმით ჰკითხა მიხამ, რომ მასპინძელმა ძლივს გაიგონა.

— თავის სოფელში გაკვეთილები უშოვნია და ზაფხულსაც იქ გაატარებს.

მიხა დიდხანს არ დარჩენილა ციციშვილთან.

ტურგენევის კითხვა დაიწყო, მაგრამ გულისყური ვერ დაუდო. სწუხდა. ხოლო თვითონაც არ იცოდა გარკვევით, — რისთვის!..

ბალში გაიარ-გამოიარა. მერე აივნის ქვეშ დაწყობილი ფიცრები შეხიმნა. თითქოს რაღაც მოაგონდა. უცბად მივიდა ფიცრებთან, გადმოალაგა. ხერხი, ნაჯახი და ლურსმნები მოიტანა. ორი არშინის სიგრძეზე გადახერხილი ფიცრებისაგან თაროებიანი წიგნების დასალაგებელი კარადა შეკრა, ოთახში აიტანა. სხვადასხვა ადგილას გაფანტული წიგნები მოაგროვა და თავის ნახელოვანზე დააწყო. შვება იგრძნო. სკამზე ჩამოჯდა. ღიმილით შეხედა ერთმანეთზე მილაგებულ წიგნებს.

*

* *

ზაფხული შეუმჩნევლად ილეოდა. მიხა წიგნებს კითხულობდა, მტკვარზე საცურაოდ დადიოდა, ტყეში გიოს ურემს მიჰყვებოდა. იქ, დიდრონ ხეების ქერქზე, ჯიბის დანით სამ ასოს ამოკვეთდა: „ელი“, მთელ დღეებს სოფლის ბიჭებთან ატარებდა. ივლისში, როცა მინდვრებში მზესავით მრგვალი კალოები აბზინდებოდნენ, როცა ყოველი მხრიდან ჰოროველა ისმოდა, როცა ნიავისაგან აბნეული ბზის ყვითელი ღეროები მზის სხივებზე ციციანთელასავით ციმციმებდნენ და მთელი სოფელი კალოებზე იმყოფებოდა, მიხაც გიოს კევრზე შეხტებოდა და სახრით ხელში ხარებს ერეკებოდა.

— ჰეე, ჰეე, ჰეე! — გაისმოდა კალოებიდან შეძახილები.

მბზინავი წინწკლებით სავსე სივრცე თონესავით გახურდებოდა. კევრში შებმული ხარები, ბზით შეგუნგლული დრუნჩებით, ზანტად უვლიდნენ კალოს. შიგადაშიგ მუჭით კუმშად გასროლილი ბზე უცბად სივრცეში გაისრიალებდა და იქვე გაიშლებოდა, გაიფანტებოდა. მიხა ხარებს ერეკებოდა და გლეხურ კილოთი დასძახებდა:

ბარე ორჯერ მოვიგონებ,
კალოობის კარგო დარო,
ჯერ მარანო, მერე თარო,
მერე, კოხტა პატარძალო.
ჰეე — ჰეე — ჰეე!

ფიწლით ხელში კალოს გარს უვლიდა ჭალარაშერეული გიო, დაბალტანიანი, საკინძე გახსნილი, პერანგის ამარა. აყირავებულ, კონკილაჩამოკიდებულ ურემთან მივიდოდა, ჩრდილში მდგარ ლიტრას მოიყუოებდა, ჯერ ჭალარა წვერზე, მერე ბალნით სავსე მკერდზე აციალებული მწკრივი მარგალიტები კრიალოსნად აისხმოდა. ცოტა ხნით ჩრდილში წამოწვებოდა და თავის ნაშრომს გახედავდა. მიხას სიმღერას სიამოვნებით ისმენდა.

გული სიხარულით ევსებოდა გიოს, თავის კალოს რომ გასცქეროდა. ბავშვები კევრიდან ცვივდებოდნენ და ბზეში კოტრიალობდნენ.

მზის ჩასვლისას, მთების წვერებზე რომ სხივები აბზინდებიან, არნადებით მოგროვილ ბზეს შუა კალოზე დაახვავებდნენ. ფიწლებითა და ნიჩბებით რომ გაანიავებენ, სივრცეში ასროლილი ბზის გროვა გაიფანტება, ქალის დავარცხნილ თმასავით გაიშლება და ხორბალი იქვე დაცვივდება. სავსე ტომრებს ურმით შინისკენ წაიღებენ. მაშინ მიხა კოფოზე წამოჯდება და ხარებს გაუტლაშუნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ოცი აგვისტოსთვის მიხა ქალაქში უნდა წასულიყო. ამ დღისთვის დიდი ამბით ემზადებოდა ოჯახი. უმცროსი ძმა, გუცა, ცმუკავდა, უკან დასდევდა, თავისი ძმის ბედნიერება უხაროდა. მიხა ხომ ოჯახში ერთადერთი იყო, სემინარიაში შესვლის მიზანს რომ მიაღწია.

დედამისი ფუსფუსებდა — ნაზუქებსა და ქადებს აცხობდა, ქოთანში იხვის ბუჟუჟს ამზადებდა. მამა და შვილი ორი დღით სასტუმროში უნდა დარჩენილიყვნენ, ვიდრე მიხა საერთო საცხოვრებელში მოეწყობოდა.

მამა-ნიკოლოზი — მუდამ დინჯი და მშვიდი, იმ დღეს თავისი გრძელი, სახელოებზე დუგმებით შეკრული კაბით, აჩქარებული ნაბიჯით დადიოდა ოთახებში. თვალები სიამით უბრწყინდებოდა. საფულეში სამ მანეთიანებს ითვლიდა. დიდი ხანია, თბილისში არ ყოფილა!

აგერ თბილისიც. მაღალი, თეთრი კედელი, ყაზარმასავით გრძელი, მრავალფანჯრიანი სემინარიის შენობა, დიდ მანძილზე ჩრდილით რომ ჰფარავს ქუჩას. მის დანახვაზე მიხას გული შეეკუმშა, თუმცა სემინარიაში სწავლა მას ახალისებდა, მაგრამ თავისუფლება რომ შეიკვეცებოდა, ბერების ხელში რომ ჩავარდებოდა — აწუხებდა.

ძარღვებდაჭიმული ოთხი ცხენი აღმართზე ძლივს მიათრევდა მგზავრებით დატვირთულ კონკას. ბაყალი შიგადაშიგ დაიძახებდა: „აბა, აქეთ ატამი, ხიდისთაური ატამი, ატამი!“

სემინარიის შესასვლელში ოთხი მსხვილი და მრგვალი სვეტი შენობის კედელს მოხდენილად ამაგრებდა. დერეფანში თავმოყრილი მღვდლები, მთავრები და დიაკვნები მიმოდიოდნენ და გებულობდნენ, რომ ხვალ მათ შვილებს რუსულ წერაში გამოცდიდნენ. კუნკულიანი ბერები სამასწავლებლოში შედიოდნენ. იქიდან რომ გამოვიდოდნენ, მღვდლებს მიმართავდნენ:

— წმინდანო მამანო! ხომ მოგახსენეთ, რომ ხვალ ათ საათზე მოიყვანოთ თქვენი შვილები გამოცდაზე. პირველი კლასის ოთახში შეიყრიან თავს და თემასაც იქ დაწერენ. ახლა რაღას უცდით! წადით შინ და ხვალ ათ საათზე მოდით!

ზანტად და ბურტყუნით გამოდიოდნენ დერეფნიდან მამები და შვილები.

— ეს გამოცდა წინათ ხომ არ ყოფილა? ახლა რატომ შემოიღეს? — ეკითხებოდნენ მამები ერთმანეთს.

— ეს სულ იმის ბრალია, რომ ბუნტოვშჩიკობენ ხოლმე!

გადიოდნენ ქუჩაზე ფარჩის სარჩულიანი ანაფორების შრიალით და მკერდზე მოზრდილი ვერცხლის ჯვრების ქანაობით.

კუთხის სამსართულიან სახლში მოთავსებული იყო სასტუმრო „ივერია“. აქ იაფფასიანი ოთახები ქირავდებოდა. სოფლებიდან ჩამოსული მღვდლები და დიაკვნები ამ სასტუმროში ათევდნენ ღამეს და აქვე სადილობდნენ.

სასტუმროს პატრონმა კარგად იცოდა, რომ მღვდლებს ნუნუას გადაკვრა ცალკე, მყუდრო ოთახში უყვარდათ, რათა არავის დაენახა მათი ღრეობა, ჭეიფი და დროსტარება.

— მობრძანდით, მობრძანდით, წმინდანო მამანო! აქეთ, აი, ეს ოთახი თქვენთვისა მაქვს განკუთვნილი. მობრძანდით! მობრძანდით! რამდენი ხანია გიცდით! — ასე მიმართავდა მღვდლებს სასტუმროს პატრონი.

ვიდრე მღვდლები ხელ-პირს დაიბანდნენ და დიაკვნები სოფლიდან ჩამოტანილ თონის პურებს, ნაზუქებსა და ქადებს მაგიდაზე დააწყობდნენ, ფარეშები აქეთ-იქით დარბოდნენ; მოჰქონდათ ბოთლებით ღვინოები, ჭიქები, ყანწები. შუა სუფრაზე არიგებდნენ ყველს, მწვანილს, ცოცხალსა და ხიზალალას.

— წმინდანო მამანო! მობრძანდით! მობრძანდით! სუფრა გაშლილია! — აუწყებდა წმინდა მამებს რესტორანის პატრონი ოსეფა.

აირეოდნენ ერთმანეთში მღვდლები, დეკანოზები, დიაკვნები და მათი შვილები. შეიქნებოდა პატიჟი, თავაზი, პირმოთნეობა და ცრუ მოკრძალება.

— მამაო იოსებ, მობრძანდით!

— არა, მამაო დიმიტრი, თქვენს შემდეგ!

— მამაო ნიკოლოზ, აქეთ მობრძანდით!

— ნუ სწუხდებით, დაბრძანდით!

— დაბრძანდით! დაბრძანდით!

სკამების ხრიგინი შეწყდებოდა. მღვდლები სხდებოდნენ ხნოვანებისა და დამსახურების მიხედვით. დიაკვნები და ბავშვები სუფრის ბოლოს მოექცეოდნენ. როცა დასხდებოდნენ დეკანოზი წამოიღგებოდა. სხვებიც წამოიშლებოდნენ. უხნესი დიაკვანი „მამაო ჩვენოს“ წაიკითხავდა. დეკანოზი სუფრას აკურთხებდა. პირჯვარს დაიწერდნენ. ისევ დასხდებოდნენ და იწყებოდა სერობა.

როცა წვერგაბარდნილი მღვდლები ანაფორებს გაიხდიდნენ და ჯვრებს კაბის ჯიბეში ჩაიდებდნენ, მაშინ დაემსგავსებოდნენ ჩვეულებრივ ადამიანებს. ახლა დუგმებით შეკრული მაჯებით ხელებს უფრო მარდად ხმარობდნენ, ღვინით სავსე მოზრდილ ყანწებს ულვაშებში აყირავებდნენ, გაქონილი თითებით ჯამებიდან მიირთმევდნენ ყაურმას, ჩანახსა და მწვადებს. ყანწებით სმა რომ მოსწყინდებოდათ, ყაურმიან ჯამებს პურის გულით მოწმენდნენ, ღვინით გაავსებდნენ. წვერებზე ჩამოცვენილ ღვინის წვეთებს ხელსახოცით მოიწმენდნენ, ჯამებს გადმოაბრუნებდნენ და ერთმანეთს შესთავაზებდნენ. რომ შეზარხოშდებოდნენ, მრავალჟამიერსაც შემოსძახებდნენ.

*

* *

მეორე დღეს მღვდლები და დიაკვნები თავიანთი შვილებით ისევ სემინარიის შესასვლელ დერეფანში შეიკრიბნენ. ისევ ფუსფუსი, ანაფორის შრიალი, გრძელი კაბის ქვეშ კუნკულიანი ბერების მოკლე ნაბიჯით სიარული, ჩოხიანი დიაკვნებისა და ხალათიანი მოსწავლეების არეული მიმოსვლა, ხმაური და ჩოჩქოლი.

გამოსაცდელ მოსწავლეებს მალე გამოუძახეს, კლასში შეიყვანეს, დასხეს და დაფაზე თემა დაუწერეს:

„როგორ გავატარე ზაფხულის არდადეგები“.

მიხა დავითაშვილი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თითქოს სხვისგან მოელოდა შველას. მერხზე გაშლილ რვეულის თეთრ ფურცელს დასცქეროდა. ხა-

თაური კი დაწერა, მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეწყო, — ქართულად დაბადებული აზრი რუსულ ენას არ ემორჩილებოდა. ეძებდა სიტყვებს. მათ ძებნაში იკარგებოდა აზრი და ერთმანეთისათვის ვერ მიება წინადადებები. დრო მიდიოდა მას კი ერთი სტრიქონიც არ ჰქონდა დაწერილი. რამდენიმე მოსწავლემ კიდეც ჩააბარა რვეული ზედამხედველს და კლასიდან გავიდა. გარეთ გასულნი მხიარულობდნენ და კვეხულობდნენ, რომ თემა კარგად დაწერეს და პირველებმა ჩააბარეს რვეულები. მიხა კი იჯდა და დაბნეულ აზრებს თავს უყრიდა.

უცბად ჩამოყალიბდა ერთი გარკვეული აზრი. რუსული სიტყვები ერთმანეთს მიჰყვნენ, ერთი წინადადება მეორეს ეედევნა... ურმით ტყეში სიარული, ბიჭებში წრელახტის თამაში, ახტურმა, თევზაობა, კალოობა და კაკლაობა... და ის იყო დროც გავიდა, მიუტანა ზედამხედველს თავისი რვეული.

მეორე დღეს გამოაცხადეს მიღებულთა სია. მათ რიცხვში მიხეილ დავითაშვილიც იყო.

— აბა, ახლა შენ იცი, შვილო, შენს დაჩაგრულ მამას როგორც ასახელებ! — დაემშვიდობა ნიკოლოზი შვილს. — ოღონდ იმ დღეს მომასწრო, სემინარია დაასრულო, ოღონდ ჩემს მტრებს ნუ გაახარებ და, რასაც მთხოვ, შეგისრულებ. ახლანდელ დროში, შვილო, უსწავლელი კაცი, როგორც მოტეხილი, ხეზე დაკიდებული ტოტი, ისე უმწეო და უბადრუკია. ისწავლე, შვილო, და მაშინ შენს სამშობლოსაც გამოადგები. შენ ხომ გიყვარს გლეხები. ჰოდა, უსწავლელი მათ ვერავითარ სამსახურს ვერ გაუწევს. სხვა რაღა გითხრა! — კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ცრემლი მოადგა თვალებში. შვილს გადაეხვია. საფულე გახსნა და ორი მანეთი დაუტოვა.

მიხა დავითაშვილის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყებოდა. ის ეცნობოდა თბილისის სემინარიაში თავმოყრილ ახალ მოსწავლეებს, თელავიდან, თბილისიდან, ქუთაისიდან, ოზურგეთიდან და ზუგდიდიდან მოსულებს. იძენდა მეგობრებს და ახალი ზრახვებით, ახალი აზრებით კვებავდა გონებას. სულ ორიოდე თვის განმავლობაში დაუახლოვდა უფროსი კლასების მოსწავლეებს, რომლებიც მასთან ხშირად საუბრობდნენ ღმერთის არარსებობაზე, ქართული ენის დევნაზე და გლეხების მდგომარეობაზე.

სემინარიელებში ჯერ კიდევ ჩქეფდა ხალხოსნური იდეები, ხოლო ახალი ნაკადის — სოციალ-დემოკრატიული მიმართულების შებრძოლება მასთან მოისუსტებდა.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, როცა საერთო საცხოვრებელში მყოფი მოსწავლეები ისადილებდნენ, სემინარიის კედლებს გაეცლებოდნენ და ქალაქის ქუჩებში თავისუფლად დადიოდნენ.

— ბიჭო, მიხა, არ გესმის? — უძახდა გოგია გლურჯიძე წინ მიმავალ მიხას. — ხომ არ დაგვიწყებია?

— რა?

— დღეს რომ იქ უნდა წავიდეთ.

— არა, არ დამვიწყებია, მაგრამ ჯერ ხომ ადრეა!

— რაღა ადრეა, საცაა, სამი საათი იქნება! სანამ აღმართს ავივლით, კიდეც შესრულდება, წავიდეთ!

— იცი, რა უნდა მეთქვა შენთვის? — გარეთ რომ გავიდნენ, შეაჩერა მიხამ გოგია. — ისა, რომ აი, ჩემი ძველი ნაცნობი გუცა პარკაძეც რომ წავიყვანოთ, რა იქნება? ძალიან კარგი ბიჭია!

— ვიცი, მაგრამ ამხანაგებს ხომ უნდა ვკითხოთ! ასე ხომ არ შეიძლება!

— ძალიან განვითარებულია! დაინტერესებულია ღმერთის არ არსებობით! ბერები და ჯაშუშები სძულს. ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის ხოსბეროვზე: ეგაო სკოლაშიც ჯაშუში იყოო და ახლაც იუდა სტეფანესთან დადისო. წავიყვანოთ, რა იქნება?

— არა, არა, დავიცადოთ. უფროს ამხანაგებსაც ვუთხრათ, თორემ, იქნებ, გვისაყვედურონ.

— კარგი, შემდეგისთვის იყოს. უარს არ გვეტყვიან. სულ შვიდი არა ვართ? ეგეც მერვე იქნება.

გოლოვინის პროსპექტი განვლეს, მამადავითის აღმართს შეუდგნენ. რაც უფრო მაღლა მიდიოდნენ, იმდენად ქალაქის შენობები, ქუჩები, გაღმა ისანი, მეტეხის ციხე, ხიდები და გორაკები ჩარჩოში ჩასმულ სურათივით იშლებოდა.

— ხომ წაიკითხე? — ჰკითხა მიხამ გოგიას, როცა ერთ ვიწრო შესახვევში შევიდნენ.

— „მგზავრის წერილები?“ მაშ!

— ხომ კარგია?

— მშვენიერია, წინათაც მქონდა წაკითხული, მაგრამ ახლა, როცა უფრო ბეჯითად წავიკითხე, მეტი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

— მოხვევ ხომ მართალია?

— ამ კრებაზე ახლა ეგ უნდა გავარჩიოთ. ვნახოთ, რას იტყვიან.

ერთ ეზოში შევიდნენ. ფერწასული, წითლად შეღებილი კარი გამოაღეს და ერთფანჯრიან პატარა ოთახში შევიდნენ. მოსულებს თანდათან ემატებოდნენ ახალგაზრდა სემინარისტები.

კამათი მწვავე აღმოჩნდა. გაისმოდა: „მართალია, კარგია, მაგრამ განსახორციელებლად როგორ უნდა ვიმოქმედოთ?“ „არ კმარა ზოგადი თქმა, უნდა იყოს კონკრეტულობა!“ „შესრულებისათვის გზა ჩვენ თვითონ უნდა ვეძიოთ!“.

ცხარობდნენ, ბრაზობდნენ, აზრის დამთავრებას ერთმანეთს არ აცლიდნენ. გაშმაგებით ერთმანეთს უტევდნენ.

პატარა და უნიათო, ნახევრად ბნელი ოთახი, შესაკრებად რომ ჰქონდათ დაქირავებული, ახალგაზრდა სემინარიელების თვალების შუქით ნათლდებოდა.

როცა უკან ბრუნდებოდნენ, გაწიწმატებული გოგია გლურჯიძე ვერ ისვენებდა. იგი აუჩქარებელსა და დინჯს, მუდამ ჩაფიქრებულ მიხას ეჩხუბებოდა. დაბალი ტანის გოგია ჩიკორივით მიგორავდა, ცხარობდა, იმავე დროს, კარგად გრძნობდა, რომ მიხა ჭკვიანურ აზრებს გამოთქვამდა.

როცა გოლოვინის პროსპექტზე ჩავიდნენ, მაშინღა შეიცნეს ქუჩის ხმაური, ხალხის არეული მსვლელობა, ეტლებისა და კონკის დგრიალი. ქუჩის მეორე მხარეზე გადადიოდნენ, — სასტუმრო „ორიანტის“ წინ მიმავალმა ორმა ქალიშვილმა მიიპყრო მათი ყურადღება. მიხამ მყისვე იცნო ელი. გულის ძგერამ უმატა. უცბად მოსწყდა ადგილიდან და მისკენ გასწია, ელის დაეწია და მის წინ შედგა. იმანაც შავი თვალები მიანათა. ჯერ ვერ იცნო სემინარისტის ფორმაში გამოწყობილი. მერე გაიღიმა და თქვა:

— ეს თქვენ ბრძანდებით? — ხელი ჩამოართვა. — ახლა, აქა ხართ, სემინარიაში?

— დიახ! — ძლივს უპასუხა მიხამ.

— გაიცანით, ჩემი ამხანაგი!

ახლაღა შეამჩნია მიხამ ელის გვერდით მდგარი ქალიშვილი, რატომღაც ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ხელი გაუწოდა.

ელი თითქოს გამოცვლილიყო, დაქალებულიყო. არ იყო ისეთი მხიარული, როგორც წინათ. აღარ ისროდა თვალებიდან ნაპერწკლებს და აღარც მოკისკისე ღიმილს აფრქვევდა. თითქოს წასვლას იჩქაროდა, ამხანაგს ეკვროდა, მიხას უცქეროდა, არ იცოდა, რა ეთქვა.

— როგორ გაატარეთ დრო წრომში? — შეეკითხა ელი.

— თქვენ რატომ არ ჩამოხვედით? აკი თქვით, ჩამოვალო?

— ჩემს სოფელში დავრჩი.

— მომავალ ზაფხულს არ მოხვალთ?

— უსათუოდ. ისე მიყვარს თქვენი სოფელი წრომი... — თქვა ელიმ და გაუღიმა მიხას.

— მიხას გულს თითქოს თბილი, მაამებელი წვეთები ესხურა.

ელის და მის ამხანაგს წმინდა ნინოს სასწავლებლის ფორმის ლურჯი კაბა ეცვათ ამობურთულ მკერდზე და ვიწრო წელზე მოჭერილი შავი წინსაფარით.

— ჩვენ ახლა ფარულ კრებაზე ვიყავით! ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ წავიკითხეთ და გავარჩიეთ! — თქვა მიხამ.

— მართლა? ნეტავ მეც შემეძლოს დასწრება!

— ივლით? გინდათ?

— მერე, რომ გამიგონ სკოლაში, ხომ გამომრიცხავენ!

— მერე რა? ჩვენც ეგ არ დაგვემართება?

— უსწავლელი დავრჩები. ვაჟის საქმე სულ სხვაა.

ისევ დუმილი ჩამოვარდა. ელის ამხანაგი გვერდზე მიბრუნდა. მეგობარს ამცნო — დროა, წავიდეთო.

— უკაცრავად! მშვიდობით იყავით! უნდა წავიდეთ, თორემ, თუ დავიგვიანეთ დაგვსჯიან!

ერთმანეთს გამოემშვიდობენ და თავთავიანთ გზას გაუდგნენ.

— ვინ არის? — შეეკითხა გოგია მიხას.

— ჩვენი სოფლელია!

— კარგი გოგია, ის ხომ არ არის, ბიჭო, შენ რომ მითხარი ერთხელ გორში... გახსოვს?

მიხა დუმდა.

სემინარიის მრგვალსვეტებიან შენობაში დუმილით შევიდნენ.

კლასში მოწაფეების ჟრიამული, და ბერძნული სიტყვების ძახილი ისმოდა: ...„ან-დრა-მი ე-ნე-ჰე, მუ-სა-ჰო-ლი-ტრო-ჰა, ოს-მა-ლა, პო-ლა!“.

მერხების წინ ერთი მოსწავლე ტრიალებდა. ისე ხმამაღლა გაჰკიოდა, თითქოს უნდა საერთო ღრიანცელი დაჰფაროსო.

მერხების შუა, მეორე მოსწავლე სწრაფი ნაბიჯით წინ და უკან დადიოდა და გაიძახოდა: „Глаголы с окончаниями — ешь, ет, ем, ете, — называются глаголами первого спряжения“.

მიხა დავითაშვილი მოწყენილი დაჯდა თავის სკამზე და ფიქრს მიეცა.

„მერე? განა ამას მოელოდა? ელისთან შეხვედრაზე ოცნებობდა და ამ შეხვედრას ასე უნდა ჩაევლო? რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი. ვინ იცის, კიდევ შეხვდება? რა ამპარტავანი იყო ის დღეს, იქ კი, სოფელში, მხიარული, მოკისკისე, ცქვიტი და მოკრძალებული! გაისად ზაფხულში სოფელში ჩამოვა ელი და მაშინ კი ხშირად ინახულებს! გამოუტყდება და ეტყვის: შენ ყველაზე მეტად საყვარელი ხარ დედამიწის ზურგზე, ელი, და რა ვქნა რომ მიყვარხარ!“

კლასში ზედამხედველი შემოვიდა. ჟრიამული შეწყდა.

* *

ყოველდღიური, სემინარიული ცხოვრება მოსაწყენი და გულდასალევი იყო. დილით ლოცვა, საღამოს ლოცვა, კვირაობით წირვა, უშინაარსო, უაზრო საღვთისჯულის გაკვეთილები, დასმენა და ბერების იეზუიტური მოპყრობა, — ყოველივე ეს სულს უხუთავდა მოსწავლეებს.

ბერად ახლად აღკვეცილი ინსპექტორი დიმიტრი, ერობაში თავადი აბაშიძე, მოსწავლეებს აცვიფრებდა თავისი უცნაური ყოფა-ქცევით. დეგენერატი ქართველი თავადი, კარიერის გულისთვის ბერად აღკვეცილი, რუსიფიკატორობაში რუს ბერებს აჭარბებდა. კი არ დადიოდა, ფეთიანივით დარბოდა. ანაფორაში მუხლები ებლანდებოდა, მხრებზე კი კუნკულას კალთები ქორის მოტეხილი ფრიკპივით ფარფატებდა. გრძელ აივანზე მოსეირნე მოსწავლეებს დაერეოდა, კლასებში ერეკებოდა. და ისინიც ისე გარბოდნენ, როგორც ქორისაგან შეშინებული წიწილები. ზოგი არ ეპუებოდა, გაუძალიანდებოდა, ფეხათრევით მიდიოდა. დიმიტრი კი ბრაზმორეული დორბლებს ყრიდა, ყვიროდა და იწყევლებოდა. მოსწავლეები იცინოდნენ. კლასში რომ შევარდებოდა, ჟრიამული ისე შეწყდებოდა, როგორც ტოტებზე ჩამომსხდარი ჩიტების ჟღურტული, როცა მათ ალალი გამოუქროლებს.

ცოფიანივით დარბოდა მერხებს შორის. ხან ერთ მოსწავლეს მიუხტებოდა, ხან მეორეს. უმიზეზოდ ყვიროდა. ცდილობდა მკაცრი და მრისხანე ყოფილიყო, მაგრამ მის სუსტ აგებულებას, ნაზსა და ფერმკრთალ ლამაზ სახეს არაბუნებრივი, გადამეტებული მღელვარება არ ეგუებოდა.

გადაგვარების გზაზე დამდგარი, კარიერისტი დიმიტრი აბაშიძე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბერად იმიტომ აღიკვეცა, რომ საპატიო ადგილი მიეღო. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მხოლოდ იმ ეკლესიაში დადიოდა, სადაც მწირველი ეპისკოპოსი ან არქიელი იყო.

ქართველების მოძულე დიმიტრი ქართულად არ ლაპარაკობდა და რამეს თუ იტყოდა, წ-ს ნაცვლად ც-ს ხმარობდა: „ცადით ცირვაზე!“ იტყოდა ხოლმე.

ბერად აღკვეცის შემდეგ მას ერთი ძველი ნაცნობი შეხვედრია და ანაფორასა და კუნკულაში გამოწყობილი რომ უნახავს, განცვიფრებით უთქვამს:

— კნიაზო დავით აბაშიძე, ეს რა ამბავია?

— კმაცვილო, ცდებით. კნიაზი დავითი მოკვდა. თქვენს ცინაშე დგას მონა ღვთისა დიმიტრი.

მალე ის არდონის სემინარიაში რექტორად გადაიყვანეს და არქიმანდრიტად აკურთხეს. შემდეგში ეპისკოპოსობა მიიღო შიდა რუსეთში და ეპარქიაც ჩააბარეს.

არდონში გადაყვანის წინადღეებში მეექვსე კლასის მოსწავლეებმა ყაზანისტებმა (ასე ეძახდნენ მეექვსე კლასის მლიქვნელ მოსწავლეებს, რომლებიც ცდილობდნენ ყაზანის აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე მოწყობილიყვნენ) ფული შეაგროვეს და დიმიტრისათვის საჩუქრად ძვირფასყდიანი ტიბიკონი იყიდეს. ტიბიკონზე ოქროს ვარაყით წააწერეს: „Не мобим словом, ниже языком, но делом и истиною“.

აბაშიძისათვის სახსოვარის მირთმევის მოწინააღმდეგეებმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, — ტიბიკონი მელნით გაეთხუპნათ.

უმცროსი კლასის მოსწავლეები ძალიან გაიტაცა ამ გადაწყვეტილებამ. მიხა დავითაშვილი ყველაზე მეტად ღელავდა, საჩუქრის მიტანის ჩაფუშვაზე ფიქრობდა.

კვირას მოსწავლეები ეკლესიაში აღგზნებული გულით შედიოდნენ. გამალებით პირჯვარს იწერდნენ, ჩურჩულებდნენ. წირვას ეგზარხოსი ფლაბიანე დაესწრებოდა. ჯერ კიდევ სიჩუმე იყო. ტრაპეზიდან ფაცაფუცი ისმოდა. მგალობლები ეგზარხოსის მოლოდინში ჩახველებით ხმას იწმენდდნენ. აგერ, სვეტებიან თავანზე დაკიდებული ზარები აწკრიალდა, ერთმანეთში აირია. სივრცეში პატარა და დიდი ზარების გუგუნი გაისმა. უცბად ტრაპეზიდან ბერები და მღვდლები გამოცვივდნენ, ანაფორების შრიალით და კუნკულების ფრიალით ეგზარხოსის დასახვედრად ჩამწკრივდნენ. მგალობლებმა ხველებას უმატეს. გამოჩნდა სათვალებიანი ფლაბიანე. გუნდმა „ისპოლა ეტი დესპოტა“ იძღერა. ბერებმა და დეკანოზებმა ქრისტეს შემცვლელი ეგზარხოსის წინ თავები დახარეს და ტრაპეზში შევიდნენ.

ინსპექტორი დიმიტრი ღელავს. გულისძგერით მოელის წირვის დამთავრებას. იცის, რომ მოსწავლეები გამოსათხოვარ სიტყვას ეტყვიან, აცრემლდებიან და საჩუქრად ტიბიკონს მიართმევენ. სასოებით ევედრება ღმერთს, ხელი წარუმართოს და დასახულ მიზანს მიაღწიოს.

შუა წირვას გადაცილებული არ იქნებოდა, რომ მოსწავლეებში ჩურჩული გაისმა, დაიღუნებოდნენ, ერთმანეთს ყურში რაღაცას ეტყოდნენ, ისევ გასწორდებოდნენ, პირმცინარე სახით პირჯვარს იწერდნენ. ჩურჩული, როგორც შემოდგომის ფოთლების შრიალი, რიგიდან რიგში გადადიოდა.

— დამალული ტიბიკონი უპოვიათ!

— რას ამბობ? მართლა?

— ზიარების მადლმა! ნამდვილია! თალაკვაძეს მიუგნია გარდერობში, დაკეტილ ყუთში შეუნახავთ. იმას კიდევ ყუთი გაუტეხია და ტიბიკონი ამოუღია.

— აი, ვენაცვალე იძის მარჯვენას! მერე, სად წაუღია?

— აბა, რა ვიცი! მგონი თავისი ნათესავი ქალისათვის გაუტანებია.

მალე წირვა დამთავრდა. პარაკლისი დაიწყო. შხამიანი გველივით შესრიალდა ტრაპეზში ამბავი და ყველას სახე გაუფითრდა. დიმიტრის მაინც არ ეუბნებოდნენ.

ყაზანისტები დამარცხდნენ.

მეორე დღეს იმ ეტლს, რომლითაც მამა დიმიტრი სადგურისკენ მიდიოდა, ერთი მოსწავლე მიჰპარვოდა. უკან, ბორბლების ღერძზე, დაჟანგული თუნუქის ნაჭერი მიება. როცა ეტლი დაიძრა, თუნუქი აჩხრიალდა. მიექანებოდა ეტლი და ქვაფენილზე თუნუქი ჩხრიალებდა, ხტოდა. ეს რომ ქუჩის ბიჭებმა დაინახეს, ეტლს გამოუდგნენ და იყვირეს: „ჟესტ, ჟეესტ, ჟესტ!“ დუქნის წინ სკამებზე მთვლემარე მედუქნეებმა გაიღვიძეს, თვალი მოიფშვნიტეს და სეირი რომ ნახეს, იმათაც მიაყვირეს: „ჟეესტ-ჟეესტ-ჟეესტ!“ მთელი ქუჩა გაიტაცა ამ სანახაობამ.

ასე გააცილეს სემინარიელებმა სამშობლოს მოძულე კარიერისტი დიმიტრი აბაშიძე.

*

* *

მიხა დავითაშვილი ჩვეულებრივი ნელი ნაბიჯით მიდიოდა. გული სიხარულით უცემდა, თვალებში იმედიანი შუქი უელავდა, გულიდან ამოიღო ღმერთი, არც ხატი სწამს ახლა, არც აღდგომა და არც ამაღლება, არც ბერი, არც მღვდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეს მიხამ ყაზბეგის მოთხრობები გადაიკითხა — მკერდში სიყვარულის ნაღვერდალი აუგიზგიზდა, კუნთები აუთრთოლდა.

ქალთა გიმნაზიის შენობის წინ რომ გაიარა, წინსაფარებიანი და წიგნებით ხელში გიმნაზიელი გოგონები დაინახა.

უცბად შედგა. ელის ცქრიალა თვალები და ცქვიტი მოძრაობა მის გონებაში აისახა. ნაბიჯი ისევ გადადგა, ფიქრები გაუღვივდა და გონებაში ელის გამოესაუბრა. ოო, რამდენ რამეს მოუთხრობს ელის, წრომში რომ შეხვდება. კამათს დაუწყებს ღმერთის არარსებობაზე. მერე წაკითხული წიგნების შინაარსს მოუყვება, წრეში მეცადინეობას გააცნობს, გააკვირვებს ცოდნით.

მიხა გადასახვევთან შედგა. ფიქრებიდან გამოერკვა. ხელში წიგნი ეჭირა. ბუკინისტ ამბაკოსათან უნდა მისულიყო და ა. ყაზბეგის თხზულება დაებრუნებინა. ალექსანდროვის ბაღთან პატარა მანძილი გაიარა და ამბაკო ჭელიძესთან შევიდა.

ამბაკო ჭელიძე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, წიგნების მოყვარული, იშვიათი გამოცემების შემძენი და მოტრფიალე იყო. რამდენიმე წლის წინათ მამამ რაჭიდან ჩამოიყვანა თბილისში და სტამბაში ასოთამწყობად მიაბარა, ათი წელიწადი აწყობდა ასოებს. მერე ბუკინისტობა დაიწყო. სემინარიელებს იცნობდა და პატივს სცემდა. ისინიც ხშირათ მიდიოდნენ მასთან. წიგნის მაღაზიის უკანა ოთახში იკრიბებოდნენ, წაკითხულ წიგნზე კამათობდნენ. ამბაკო მათ კამათს ესწრებოდა და მონაწილეობასაც იღებდა. უყვარდა ლიტერატურა. სემინარიელების ერთი ჯგუფი ამბაკოს წიგნებით სარგებლობდა. ან აქვე წაიკითხავდნენ, ან წაიღებდნენ სემინარიაში და მალულად კითხულობდნენ.

ყოფილი ზედამხედველი, შემდეგში კი ისტორიის მასწავლებელი მახათაძე, მეტსახელად „კამბიზა“, თავის გაკვეთილზე ისე შეიპარებოდა, რომ მოწაფეები ვერც კი მოასწრებდნენ წიგნის დამალვას. ჯაშუშების შემწეობით მან კარგად იცოდა, ვინ კითხულობდა აკრძალულ ლიტერატურას და სწორედ მისი მერხისკენ გასწევდა.

იმ დღეს, ისტორიის გაკვეთილის წინ, მიხას ორი წიგნი გადაეშალა, — ერთს გაფაციცებით კითხულობდა, მეორე კი — ისტორიის წიგნი — გვერდით ედო.

— ბიჭო, მიხა, კამბიზა მოდის, კამბიზა — დაუძახა გუცა პარკაძემ. მაგრამ მიხა დავითაშვილი ისე იყო გატაცებული კითხვით, რომ დროზე ვერ გაიგონა და წიგნის გადამალვა ვერ მოასწრო. მახათაძე თავზე წაადგა, წიგნი თან წაიღო, შემდეგ კაოედრაზე ავიდა, საკლასო დღიური გადაშალა და პირველადვე მიხა დავითაშვილი გამოიძახა.

— აბა, გამობრძანდი და გაკვეთილი მომახსენე. თუ გეცოდინება, წიგნს დაგიბრუნებ, თუ არა-და რექტორს გადავცემ.

მიხა დავითაშვილი ჯერ წაკითხულისაგან ვერ გამორკვეულიყო, წიგნის წართმევით გაბოროტებული და დაბნეული ლაპარაკს ვერ ახერხებდა.

— დაბრძანდი! — უთხრა მასწავლებელმა და ორიანი დაუწერა. — მე გირჩევდი, წიგნების კითხვას თავი ანებო და გაკვეთილები ისწავლო, თორემ ბოლოს ინანებ! — თქვა და პარკაძე გამოიძახა. პარკაძემაც ვერ უპასუხა. იმასაც ორიანი დაუწერა.

— ბიჭო, მიხა, რას კითხულობდი, რა წიგნი წაგართვა მახათაძემ? — შეეკითხა გოგი გლურჯიძე მიხას.

— დობროლიუბოვი გამოვართვი გუშინ ამბაკოს. დავპირდი, ღღესვე მოგიტან-მეთქი, და ახლა რაღა ვქნა, არ ვიცი! მერე, გასაყიდათაც რომ არ იშოვება?

— ახია შენზე! რატომ კამბიზას გაკვეთილის წინ მოგინდა კითხვა. არ იცი, რა კაციც არი:

მკაცრი და მრისხანე ხასიათისთვის მოსწავლეებმა ისტორიის მასწავლებელს მახათაძეს „კამბიზა“ დაარქვეს.

ჯაგარივით უხეში, ზღარბივით ბუძგიანი წვერულვაშით, პირქუში, უკმეხი და მუდამ კოპებშეკრული კამბიზა არასოდეს არ გაიღიმებდა. მის გაკვეთილზე რაიმე მოძრაობას ან ჩურჩულს ვერავინ ბედავდა. ყველა სმენად იყო გადაქცეული. ერთს რომ გაკვეთილს ათქმევინებდა, უცბად მეორეს მიუბრუნდებოდა: „აბა, ახლა შენ განაგრძნეო“, და თუ მოწაფე ვერ განაგრძობდა და, მაშასადამე, ყურს არ უგდებდა, ეს საკმარისი იყო, რომ ცუდი ნიშანი დაეწერა.

მახათაძემ უფროსების ყურადღება მაშინ დაიმსახურა, როცა იოსებ ლაღიაშვილმა სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი მოჰკლა. მაშინ ის ზედამხედველი იყო და სიმამაცე და ერთგულება რომ გამოიჩინა, ისტორიის მასწავლებლად დანიშნეს.

იოსებ ლაღიაშვილის მიერ ჩუდეცკის მოკვლის ამბავი მოსწავლეებში ლეგენდასავით ისმოდა.

— აგერ, იმ აივანზე, გამოვარდა თურმე რექტორი და საშინელი, არაადამიანური ხმით ბღაოდა — „მიშველეთო“. — ჰყვებოდა ერთი. — გაფითრებული, გამხდარი, მომცრო ტანის ლაღიაშვილი უკან მისდევდა, ხელში სისხლიანი ხანჯალი ეჭირა. რექტორის კაბინეტში რომ შესულა, თხოვნა მიურთმევია, სემინარიაში თუ არ მომესვლება, სასულიერო სასწავლებლის მოწმობები მაინც დამიბრუნეო. ამაზედაც რომ უარი მიუღია უბეში დამალული ხანჯალი ქარქაშიდან ამოუძვრია და შიგ მუცელში ჩაუცია რექტორისათვის.

— უკან იმიტომ მისდევდა, ვაითუ მუცელში ჩაცემა სასიკვდილო არ აღმოჩნდესო, — ამბობდა მეორე.

— ჰოდა, ლაღიაშვილს კიდევ მოუსწრია ორიოდეჯერ ხანჯლის ჩაცემა რომ უკნიდან „კამბიზა“ მიჰპარვია და მკლავში ხელი უტაცია. ლაღიაშვილი შეუპყრია.

— რექტორმა კიდევ ერთი შეჰყვირა თურმე, ლასლასით ისევ ოთახში შევიდა, დაეცა და სულიც განუტევა.

— მერე? მერე?

— მერე, შეპყრობილი ლაღიაშვილი მახათაძემ და ჩეტირკინმა ზედამხედველის ოთახში შეიყვანეს. გონებადაბნეული, გაფითრებული მოსწავლე ტახტზე ჩამოჯდა. გარედან ამხანაგების ხმაური, ყვირილი, სტვენა და გამხნევების ძახილი ესმოდა.

— მერე? მერე?

— მერე მოცვივდნენ პოლიციელები და, როცა ის ხელშეკრული აივანზე გაატარეს, ბიჭები ფანჯრებს მისცვივდნენ და შესძახეს:

„შენ მარჯვენას ვენაცვალე, იოსებ“.

„გაიხაროს შენმა მშობლებმა!“

„რა ვაჟკაცი ყოფილხარ, ბიჭო, და კი არ ვიცოდით!“

„არ დაგივიწყებთ, არა!“

„მშვიდობით! მშვიდობით!“

ასეთი გამამხნევებელი სიტყვებით გამოეთხოვნენ სემინარიის რექტორის მკვლელს — ლაღიაშვილს — ამხანაგები.

— მერე? იმის მოკვლით რა გაკეთდა? — ამბობდა ერთი — ახალგაზრდა, პირტიტველა სემინარიელი. — განა ჩუდეცკის მაგიერ სხვა ჩუდეცკები არ აგრძელებენ მის საქმეს? მაშ, მისი მოკვლით რა შეიცვალა?

— არაფერი! — უპასუხა მიხამ.

— როგორ არა! ამ მკვლელობის გამო შავრაზმელმა, უღირსმა ეგზარხოსმა პავლემ ხომ ქართველი ერი დაწყევლა; — ამის გამო ამ ტერორმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ქრისტეს წარმომადგენლის დაწყევლამ ააღელვა და აღაშფოთა მთელი საქართველო. — დასძენდა მეხუთე კლასელი სემინარიელი. — საქართველო ჰგმობდა ეგზარხოსის საქციელს, მან ხომ ერთი მკვლელობის გულისთვის მთელი ერი დაწყევლა. ამ მძულვარებამ აამხედრა და აამოძრავა ქართველები და ერთმა გამოჩენილმა ქართველმა, დიმიტრი ყიფიანმა, გაბედა და საკადრისი წერილი მისწერა მის მაღალ მეუფებას პავლეს. ამხილა მისი თავაშვებული და უსინდისო ქცევა, რისთვისაც ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს და იქ კი მიგზავნილმა მკვლელებმა გირებით მოჰკლეს ერისთვის თავდადებული დიმიტრი ყიფიანი.

მიხა დავითაშვილი ამ ამბის გაგონებაზე დაღონდებოდა, თვალებში შუქი ჩაუქრებოდა, ისედაც წვრილი თვალები სიღრმეში მიიმალებოდნენ დამწუხრებული, გამალებული გულისცემით დაობდა, ვიღაცას ებრძოდა, საქართველოს მომავალ ბედზე ფიქრობდა.

რამ აიძულა ლაღიაშვილი, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, მკვლელობა ჩაიდინა? — სემინარიაში ქართული ენა, ქართული წიგნები და ქართული წირვა-ლოცვა იდევნებოდა. რუსული კლასიკოსების კითხვა აკრძალული იყო. მხოლოდ საღვთო წიგნების კითხვა შეიძლებოდა. ღმერთზე და რუსეთისთვიმპყრობელ მეფეზე ფიქრი არ იყო აკრძალული.

გულის და გონების შემხუთველი რეჟიმი სუფევდა სემინარიაში. მაგრამ მოსწავლეები აარსებდნენ ფარულ წრეებს, იკრიბებოდნენ სადმე კონსპირაციულ ბინაზე, კითხულობდნენ და არჩევდნენ პუშკინის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ბელინსკის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ტურგენევის და გონჩაროვის ნაწარმოებებს.

ეს იცოდა სემინარიის ადმინისტრაციამ და სასტიკ ზომებსაც მიმართავდა ყოველივე ამის წინააღმდეგ. ეძებდა აკრძალულ წიგნებს, ჩხრეკდა ლოგინებს, ჩუმად, ფეხაკრეფით შედიოდა დასაძინებელ ოთახებში და ყურს უგდებდა მოსწავლეთა ბაასს, რომ გაეგო, ვინ რაზე ლაპარაკობდა, ვის რა იზიდავდა. არც თეატრში, არც ოპერაში, არც კონცერტებზე მათი სიარული არ შეიძლებოდა. არც რომელიმე ბიბლიოთეკით სარგებლობა. ჟურნალ-გაზეთების კითხვა — აკრძალული ჰქონდათ. ჯაშუშები და ენის მიმტანები გაამრავლეს. „არასაიმედო მოსწავლეებს“ დევნიდნენ და სემინარიიდან რიცხავდნენ. მაგრამ რაც უფრო მეტი იყო დევნა და შევიწროება, მით უფრო მეტად ცხოველდებოდა წინააღმდეგობა. რუსიფიკატორი ბერები იქამდის მივიდნენ, რომ წინადადება შეიტანეს — თბილისის სემინარიის შიდა რუსეთში გადატანის შესახებ. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა, ვინაიდან მას ქართველი სამღვდელოება ინახავდა.

გარიცხული მოსწავლეები სემინარიელებს არ ივიწყებდნენ, მათთან დაიარებოდნენ, წიგნებს უზიდავდნენ, ჟურნალის გამოცემაში ეხმარებოდნენ, რუსეთიდან გადმოსახლებულ რევოლუციონერებთან კავშირს აბამდნენ, სოციალ-

დემოკრატიულ მიმართულებას ეცნობოდნენ. სემინარიაში ყოველწლიურად გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი. სხვადასხვა დროს გამოდიოდა: „იმედი“, „დროშა“, „თაიგული“, „მნათობი“, „განთიადი“, „მომავალი“ და სხვ.

*

* *

ოთხმოცდაათიანი წლების თბილისი მეფისნაცვლის, მოხელეების, გადაგვარების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობისა და ოფიცრების რეაქციონური სულისკვეთებით ცხოვრობდა. ბალები, სალამოები, პარადები, თეატრი, ოპერა, მრავალჟამიერი, ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა და მლიქვნელობა მთავარმართებლის წინაშე ძალიან იტაცებდა მაშინდელ მოხელეთა და თავად-აზნაურთა წრეს. როცა მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვი ქუჩაში გამოვიდოდა, მოხელეები, ვაჭრები, თავად-აზნაურები, მოწიწებით თავს უკრავდნენ და ღიმილით თვალს გააყოლებდნენ.

იმ დროს სემინარიის ორმა მოსწავლემ — სტეპკო ჭრელაშვილმა და დავით კეზელმა, — გაბედა და პროტესტის ნიშნად მეფისნაცვალს ქუდი არ მოუხადა, თუმცა ისინი პირისპირ შეხვდნენ მას გოლოვინის პროსპექტზე. განცვიფრებული ექსელბანტებიანი და ადიუტანტებით გარსშემოკრული დიდი მთავარი შედგა და მოსწავლეებს შეხედა, შეაჩერა და გაოცებით შეეკითხა:

— ქუდი რატომ არ მოიხადეთ?

— ჩვენ მონები არა ვართ! — უპასუხეს მოსწავლეებმა გაფითრებული სახით.

— ვინ არიან ესენი? — ჰკითხა მეფისნაცვალმა თავის ადიუტანტს.

— სემინარიელები! — უპასუხა მან.

— წაიყვანეთ ორივე რექტორთან და მოახსენეთ ეს ამბავი! — გასცა განკარგულება მიხეილ ნიკოლოზის-ძემ.

ასეთი საქციელისთვის ორივე გარიცხეს სემინარიიდან, შემდეგ კი დაატუსაღეს, გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს.

მღელვარება და არეულობა სემინარიაში ხშირად ამბოხების ხასიათს იღებდა. და აი, ერთმა ასეთმა ამბოხებამ 1893 წელს საზოგადოების ყურადღება მიიქცია და პოლიტიკური ხასიათი მიიღო. სემინარიის ადმინისტრაციამ სასტიკ ზომებს მიმართა და როგორც რუსეთში, სტუდენტების „არეულობის“ დროს უნივერსიტეტს ჰკეტავდნენ და სტუდენტებს ითხოვდნენ, ისე თბილისშიც სემინარია დაკეტეს, ზოგი მოსწავლე გარიცხეს, ზოგიც დაითხოვეს და თავთავიანთ სოფლებში გაგზავნეს.

იმ დღეს ყველა აღგზნებული და შფოთიანი გრძელ აივანზე ქუჩდებოდა, ან ჩქარი ნაბიჯით დადიოდა. ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, გაუღიმებდნენ, თითქოს ეუბნებოდნენ — აბა, დღეს მამაცობა უნდა გამოვიჩინოთო. ჯერ კიდევ კლასებში შესასვლელი ზარი არ დაერეკათ.

— აბა, ბიჭებო, ნუ აჩქარდებით, ნუ აღელდებით! სანამ ზარს არ დარეკენ, მერხებზე ისხედით, გარეთ არ გამოხვიდეთ. მშვიდად ჩადით კიბეზე. ეზოში მოგროვდით. — ჩურჩულით ეუბნებოდნენ უფროსი კლასელები უმცროს კლასელებს. — დავითაშვილო, შენ შენ კლასს უხელმძღვანელე! აბა, შენ იცი!

— შედით კლასში, დასხედით, წიგნები ამოიღეთ, ვითომ მასწავლებელს უცდით! — ეუბნებოდა მიხა დავითაშვილი თავის ამხანაგებს.

ისინიც კლასში შედიოდნენ და მერხებზე სხდებოდნენ.

— ამ ჯაშუშებს ვერ ხედავთ, როგორი ამრეზილები არიან თქვა ერთმა ქოჩორა ბიჭმა.

— დედას ვუტირებთ ჯაშუშებს! მაგათზე ჯავრის ამოყრის დ�dgo! აბა, ახლა ნახონ სეირი! — გესლით და ბოღმით წაილაპარაკა გოგი გლურჯიძემ.

— ოოჰ, ერთი სადმე ბნელ კუთხეში ჩამაგდებინა ისა. კისრამდის რომ გრძელი თმა გაუშვია. ვუჩვენებდი სეირს.

— ჯაშუშებზედაც ხომ იქნება დღეს ლაპარაკი? — იკითხა ერთმა.

— მაშ, ჯერ აბესაძე ილაპარაკებს, მერე ლადო კეცხოველი!

— უჰ, რა ბიჭია ლადო!

— აბესაძე რა, ცუდია თუ?

— არა, მაგრამ ლადო სულ სხვაა!..

მიხა დავითაშვილის მერხთან მოგროვდნენ გორელები და ორიოდე თბილისელი მოსწავლე.

— თქვენ კიდევ არ იცით, როგორი გულადი, გაბედული, პირდაპირი და დაურიდებელია კეცხოველი! — დაუმატა გოგი გლურჯიძემ.

— მერე, როგორი განვითარებული, ამხანაგის ერთგული და მომხიბვლელი: ეგ იყო გორში ზედამხედველი თინიკოვი, ე. ი. თინიკაშვილი, რომ მიბეგვა. — თქვა დავითაშვილმა.

— როგორ იყო, გვიამბე, თუ ძმა ხარ! — შეეხვეწა თბილისელი ქოჩორა ბიჭი...

— მე იმ დროს იქ არ ვიყავი: აი გლურჯიძე მოყვება! — უთხრა დავითაშვილმა.

— ის თინიკოვი ახალი დანიშნული იყო სკოლაში ზედამხედველად. — დაიწყო გლურჯიძემ. — სემინარია ახალი დამთავრებული ჰქონდა. მუდამ დერეფანში დარბოდა. ყველას ტუქსავდა, უყვიროდა, არ უსვენებდა. ქართულ ენაზე ლაპარაკის ნებას არ იძლეოდა! მისი წვერ-ულვაში ცუდად მოცელილ პურის ყანას წააგავდა, ბუძგად ედგა ლოყაზე და ნიკაპზე. ჰოდა, ერთი მოსწავლე, გიორგი მგალობლიშვილი, უწყინარი და სუსტი აგებულების რატომღაც ამოიჩემა. შეხვდებოდა თუ არა, უსათუოდ დატუქსავდა. ერთხელ ეზოში ვერ გავედით სათამაშოდ და მსუბუქი კრივი დერეფანში გავმართეთ იქვე პირველი და მესამე კლასი ერთად იყო, მეორე და მეოთხე — ერთად. მაშინ მე მეორე კლასში ვიყავი, კეცხოველი კი მეოთხეში. გვიხაროდა, მასთან ერთად რომ ვიბრძოლით. გიორგი მგალობლიშვილი გვერდზე იდგა, კრივში მონაწილეობას არ იღებდა. იმან უცებ შენიშნა, რომ სკოლის შემოსასვლელი კარი გაიღო და თინიკოვი შემოვიდა. მგალობლიშვილმა იყვირა: „ბიჭებო, თინიკოვი მოვიდა, შეჩერდით, შეჩერდით!..“ მაგრამ ჩვენ ისე ვიყავით კრივით გართული, რომ კრივს თავი ვერ დავანებეთ. თინიკოვი გააფთრებული მოვარდა. ჯერ მგალობლიშვილს გაარტყა მუშტი გვერდში და განზე მიაგდო, მერე შუაგულ კრივში შეიჭრა. ხან ერთს მივარდებოდა, ხან მეორეს. ზოგს მუჯლუგუნს წაჰკრავდა, ზოგს მუშტს დაარტყამდა, ზოგს წიხლს ჩასცხებდა.

— ერთი სიტყვით, თვითონაც ჩაერია კრივში, რაღა! — ჩაურთო დავითაშვილმა.

— ჰოდა, ლადო კეცხოველი გულამღვრეული უმზერდა ამ ამბავს, მაგრამ ვერაფერი გაებედა. ხოლო როცა თინიკოვმა ერთ ბიჭს ცხვირში სისხლი ადინა, ლადო გამოექომაგა. მაშინ თინიკოვმა მასაც გაარტყა. კეცხოველი მივარდა თინიკოვს და ერთი ისეთი ლაზათიანი სილა გააწნა შიგ სახეში, რომ თვა-

ლებიდან ნაპერწკლები გადმოცვივდა. მისცვივდნენ ბიჭები იმ შენს თინიკოვს და დაუშინეს მუშტები. ისე დაიბნა, ვერაფერს ხედავდა. ხელებს ფეთქავდა, ყვიროდა. ვიდრე ის გონს მოვიდოდა, ყველა კლასში შეცვივდა. ამის გამო ლადო კეცხოველი, როგორც მოთავე და თინიკოვთან ბრძოლის დამწყები, სკოლიდან დაითხოვეს. ჩვენ ყველანი ვღელავდით. გვენანებოდა ლადო. უკვე მეოთხე კლასში იყო და აღარსად მიიღებდნენ. ყველას გვიყვარდა მისი გულთბილი, მეგობრული და უბრალო მოპყრობა უმცროსი კლასელებისადმი. სხვებივით კი არ ამპარტავნობდა, — აქაო და მეოთხეში ვარო, — ყველას თანაბრად გვექცეოდა. მასწავლებლებსაც უყვარდათ ლადო. უკმაყოფილო იყვნენ მისი დათხოვნით. მათი შუამდგომლობით კეცხოველი ისევ დააბრუნეს სასწავლებელში, მხოლოდ ნიშანი დაუკლეს ყოფა-ქცევაში.

— უჰ, რა ბიჭია, ისეთია, რომ სულში ჩაიძვრენ რაღა! — თქვა ქოჩორა ახალგაზრდამ.

— მაშა, ჩვენებურია, გორელი. ლაღიაშვილიც ხომ გორელი იყო! — ამაყად დაუმატა გლურჯიძემ.

— აი, გაისად კიდევ იოსებ ჯუღაშვილი მოვა სემინარიაში. ისეთი განვითარებული ბიჭია, რომ. — დაურთო დავითაშვილმა.

— ეს იმიტომ, რომ იქ ისეთი მასწავლებლები არიან, როგორცაა სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ილურიძე, გოგლიჩიძე და სხვები. კარგი მასწავლებლის ხელში მოსწავლეც კარგი გამოვა. — განმარტა გლურჯიძემ.

— ბიჭებო, რა არის რომ ამდენხანს ზარის დარეკას აგვიანებენ? ხომ არაფერი გაიგეს ნეტავი? — წამოიძახეს მერხებიდან.

— გაიგებდნენ, მარა, განა ჯაშუშებს გამორჩებათ რამე? ვერ შეატყობინებდნენ?

— ჰოდა, ალბათ წინასწარი თათბირი აქვთ იმაზე, თუ როგორ მოიქცნენ. რა პასუხი მოგვცენ.

— ეგზარხოსს შეატყობინებენ! მოიპატიჟებენ.

— ჩვენც ისე გავუმასპინძლდეთ, რომ...

— ისეთ პილპილიან საჭმელს მივართმევთ, სულ ცქმუტუნი დაიწყოს!

— წავიდეს მერე და თავის საყვარლებთან დაიკვეხოს!

— ერთი იმის ეტლსაც გამოვაბათ „ჟესტი“! აბა, მაშინ ნახე ჩვენი ქუჩის ბიჭების სიხარული.

კლასებში ისეთი სიწყნარე სუფევდა, როგორც ქარიშხლის წინ ულრან ტყეში. ზედამხედველი დობროგაევი აივანზე დადიოდა თავისი ტკეპნია ნაბიჯებით, ცხვირზე შავი სათვალეებით. კლასებში რომ შეიხედავდა, უკვირდა, თუ დღეს რატომ სხედან ასე წყნარად მოსწავლეები.

უცბად ზარის წკრიალი გაისმა. თვალებში ყველას შუქი ჩაუდგა. ზოგი ათრთოლდა, გაფითრდა, ზოგი მოდუნდა. შეკრთა. ბევრი ფიცხლად წამოხტა, თითქოს ხელი ჰკრა ვინმემო.

— აბა, ბიჭებო, წყნარად, მწყობრად დაეშვით კიბეზე. ჩადით ეზოში, სხვა კლასელებს უნდა ვაჯობოთ. პირველად ჩვენ შევგროვდეთ დანიშნულ ალაგას. აბა, ყოჩაღად, ნუ აღელდებით! — ამბობდა მიხა დავითაშვილი და სხვებთან ერთად ისიც ჩადიოდა ეზოში.

ქვიტკირის გალავანით შემოფარგლულ ეზოში, მოსწავლეები ერთ ალაგას ჯგუფდებოდნენ, მჭიდროვდებოდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ. ზემოთ, სამასწავლებლო ოთახისაკენ იცქირებოდნენ.

მორევივით მღელვარე მოსწავლეთა შორის წაბლისფერულვაშებიანი და გრძელთმიანი ლადო კეცხოველი ლაღად იდგა და ამხანაგებს ამხნევებდა.

ყვირილი და სტვენა შეწყდა, როცა მათთან ორი ზედამხედველის თანხლებით ინსპექტორი მივიდა.

— ეს რა ამბავია! ეს რას ჰგავს! რად მიატოვეთ კლასები და აქ რატომ ჩამოხვედით?! — არაბუნებრივი ხმით შესძახა ინსპექტორმა.

მის წინ უცბად კეცხოველი წამოიჭიმა და ანთებული თვალებით და ათრთოლებული ხმით უთხრა:

— ჩვენ თქვენთან არა გვაქვს საქმე! ჩვენ რექტორი გვინდა!

— რექტორს მოუხმეთ, რექტორსა! — შესძახეს რიგებიდან მოსწავლეებმა. ზოგი წინ იწევდა, ზოგიც უკან ეფარებოდა ამხანაგებს.

— რექტორმა ბრძანა, ახლავე დაიშალეთ და კლასში წადითო. — განაცხადა ინსპექტორმა.

— რაო? დაიშალეთო?

— არ ჩამოვალო?

— ჩვენ არსად წავალთ, სანამ რექტორი არ მოვა!

— ეგ ხომ ძველი ამბავია! თქვენ ახალი თქვით, ახალი! — შესძახეს მოსწავლეებმა.

გაისმოდა შეძახილი, ყვირილი და გინება. ზედამხედველი დობროგაევი და რჟავენსკი ინსპექტორს არ სცილდებოდნენ; ერთ ალაგას იდგნენ და გაფითრებული უმზერდნენ მღელვარე მოსწავლეებს.

ინსპექტორი ცდილობდა მოსწავლეები დაეწყნარებინა, რაღაცას ამბობდა, მაგრამ ყვირილში მისი სიტყვები არ ისმოდა. მაშინ რჟავენსკის მიუბრუნდა, წასჩურჩულა რომ ასულიყო ზევით და რექტორი ჩამოეყვანა. ისიც ფიცხლავ მოსწყდა ადგილს და გაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ ზედა სართულის აივნიდან გუშაგად დაყენებულმა სემინარიელმა ყვირილი მორთო:

— ბიჭებო, მოდის, მოდის! — და თვითონაც ეზოში დაეშვა.

რექტორი სწრაფად დაეშვა კიბეზე. იგი გაფითრებული და აღელვებული იყო. მოსწავლეების შორიახლო შედგა.

— ჩემო შვილებო, მითხარით, რამ აგაღელვათ, რატომ მიატოვეთ კლასები და ეზოში მოიყარეთ თავი? — შემპარავი, რბილი, ფარისეველური ხმით მიმართა რექტორმა შეკრებილებს. — თუ რაიმე სათქმელი გქონდათ, რატომ არ ამოარჩიეთ სამიოდე მოსწავლე და არ გამოგზავნეთ ჩემთან მოსალაპარაკებლად? მე ხომ ყველაფერს შეგისრულებდით!

— დახე, დახე, რა ტკბილი ხმით ალაპარაკდა. არ გესმით, ბიჭებო? — გაისმა რიგებში.

— მაგისთანა ორპირი და ორგული სიტყვები ჩვენ ბევრი გვსმენია!

— წარმომადგენლებიც აგვირჩევია, მაგრამ არაფერი გამოსულა თქვენი დაპირებიდან.

— ძველი სიმღერაა, ძველი. თუ გინდათ, აქაც კარგად მოისმენთ! — ცხარობდნენ სემინარიელები.

— ჩემო შვილებო, დაწყნარდით! დელეგაცია აირჩიეთ და გამოგზავნეთ ჩემთან. რაც შესაძლებელია, შეგისრულებთ. მანამდის ეგზარხოსიც მოვა, ისიც მოუსმენს თქვენს წარმომადგენლებს და ყველაფერი მოწესრიგდება.

— ეი, ბიჭებო, ხედავთ? ეგზარხოსიც მოუწვევიათ!

— მოვიდეს, ვნახოთ რას იტყვის!

— იმასაც არ მოვერიდებით!

— არ გვეშინია იმ წვერებცანცარასი, არა! — განაგრძობდნენ ძახილს გათამამებული მოსწავლეები.

ზედა სართულის აივანზე მდგარი მასწავლებლები, სეირს რომ დასცქეროდნენ, უცბად შეჩოჩქოლდნენ, მოაჯირს მოსცილდნენ. ეს სემინარიელებმა შენიშნეს და მალე იმ ადგილას, სადაც მასწავლებლები იდგნენ, გადმოდგა ორი თეთრწვერა ბერი კუნკულათი და მკერდზე მოფენილი ხატებითა და ჯვრებით. ერთი მათგანი მაშინვე იცნეს!

— ბიჭებო, მობრძანდა, მობრძანდა ეგზარხოსი, ხედავთ?

— აქ ჩამობრძანდეს, აქა!

— ის მეორე ვინღაა, თან რომ ახლავს!

— ეპისკოპოსი ალექსანდრეა, ვერ იცანით?

— მაგას რაღა უნდა აქა!

მისმა მეუფებამ ეგზარხოსმა ორივე ხელით პირჯვარი სამჯერ გადაწერა იქ მყოფთ და პირიც გააღო, ეთქვა რამე, მაგრამ ქვევიდან ყვირილი ასტეხეს.

— აქ ჩამობრძანდით, აქა!

ცოტაოდენი შეყოყმანების შემდეგ ორივე ბერი — საქართველოში ქრისტეს მოადგილე და ეპისკოპოსი ალექსანდრე — კიბეზე დაეშვა.

ორივე სემინარიელების წინ შედგა. მათმა მეუფებამ კიდევ გადაწერა ჯვარი და ძალიან ტკბილი ხმით დაიწყო ბაასი, რომ ასეთი შეკრება კანონით აკრძალულია, დაუშვებელია. რომ ყველაფერი წყნარი მოლაპარაკებით შეიძლება გათავდეს. რომ ის მზად არის შეასრულოს მათი მოთხოვნა, თუ ეს მისაღები იქნება. ახლა კი მამაშვილურად სთხოვს, დაიშალონ და თავთავიანთ კლასებში ავიდნენ.

— არ დავიშლებით, არა! აქვე მოგვისმინეთ!

— აქვე გეტყვით ყველაფერს!

— ჩემო შვილებო, — წადგა წინ ალექსანდრე ეპისკოპოსი და ქართულად მიმართა მათ, — აბა, ეგრე როგორ შეიძლება! აქ ხომ ვერ გავარჩევთ საქმეს. განა ის არ სჯობს, დაიშალოთ და წყნარად ვილაპარაკოთ თქვენ მიერ ამორჩეულ მოსწავლეებთან ერთად? დამიჯერეთ, შვილებო, რომ ასე სჯობს.

სემინარიელები უსმენდნენ მას, მაგრამ მაინც თავისას გაიძახოდნენ.

არქიელმა და ეპისკოპოსმა რექტორთან ერთად მოითათბირეს და სემინარიელებს მიმართეს დამშვიდებულიყვნენ და ერთი კაცისათვის მიენდოთ მოთხოვნილების წარმოდგენა.

მაშინ მათ წინ წარდგა ლადო კეცხოველი და მოახსენა:

— თქვენო მაღალკურთხევავ, საქართველოს ეგზარხოსო, მამაო ფლაბიანე! — პირველი სიტყვები მღელვარებით და ათრთოლებული ხმით წარმოთქვა; გული გამალებით უძგერდა და განაგრძობდა: — ჩვენი მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, ჩვენი ცხოვრება აუტანელი გახდა. მამა რექტორი, რომელიც ყველა მოსწავლეს მაგალითს უნდა აძლევდეს, ჩვენს მიმართვაზე მუდამ გინებითა და ლანძღვით გვიპასუხებს. — ამ სიტყვებზე მამა სერაფიმე შეტოკდა. არ მოელოდა, თუ მის წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ. ეგზარხოსის გვერდით იდგა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ეგზარხოსმა კოპები შეიკრა. ეპისკოპოსი ალექსანდრე კეცხოველის სიტყვებზე შეტორტმანდა. ნათქვამი ესიამოვნა. მას თავიდანვე არ მოსწონდა რექტორის მიერ სემინარიაში შემოღებული რეჟიმი. —

როცა ჩვენ ამ სასწავლებელში მოვდიოდით, — ამბობდა კეცხოველი უფრო თამამი ხმით, — ვფიქრობდით, რომ ჩვენ, როგორც მომავალი სულიერი მამები, მივიღებდით ყოვლად ფაქიზსა და გონებრივად ნათელ აღზრდას. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა და ამის ნაცვლად ჩვენ დავინახეთ ის, რომ მზარეულიდან დაწყებული — მამა რექტორამდე ადამიანებად არ გვთვლიან. ზნეობრივი აღზრდის ნაცვლად, ყოველ კეთილ მისწრაფებას გვიზღუდავენ, სიყვარულის ნაცვლად სიძულვილს გვინერგავენ. მრავალჯერ გაგვიცხადებია, რომ პურში თოკის ნაგლეჯებსა და ჩვრებს ვპოულობთ, ლობიოში თაგვებს ვნახულობთ, საღი კვერცხის მაგიერ ლაყე კვერცხებით გვიმასპინძლდებიან. განა ადამიანებს ასე ეჭცევიან? ჩვენთვის აკრძალულია მშობლიურ ენაზე წიგნების კითხვა... მოკლებული ვართ ყოველნაირ თავისუფლებას... — კეცხოველი შედგა; ფეხი იცვალა, სული მოითქვა და პირიც დააღო სიტყვის სათქმელად, რომ მყისვე მის გვერდით დადგა მეოთხე კლასელი აბესაძე და ამაღლებული ხმით შესძახა:

— ჩვენ ენა ამოგვგლიჯეს! ენა აღარა გვაქვს. ქართული ენა შეურაცხყოფილია! აბუჩად აგდებულია! — ეს რომ თქვა, სიტყვა შეუჩერდა. ხველება აუტყდა. მაშინ ისევ კეცხოველმა განაგრძო:

— ჩვენ მოვითხოვთ—ქართული ენისა და გალობის გაკვეთილების აღდგენას, მოვითხოვთ — ნება მოგვცეს საერთო წიგნების კითხვისა, მოვითხოვთ — დაარსდეს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. მოისპოს ადამიანის ზნეობრივად გამათახსირებელი ჯაშუშობა. სემინარიაში მრავალ ჩვენს ამხანაგს დაკისრებული აქვს, ამცნოს რექტორს სიმართლე ჩვენი გულისა, ჩვენი მისწრაფებისა.

აბესაძე ისევ აღელდა და წამოიყვირა:

— განიდევნოს სემინარიის კედლებიდან ჯაშუშები! განა დასაშვებია ის, რომ ერთ სასწავლებელში მოქცეულ მოსწავლეებს სძულდეთ და ერიდებოდნენ ზოგიერთ ამხანაგს?

აბესაძე ლაპარაკობდა აღგზნებული გულით, აწეული ხმით. შუბლზე ოფლი ჩამოსდიოდა, პირი უშრებოდა. მან მალე გაათავა სიტყვა. კეცხოველსაც მეტი არაფერი უთქვამს.

შეკრებილებში აქამდის ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ ყველაფერი მკაფიოდ ისმოდა. ახლა ისევ შეჩოჩქოლდნენ, მის მეუფებას ეგზარხოსს დაუწყეს ცქერა.

ეგზარხოსი ალექსანდრე ეპისკოპოზს მიუბრუნდა და დაბალი ხმით უთხრა:

— ეს რა გველის წიწილები გაუზრდია საქართველოსო.

ალექსანდრე ეპისკოპოსმა შუბლი შეიკრა. არ მოელოდა აშკარა სიძულვილის გამოთქმას საქართველოზე. ვერ მოითმინა და ორიოდე ამაღლებული სიტყვა შეჰკადრა მის მაღალ-კურთხევას, საქართველოში ქრისტეს მოადგილეს.

ეს სემინარიელებმაც შენიშნეს. ის კი ვერ გაიგეს, რა უთხრეს ერთმანეთს, მაგრამ იგრძვნეს, რომ ეპისკოპოსი ალექსანდრე მათ მხარეზე იყო და ეგზარხოსს მან საკადრისი პასუხი გასცა.

კოპებშეკრულმა მათმა მეუფებამ სემინარიელებს უთხრა, რომ გულდასმით მოისმინა მათი მოთხოვნები. დაპირდა — განიხილავენ ამ მოთხოვნებს და რისი დაკმაყოფილებაც შეიძლება, დააკმაყოფილებენ. ახლა კი დაიშალეთო, — მიმართა მათ.

ამაზე მოსწავლეებმა ისევ აურზაური ასტეხეს და იყვირეს:

— არ დავიშლებით, ვიდრე აქვე არ განაცხადებთ თანხმობას ჩვენს მოთხოვნაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მამა ფლაბიანე გაცხარდა, გრძელი თეთრი წვერიც ... ... ... მოღუშული სახით მიბრუნდა, კვერთხი მოიმარჯვა და წავიდა. მას მიჰყვნენ ეპისკოპოსი, რექტორი, ინსპექტორი და სხვები.

იმ წელს სემინარია დაკეტეს. მოსწავლეები სოფლებში გაისტუმრეს. მათმა გამოსვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოში მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის-ძეზე, რომ მას ეგონა, მთელი ხალხის აჯანყება დაიწყებოდა. რუსეთში დეპეშა გაგზავნა და ამცნო სემინარიელების ამბოხება. მეფემ განმარტება მოითხოვა. მეფისნაცვალმა რუსეთში თბილისის გუბერნატორი შერვაშიძე გაგზავნა. იმან შეშინებული მთავრობა დაარწმუნა ქართველი ხალხის კეთილგანწყობილებაში და საქმეც ამით დამთავრდა.

სემინარიის ადმინისტრაციამ ყველა სემინარიელი თავთავის სოფლებში გაგზავნა. სამგზავრო ფულსაც თვითონ იძლეოდა და სასტიკად უკრძალავდა მათ თბილისში ყოფნას.

მეორე წელს, შემოდგომაზე, სემინარია ისევ გახსნეს. დათხოვნილები ხელახალი განცხადებებით მიიღეს. 90-მდე მოსწავლე მაინც გარიცხეს, მათ შორის ლადო კეცხოველიც. დანარჩენები პანსიონში შეიყვანეს.

იმავე წელს ქუთაისში გახსნეს მეორე სემინარია. ერთმანეთს დააცილეს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ახალგაზრდები.

ასეთმა ზომებმა მაინც ვერ მიაღწიეს მიზანს. არეულობა სემინარიაში ხშირად ხდებოდა. წრეებში მეცადინეობა გრძელდებოდა. მალე სოციალ-დემოკრატიულმა მოძღვრებამ გაიმარჯვა ხალხისნურ მიმართულებაზე.

და სწორედ იმ წელს, როცა სემინარიიდან გარიცხეს ლადო კეცხოველი, გორის სასულიერო სასწავლებლიდან სემინარიის პირველ კლასში, მიიღეს იოსებ ჯუღაშვილი.

პირველი წიგნის დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა კანდელაკი

# მძიმე გამოცდა

★

ცოტნემ მაგრად ჩამოსწია კარების სახელური, ოთახში შევიდა და იქვე სკამზე დაეშვა. ერთხანს ასე გაუნძრევლად იჯდა. მერე წამოდგა, ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე რამდენჯერმე გაიარა და სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

გულისწყრომით სავსე წყლიანი შავი თვალები მალ-მალ იცვლიდნენ გამომეტყველებას. სახე უხურდა. უხეშად შეზრდილ ჭრილობით შუაზე გაყოფილი მარცხენა წარბი, ნერვულად უთამაშებდა. უჯრიდან საწერი ქაღალდი ამოიღო, კალმისტარი მოიმარჯვა და ჩაფიქრებული ერთ წერტილს მიაშტერდა. ყურებში გამუდმებით ჩაესმოდა საავადმყოფოს უფროსი ექიმის ლევან გულისაშვილის, მრისხანე ხმა. ეს ხმა აზრსა და გონებას ურევდა. განცხადების დაწერა უნდოდა და შინაარსი ვერ მოეფიქრა. ცოტნემ ბრაზით გაიქნია თავი, თვალები მოხუჭა და კალმისტარის ბოლოთი მაგიდაზე კაკუნი დაიწყო.

დიდი ხანი არ არის, რაც რაიონულ საავადმყოფოში ცოტნე ლაფაურმა უფროსი ექიმის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. მან მუშაობის პირველი დღიდანვე საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალისა და ავადმყოფების სიყვარული დაიმსახურა. ავადმყოფები ყოველთვის მადლობის სიტყვებით იხსენიებდნენ. მას, ახალგაზრდა ექიმს თავისი მუშაობის უმაღლეს ჯილდოდ მიაჩნდა ეს ქება. მის ზრდას დიდად უწყობდა ხელს თვით უფროსი ექიმი. იგი ხშირად საუბრობდა ცოტნესთან, უზიარებდა თავის გამოცდილებას, უამბობდა ექიმად მუშაობის მანძილზე თავის მიღწევების შესახებ. არც მარცხს უმალავდა. უბრალო, გასაგები ენით უხსნიდა მიღწევებისა თუ მარცხის მიზეზებს; მიუთითებდა ლიტერატურაზე, რომელსაც ხშირად ერთადაც კითხულობდნენ.

ასაკით დიდად განსხვავებული ეს ორი. ადამიანი ასე შეუმჩნევლად დამეგობრდა.

ლევანი, რომელსაც ცოცხლებში აღარავინ ეგულებოდა ახლობელთაგან, ღვიძლი შვილივით შეეჩვია ცოტნეს. ცოტნე გრძნობდა ამას და თავის მხრივაც ბედნიერად თვლიდა თავს, რომ გამოუცდელი ახალგაზრდა ექიმი ასეთ კარგ ხელმძღვანელთან მოხვდა სამუშაოდ. მშობლების მოსიყვარულე შვილმა, მუშაობით გართულმა, შინ წერილების გზავნასაც მოუკლო. რაიონში სამუშაოდ წამოსვლისას დედამ სადგურამდე მიაცილა თავისი პირმშო და იქვე აღუთქვა: „იმედი გქონდეს. სულ მალე მოგიხერხებ თბილისში გადმოყვანას“. მაგრამ მუშაობის მეორე კვირასვე შვილმა წერილი გაუგზავნა მშობლებს, იგი დაბეჯითებით სთხოვდა მათ, ფიქრადაც არ გაევლოთ მისი თბილისში გადმოყვანა.

შვილის წერილმა ააბნია მშობლები.

— გაება ბავშვი მახეში! — დაასკვნა დედამ ოხვრით.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს! მაგის ასაკში მე უკვე საკუთარი ოჯახი მყავდა... ასეთია ცხოვრების კანონი!.. — მხრების აჩეჩვით თქვა მამამ.

— ეს მაინც გავიგოთ, რა არის ამის მიზეზი! — არა ცხრებოდა დედა.

მეორე საღამოს მშობლები შვილს ესტუმრნენ და რა გაკვირვებული დარჩნენ, როდესაც გაიგეს, რომ მათი შვილის გატაცების საგანი საავადმყოფო იყო.

— თქვენი შვილი კარგი ექიმი დადგება! — უთხრა მათ ლევანმა.

გახარებულმა მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს და ლევანს მაგრად ჩამოართვეს ხელი.

ცოტნეს ბავშვივით ახარებდა ყოველი ავადმყოფის გამოჯანმრთელება. ლევანის რჩევით, მუშაობის დაწყებისთანავე გამოცდილების რვეული შემოიღო და იქ დღიურების სახით იწერდა ყველა ღირსშესანიშნავ ამბავს, რომელიც საავადმყოფოსა და მის პირად ცხოვრებაში ხდებოდა.

გადიოდა დღეები. ცოტნეს გამოცდილების რვეულს ახალ-ახალი სტრიქონები ემატებოდა. მაგრამ დღეს?

დილიდან ყველაფერი უცნაურად დაიწყო. მზიანი დილა წვიმიანმა შუადღემ შეცვალა. ავადმყოფმა, რომელმაც მძიმე ოპერაცია გადაიტანა და გამოჯანმრთელების გზაზე იდგა, მოულოდნელად ჩივილი დაიწყო. სიცხემ აუწია. ლევანმა და ცოტნემ გულდასმით გასინჯეს ავადმყოფი. ჭრილობის ადგილას, შუბლზე, ლევანმა საეჭვო სიწითლეს მოჰკრა თვალი. იქ მყოფთ ლათინურად გადაულაპარაკა. ავადმყოფი დაამშვიდა, გაამხნევა და ჩქარი ნაბიჯით თავის კაბინეტისკენ წავიდა.

ცოტნე უკან გაჰყვა.

როდესაც ცოტნე კაბინეტში შევიდა, ლევანი ფანჯარასთან კარებისკენ ზურგშექცეული იდგა. მან ფეხის ხმაზე იცნო ცოტნე, სწრაფად მოტრიალდა მისკენ და ბრაზმორეული თვალებით ჩააშტერდა.

ცოტნე ხმაამოუღებლად მაგიდას მიუჯდა.

— თქვენ გესმით, რა ჩაიდინეთ? — ჰკითხა ლევანმა და უფრო დაეინებით დააცქერდა. — თქვენი დაუდევრობის გამო, ის ადამიანი შეიძლება სამუდამოდ დამახინჯდეს, დიახ, დამახინჯდეს!

ცოტნე ელდანაკრავივით წამოხტა.

ლევანმა მაშინვე იგრძნო, რომ აღელვების გამო უნებურად ცოტნეს მტკივნეულ ადგილს შეეხო. იმ წუთში ვერ მოისაზრა, რა ეთქვა მის დასაწყნარებლად. მცირე დუმილის შემდეგ რატომღაც ისევ აღშფოთებული მიუბრუნდა ცოტნეს და უთხრა:

— თქვენ გესმით, რას ნიშნავს სიტყვა „ექიმი“?

— არ მესმის! — მკვახედ უპასუხა ცოტნემ და თვალები დამცინავად მოჭუტა.

ცოტნე ასე გაბრაზებული ჯერ არ ენახა ლევანს. ის მძიმედ სუნთქავდა. სახე სანთლისფერი გაუხდა. ორივე ხელი დამუშტული ჰქონდა. სახის დაზიანებული მხარე უცნაურად უცახცახებდა. თვალს არ აშორებდა ლევანს და მწარე ღიმილით აქნევდა თავს.

ლევანმა თავისი გამხდარი კისერი წაიგრძელა. სათვალები მოიხსნა, ხშირი წარბები შეიკრა და ერთ დროს ექიმის დაუდევრობით დამახინჯებულ სახეს დააკვირდა. მოხუცი საკარძელში ჩაჯდა. ორივე ხელი შუბლზე წაივლო და მაგიდაზე გადაშლილ წიგნს უაზროდ ფურცვლა დაუწყო.

ცოტნემ ხმაურით გაიხურა კარები.

— არა, მე აქ ვეღარ გავჩერდები! ჩაილაპარაკა ცოტნემ. — ლევანმა ხომ იცის, რომ ჩემზე ცუდად მოქმედობს ეს სიტყვა... ნუთუ არ შეეძლო, სხვანაირად გამოეთქვა თავისი აზრი? „იცით, რას ნიშნავს სიტყვა „ექიმი“?! — გაიმეორა ლევანის სიტყვები და სარკეს მივარდა. შემკრთალი თვალები თავის სახის გამოხატულებას შეავლო და გულმოკლულმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა: „ვიცი, ვიცი“!

ისევ მაგიდას მიუახლოვდა, თავი ჩაღუნა და ფიქრებს მიეცა... ცოტნე ცხრა წლისა იყო, მშობლებთან ერთად მაღალმთიან სოფელში ისვენებდა. მალე დაუმეგობრდა იქაურ ბავშვებს, ყველაზე მეტად — ფოსტის უფროსის გოგონას. მას დუდა ერქვა. გოგონა კი, თითქოს განგებ, გაურბოდა ცოტნეს. როგორც კი თვალს მოჰკრავდა, დამფრთხალ ბაჭიასავით ტოვებდა იქაურობას.

ერთხელ ბავშვები წყაროსთან შეხვდნენ, ერთმანეთს. დუდა წყლით ავსებდა დოქს. ცოტნეს დანახვაზე გოგონა დაიბნა, სახეზე მიწისფერი დაედო, დოქს ხელი გაუშვა და თავის ჭრელ კაბაში თავი დაიმალა.

— წადი, წადი აქედან!—ხვეწნით და თავაუღებლად ჩაილაპარაკა გოგონამ.

— რა დაგიშავე, დუდა, რად გძულვარ ასე? — ჰკითხა გულნატკენმა ცოტნემ.

— წადი, წადი... მეშინია შენი... წადი, წადი!.. — ლუღლუღებდა სატირლად გამზადებული დუდა.

— რად გეშინია, განა მე როდისმე ცუდად მოგექეცი? — გაუკვირდა ცოტნეს.

— საშინელი სახე გაქვს! მეშინია შენი! წადი, თორემ ვიყვირებ! — ისევ თავაუღებლივ შესძახა აცრემლებულმა გოგონამ და მოკურცხლა.

ასეთი რამ ცოტნეს ჯერ არ გაუგონია და უცებ ვერც მიხვდა გოგონას სიტყვის შინაარსს. უსწორმასწოროდ შეზრდილ წარბსა და თვალზე შესიებულ ქუთუთოს ნელა შეეხო თითით.

თავის სახეს შეჩვეულს, არასოდეს აზრად არ მოსვლია, რომ მის გაპობილ წარბსა და წამოსიებულ ქუთუთოს ვინმეს შეშინება შეეძლო. გოგონას სიტყვები განაჩენივით ჩაესმა ყურში. თვალები უნებურად ცრემლით აევსო და გამწარებული შინისკენ გაიქცა.

— ჩემი ეშინიათ! მე მახინჯი ვარ! ჩემი ეშინიათ!

ყოველივე დედას უამბო. გულდამწვარი დედა ბავშვის დამშვიდებას შეეცადა, თვითონაც ატირდა...

ცოტნემ დედისაგან იმ დღეს გაიგო, რომ ეტლით მგზავრობის დროს, როდესაც ცოტნე პატარა იყო, უიცარი ელვა-ჭექით შეშინებული ცხენები დაფრთხნენ და დედა-შვილი ხრამში გადაიჩეხა.

სოფლის საავადმყოფოს ექიმმა გაუკერა წარბი. ოპერაცია ღამის სამ საათზე ჩატარდა. შუაღამისას გამოწვეული ექიმი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა, ნამძინარევ თვალებს ბრაზით აბრიალებდა, ოპერაციის დამთავრებას ჩქარობდა და გამუდმებით უმიზეზო საყვედურებით მიმართავდა თავის დამხმარე ექთანს. შედეგი არასასიამოვნო იყო: ნაკერი ცუდად შეხორცდა; ძვალი უსწორმასწოროდ შეეზარდა და ბავშვის სახის მარცხენა მხარემ არანორმალურად იწყო განვითარება. მშობლებმა ბევრჯერ მიიყვანეს დიდაქალაქის საუკეთესო ქირურგებთან, მაგრამ ვერ ბედავდნენ ხელახალ ოპერაციას.

ამ დღიდან მოყოლებული ცოტნე გაურბოდა ხალხს. ამხანაგების ვიწრო წრეში ტრიალებდა. განსაკუთრებული შემთხვევის დროს თუ გამოჩნდებოდა ფართო საზოგადოებაში. მის გონებაში სამუდამოდ ჩარჩა დუდას „ფარე“ სიტყვები. სწორედ ეს შემთხვევა გახდა საბაბი მისი მტკიცე გადაწყვეტილებისა, ექიმი გამხდარიყო. შეისრულა კიდევაც ეს წადილი.

ცოტნემ რამდენჯერმე ხელი გადაუსვა სუფთა ქაღალდს და შეუდგა განცხადების წერას.

ამ დროს კარებზე ვიღაცამ დააბრახუნა. ცოტნე მიხვდა, ვინც იქნებოდა. ეშმაკობაზე შესწრებული ბავშვივით დაიბნა. ქაღალდის ფურცელი სწრაფად დაჭმუჭნა, ჯიბეში ჩაიდო და კარებისაკენ წავიდა.

— ბაღში გეძებეთ, მაგრამ, რაკი ვერ გნახეთ, აქეთ წამოვედი, — შემოსვლისთანავე მიმართა ლევანმა ცოტნეს, დაჯდა, მაგიდიდან გაზეთი აიღო და სახის გაგრილება დაიწყო, — საოცრად ცხელა... შემოდგომა კი არა, ნამდვილი ზაფხულია! — ჩაილაპარაკა ისევ და გაზეთს მარაოსავით აქნევდა.

ცოტნე ადგილიდან არ იძროდა. მას უნდოდა ხმამაღლა, ყოველგვარი მორიდების გარეშე, უკმეხად ეთქვა რამე ამ დაუპატიჟებელი სტუმრისათვის, მაგრამ ენა ვერ დაიმორჩილა. მუნჯივით იდგა. სწრაფად ამოძრავებდა აბრიალებულ თვალებს და კალმისტარს ხელში უაზროდ ატრიალებდა.

— ავადმყოფი ხელმეორედ გავსინჯე... ნამდვილად აჩქარებულხართ... მართალია, ნაადრევად მიგიციათ ალბომის უფლება, მაგრამ, წარმოიდგინეთ, არც ისე საშიში მდგომარეობაა. მკურნალობა დავუნიშნე... იმედი მაქვს, რომ ხვალ დილისთვის სიცხე დაუწევს...

ყველაფერს ამას ლევანი ისე ამბობდა, გეგონებოდათ, თავისთავს ელაპარაკებოდა. იგი ღია ფანჯრიდან სადღაც შორს იყურებოდა. ერთხელაც არ შეუხედავს ცოტნესთვის.

— იცით? — განაგრძო მოხუცმა, — როდესაც გავიგე, ავადმყოფი ცუდად არისო, ძალიან შემეშინდა... დიახ, მეტად საპასუხისმგებლო პროფესია გვაქვს, მაგრამ, ამასთან, ძალზე საპატიო და საინტერესოც! ჩვენ უმთავრესად სიმშვიდე გვმართებს. საჭიროა მაგარი ნერვები და სიყვარული ყოველი ავადმყოფის მიმართ. თქვენ წარმოიდგინეთ, დრო და პრაქტიკა ამ თვისებებს უსათუოდ გამოგიმუშავებთ. მერე დადგება ისეთი პერიოდი, როდესაც თქვენდაუნებურად შიში შემოგეპარებათ და დაგჩემდებათ... ეს მოხუცებულობის პირველი ნიშანია... საკვირველი კი არის: თითქოს გამოცდილება საკმარისი უნდა იყოს გაბედულებისათვის, მაგრამ შიში კი გიპყრობთ!

ცოტნე გრძნობდა, რომ მოხუცი ამ სიტყვებით იმდენად დარიგებას არა ცდილობდა, რამდენადაც მისი გულის მოლბობას და კაბინეტში არასასიამოვნო საუბრის გაქარწყლებას. ცოტნემ შეუმჩნევლად გახედა მოხუცს და დარწმუნდა, მთავარი ექიმის მიზანი სწორედ ეს იყო. „რატომ ტყუის? მე ხომ ვიცი, რომ ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაშია?!“ — გაიფიქრა მან გუნებაში და უფრო გაბრაზდა.

უცბად გადაწყვიტა აქედან სულ წასულიყო. სად? ეს მისთვის სულ ერთია. სადაც უნდათ, იქ გაგზავნონ, თუნდაც ჩრდილოეთ პოლუსზე. ამის თქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა.

ლევანს გულს უკლავდა ცოტნეს დუმილი. ამ დუმილმა უფრო შეაყვარა ახალგაზრდა ექიმი. წამოდგა და ცოტნეს მიუახლოვდა.

— მე მინდა, რომ ის ავადმყოფი თქვენც გასინჯოთ. მართალია, მკურნალობა დავუნიშნე, მაგრამ ხომ შეიძლება თქვენ უკეთესი რამ მოიგონოთ! — გულთბილად მიმართა მან ცოტნეს და მხარზე ხელი დაადო.

— მე ვერ წამოვალ! — რაღაც არაბუნებრივი ხმით წარმოთქვა ცოტნემ და მოხუცს გაშორდა.

— წამოხვალთ! — ჯიუტად წარმოთქვა მოხუცმა და ოთახში მღელვარედ სიარული დაიწყო. — უცნაური კაცი ხართ. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ხასიათის პატრონი მაგ ოქროს ხელებითაც კი ვერასოდეს ვერ გახდება კარგი ექიმი!

— არც არის საჭირო! — უკმეხად მოუბრუნა სიტყვა ცოტნემ და ნათქვამის თვითონვე შერცხვა.

მოულოდნელი პასუხით შეწუხებული მოხუცი ზანტად მოტრიალდა. ხშირი წარბებიდან გულნატკენად ამოხედა ცოტნეს, თვალი თვალში გაუყარა და თითქოს ჩურჩულით წარმოთქვა:

— ვაქკაცს რომ ესაჭიროება, იმაზე მეტი თავმოყვარეობა გაქვთ... გული კი, გული ორი წლის ბავშვს მიგიგავთ...

ხელი დაავლო თავის ქუდს და ოთახიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

ოთახში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ცოტნემ უხალისოდ წაატანა ხელი ყურმილს, საიდანაც ექთანის შეშინებული ხმა მოესმა:

— ცხენიდან გადმოვარდნილი ბავშვი მოიყვანეს... ნეკნები და სახე დაზიანებული აქვს. ხშირად ახველებს... ყელიდან სისხლი სდის.

— დაურეკეთ უფროს ექიმს! — მცირე დუმილის შემდეგ უპასუხა ცოტნემ.

— უფროსი ექიმი შინ არ არის. ვერსად ვიპოვეთ. ამხანაგო ცოტნე, თქვენი იმედი გვაქვს... საოპერაციოდ ვემზადებით... დაუჩქარეთ. მდგომარეობა მეტად რთულია!

ცოტნემ შუბლზე ხელი გადაისვა და მოკლედ უპასუხა:

— მოვდივარ!

როდესაც ყურმილი დაჰკიდა, თავისთავს ხმადაბლა შეეკითხა:

— რას ნიშნავს ეს? რა თქმა უნდა, ხასიათის სისუსტეს! ხუთი წუთის წინათ ერთს ვამბობდი, ახლა კი... მაგრამ მე ხომ ექიმი ვარ. ვინ მომცა უფლება სხვაგვარად მოვიქცე? — თხელ პიჯაკში საჩქაროდ ხელი გაუყარა და ოთახიდან სირბილით გავიდა.

*
* *

საავადმყოფოში მისვლისას ცოტნემ დაკვირვებით გასინჯა ბავშვი. ათი წლის ბიჭუნა მინაბული იწვა სამორიგეო ოთახის საწოლზე. ის მალ-მალ ახველებდა. ფერმკრთალ ტუჩებზე სისხლის წითელი ზოლები აჩნდა. გახეთქილი წარბი მთლიანად უფარავდა ცალ თვალს. უკვე შეჩერებული სისხლის წვეთები ლოყებზე აქა-იქ ხალებივით აჩნდა.

— საოპერაციო ოთახში! — გასცა ბრძანება ცოტნემ და დერეფანში გავიდა.

— დერეფანში თეთრ ხალათებში გამოწყობილი ექიმები და ექთანები აღელვებული მიმოდიოდნენ. გაისმოდა საოპერაციო ოთახის კარების ჭრიალი. ცოტნე საოპერაციოდ მზადებას შეუდგა. პირსაბანთან იდგა და საპნით აქა-

ფებულ თითებს გულმოდგინედ იბანდა. დერეფნიდან ლევანის ხმა მოესმა. საოპერაციო ოთახის კარები ფართოდ გაიღო და ლევანი საოპერაციოში შემოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დარწმუნებული ვარ, არ გაგიჭირდებათ ოპერაციის ჩატარება. გახსოვთ? ამას წინათაც ასეთივე შემთხვევა გვქონდა! მე თქვენს გვერდით ვიქნები. — თქვა უბრალოდ ლევანმა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს მათ შორის, და თვითონაც ხელის ბანას შეუდგა:

ცოტნეს ტანში გააჟრჟოლა. შერცხვა. არ იცოდა, რა ეპასუხა. უნდოდა გადახვეოდა მოხუცს, პატიება ეთხოვა, მაგრამ ამ დროს საოპერაციო ოთახის კარებთან თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ქალს.

მოულოდნელი შეხვედრით გაოცებული — ქანდაკებასავით გაშეშდა.

ქალი ქვითინებდა. ხშირ-ხშირად ცრემლებს იმშრალებდა. შეწუხებული თვალებით ხან საოპერაციოში იყურებოდა, ხან დერეფანში გამვლელ თეთრხალათიანებს აკვირდებოდა.

— ის ბავშვი ამის შვილი იქნება! — გაიფიქრა ცოტნემ. მშვიდი გამომეტყველება უცებ რისხვით შეეცვალა. ქვედა ტუჩი სიბრაზისაგან აურთოლდა და წამოსიებულმა ქუთუთომ მთლიანად დაუფარა განგებ მოჭუტული თვალი. „რა უცნაურად შევხვდით!“ — გაიფიქრა ცოტნემ და ფანჯრისაკენ წავიდა. სუნთქვაშეკრულმა ორივე თვალი მოხუჭა. „რა არის ეს, ბედის დაცინვა, თუ უცნაური შემთხვევა?“ — შეეკითხა თავისთავს ცოტნე და თავი ჩაღუნა.

საოპერაციო ოთახში ურიკით შემოიყვანეს ბავშვი. ოთახის ორივე კარი მიიხურა. ცოტნემ შორიდან გახედა, როგორ გადმოჰყავდათ ურიკიდან ბავშვი საოპერაციო მაგიდაზე. უნებურად ხელებზე დაიხედა.

— ხელმა რომ მიმტყუნოს და ოპერაცია... — ჩაილაპარაკა.

იგრძნო, რომ ხელები აუთრთოლდა. შუბლზე ოფლი წამოსკდა. თავი დაუმძიმდა. მთელი სხეული უჩვეულო შიშმა აიტანა.

— თუ მარცხი მომივიდა, არავინ დამიჯერებს, რომ მე... შეიძლება ლევანმაც არ დამიჯეროს... ოპერაციაზე უარი უნდა ვთქვა. მხოლოდ უარი მიხსნის! — ბუტბუტებდა თავისთვის ცოტნე და უზომოდ აღელვებულს საოპერაციო მაგიდისაკენ მობრუნებისა ეშინოდა.

— პატივცემულო ლევან, შეიძლება ერთი წუთით? — მიმართა მან ხმადაბლა მთავარ ექიმს.

ლევანი დინჯად მივიდა ცოტნესთან.

— რა მოგივიდათ? — ჰკითხა ცოტნეს მოხუცმა და ახალგაზრდა ექიმს თვალებში ჩააშტერდა. — შეუძლოდ ხართ?

— არა, მაგრამ... ჩემი თხოვნაა... — ძლივს წაილუღლუღა ცოტნემ.

— პირდაპირ საოცრებაა... ასე მგონია, დღეს გაგიცანით... გამაგებინეთ, რა გემართებათ? გთხოვთ, დამშვიდდეთ. სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია... ყველას თქვენი იმედი აქვს, თქვენ კი თქვენს თავს პატივს არა სცემთ!

— პატივცემულო ლევან... საქმე ის არის, რომ...

— მესმის... გული აგიჩუყათ იმ ბავშვის წარბმა... გახსოვდეთ, ჩემო მეგობარო, რომ თქვენ ექიმი ხართ და ავადმყოფს არავითარი საქმე არა აქვს არც თქვენს სიხარულთან, არც თქვენს მწუხარებასთან და არც თქვენს გულთან. თქვენ ყოველთვის ვალდებული ხართ ავადმყოფს მკურნალად მოევლინოთ. გასაგებია?!

— პატივცემულო ლევან... ამ ბავშვს რომ რამე მოუვიდეს... მე ერთ წუთსაც არ ვიცოცხლებ თავს... — აღელვებით წარმოთქვა ცოტნემ.

— ბავშვი იცოცხლებს, თუნდაც იმიტომ, რომ ოპერაციას თქვენ აკეთებთ. თქვენ ხომ ძალიან გიყვართ ბავშვები და, საერთოდ, სიცოცხლე?! მაშ, ასე... ორივენი მშვიდად ვართ. ვიწყებთ ოპერაციას.

უფროსმა ექიმმა ორივე ხელი ფართოდ გაშალა და ახალგაზრდა ექიმს საოპერაციო მაგიდისაკენ ღიმილით დაუთმო გზა.

ოპერაციის დამთავრების შემდეგ ლევანმა თვითონ შეუმშრალა ცოტნეს გაოფლიანებული სახე და პირსაბანამდე მიაცილა.

— მომილოცავს. აი ამას ჰქვია ხასიათის სიმტკიცე. შეხედეთ საათს! — ორივემ კედლის საათს შეხედა. — ასე მალე, გამოგიტყდები, მეც ვერ დავამთავრებდი ოპერაციას. თვალს ვერ გაშორებდით... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სანახავი იყავით... ძველი, გამოცდილი ქირურგივით მუშაობდით. ახლა ხომ დამშვიდდით?

— დამშვიდება ჯერ ნაადრევია!

— დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არავითარი გართულება არ მოხდება! — ღიმილით წარმოთქვა მოხუცმა და ყურში ჩასჩურჩულა. — გულახდილად გეტყვით: მეც ძალიან ვღელავდი. მაგრამ დამერწმუნეთ, ცოტას უნდა ღელავდეს ექიმი, ეს აუცილებელიც არის! ახლა წავალ და იმ ქალს დავამშვიდებ. საცოდავი, ისიც ძალიან ღელავს. ხუმრობა კი არ არის, სხვისი ბავშვი ჩაგაბარონ, შენ კი იგი...

— განა ის ქალი ამ ბავშვის დედა არ არის? — იკითხა გაკვირვებულმა ცოტნემ.

— არა, ის ქალი მეზობელი სოფლის მასწავლებელია. ბავშვებს ტანვარჯიშში ამეცადინებდა. და აი, ხედავთ...

— პატივცემულო ლევან! — თითქმის წამოიყვირა გახარებულმა ცოტნემ და ლევანი გადაკოცნა.— ეს აქამდე რად არ მითხარით? ის ბავშვი მაგ ქალის შვილი მეგონა. სწორედ ამიტომ ვამბობდი უარს ოპერაციაზე... ამიტომ ვღელავდი ისე ძალიან...

— არაფერი მესმის, რა შუაშია ის ქალი? — გაუკვირდა მთავარ ექიმს.

— ის ქალი... დუდაა, პატივცემულო ლევან... დუდა!

— დუდა? — იკითხა ლევანმა,— ეს ის გოგონაა, შენ რომ...— მოხუცმა აღარ დაასრულა სიტყვა, აღელვებული გადაეხვია ცოტნეს. გრუზა თმებზე მშობლიური მზრუნველობით გადაუსვა ხელი. თვალებში ჩახედა. „უყვარს!“ — გაიფიქრა. ისევ შემოეხვია. შუბლზე აკოცა და ჩაულაპარაკა — ყოჩაღ... მძიმე გამოცდა ჩააბარე, ყოჩაღ ახლა წადი, დაისვენე...

ცოტნე დაემორჩილა მოხუცის რჩევას. შინ წავიდა. მიუხედავად დაღლილობისა, ქუჩაში თითქმის სირბილით მიდიოდა. ლაღად სუნთქავდა. ჰაერი მსუბუქი და სუფთა ეჩვენებოდა. მაგრამ რაღაც მაინც გულს აკლდა, წუხდა, რაც, ამავე დროს სიამოვნებასაც ჰგვრიდა.

შევიდა ოთახში. გულაღმა დაწვა. ხელები თავქვეშ ამოიდო. დასვენება უნდოდა, მაგრამ ვერ მოისვენა. წამოდგა, ფანჯარასთან მოვიდა. ვეებერთელა ჭადარზე უთვალავ ჩიტებს მოეყარათ თავი და გატაცებით ელაპარაკებოდნენ. ბინდდებოდა. მზე კარგახნის ჩასული იყო. ცას იასამნის ფერი გადაჰკროდა, მხოლოდ დასავლეთი ღაჟღაჟებდა წითლად.

ცოტნემ წარმოიდგინა, თუ როგორ გაუკვირდებოდა დუდას, როდესაც ლევანისაგან მის სახელს გაიგებდა. ხომ იკითხავდა, ვინ ჩაატარა ოპერაცია? თუმცა შეიძლება აღარც ახსოვდეს მისი სახელი! ან იქნებ იმავე შიშმა აიტანოს, ბავშვობაში რომ ჩაესახა?!

ცოტნემ იგრძნო, როგორ აენთო სახე, გული დაწყდა, რომ დუდასთან შეხვედრას დიდი მნიშვნელობა მისცა. მაგრამ რა არის ეს? რატომ ღელავს ასე ძლიერ? ნუთუ მას უყვარს დუდა?

—მიყვარს! — თქვა ხმამაღლა ცოტნემ და თვალები მოხუჭა.

ლევანის ნახვა მოუნდა. სწრაფად მხრებზე პიჯაკი მოიგდო და მოხუც მეგობართან წასვლა დააპირა.

კიბეებზე ვიღაც ამოდიოდა. „ლევანია!“ — გაიფიქრა გახარებულმა ცოტნემ და კარებს მივარდა. კარებში დუდა დახვდა.

ქალი მას პირველი მოეხვია.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგეი ანგონოვი

# ბიბლიოთეკარი ქალი

★

დიდი სიხარული ეწვია ნადიას. მოსკოვის გუშინდელ გაზეთში დაიბეჭდა ბრძანებულება მეცხოველეობის მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ. მწველავი ნადეჟდა სერგეევნა დუნაევა შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ამის გამო დღისით ვნუკოვოში მიტინგი მოეწყო. მიტინგის შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნადეჟდა სერგეევნას უთხრა, ეს ორდენი უნდა ატარო მარცხენა მხარეზე, იქ, სადაც კომკავშირული ნიშანი გაქვს გაკეთებული, იგი შენი თვალების ფერის მსგავს ცისფერ ლენტზე უნდა ჩამოჰკიდო. ნადიამ დიდიხანია იცოდა ეს, მაგრამ თავმჯდომარის ნათქვამის მოსმენა მაინც სასიამოვნო იყო.

საჩეხეში თითქმის დაღამებამდე ზედიზედ მოდიოდნენ ნადიასთან მოსალოცად მწველავები, მეგობარი ქალები მემინდვრეობის ბრიგადიდან, აგრონომი, შებაღე სტოზაევი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი საგანგებოდ მანქანით ჩამოვიდა სათიბიდან.

ნადია მორცხვად და სიხარულით უპასუხებდა მილოცვებზე. მან შუადღისას შეამჩნია, რომ სულის სიღრმეში რაღაც წყენისა თუ შეურაცხყოფის მსგავსი გრძნობა გაეღვიძა. დიდხანს ვერ გაიგო, რისგან იყო ყოველივე ეს, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მიხვდა. ნაწყენი იყო იმიტომ, რომ მასთან მოსალოცად არ მოვიდა ლეონიდ მიხაილოვიჩი. ნადიას გაუკვირდა. ლეონიდ მიხაილოვიჩს ის არც თუ ისე კარგად იცნობდა. ის მეზობელ სოფელში ცხოვრობდა და მხოლოდ ორი კვირის წინ, კოლმეურნეობათა გაერთიანების შემდეგ მათთან, ვნუკოვოში, კლუბის გამგედ დანიშნეს. ნადია საღამოობით ბიბლიოთეკაში მუშაობდა — თვეში ათ შრომადღეზე. მკაცრი ლეონიდ მიხაილოვიჩი იშვიათად შედიოდა წიგნების ასარჩევად და იმის შესამოწმებლად, გადაწმენდილი იყო თუ არა თაროებზე მტვერი. ნადიასა და მას შორის არ იყო მეგობრობა ან კარგი ნაცნობობა. ნადიამ სცადა კიდეც, დაეცინა თავისთავისთვის: როგორ შემიძლია ასეთ წვრილმანზე გავნაწყენდეო. მაგრამ დრო გადიოდა და ბუნდოვანი, არასასიამოვნო გრძნობა სულ უფრო მძაფრდებოდა. ხომ არ ფიქრობს ლეონიდ მიხაილოვიჩი, რომ ნადია ცუდად მუშაობს ბიბლიოთეკაში? ხომ არ უჯავრდება მას? ნუთუ იგი ვერ ხედავს, როგორ უყვარს ნადიას თავისი ბიბლიოთეკა, თავისი წიგნები. სხვათაშორის, ნადიამ გაიგო, რომ კლუბის გამგე საბარგო მანქანით კომკავშირის რაიკომში წავიდა, მანქანა კი ქალაქიდან მხოლოდ საღამოს უნდა დაბრუნდესო. ამან ოდნავ დაამშვიდა ის.

უკანასკნელ დღეებში მას ბევრი საქმე გაუჩნდა: დიდი ხანი არაა, რაც ახლახან აგებულ შენობებში შირეკეს ძროხები, და ისინი ჯერ კიდევ ვერ შეეჩვივნენ ახალ ადგილს. სამუშაოს შემდეგ ნადიამ პირი დაიბანა, სასწრაფოდ ივახშმა და, როგორც ყოველთვის, ბიბლიოთეკისაკენ გაეშურა. ბიბლიოთეკა ღია უნდა ყოფილიყო საღამოს ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდე.

ამას შეეჩვივნენ კოლმეურნეებიც, ემტეესელებიც და იმის გამო, რომ ხალხს ორდეხებით აჯილდოებდნენ, სამუშაო არ უნდა შეჩერებულიყო.

ბიელი და უვარსკვლავო საღამო იყო. მხოლოდ მოშორებით საჩეხეს თავს ადგა ფარნების შუქი. ფანჯრებიდან რადიოს ხმა გამოდიოდა. ყველგან ერთსა და იმავეს უკრავდნენ. ნადია მიჰყვებოდა ისეთ დამრეც ბილიკს, რომ ხანდახან ბალჩების ძესრებს ეყრდნობოდა და შემოდგომის ჩამოცვენილი ფოთლები იფშვნებოდა მის ფეხქვეშ. სტოზაევის ქოხის ფანჯრები ღია იყო, ფანჯრის რაფაზე თათებშეკეცილი თვლემდა კატა.

ნადიამ გადაიარა ბოგირი და მობრუნდა კლუბისაკენ. კიბეებზე თორმეტი წლის ბიჭუნა იჯდა.

— დეიდა ნადია, „ოგონიოკი“ გაქვთ? — ჰკითხა მან.

— არ ვიცი, ახლავე გადავარჩევ ფოსტას.

ლეონიდ მიხაილოვიჩი მომჭირნეობის მიზნით კრძალავდა პარმაღზე შუქის ანთებას, როდესაც კლუბში არ იყო რაიმე საქმიანობა, მაგრამ ნადიამ დღეს მაინც ჩართო ნათურა. შემდეგ მან უკაცრიელ დერეფანში, სადაც მისი ფეხის ხმა გუგუნივით ისმოდა, ჩაუარა საპატიო დაფას, უზარმაზარ ბოქლომით დაკეტილ ლეონიდ მიხაილოვიჩის კაბინეტს და ბიბლიოთეკის კარები გააღო.

ნადიას უნდოდა აენთო სინათლე, მაგრამ მანქანის ხმა გაიგონა და ყურები დაცქვიტა. მანქანა ქალაქის მხრიდან მოდიოდა. ფანჯრის ჩაბნელებული მინები ნელ-ნელა განათდა, თვალისმომჭრელად გავერცხლისფერდა და მასზე ნელ-ნელა გაცურდა მესერის ჩრდილი, შემდეგ, უფრო ჩქარა, ბოძის დამრეცი ჩრდილი და ძალიან სწრაფად გაიელვა ბუჩქების ჩრდილმა. დაბოლოს, მინები ჩამუქდა, და ისევ სიჩუმე დამკვიდრდა. მანქანა წავიდა პირდაპირ, კოლმეურნეობის გარაჟისაკენ არ შეუხვევია.

ნადიამ ამოიხვნეშა და შუქი აანთო.

— დეიდა ნადია, მომეცი „ოგონიოკი“, — უთხრა ბიჭუნამ, — მარტო სურათებს დავათვალიერებ.

მას ეცვა რუხი ფერის კოსტუმი, რომელიც მოზრდილის შესაფერისად იყო შეკერილი და მკერდზე საათისათვის პატარა ჯიბეც კი ჰქონდა დაკერებული. ჯიბიდან მოუჩანდა წითელი რეზინის მილის ბოლო.

— ფანქარი გაქვს? — ჰკითხა ნადიამ.

— არა.

— აბა გამომართვი. იცოდე, როგორც კი დავინახავ, რომ კროსვორდს ჩხაპნი, მაშინვე წაგართმევ.

ბიჭუნა მიუჯდა მაგიდას და დაუწყო ჟურნალს ფურცვლა. თითების დანერწყვება სასტიკად იყო აკრძალული ბიბლიოთეკაში, ამიტომ ორ-ორი და სამ-სამი გვერდი იფურცლებოდა ერთად და მას უხდებოდა სულის შებერვით მათი დაცალცალკევება.

ბიბლიოთეკა ნათელი და ფართო იყო. კედლების გასწვრივ, მთელ სიგრძეზე, როგორც მაღაზიაში, გაჭიმულიყო გალაქული თაროები. თაროებზე ფაქიზად, ანბანის მიხედვით, ჩამწკრივებული იყო სხვადასხვა წიგნები. ლამპის ქვეშ იდგა დიდი მაგიდა გაზეთებისათვის, კუთხეში კი — ნადიას პატარა მაგიდა.

ომის დროს ჯერ კიდევ პიონერმა ნადიამ მოიფიქრა ბიბლიოთეკის მოწყობა, რადგან ხედავდა, თუ როგორ დარდობდნენ ქალები თავიანთ შვილებსა და ქმრებზე. მან ჩამოიარა ქოხებში, მოაგროვა წიგნები, რომლებიც არ სჭირ-

დებოდა სახლის პატრონებს, დიდი ვაივაგლახით გამოართვა დედას კარადის ერთი თარო და ფანჯარაზე დააწება ქაღალდი წარწერით: „ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ბიბლიოთეკა ღიაა 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე". მაგრამ მკითხველები არ მოდიოდნენ და ნადიას თვითონ უხდებოდა წიგნების მიტანა მეზობლებთან და ხმამაღლა კითხვა. ერთი წლის შემდეგ კი წიგნებ. ისე ბევრი დაგროვდა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იძულებული შეიქნა ეყიდა შუშის კარებიანი საგანგებო კარადა. კარადა კოლმეურნეობის კანტორაში იდგა. მკითხველებიც თანდათან გამრავლდა. საღამოობით გამგეობაში იმდენი ხალხი იყრიდა თავს ნადიას ირგვლივ, რომ ბუხჰალტერი ჯავრობდა, ყურებში თითებს იცობდა. და როდესაც კლუბი ააშენეს, ნადიას ბიბლიოთეკისათვის ერთი დიდი ოთახი გამოუყვეს.

ნადიამ დააწყო ახალი გაზეთები, ერთ-ერთ მათგანში მისი სახელი და გვარი იყო დაბეჭდილი, და მიუჯდა პატარა მაგიდას. გუშინ სტოზაევებთან ნახა მან მიხეილ ივანეს-ძე კალინინის წიგნი „კომუნისტური აღზრდისათვის" და ითხოვა. წიგნი თითქმის ახალი იყო, მხოლოდ ერთ ფურცელზე ვიღაცას შემთხვევით მელანი დაქცეოდა. ნადიამ გადაწყვიტა, გადაეწერა ის გვერდი და ჩაეწებებია ნაბეჭდის მაგიერ. როგორც კი შეუდგა წერას, შემოვიდა ტრაქტორისტ სტეფანეს ძმა.

— გილოცავთ უმაღლეს ჯილდოს, ნადეჟდა სერგეევნა, — დაიწყო მან საზეიმო ტონით და პატარა შეყოვნების შემდეგ განაგრძო: — ცხვირპაჭუა, სტეფანე გთხოვს წიგნს ტრაქტორ ნატიზე. მან იქ უნდა ნახოს რომელიღაც გადამცემი ყუთის ნომერი.

ის მივიდა ჩაღუნულ თაროსთან და გამოაძრო ყდიანი წიგნი.

— მოიცა, — შეაჩერა იგი ნადიამ, — ის არ მიგაქვს.

— სწორედ ის არის. ხედავ? აწერია: ტრაქტორი „სტზ ნატი".

— ეს წიგნი ძველ „ნატიზეა", — თქვა ნადიამ, — შენი სტეფანე კი ახალზე ზის, ორმოცდათოთხმეტძალიანზე, შენ უნდა იცოდე ეს. აი ის წიგნი, რომელიც მას უნდა... მოიცა, ჩავიწერ! სტეფანე მოვიდა შინ?

— მოვიდა.

— ხომ არ უთქვამს მანქანა ქალაქიდან მოვიდა თუ არა?

— არ უთქვამს. რაშია საქმე?

— წაიღე წიგნი და უთხარი, ხელები გაიწმინდოს. როგორც კი მისცემ წიგნს თქვენს ენტეესელებს, იმ წუთშივე ზეთით გათხუპნიან. ეს წიგნია და არა გადამცემი ყუთი.

ჭაბუკი წავიდა, ნადია შეუდგა გადაწერას: „როგორი ადამიანური თვისებები უნდა ჩაინერგოს? ეს უპირველეს ყოვლისა, სიყვარულია, შენი ხალხის სიყვარული, მშრომელი მასების სიყვარული"...

ოთახში შემოძვრა ფეხშიშველა ბიჭი და თავის მეგობარს გვერდი წაჰკრა, ერთ სკამზე დასხდნენ. ნადიას მოესმა ჩურჩული: „ჰორიზონტალურად ძვირფასი ქვა ხუთი ასოსაგან". მაგრამ რატომღაც ამჯერად არ უნდოდა ბავშვებთან დავა და ისევ გადაწერას შეუდგა: „ადამიანს უნდა უყვარდეს ხალხი. თუ მას ხალხი ეყვარება, მაშინ ის უკეთ და საამურად იცხოვრებს".

— ნადინკა, როგორ მოხდა, ა?

ნადიამ თავი ასწია. მაგიდასთან იდგა მისი მეგობარი ქალი კლავა მეცხოველეობის ბრიგადიდან. ის იყო ფუნთუშა გოგონა, ჟუტუნა ლოყებით, თავზე გვირგვინივით ედო შემოხვეული ნაწნავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა არის?

— ბედნიერება გეწვია...

კლავა გადასწვდა მაგიდას, მოეხვია, გადაკოცნა ნადიას და ფანჯრის ფერფლი თავის სურნელში გაახვია იგი. მაგიდაზე გადახრილმა გადააგდო ფორმულარების ყუთი და კინაღამ არ გადააბრუნა ყვავილები. შემდეგ გაშალა თავშალი და ამოიღო აქაევის რომანი „მოსკოვიდან დაშორებით“. ნადიამ ზერელედ გადაფურცლა წიგნი.

— ერთად კითხულობდით? — შეეკითხა ის.

— ერთად.

— ეტყობა, რომ ერთად. რამდენი ფერფლია გვერდებს შორის. ო, კლავა! კლავა! სადაც სიყვარულზეა ლაპარაკი, იქ უფრო სქლადაა ფერფლი, სადაც მშენებლობაზე კი ფერფლის ნასახიც არაა.

— ჩვენ ასე მესამეჯერ ვკითხულობთ.

— ეს რა არის?

— რა?

— ეს ვინ გახაზა?

ნადიამ მეგობარს წიგნი გაუწოდა. მარცხენა, გვერდზე გახაზული იყო შემდეგი წინადადება: „სულის ლირიზმი, თუ ის ნამდვილად სერიოზულია, ადამიანის კარგი თვისებაა“.

— ღმერთმანი, ჩვენ არ გაგვიხაზავს, — უპასუხა შეშინებულმა კლავამ.

— ბაბუა სტოზაევს ხომ არ გაუხაზავს? — ირონიულად შენიშნა ნადიამ.

— ღმერთმანი, ნადია, ჩვენ ასეთ სისულელეებს არ ჩავდივართ, — კლავა გაიბუტა, გაბრაზდა.

ნადიამ შეინახა წიგნი მაგიდის უჯრაში, რადგან ამ რომანის მისაღებად რიგი იყო და შემარიგებლად თქვა.

— ნუ ბრაზობ, სულის ლირიზმი — ნამდვილად კარგი თვისებაა. როდის გვპატიჟებ ქორწილში?

— არ ვიცი, ნადია, ალბათ, როცა მოსავალს ავიღებთ, — კლავა უკვე დიდიხანია არ აშორებდა თავის სახელს პაშას სახელს და ყოველთვის, როდესაც მასზე ლაპარაკობდა, ამბობდა: „ჩვენ“. პაშა ის შოფერი იყო, რომელიც დღეს ქალაქს გაემგზავრა. — განა ქორწილის დრო აქვს? პაშა დილიდან შუაღამემდე მუშაობს. შეხვედრებს მის კაბინაში ვაწყობთ. წუხელ სადგურზე მიდიოდა, ჩავუჯექი, სამჯერ ჩავედი და გამოვბრუნდით. სადგურამდე, იქეთ და აქეთ 15-16 კილომეტრი გავიარეთ. ზურგი დამემტვრა, საშველი არ იყო! გზა შენც იცი, როგორია. ისე ინჯღრევი, რომ გზაზე კოცნაც არ შეიძლება, ტუჩებში რომ გინდა აკოცო, ცხვირზე მოგიხვდება. კაბინა ჩვენი სახლია. ჩვენ იქ ბელითზე ამოჭრილი გვაქვს „კლავა“ „პავლე“ და „1950 წელი“ სამახსოვროდ...

უეცრად კარების ჯახუნი გაისმა, ბიბლიოთეკაში სტოზაევი შემოვიდა.

— მწერლები... — ჯერ კიდევ პარმაღზე წაიდუდუნა მან. — მხოლოდ საოიაურია, რა მწერლობაა... — და დააგდო მაგიდაზე წიგნი, რომელზედაც „მეგობაღეობა“ ეწერა. აი შეხედეთ, ყოველ გვერდზე ბაღის მაკრატლებია დახატული! რა დიდი საკვირველებაა ბაღის მაკრატლები? ხოლო ხვალოვოში როგორ გადავრგოთ ვაშლები, ამის შესახებ არაფერია თქმული. ეს ძლიერ კარგი საქმეა, — ბაღების გაერთიანება. იმათ კი ხვალოვოში ფოთლები ლიმონივით ყვითელი აქვთ, ხლოროზით არიან დაავადებული. მე კი აქ ჩინური ბელფლერი

მაქვს, დაშაქრული არკადიც და ანტონოვისაც, პენინიც ისე ხარობს როგორც ქოთანში მიხაკი. როგორ გადავრგა მე ისინი ხვალოვოში? რომ დამეკარგოს?

— შენ რა, ყოველ სოფელზე ხომ არ დაგიწერენ, — თქვა კლავამ.

— შენ ასე ფიქრობ? ჰო, რა გენაღვლება. თუკი თითოეულ შენს ცხვარს სურათს უღებენ, ხეც ხომ ცოცხალი არსებაა, ისიც სუნთქავს...

სტოზაევი ჭირვეულ გუნებაზე იყო. ნადია ფიქრობდა, რა მიეცა მისთვის წასაკითხად, რომ დამშვიდებულიყო, თორემ სახლში თავის ვასილისა ივანოვნას წაეჩხუბებოდა. კარგი იქნება, „პედაგოგიური პოემების“ მსგავსი რამ მივცე, — მას უყვარს ასეთი წიგნები, — მაგრამ რომ არ არის „პედაგოგიური პოემები“ ნადიას ბიბლიოთეკაში.

სტოზაევი ჭირვეულია, მისი ვასილისა ივანოვნა — კიდევ მეტი. არაფრით არ დაუთმობს. ნადიამ დაიწყო მათთვის ისეთი წიგნების მიცემა, სადაც მშვიდობიანი მოხუცებია აღწერილი „ძველი დროის მემამულეების“ ანდა „საოჯახო ქრონიკების“ მსგავსი. არ უშველეს ამ წიგნებმა, უარესი გახდა. წაიკითხა სტოზაევმა „ძველი დროის მემამულეები“ და გადაწყვიტა, გაეთამაშებია თავისი პულხერია ივანოვნა. მოვიდა ერთხელ სახლში და ხედავს: ვასილისა ივანოვნას სძინავს, ქოხში კი ბოლისაგან ჩამობნელებულა. ჯერ გაბრაზდა, შემდეგ კი ნელა გააღვიძა ცოლი და უთხრა: „ილოცე, დედაბერო, ვიწვით. საღორე იწვის. შენი საქათმე უკვე დაიწვა“. ვასილისა ივანოვნა ამაზე ძალზე გაბრაზდა. არ უშველა მათ ოჯახურ ცხოვრებას ასეთმა წიგნებმა. გორკის „ბავშვობამ“ კი უშველა, — თუ რატომ, გაურკვეველია, მაგრამ, უშველა კი. უფრო ფაქიზად დაუწყო ცოლს მოქცევა. თვითონაც კი დამშვიდდა, ჩაფიქრებული გახდა.

— წერენ, — ბურტყუნებდა სტოზაევი. — შენ მე დამიწერე ისე, რომ ვიცოდე, შეიძლება თუ არა ხვალოვოში ვაშლის გადარგვა.

ბიბლიოთეკაში ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. მსჯელობდნენ საზღვარგარეთის ამბებზე, იმის შესახებ, თუ რა საძაგლად უჭირავთ თავი ამერიკის წარმომადგენლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, კითხულობდნენ გაუოცებლად კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის შესახებ, სინჯავდნენ ობლიგაციებს. შემოვიდა აგრონომი და კოსტუმიანმა ბიჭმა ჩურჩულით ჰკითხა მას, რა ჰქვია ხუთ ასოსაგან შემდგარ ძვირფას ქვასო. აგრონომმა ეს არ იცოდა.

— მეორე მხრივ, კარგია, რომ ჩვენ მანქანაში ვხვდებით, — ამბობდა კლავა, — ხანდახან ისიც ხდება, წავიკინკლავებთ, ისე როგორც მებაღე თავის ვასილისასთან, გააჩერებს ხოლმე ის მანქანას და მეუბნება — ჩამოდიო. მე კი არ ჩამოვდივარ. მას დიდხანს გაჩერება არ შეუძლია, ნორმა უნდა შეასრულოს. „კარგიო, — იტყვის, — მივალთ სახლთან, მე შენ იქ ჩამოგაბრძანებო“. სანამ სახლთან მივალთ, ორივენი დავცხრებით. კარგია ჩვენს კაბინაში. მე ყველა სახელწოდება ვიცი: „სპიდომეტრი“, „აქსელერატორი“, — ყველაფერი ვიცი. არც ერთ საქმეს ისეთი სახელწოდება არა აქვს, როგორც მძღოლების საქმეს. მე ჩემი ცხვრისათვის მინდოდა დამერქმია „აქსელერატორი“, გამგემ ნება არ დამრთო: „ჩვენ აქ საჯიშე ფერმა გვაქვს და არა ავტოგასაღებაო“ მას არაფერი ესმის... პაშა დღეს დაიქანცა...

— მოვიდა ქალაქიდან? — ჰკითხა გაკვირვებულმა ნადიამ.

— დიდი ხანია მოვიდა.

— მერე, რაღას უდგახარ აქ? რატომ არ მიდიხარ მასთან?

— დედამისმა გამომაგდო, — უპასუხა კლავამ მორჩილად. — დააძინეო, მითხრა. ჰოდა, მეც წამოვედი... სძინავს ახლა ჩემს სასურველს.

— რატომღაც დავიღალე დღეს, კლავა, — თქვა ნადიამ, და სახეზე ხელები მოისვა, თითქოს პირს იბანსო.

ცდილობდა თავი დაეღწია ფიქრებისათვის, მაგრამ იმავე მეუოაცხყოფის მსგავსმა გრძნობამ აუფორიაქა სული.

— სარეველა შვიდი ასოსაგან, — ყაყანებდნენ და ერთმანეთს არ აცდიდნენ ბიჭები, — ჰორიზონტალურად... ბოიცა, მე ვიცი! ჭარხალ-ბოლოკა...

— ხარისთვალა, — თქვა ფეხშიშველა ბიჭმა.

— ჭინჭარი... ღიღილო...

— წალკა, — თქვა ფეხშიშველა ბიჭმა.

— რძიანა...

— ბავშვებო, ცოტა ჩუმად, — ჩაილაპარაკა ნადიამ და, როცა შეხედა ჩასუქებულ, წითელლოყება კლავას, დაუმატა — შენ კი, კლავა ბედნიერი ხარ.

— რასაკვირველია, ბედნიერი ვარ, — დინჯად დაეთანხმა კლავა, — მაგრამ არ ვიცი, რაღა ვქნა, როდესაც ვიქორწინებთ.

— რა იყო?

— რა იყო და... პაშა ოცნებობს, როდესაც ვიქორწინებთ, მე თავი დავანებო ფერმაში მუშაობას და მძღოლის კურსებზე წავიდე. მე კი არ მინდა მძღოლობა. მე ჩემი ცხვრები მიყვარს...

— მერე და ელაპარაკე მას ამის შესახებ?

— ველაპარაკე. ის კი მაინც მთხოვს კურსებზე წასვლას.

— უყურეთ, როგორი ყოფილა!

— რას ვიზამ, წავალ კურსებზე. ქმარს თუ ასე სურს, ვერაფერს გავაწყობ, — მორჩილად ჩაილაპარაკა კლავამ. — მე ისედაც ვცდილობ, მივეჩვიო, ყველას ვეუბნები, რომ მე სახელწოდებები მომწონს, სხვადასხვანაირი აქსელერატორი, მე კი მისი არაფერი გამეგება...

მას თვალები ცრემლებით აევსო.

ნადიამ შეხედა მას, ჩაფიქრდა და ჰკითხა:

— შენ ხომ არ იცი, მას ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“ წაკითხული აქვს?

— არ ვიცი.

— მე მოგცემ იმ წიგნს და ერთად წაიკითხეთ. ნახოს ნამდვილი მამაკაცები, როგორ უნდა მოეპყრან ქალებს. მხოლოდ, გეთაყვა, კითხვის დროს თამბაქოს ნუ მოსწევს.

ხალხი თანდათან შეთხელდა. მხოლოდ ბავშვები ისხდნენ ისევ ისე ერთ სკამზე და თხზავდნენ ძვირფასი ქვების სახელებს. ბიბლიოთეკის დაკეტვის დროც მოვიდა. დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ნადიამ ყური მიუგდო. ნაბიჯები შენელდა. გაიტკაცუნა უზარმაზარმა ბოქლომმა. გაბრახუნდა კარები. მერე ისევ გაისმა ფეხის ხმა დერეფანში, და კარები გაიღო. შემოვიდა ლეონიდ მიხაილოვიჩი, ფართოყვრიმალძვლიანი, გამხდარი, სიცივისაგან აწითლებული, ლაქებით. მას საწვიმარი ეცვა და გადაკეცილი ყელიანი რეზინის ჩექმები, როგორც დარტანიანს „სამ მუშკეტერში“.

— გილოცავთ, ნადია, — უთხრა და მოუჭირა მის ხელს სიცივისაგან გამაგრებული ხელი. — მომიტევეთ დაგვიანებისათვის. პავლე უგონოდ ისწრაფოდა თავის კლავასთან და არ მომიცადა, ისე წამოვიდა. მე კი გამვლელი მანქანების ცდა მომიხდა. აი თქვენ წიგნები.

მან დააწყო მაგიდაზე ბაწრით შეკრული წიგნები, და მკაცრად დაუმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა: — მე თქვენ გთხოვეთ, არ აგენთოთ სინათლე პარმაღზე. უნდა დავზოგოთ ელექტროშუქი.

ნადიამ შეხედა მას და არაფერი არ უპასუხა.

— თქვენ რა, ხომ არ დაიღალეთ? — ჰკითხა ლეონიდ მიხაილოვიჩმა ნადიას. დახედა საათს და თავი გააქნია. — მე კი მოხსენებისათვის უნდა მოვემზადო. აგრონომმა დაგიბრუნათ სტალინის თხზულებათა პირველი ტომი? მომეცით. დროა დაკეტოთ ბიბლიოთეკა. უკვე მეთორმეტე საათია.

— ყველა მკითხველი ჯერ არ წასულა, — ნადიამ ანიშნა ბავშვებზე, რომლებიც კროსვორდს დასჩერებოდნენ.

— არწივებო, აბა შინისაკენ, — წარმოთქვა ლეონიდ მიხაილოვიჩმა. — ბიბლიოთეკა იკეტება.

— ახლავე, — უპასუხა კოსტუმიანმა ბიჭმა, — აი მხოლოდ ქვანახშირის ხარისხი ცხრა ასოსაგან, — და მოვრჩით.

— ანტრაციტი, — თქვა ნადიამ.

— შესაფერია. ახლა რუსი მეზღვაური შვიდი ასოსაგან.

— დეჟნევი, — თქვა ნადიამ.

— ესეც შესაფერია. ახლა ძვირფასი თვალი ხუთი ასოსაგან.

— მოუსვით ახლავე სახლისაკენ, ძვირფასო თვლებო, — დამარცვლით თქვა ლეონიდ მიხაილოვიჩმა, წინ ბავშვები გაუშვა და უკან გაჰყვა. ქუჩაში სიბნელე იყო. ალბათ კლუბის გამგემ გამორთო სინათლე პარმაღზე.

ნადიამ შემოხსნა შეკვრას ბაწარი და დაუწყო ცივ წიგნებს თვალიერება. წიგნები იშვიათი და კარგი იყო. ზემოდან იდო „პედაგოგიური პოემა". ნადიამ უეცრად შენიშნა, რომ ყდაზე მას არ ჰქონდა ფორმულარების ჩასაწყობი ჯიბე. ესე იგი წიგნები კოლექტორში კი არ იყო მიღებული, არამედ მაღაზიაში იყო ნაყიდი. ნუთუ ლეონიდ მიხაილოვიჩმა იყიდა მთელი ეს შეკვრა? ნუთუ მან საჩუქარი მოართვა ნადიას და მის საყვარელ ბიბლიოთეკას? ნადიამ შეხედა დახურულ კარებს და ყური მიუგდო. წვიმდა.

მან ამოიღო ლეონიდ მიხაილოვიჩის სურათი და დიდხანს ათვალიერებდა მის გაკრულ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ხელწერას. შემდეგ სურათი ისევ შეინახა, ბიბლიოთეკა დაკეტა და შინ წავიდა.

თარგმანი **მარიამ აგიაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ირონა ვაკელი**

# რვალი

## პიესა 4 მოქმედებად და 8 სურათად *

★

### მოქმედება მესამე

#### პირველი სურათი

დირექტორის კაბინეტი

არჩილი — არა, ამხანაგო ზურაბ! თქვენ არა ხართ მართალი!

ზურაბი — მე ძალიან მწყინს, რომ ქარხნის მთავარი ინჟინერიც საბოლოოდ იცავს ამ პროექტს და არ სჯერა ჩემი... დაიცადეთ, ბატონო, მეც დავამთავრებ პროექტს და მერე ვნახოთ, ვინ უფრო მართალი იქნება.

არჩილი — არა, ამხანაგო ზურაბ! ჩემი აზრით, ასე საკითხის დასმა უმართებულოა. ჩვენ ჯერჯერობით ვალდებული ვართ, შეფასება მივცეთ იმ პროექტს, რაც უკვე წარმოდგენილია.

ზურაბი — (ათვალიერებს პროექტს). ეს უკვე გაუსწორებია.

არჩილი — დიახ.

ზურაბი — ესეც ახლად ჩამატებულია.

არჩილი — დიახ.

ზურაბი — კარგია, მაგრამ ეს მხოლოდ დეტალებია. მთავარია კი ის, რომ ბაღი შევინარჩუნოთ... ხომ გითხარით, ბაღს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავთმობ-მეთქი... მე თითქმის მზადა მაქვს პროექტი, სადაც ყველაფერი ისეა გათვალისწინებული, რომ ბაღსაც შევინარჩუნებთ და საამქროც გაფართოებული იქნება. (ტელეფონის ზარის ხმა). ჰო, მე ვარ, გამარჯობათ... კარგი, თანახმა ვარ.. .ოღონდ ხარისხს მიაქციეთ ყურადღება... ახლა ხარისხია მთავარი. კი, კი, ახლავე ჩამოვალ და თვითონ შევამოწმებ. (გაისმის მეორე ტელეფონის ზარის ხმა). ჰო, მე ვარ... რა იყო, თოღვინთე? დიახ, დიახ, ჩემი განკარგულება იყო. დღესვე მიეცით „რვალის“ საამქროს 200 ტონა მარგანეცი თუ საჭირო იქნა, მუშახელიც დაახმარეთ. ეცადეთ, საქმე დააჩქაროთ, მოსკოვის დაკვეთა სახუმარო საქმე როდია... (მილაკს დასდებს).

არჩილი — ამხანაგო ზურაბ, „რვალის“ საამქრო თითქმის ყოველდღიურად ადიდებს პროდუქციას და ამით ჩვენ მომავალ კვარტალს უფრო მეტი წარმატებებით დავამთავრებთ.

ზურაბი — რა მდგომარეობაა სხვა საამქროებში?

---

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი — საზეინკლო საამქრო — 100 პროცენტი.

ზურაბი — არა უშავს.

არჩილი — სახარატო — 108.

ზურაბი — კარგია.

არჩილი — ელექტროენერგიის დაზოგვა — 10 პროცენტი.

ზურაბი — ცუდია, შეიძლება ამ კვარტალში პრემია დავკარგოთ.

არჩილი — მექანიკური საამქრო — 112 პროცენტი.

ზურაბი — ეს კი ჩინებულია.

არჩილი — ლითონის სადღეღამისო გამოდნობა — 115 პროცენტი.

ზურაბი — ყოჩაღ! აბა, შენ იცი, ამხანაგო არჩილ, ეცადე, ეს მიღწევა ხელიდან არ გაგიფრინდეს... ხომ იცი, კუზბასის „გიგანტელები" როგორ ფეხდაფეხ მოგვდევენ!

არჩილი — ვფიქრობ, არ შევრცხვებით, მხოლოდ ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმების გადასინჯვა კი, ალბათ, საჭირო იქნება. ა, რას ფიქრობ, ამხანაგო ზურაბ, პროექტის საკითხს ღიად სტოვებთ?

ზურაბი — იცით, რა გითხრათ, ამხანაგო არჩილ! თავისთავად ეს პროექტი ცუდად მოფიქრებული როდია, მაგრამ შენი მეგობარია ძალიან ჯიუტი... ფანატიკოსია, ბატონო, ფანატიკოსი... რაღა მაინცდამაინც ჩვენს ბაღს დაასო თავისი ხარბი თვალი?

არჩილი — ნუთუ ის ბაღი ასეთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თქვენთვის, ამხანაგო ზურაბ?

ზურაბი — ო, რა სიყვარულით ვაშენებდი მე იმ ბაღს? რა შრომა და ოფლი ჩავაქციე შიგ? ყოველ ლერწს შვილივით ვეალერსებოდი... ვრწყავდი, ვფურჩქნიდი, ზრუნვას არ ვაკლებდი... ვერ წარმოიდგენ, როგორ ძიყვარს.

არჩილი — ქარხანაში იმასაც ამბობენ, ზურაბს ქარხნის ბაღის გვერდით საზიარო ბაღი რომ არ ჰქონდეს, ირაკლის პროექტზე ამდენ დავას არ ატეხდაო...

ზურაბი — მერე, მართალია ეგა?

არჩილი — რა ვიცი, ასე კი ამბობენ და...

ზურაბი — ა, წაიღე ეს, ირაკლის კი ასე უთხარი: ბაღზე ფიქრს თავი დაანებოს.

არჩილი — მე კი გადავცემ, ამხანაგო ზურაბ, მაგრამ სხვა გამოსავალი, ვფიქრობ, არ არის.

ზურაბი — მერწმუნე, არის. ამას მე მალე დაგიმტკიცებ ჩემი პროექტით. არ იქნება ცუდი, თქვენც რომ დაფიქრდებოდეთ. ნახვამდის. (არჩილი პროექტით გადის. ზურაბი მარტო დარჩება. გაიღებს ფანჯარას. იქიდან ამოიყვანს კატას, თავზე ხელს გადაუსვამს, ეალერსება. შემოდის თოღვინთე).

თოღვინთე — გამარჯობა, ციცუნია! (ხელს ართმევს). ა, შე ეშმაკო, შენა! შეხედეთ, ზურაბ ბატონო, თვალებს როგორ ნაბავს? ჰო, ჰო, ჰო, რა საყურებელი იქნება, ეს რომ თაგვებს დაერევა... სულ სისხლის ღვარს დააყენებს. ამხანაგო ზურაბ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?!

ზურაბი — რა იყო, რა მოხდა, თოღვინთე?

თოღვინთე — საამქრო „რვალი" იმდენ ელექტროენერგიას ყლაპავს, რომ პირდაპირ ლიმიტის დარღვევის საფრთხის წინაშე გვაყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ურ ა ბ ი — ლიმიტის ზუსტად დაცვა, ყველა საამქროსათვის საკალდებულოა.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — და თუ დაარღვიეს?

ზ ურ ა ბ ი — იმოქმედეთ საერთო წესის მიხედვით. (ზურაბი თოლვინთეს გადასცემს კატას და გადის).

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — დაიცა, ზურაბ, სად მიდიხართ? კიდევ ერთი ძალიან საჭირო საქმეა, ახლავე მოგახსენებთ...

ზ ურ ა ბ ი — ახლა არა მცალიან... საამქროების დასათვალიერებლად მივდივარ... შემდეგ შემახსენე.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — (როგორც კი ზურაბი გავა, თოლვინთე კატას ჩაარტყამს თავში და ფანჯრიდან გადააგდებს). შენ კი მიაკვდი შენს პატრონს. (შემოდის კარპიოზი).

კ ა რ პ ი ო ზ ი — რა იყო, ჭუკული, რას ერჩოდი იმ კატას, კინაღამ თავზე დამაბერტყე!

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — როგორ თუ რას ვერჩოდი! დირექტორის ბუტერბროტი მოიპარა და, იმიტომ დავსაჯე. მინდა ქურდობას გადავაჩვიო.

კ ა რ პ ი ო ზ ი — ზოგიერთი კაცი, ჭუკული, სახელმწიფო სამსახურშია და ქურდობას ვერ გადაჩვევია და, შენ კატასთან რას გახდები!

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ჯერ შენ ის მითხარი, სადა ხარ ამდენხანს, რატომ დაიგვიანე?

კ ა რ პ ი ო ზ ი — ვერაფერს გავხდი, ჭუკული!

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — როგორ?

კ ა რ პ ი ო ზ ი — ჯერ შორიდან დავუწყე რუსუდანს ლაპარაკი, მერე სიტყვა ნელ-ნელა შავაპარე, მაგრამ, როგორც კი პირდაპირ დაუყენე საკითხი, თოლვინთეს ცოლად უნდა გაჰყვე-მეთქი, ისეთი სიცილ-კისკისი ატეხა, რომ კაცი კინაღამ გადავირიე!.. მერე, როცა ცოტათი ჩადგა და დამშვიდდა, ასე მკვახედ მომიჭრა სიტყვა: შენგან არ მოველოდი, ბიძია კარპიოზ, თუ თოლვინთესათვის გამიმეტებდიო!

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რაო, რაო?

კ ა რ პ ი ო ზ ი — არა, კაცმა რომ მართალი თქვას ისეთი ახალგაზრდა ქალი არც კი შეგეფერება, ჭუკული! შენ ისევ შენი ხნისა და ასაკის უნდა მოგახო...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რას ამბობ, კაცო! ჩემი ხნის ქალი ჩემმა მტერმა შეირთოს ცოლად!

კ ა რ პ ი ო ზ ი — სიყვარულს, ჭუკული, დიდი გიჟმაჟი და ფიცხი ცხოვრება უყვარს. ეს ხანში შესულ კაცს არ შეუძლია. აუარებელი ხარჯი და ფუსფუსი სჭირდება. ეს ანგარიშს მოყვარული კაცისათვის სიკვდილია, და ბოლოს, ჭკუაა საჭირო. ამდენ ვაი-ვაგლახს სოლომონ ბრძენიც ვერ მოახერხებდა.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ვიწვი კარპიოზ, ხომ ხედავ, ყოველი მხრიდან ცეცხლი მეკიდება...

კ ა რ პ ი ო ზ ი — ასეა, ჭუკული... ცხოვრება შამფურია, ხან ერთ გვერდზე უნდა ვიწოდეთ და ხან მეორეზე.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ჩემთვის ღმერთს რომ სიკეთე ნდომებოდა, პირველი ცოლი არ მომიკვდებოდა, კარპიოზ, პირველი ცოლი.

კ ა რ პ ი ო ზ ი — რა გვარის ქალი იყო, ჭუკული, ის სულცხონებული?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — დადეშკელიანი.

კ ა რ პ ი ო ზ ი — დიდუჰ! დადეშკელიანის ქალი ვინ მოგცა, ჭუკული, შენ?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რევოლუციის შემდეგ, თავადი ქალების დევნალვაცია-რომ მოხდა, მაშინ შევირთე. ეჰ, არ მეგონა, რუსუდანის საქმე თუ ასე გამიჯანჯლდებოდა! (შემოდის იოველი). და ეს ყველაფერი შენი დისწულის ბრალია!

ი ო ვ ე ლ ი — რუსუდანის?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ამაზე შემდეგ მოგელაპარაკები. ახლა კი ამ კაცთან მაქვს პატარა საქმე... იცი, კარპიოზ, რატომ დაგიბარე?

კ ა რ პ ი ო ზ ი — აბა, რა ვიცი, ჭუკული.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ახალ სამუშაოზე უნდა გადაგიყვანო.

კ ა რ პ ი ო ზ ი — იქნება საძნელოა, ჭუკული?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — პირიქით. სულ იოლი საქმეა. „რვალის“ საამქროს მეთვალყურედ მინდა დაგნიშნო. აქ მე ვიქნები შენი თავი... იქ კი შენ ჩემი კუდი უნდა იყო... მაგრამ, როგორც კი გაეცნობი ვითარებას, ისე უნდა მოაწყო საქმე, რომ შენ თვითონ გახდე თავი და დროზე გაიჩინო საიმედო კუდები.

კ ა რ პ ი ო ზ ი — მერე ეს კუდები საიდან ვიშოვნო, ჭუკული, მე?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ისინი თვითონ მოგნახავენ.

კ ა რ პ ი ო ზ ი — ვერა, ჭუკული... ვერ ვიკისრებ. სინდისშერცხვენილი კაცი ტიტველზე უარესია.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ხანდახან სინდისიერმა ცხოვრებამაც იცის, გენაცვალე, კაცის სიტიტვლემდე მიყვანა.

კ ა რ პ ი ო ზ ი — მაგრამ უნამუსობით ჩაცმულ შარვალს ძალიან მოკლე ტოტები აქვს, ჭუკული, და ჩაძრობაც იცის მალე.

ი ო ვ ე ლ ი — შენზე გამოცდილი კაცი გელაპარაკება, ჩემო თვალის ჩინო, და კიდევ არ უჯერი? ამან შენზე უკეთ არ იცის ცხოვრებისათვის რა სჯობს? ორი პიანინო მაგას უდგას სახლში, თუ შენ? გოჭები მაგისას იწვება შამფურზე, თუ შენსას? აი ნამდვილი სულელი! სულელებს არც რგავენ და არც თესავენ... ისინი როგორც ნაწვიმარზე სოკოები, ისე, პირდაპირ თავისით ჩნდებიან ქვეყანაზე.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — მაშ, არ იკისრებ?

კ ა რ პ ი ო ზ ი — არავითარ შემთხვევაში... (იოველი და თოლვინთე იცინიან).

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ყოჩაღ, კარპიოზ? შენი გამოცდა გვინდოდა და...

კ ა რ პ ი ო ზ ი — მცდიდით, ჭუკული?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — გცდიდით, მაშ! აბა, წადი ახლა და შენ იცი, როგორ იმუშავებ... თუ თავს გამოიჩენ, იცოდე, ჯილდოზე წარგადგენ! (კარპიოზი გადის. თოლვინთე იოველს ხელს მოჰკიდებს და ფანჯრისაკენ მიყავს). მოიწი აქეთ. ეტყობა, რუსუდანთან ჩემი საქმე საბოლოოდ დაღუპულია. სიყვარულს იმდენად აღარ ვჩივი... ახლა იმას ვესწრაფვი, მინდა ირაკლის გული ვატკინო და გავამწარო! თუ ეს მოვახერხე, სწორედ დიდი ბედნიერება იქნება ჩემთვის.

ი ო ვ ე ლ ი — ეს საქმე ჩემზე იყოს.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — როგორ?

ი ო ვ ე ლ ი — უთუოდ რამეს მოვახერხებ...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — აბა, შენ იცი... (შემოდის ვახტანგი). მოდი, ვახტანგ! შენ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწი, ოველ, ნახე ერთი, რა მდგომარეობაა ამათ საამქროში... /იქ მე ელექტროლიმიტის ამბავი მეეჭვება.

ი ო ვ ე ლ ი — ახლავე, ჩემო თვალისჩინო... (ოველი გადის. ვახტანგმა თან მოიტანა მაკეტი და დებს მაგიდაზე).

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — რა არის ეს?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ირაკლი თაბაგარის პროექტის მაკეტია, ამხანაგო თოღვინთე.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — მერე რა მაგის დროა ახლა? შენ შენი საქმისა რა ჰქენ? დაამთავრე თუ არა კონვეირის პროექტის შედგენა?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ჯერ არა, მაგრამ...

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — მაგრამ რაო? ხელს არ გიწყობენ?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ხელს როგორ არ მიწყობენ... პირდაპირ გადამყვა ირაკლი თაბაგარი...

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ნუ გააჭირეთ, კაცო, საქმე ამ ირაკლი თაბაგარის წამდაუწუმ ხსენებით... თითქოს და იმის გარდა არავინ ვიყოთ აქ საქმის მცოდნე და ჭკუა საკითხავი კაცი!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რატომ ცხარობ ასე, ამხანაგო თოღვინთე?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — (გამოჯავრებით). რატომ ცხარობ ასე, ამხანაგო თოღვინთე! გაიგე, იმიტომ ვცხარობ, რომ მაცხარებენ. (შემოდის ირაკლი).

ი რ ა კ ლ ი — ვინ, ამხანაგო თოღვინთე, მაინც ვინ გაცხარებთ?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — აი, თუნდაც თქვენ.

ი რ ა კ ლ ი — მე?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — დიახ, დიახ, თქვენ, პატივცემულო, ნოვატორო.

ი რ ა კ ლ ი — სრულიად არაფერი მესმის!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — მურვან ყრუსაც სწორედ იმიტომ შეარქვეს ყრუ, რომ, რაც არ მოსწონდა, იმას არ ისმენდა.

ი რ ა კ ლ ი — მაინც!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ეს შენი „რვალი“ გვეყოფა, ყმაწვილო, ყველაფრად?! სად არის კონვეირი? კიდევ რამდენი თვე დაგვჭირდება მისი ლოდინი?

ი რ ა კ ლ ი — მგონია ცხრა თვე.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — რაო, ცხრა თვეო? არა, გენაცვალე! ცხრა თვე მე დედის მუცელში არ მომიცდია!

ი რ ა კ ლ ი — მერე რა გიჭირდა, შე კაცო, მოგეცადა, უფრო მომწიფებულ-მოშუშებული გამოხვიდოდი!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — არა, გენაცვალე! თოღვინთეს მოშუშება არ აკლია... ცეცხლი და ღადარი ასჯერ მაქვს გავლილი ცხოვრებაში... (გაისმის ტელეფონის ზარი. თოღვინთე მილაკს აიღებს). ჰო, მე ვარ, რა იყო, ოველ? ლიმიტი დაარღვიეს ხომ? ჰო, ვიცი, ვიცი... მაინც რამდენია გადახარჯული? ათი-ათასი კილოვატი საათი? უჰ! დაგიქცევიათ ქვეყანა და ეს არის! კი, კი, ახლავე მანდ გავჩნდები (ვახტანგს). აი, ესეც თქვენი „რვალი“.

## ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

„რვალის“ საამქრო. ღუმელი წითლად ღვივის. ირაკლი ხელსაწყოთი სინჯავს ლითონის შენადნობს. შემდეგ ტელეფონთან მივა და მილაკს აიღებს.

ი რ ა კ ლ ი — გამარჯობა, არჩილ! ჰო, მე ვარ. აბა, აიღე ფანქარი და ჩაწერე: ტემპერატურა — 1600, შენადნობის სიმკვრივე — 100, დნობის სისწრა-

ფე — 95. ჰო, მართალია, წინა კვირის შედეგი ასეთი არ ყოფილა. შესანიშნავი მაჩვენებელია. ახლა კი ამას გთხოვ, საჩქაროდ ელიკო გამოგზავნე, საანალიზო მასალა უკვე მზად არის და წაიღოს. (ბილაკს ჩამოკიდებს. შემოდის ვახტანგი).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — გამარჯობა, ირაკლი!

ი რ ა კ ლ ი — გაგიმარჯოს!..

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რა იყო, კაცო, რატომ ხარ ასე მოწყენილი?

ი რ ა კ ლ ი — ვითომ რა შემატყვე!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — პროექტის ამბავმა ხომ არ დაგაღონა?

ი რ ა კ ლ ი — პროექტის ამბავს რუსუდანის ამბავიც ზედ დაერთო.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — როგორ?

ი რ ა კ ლ ი — იმ თათბირის შემდეგ ხმას აღარა მცემს...

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რაო, რა მინდაო?

ი რ ა კ ლ ი — საქმეც ისაა, რომ ამ ბოლო დროს აღარაფერი უნდა ჩემი... აგერ ისიც... (შემოდის რუსუდანი, ლაბორატორიისაკენ მიდის საამქროში გავლით. ირაკლის რომ დაინახვს, შეკრთება, შეჩერდება, მაგრამ არ იმჩნევს უხერხულობას და ისევ განაგრძობს გზას. ვახტანგი წინ შეეგებება).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რა იყო, რუსუდან, რას გვემდური... სალამი არ იცი?

რ უ ს უ დ ა ნ ი — გამარჯობა, ვახტანგ! (შემოდიან გაიოზი და დათუნია).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რატომ მარტო ვახტანგი? ხომ ხედავ, ჩვენ აქ ორნი ვართ... მეორეჯერ უნდა გაგაცნოთ ერთმანეთს?

რ უ ს უ დ ა ნ ი — პირველ გაცნობისთვისაც დიდად დავალებული ვარ შენგან...

ი რ ა კ ლ ი — (ხელსაწყოს დადებს და ორიოდე ნაბიჯს გადადგამს რუსუდანისაკენ). რუსუდან!

რ უ ს უ დ ა ნ ი — (შეხედავს ირაკლის და შეჩერდება).

ი რ ა კ ლ ი — არ ვარგა, რუსუდან... არ გიხდება ეს ბუტიაობა. პატარა ხომ არა ხარ?

რ უ ს უ დ ა ნ ი — გმადლობთ დარიგებისათვის! (მიდის).

ი რ ა კ ლ ი — რუსუდან, დაიცა, რუსუდან... რუსუდან! (რუსუდანი გადის). ახლა ხომ გჯერა?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ვერაფერი გამიგია...

გ ა ი ო ზ ი — აი, დედასა!

ი რ ა კ ლ ი — რა იყო ბიჭო, რატომ ამოიოხრე?

გ ა ი ო ზ ი — თქვენც რომ ამას გიბედავენ, ჩვენისთანა ხალხმა რაღა ქნას!

დ ა თ უ ნ ი ა — ეჰ, რას იზამ! ეტყობა, სიყვარულის მარჯვალი ყველასათვის ძნელად გასაჭედი ყოფილა.

ი რ ა კ ლ ი — მართალია, ბიჭებო, ძნელი გასაჭედია, მაგრამ, თუ კაცი საქმეში ვარგიხარ, შენი ბედიც იქვე იჭედება. აბა, გაიოზ, აქ ახლა ელიკო მოვა და ეს გადაეცი. (პატარა შუშაზე ანიშნებს). აბა, წავიდეთ, ვახტანგ! დეპეშა მინდა მოსკოვში ბარდინს გავუგზავნო ახალი მაჩვენებლების შესახებ. დათო შენც, წამოდი ჩემთან.

გ ა ი ო ზ ი — აი ახლა ვამჩნევ, თუ რა მცდარი გზით მივლია... ეჰ, რამდენი კაი დრო გავუშვი ხელიდან! ახლა იმას სადღა დავეწევი!. მიზანი რომ არ მქონდა, ამას კი ვგრძნობდი, მაგრამ ბრმასავით რომ დავდიოდი, ამას კი ვერ ვხედავდი! მერე-და, რა არის უმიზნო ადამიანი? არაფერი. უმიზნო ადამიანი დაბმული ლომია. მორჩა ამიერი-

დან მე ვიცი, რასაც ვიზამ. ირაკლიმ თვალები ამიხილა. გასწი, გაიოზ, თუ მოინდომებ, შენ ყველას წინ გაუსწრებ!.. ეს ერთი მაკლდა, მარტო რომ დავრჩებოდი, ლაპარაკი არ ვიცოდი, და ამასაც დავეჩვიე. (შემოდის ელიკო).

ელ ი კ ო — ირაკლი სად არის?

გ ა ი ო ზ ი — წავიდა. აი ის დაგიტოვა ლაბორატორიაში წასაღებად... (ჭურჭელზე ანიშნებს).

ელ ი კ ო — რა იყო, რატომ ასე გაკვირვებული მიყურებ?

გ ა ი ო ზ ი — რა იქნება, გოგო, ერთი-ორი ღერი ტკბილი სიტყვა უთხრა იმ შენს გულქვა ამხანაგს. ირაკლი არ იმჩნევს, მაგრამ მე ვხედავ, თუ როგორ განიცდის რუსუდანის გულძვირობას.

ელ ი კ ო — მერე მე რა შუაში ვარ! ჩემთან რა გინდა, ბიჭო?

გ ა ი ო ზ ი — რა მინდა და, ქალი ხარ და იმოქმედე რუსუდანზე... უთხარი, ურჩიე, ჭკუა დაარიგე...

ელ ი კ ო — კი, მაგრამ, იქნება არ თხოვდება ის ქალი და...

გ ა ი ო ზ ი — კაი ერთი! ჯერ ქვეყანაზე არ დაბადებულა ისეთი ქალი, რომ გათხოვებაზე უარი ეთქვას.

ელ ი კ ო — უარს არ ამბობენ, მაგრამ გააჩნია ვის უნდა მისთხოვდნენ! ირაკლი რომ იმ სხდომაზე ზურაბს ისე უხეშად არ შეჯახებოდა, ახლა საწუხარიც არაფერი ექნებოდა... მაგრამ, რაკი შენ მთხოვ...

გ ა ი ო ზ ი — შენ იცი, ელიკო, შენ ისეთი ენა გაქვს, ისეთი, რომ თუ მოინდომე ნაკვერცხალს გამოიღებ ბუხრიდან. აი ჩვენი საქმეც ხომ გახსოვს ერთხანს, როგორლაც არ ეწყობოდა, მაგრამ...

ელ ი კ ო — ეარ გამოჰყო კუმ ფეხი! ბიჭო, ჩვენი საქმე სხვაა და, იმათი კიდევ სხვა... მგარამ მე მაინც ვეცდები... (დათუნია შემოირბენს).

დ ა თ უ ნ ი ა — ბიჭო, გაიოზ, რას აკეთებ აქ? წამო, საქმეზე მომეხმარე! (დათუნია და გაიოზი გადიან. მცირე ხნის შემდეგ შემოდიან ალექსი და იაგორი).

ა ლ ე ქ ს ი — ჰო, ჰო, ჰო, რა მუშაობა გაჩაღდა, იაგორ, რა მუშაობა! დუღს და გადმოდისო, რომ იტყვიან, სწორედ ამაზეა ნათქვამი. აი შეხედე, როგორ წითლად ღვივის ეს დალოცვილი...

ი ა გ ო რ ი — აბა, რა იქნება... ძალა გვაქვს, ბიძია, ძალა... თუკი მოინდომა, კაცის ხელი რას არ გააკეთებს. აბა, მიდი ალექსი, მგონია დენის მიმატებაა საჭირო.

ა ლ ე ქ ს ი — მიმატება კი არა, რაც დავხარჯეთ, იმაზეც გულგასიებულია თოღვინთე... (შემოდის თოღვინთე).

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — რა ჰქენით ეს? გადახარჯეთ ხომ ელექტროენერგია? რაღა მაინცდამაინც თქვენი საამქრო არ ემორჩილება საერთო წესებს? ახლა, მე გამოვრთავ დენს და ვნახავ, როგორ იმუშავებთ!..

ა ლ ე ქ ს ი — ნუ იზამ ამას, ამხანაგო თოღვინთე... ელექტროდენის გარეშე ჩვენი მუშაობა წარმოუდგენელია...

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ეს არ ვიცი მე.

ი ა გ ო რ ი — როგორ თუ არ იცი, კაცო! ის ახალი შეკვეთა ამ ლითონისგან არ უნდა დამზადდეს?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — მერე?

ი ა გ ო რ ი — მერე-და, ლითონის გამოდნობის გეგმა თუ ჩავშალეთ, ეს შეკვეთა თავისთავად შესრულდება?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — აი, მანდ არის, გენაცვალე, ძაღლის თავი დამარხული! რომ აჰყევით ირაკლი თაბაგარს და დაჟინებით გაიძახოდით, ახალი ლითონი გვინდა, ახალი ლითონი გვინდაო, აი ესეც თქვენი ახალი ლითონი? (მივა ტრანსფორმატორთან და დენს გამორთავს).

ა ლ ე ქ ს ი — კი, მაგრამ, როგორ ვიმუშაოთ, იაგორ, ახლა ჩვენ?

ი ა გ ო რ ი — შენ ამ ლითონის ფასი არ გესმის, თოლვინთე, თორემ ამას არ გვიზამდი.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ნუ გამიჭირეთ, კაცო, ამ რვალით საქმე, უმთავრესად ჩვენ სტანდარტული ფოლადის გამომდნობი ობიექტი ვართ. სხვა საამქროებს ვერ შევაფერხებთ თქვენი გულისათვის. ფოლადი, თუჯი, რკინა, აი რა არის ჩვენი პროფილი. რაც ეგ თქვენი საამქრო გავმართეთ, მას შემდეგ ელექტროდენის დაზოგვისათვის ერთხელაც არ მიგვიღია პრემია. ეგ ახალი ლითონი არ გვქონდა, მაგრამ მოწინავეთა რიგებში ხომ ვითვლებოდით! ბოლოსდაბოლოს რა გახდა ეს „რვალი“? ეგ რომ არ გვქონდეს, ვითომ ველარ ვიცხოვრებთ ქვეყანაზე?

ა ლ ე ქ ს ი — ქვეყანაზე მაშინაც ვცხოვრობდით, როცა არც ქარხნები გვქონდა და არც არავითარი ლითონი, მაგრამ ის დრო მოკვდა, თოლვინთე, მოკვდა.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — კარგი ერთი! ღუმელი ხომ მუშაობს? მე მხოლოდ კონვეირი გამოვრთე ქსელიდან. ეგ კი იმდენად არაფერია. თუ თავს შეიწუხებთ, უმაგისოდაც იოლად წახვალთ. (კონვეიერი თანდათან ჩერდება. გამოჩნდება მარგანეცით დატვირთული ვაგონეტი, რომელსაც ვაი-ვაგლახით მოაგორებენ გაიოზი და დათუნია).

გ ა ი ო ზ ი — რას უყურებ, ბიჭო, დათუნია, რა მოგვიდა?

დ ა თ უ ნ ი ა — რას ვუყურებ და თოლვინთეა აგერ!

გ ა ი ო ზ ი — მერე, თოლვინთე ხომ არ შეგეჭამს! რა დღისთვის ინახავ ბიჭო, მაგ ღონეს, მიაწევი ცოტა მაგ ვაგონეტს.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — როგორა ხართ, ბიჭებო, ხომ არაფერი გიჭირთ, ან ხომ არაფერი გაკლიათ?

გ ა ი ო ზ ი — აი ამ ოხერმა ცოტა გაგვაწვალა, ხელით ძნელი სათრევი ყოფილა. (ბიჭები ვაგონეტს მიაწვებიან და ადგილიდან დაძრავენ).

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — აბა, ჰე, თქვენ იცით, გენაცვალე.. იმუშავეთ, იმუშავეთ, თქვენთვის ვიკლავ თავს! (ბიჭები ვაგონეტს ღუმელთან მიაგორებენ და აქ დაცლიან. თოლვინთე საამქროს ფანჯარასთან მივა და ათანას ეძახის. შემოდის ათანა).

ა თ ა ნ ა — რა იყო, ბატონო?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ხედავ იმ ნაგავს ალაყაფის კარებთან?

ა თ ა ნ ა — კი, ბატონო...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — მერე ტაჭკა და ცხენები იმიტომ გიყიდე, რომ ამისთანა უწმინდურობა დააგროვო ქარხნის ეზოში? გესმის, შენ, რა არის ჰიგიენა?

ა თ ა ნ ა — კი ბატონო, ტანიც დამიბანია შიგ!

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რაში დაგიბანია, კაცო, ტანი?

ა თ ა ნ ა — ჰიგიენის აბანოში, შენი ჭირიმე!

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — (იცინის) ხა, ხა, ხა... მოვკვდი კაცი, მეტი ალარ შემიძლია!

აბა, წადი ახლა და ის ნაგავი აწმინდე. (ათანა გადის). აი ხომ ხედავთ, ამისთანა სულელს ვინახავთ მე და ზურაბი სამადლოდ.

ი ა გ ო რ ი — ათანას სამადლო არაფერი სჭირს თოღვინთე... პირიქით, ეგაა თქვენი ამშენებელი... ათანა — იქით, ათანა — აქეთ... დარბის ეს მოხუცებული კაცი ბაღიდან — ბაზარში, ბაზრიდან — ბაღში. ჰყიდის ხილს, პომიდორს. ფულს კი თქვენ გაბარებთ, სხვა რაღა გინდათ, დალოცვილო?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — დამიწყე კრიტიკა ხომ? არა, გენაცვალე, მე აქ კრიტიკოსები შტატით არ მყავს გათვალისწინებული. (თოღვინთე გადის).

ი ა გ ო რ ი — ხომ ხედავ, რა გვიყო? ხელის შეწყობის მაგიერი იყო ეს?

ა ლ ე ქ ს ი — ეგ ისეთი კაცია, წვერზე რომ ცეცხლი გეკიდებოდეს, ძოვა, პაპიროსს მოუკიდებს და ზედაც არ შეგხედავს, ისე წავა.

ი ა გ ო რ ი — რა ვქნათ? ასე გაუქმებული სანამდე ვიყოთ, კაცო?

ა ლ ე ქ ს ი — წამო, გიორგის და ირაკლის შევატყობინოთ ეს ამბავი! (ალექსი და იაგორი გადიან).

დ ა თ უ ნ ი ა — კი, მაგრამ, რაა ახლა ეს? რაღა მაინცდამაინც ჩვენ საამქროს შემოუჩნდა ეს კაცი კბილის ჭიად?

გ ი ო რ გ ი — შენ ახლა ის ნახე... ამას რომ ირაკლი გაიგებს, კაცი პირდაპირ ჭკუიდან შეიშლება...

დ ა თ უ ნ ი ა — (გაისმის საყვირის ხმა). დიდუჰ! ა, გესმის, ბიჭო, უკვე დასვენებაა!

გ ა ი ო ზ ი — მერე?

დ ა თ უ ნ ი ა — მერე-და, ოველს რას ეუბნები? გაქვს საგანი მომზადებული? წუხელ თვითმოქმედების საღამოში მივიღე მონაწილეობა და შემდეგ ვერაფერი მოვასწარი.

გ ა ი ო ზ ი — მერე-და, რუსთავიდან შენ აქ პაპულას ჯაზის არტისტად გამოგიშვეს, თუ ლითონის საქმის შესასწავლად?

დ ა თ უ ნ ი ა — ჩემი ბრალია ყველაფერი... რა მიჭირდა, დროზე მესწავლა!.. ახლა უკვე ინჟინერი ვიქნებოდი...

გ ა ი ო ზ ი — (ამოიოხრებს) ეჰ, ჩემი დაბადების საათს დააქცევს ღმერთი!

დ ა თ უ ნ ი ა — რა იყო, ბიჭო?

გ ა ი ო ზ ი — ახლა რომ ვწვალობ, დროზე რომ სწავლისათვის დამედო გული, განა არ შემეძლო?

დ ა თ უ ნ ი ა — კი, მაგრამ, შენ რამ შეგიშალა ხელი?

გ ა ი ო ზ ი — ჩემმა უხეირობამ! მეათე კლასში რომ გადავედი, ერთ დღეს მათემატიკის მასწავლებელმა გული მომაყვანინა... ავიღე სამელნე და ვესროლე! ჰოდა, იმ დღესვე სკოლიდან გამომაგდეს...

დ ა თ უ ნ ი ა — ე, მაშინ გაგითავებია შენ უმაღლესი!

გ ა ი ო ზ ი — ე, ბიჭო, ოველი მოდის აგერ, ოველი.

დ ა თ უ ნ ი ა — რა ვქნა, გაიოზ, საგანი რომ არ მომიმზადებია, რა პირით შევხვდე ოველს?

გ ა ი ო ზ ი — მე კი მზად ვარ და შენ რაც გინდა, ის ჰქენი.

დ ა თ უ ნ ი ა — მოდი, ბიჭო, დღეს გამომიყვანე ამ მდგომარეობიდან და მერე მე ვიცი...

გ ა ი ო ზ ი — იძლევი ვაჟკაცურ სიტყვას?

დ ა თ უ ნ ი ა — კი, ბიჭო, კი... ოღონდ ახლა მიშველე, და მერე არ დამემართება ასეთი სამარცხო საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ი ო ზ ი — ნუ ეძალები დიდ წყალსა,
უნდა ეძებდე ფონებსო...
ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსო... ხომ გაგიგონია?

დ ა თ უ ნ ი ა — კარგი ახლა, ნუ შემიკალი ხელში, შე ურჯულო, თქვი, თუ რაიმე მოიფიქრე!

გ ა ი ო ზ ი — აი რას გეტყვი! სანამ იოველი რაიმე კითხვას მოგვცემდეს, დავასწროთ და ჩვენ თვითონ შევეკითხოთ, თუ რა აზრისაა ირაკლი თაბაგარის ლითონზე...

დ ა თ უ ნ ი ა — მერე, ბიჭო, მერე...

გ ა ი ო ზ ი — მერე-და, იოველმა, თუ ერთი დაიწყო „რვალის“ შესახებ ლაპარაკი, მორჩა, მერე ჩვენ აღარ ამოგვაღებინებს ხმას! ოღონდ შენ „დედა-დედა“ იძახე, მე კიდევ „კი ბატონო-ხო ბატონო“ და საქმე გაჩარხული იქნება.

დ ა თ უ ნ ი ა — ყოჩაღ, ბიჭო! ჩინებული ხერხია!

გ ა ი ო ზ ი — აგერ, მოდის კიდეც ის ჩვნი განმანათლებელი. (შემოდის იოველი).

ი ო ვ ე ლ ი — სალამი, ჭაბუკებო!

დ ა თ უ ნ ი ა — იცოცხლეთ, ბატონო იოველ!

ი ო ვ ე ლ ი — რას უდგახართ აქ! რატომ სამეცადინოდ არ მოდიხართ? აბა, წამოდით, ყმაწვილებო!

გ ა ი ო ზ ი — ახლავე, პატივცემულო იოველ, მაგრამ, სანამ მეცადინეობას შევუდგებოდეთ, ერთი პატარა საკითხი ვერ გაგვირკვევია და გვინდა იმაზე შეგეკითხოთ.

ი ო ვ ე ლ ი — შემეკითხეთ, ოქრო, შემეკითხეთ.

გ ა ი ო ზ ი — ნუთუ მართლა ისეთი დიდი მნიშვნელობისაა ის ლითონი, რომელიც ამ საამქროში მზადდება თაბაგარის ხელმძღვანელობით?

ი ო ვ ე ლ ი — ოჰო! ეს, ოქრო, ერთი უბრალო განმარტებით არ ამოიწურება... თუ თქვენ ამ საკითხით ასე დაინტერესებული ხართ, მე შემიძლია უფრო დაწვრილებით მოგიყვეთ მის შესახებ.

გ ა ი ო ზ ი — კი, ბატონო, კი ბატონო!

დ ა თ უ ნ ი ა — დედა, დედა, რა კარგი იქნება...

ი ო ვ ე ლ ი — ელექტროლიტური მანგანუმი, ანუ „რვალი“, როგორც მას ჩემი კოლეგა უწოდებს, ფრიად დიდი მნიშვნელობის შენადნობია... ეს უძვირფასესი დელიკატესია, ყმაწვილებო, ლითონებს შორის... თანაც ისეთი მტკიცეა, რომ მისგან ჩამოსხმული ფოლადი ხარატების არც ერთ ხელსაწყოს არ ემორჩილება...

გ ა ი ო ზ ი — კი, ბატონო, კი...

დ ა თ უ ნ ი ა — დედა, დედა, მართლა-და, რა საოცრად მაგარი ყოფილა, ბიჭო!

ი ო ვ ე ლ ი — მაგრამ, ჩემი აზრით, და ზოგიერთნი, ჩემებრ გამოცდილი პირნი, ვამტკიცებთ, რომ ეს შენადნობი ჩვენი ქარხნისათვის არ არის საჭირო.

გ ა ი ო ზ ი — მაინც რატომ, პატივცემულო იოველ?

დ ა თ უ ნ ი ა — საინტერესოა, თუ რატომ არ არის საჭირო, პატივცემულო იოველ?

ი ო ვ ე ლ ი — იმიტომ, გეთაყვა, რომ ელექტროენერგიის განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყლაპავია. სვავია, ბატონო ზღაპრული გველეშაპი... აი ხომ ხედავთ, დღეს კონვეიერი გამორთეს, ხვალ ღუმელს გამორთავენ და ასე შემდეგ...

**გ ა ი ო ზ ი** — კი, ბატონო, კი...

**დ ა თ უ ნ ი ა** — დედა, დედა, რა ჩასაწერი სიტყვებია!

**ი ო ვ ე ლ ი** — ეს მე ჩაწერილიც მაქვს კედლის გაზეთში მოსათავსებლად... სადაც ვამტკიცებ, რომ ეს შენადნობი არ არის ჩვენთვის რენტაბელური. თუ გაინტერესებთ, წამოდით ჩემთან, ის სტატია კაბინეტში მაქვს და წაგიკითხავთ!

**გ ა ი ო ზ ი** — კი, ბატონო, ძალიან გვაინტერესებს!.. აბა, წავიდეთ დათუნია!

**დ ა თ უ ნ ი ა** — პატივცემულო იოველ, გაიოზი რენტაბელობის საკითხში ვერ ერკვევა და, ისიც აგვიხსენი...

**ი ო ვ ე ლ ი** — კი, ყმაწვილებო, გამომყეთ და ყველაფერს ზუსტად განგიმარტავთ. (ყველანი გადიან. შემოდის აღელვებული ზურაბი, უკან მოსდევს თოღვინთე).

**თ ო ღ ვ ი ნ თ ე** — ეს კონვეიერიც მაშინ გამოვრთე ქსელიდან, როცა პირადად თქვენ შეგეხოთ.

**ზ უ რ ა ბ ი** — როგორ თქვა?

**თ ო ღ ვ ი ნ თ ე** — დალახვროს ღმერთმა! რა ჩემმა ცოდვამ წამომაცდენინა ახლა ეს სიტყვა... ტყუილუბრალოდ გული მოგიწამლე! ფიცხია, თორემ ისე როდია ცუდი ბიჭი... მაგრამ ის კი ველარ მოვითმინე, როცა პირადად თქვენ შეგეხოთ. სხვების თვალის ასახვევად თითქოს ქარხნის ბაღის გადარჩენისათვის იბრძვის, ნამდვილად კი — თავისი კერძო ბაღი უნდა გადაარჩინოსო.

**ზ უ რ ა ბ ი** — თავხედი! ამის შემდეგ განა შესაძლებელია ჩემი და თაბაგარის ერთად მუშაობა?

**თ ო ღ ვ ი ნ თ ე** — მართალია! ერთ ქვაბში ორი ყოჩის თავი არ მოიხარშება.

**ზ უ რ ა ბ ი** — ეჰ, რამდენი სიკეთე გამიწევია მისთვის! მოსკოვს ხომ გავგზავნე და გავგზავნე, საკუთარ ფულს, როგორც შვილს, ყოველთვიურად ვუგზავნიდი... მართალია, ამის შესახებ მან არაფერი იცოდა, მაგრამ შენ ხომ იცი, თოღვინთე? ასე გამოვზარდე, გზაზე დავაყენე და ახლა, ხედავ, ამაგს როგორ მიხდის!

**თ ო ღ ვ ი ნ თ ე** — ო, როგორ ვნანობ, იმ უკუღმართი კაცის სიტყვა რომ მოგიტანე! არ იტყვი, არ ვარგა... იტყვი და — ბოლოს ასეთი უსიამოვნება გამოდის... (შემოდის იოველი).

**ი ო ვ ე ლ ი** — რა მოხდა, გეთაყვა, რაშია საქმე?

**ზ უ რ ა ბ ი** — გადაგვარებას გვაბრალებენ, იოველ ჩემო, გადაგვარებას!

**ი ო ვ ე ლ ი** — ვინა, ოქრო, ვინაა ასეთი უტიფარი?

**თ ო ღ ვ ი ნ თ ე** — ის ჩვენი ახალი გენიოსი.

**ი ო ვ ე ლ ი** — ირაკლი?

**ზ უ რ ა ბ ი** — მინდოდა წინ წამეწია, დავხმარებოდი, ჩემს პირველ მოადგილედ დამენიშნა, მაგრამ მორჩა... ამიერიდან აი ვინ იქნება მის ადგილზე!

**თ ო ღ ვ ი ნ თ ე** — არა, გენაცვალე, არ ვარგა ასეთი აჩქარება... იცი, იოველ, მე როდის ვარ დაბადებული?

**ი ო ვ ე ლ ი** — რას ამბობ, როგორ არ ვიცი, ჩემო თვალისჩინო?

**თ ო ღ ვ ი ნ თ ე** — არა, არ იცი, გენაცვალე. მე მაშინ დავიბადე, როცა ჩვენ ქარხანაში ზურაბი დანიშნეს დირექტორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ უ რ ა ბ ი — ეჰ, ვისზე გავწიე ამაგი! მაგრამ არაფერია, ირაკლი თაბაგარს ჩემი პროექტით გადავუხდი სამაგიეროს.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ასეთი დღე მეორე არ გამთენებია ჯერ!

ზ უ რ ა ბ ი — თუ საჭირო ვიყო, რაიკომში დამირეკეთ. (ზურაბი გადის. თოლვინთე კარებთან მიაცილებს. შემდეგ მობრუნდება, იოველთან მივა და მხრებზე ხელს შემოჰკრავს).

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ხედავ, იოველ, რა ბედი მეწია!

ი ო ვ ე ლ ი — ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, ოქრო, სულ წინ მიდიხარ, არსად დაბრკოლება არ გხვდება ცხოვრებაში.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — ჯერ სადა ხარ! მე კიდევ უფრო ზევით ავფრინდები.

ი ო ვ ე ლ ი — ვითომ, ოქრო?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — შენა და ზურაბი კარგად მყავდეთ და ზევით აფრენა როგორ გამიჭირდება?

ი ო ვ ე ლ ი — იცი, ოქრო, ერთხელ ორთქლმა რა ინატრა?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რაო, რა ინატრა?

ი ო ვ ე ლ ი — ეს რა საშინელი ცუდი ფერი მაქვსო... მოდი, სულ ზევით ავალ, იქ ჰაერად ვიქცევი და გავლამაზდებიო. მაგრამ სულ მაღლა რომ ავიდა, გაცივდა, წვიმად იქცა და ისევ ძირს ჩამოვარდა...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — შენ ფიქრი ნუ გაქვს... წამოდი ჩემთან, ნოეს ცრემლებში გაბანავებ... (შემოდის ვახტანგი).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ეს რა გიქნია, ამხანაგო თოლვინთე?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რაო, რა მიქნია? ქვეყანა ხომ არ დამიქცევია?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — არც ბევრი დაგიკლია... სადაცაა დნეპროპეტროვსკის ქარხნის წარმომადგენლები ჩამოვლენ დაკვეთის წასაღებად და ასეთ დროს კონვეირს გააჩერებს კაცი?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — მე, გენაცვალე, ბრძანების ზუსტად ამსრულებელი კაცი გახლავარ. მითხრეს — გამორთე, — გამოვრთე. მეტყვიან ჩართე, — ჩავრთავ, მორჩა და მოისვენა!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მე შენ გირჩევ, ჩართე დენი, სანამ ამას ირაკლი ან გიორგი შეიტყობდეს, თორემ...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — თორემ რაო?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მერე გვიანი იქნება...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — წავიდეთ, იოველ, ამას რას უყურებ, ეგ ირაკლის კაცია... წამო, მე გპატიჟებ, ირაკლისა და ვახტანგის სადღეგრძელო დავლიოთ... (თოლვინთე და იოველი გადიან).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (მარტო). რა ვქნა ახლა მე?.. ამას რომ ირაკლი გაიგებს, კაცი პირდაპირ ჭკუიდან შეიშლება... აგერ, ირაკლიც! (შემოდის ირაკლი).

ი რ ა კ ლ ი — მითხარი, რა ხდება ჩვენს გარშემო? რად გაჩუმებულხარ?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — (კვლავ ჩუმად არის).

ი რ ა კ ლ ი — სად არის ალექსი, გაიოზ, იაგორი?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — აი, ხომ ხედავ... დენი თვითონ თოლვინთემ გამორთო...

ი რ ა კ ლ ი — მერე შენ სად ხარ? რატომ დაუთმე თოლვინთეს ასეთი თავხედობა?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — მე რა ვქნა, კაცო, მე რა შუაში ვარ... თოლვინთეს ჩემი კი არა, შენიც არაფერი ეყურება.

ი რ ა კ ლ ი — არა, არა, ამის მოთმენა აღარ შეიძლება... მაპატიე, ჩემო ვახტანგ, რომ ასე აღელვებული გელაპარაკები, მაგრამ რა ვქნა, მოთმინება აღარ მეყო და ბოღმამ გულიდან გადმოხეთქა. ხომ ხედავ, რა საქმეს გვიფუშავენ?!..

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — რას ამბობ?!

ი რ ა კ ლ ი — ვიცი, სულ თოღვინთეს ხრიკებია, მაგრამ ვნახოთ!.. (შემოდიან გიორგი, არჩილი, იაგორი და ალექსი).

გ ი ო რ გ ი — მაშ, შემოგვიტია თოღვინთემ ხომ? არაფერია, როგორც ვხედავ, თოღვინთე აუტანელი ხდება.

ა რ ჩ ი ლ ი — მერე რად არ იღებ ზომებს, ამხანაგო გიორგი?

გ ი ო რ გ ი — მისი მოხსნის საკითხი უკვე დასმული მაქვს...

ა ლ ე ქ ს ი — დასმული დიდი ხანია გაქვთ, მაგრამ შეფის გერიდებათ.

ი ა გ ო რ ი — კი, კი, მართალია, შეფია საქმეში ჩარეული.

ი რ ა კ ლ ი — სწორედ ეგ შეფებია, ყველგან რომ ყველაფერს გვიფუჭებენ. შეფის მლიქვნელები კი ამ დროს არხეინად სხედან.

ა რ ჩ ი ლ ი — დიახ, სხედან და ასე ფიქრობენ: საქმე თუ ჩაიშლა, რა ვუყოთ მერე, შეფი კარგად გვყავდეს და საყვედურსაც ვერავინ გაგვიბედავს... თუ უზნეო საქციელი ჩავიდინე, ესეც არაფერია, მივალ შეფთან, ერთ-ორ ტკბილ სიტყვას ვეტყვი და მორჩა...

გ ი ო რ გ ი — მართალი ხართ, ამხანაგებო. მაგრამ მე არ მინდოდა გადავხტომოდი თავზე წარმოების ხელმძღვანელს. ზურაბი საბჭოთა ტექნიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია. თავის თეორიულ მუშაობას იგი ბრწყინვალედ უკავშირებს ჩვენი ქარხნის პრაქტიკულ საწარმოო საკითხებს. ზურაბი ბევრს სასარგებლოს აკეთებს ქარხნისათვის. ადამიანი, რომელიც ფოლადის საიდუმლოებას წვდება, ვფიქრობდი, ადვილად ჩაწვდებოდა თოღვინთეს საქმიანობაშიც, მაგრამ თოღვინთე ვერ ისვენებს და ამიტომ მეტი ოპერატიული საშუალებებით მოგვიხდება ამ შეფობანობის მოსპობა.

ა რ ჩ ი ლ ი — მერე-და, რას ვიცდით, ან ვის ველოლიავებით? ხედავთ, რამდენი შეკვეთებია, ქარხნები ჩვენგან ამ ახალ ფოლადს მოელიან, ჩვენ კი...

გ ი ო რ გ ი — ამხანაგო არჩილ, დღესვე წარუდგინეთ დირექტორს ახალი ლიმიტი... თქვენ კი, ვახტანგ, ჩართეთ დენი. პასუხს მე ვაგებ. აბა, წავიდეთ არჩილ, კრება განვაგრძოთ, გველოდებიან. (გიორგი და არჩილი მიდიან, დენს ჩართავენ. მუშები შეუდგებიან მუშაობას).

ი ა გ ო რ ი — მაგარი კაცია! ვენაცვალე გიორგის... გული აქვს, ბიჭო, გული!

ა ლ ე ქ ს ი — აბა! როგორც კი ჩვენი გაჭირვება ვუთხარით, შეწყვიტა კრება და აქეთ გამოსწია... ეჰ, თოღვინთე, თოღვინთე!.. (ამ დროს შემოდის შეზარხოშებული თოღვინთე. უკან მოჰყვება იოველი. თოღვინთე როცა დაინახავს, რომ დენი ჩართულია, გაცეცხლდება და ყვირილით მიმართავს მუშებს).

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ეს რა ამბავია? ვინ გაბედა? ვინ ჩართო დენი? მე თქვენ გეკითხებით! პასუხს არავინ იძლევით?

ი ო ვ ე ლ ი — დამშვიდდი, ჩემო თვალისჩინო... შენ ახლა ცოტა ნასვამი ხარ და ყველაფერი სხვანაირად გეჩვენება!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — არა, გენცვალე! ეს მოჩვენება არ არის... ეს თვალის ახვე-

ვაა... ეს თავის აგდებაა. მე ახლავე გავუსწორდები იმას, ვინც ეს ჩემდა დაუკითხავად ჩაიდინა!

ი ო ვ ე ლ ი — ნუ ყვირი, ოქრო! წამოდი ჩემთან, ეს საქმე უშენოდ მოგვარდება...

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — როგორ თუ უჩემოდ მოგვარდება! უჩემოდ მოგვარებულ საქმეს მე გემოს ვერ ჩავატახ!.. მიდი ალექსი, ახლავე დენი გამორთე ღუმელიდან!

ა ლ ე ქ ს ი — ვერა, ამხანაგო თოღვინთე! ამის უფლება მე არა მაქვს.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — მაშ, რაკი აგრეა, მე თვითონ გამოვრთავ და ვაი იმას, ვინც ხელს შემიშლის ამ საქმეში...

ი რ ა კ ლ ი — შეჩერდი, არ გესმის? მე შენ გაფრთხილებ, ხელი არ ახლო ტრანსფორმატორს!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — წინ ნუ მეღობები, გზა მომეცი!

ი რ ა კ ლ ი — უკანასკნელად გაფრთხილებ, შესდეგ-მეთქი!

ხ მ ე ბ ი — ამხანაგო თოღვინთე! ამხანაგო თოღვინთე!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — თავსლაფი დავასხი, ვინც მაგის მუქარას შეუშინდეს. (თოღვინთე გვერდს აუვლის ირაკლის, ტრანსფორმატორთან მიიჭრება და უნდა დენი გამორთოს, მაგრამ სწორედ ამ დროს წამოეწევა ირაკლი, მოაცილებს მას ტრნსფორმატორს, თოღვინთე თავს ველარ შეიკავებს და ძირს დაეცემა. იოველი მიაშურებს მას და წამოაყენებს. თოღვინთეს შუბლთან ცოტაოდენი განაკაწრი აქვს და სისხლს იწმენდს. იოველი მიდის ირაკლისთან და პორტფელს გადასცემს).

ი ო ვ ე ლ ი — რასა ჰგავს, ყმაწვილო ეს? აი ხომ ხედავ, რა გამოიწვია შენმა ახირებულმა დაჟინებამ!.. განა ეს ერთი ღუმელი არ გეყოფოდა სახელის მოსახვეჭად? გაჩერებულიყავი შენთვის და დამტკბარიყავი მშვიდი და უზრუნველი ცხოვრებით? (ირაკლი განცვიფრებით შესცქერის იოველს). ამასაც ვეტყვი. შენ ახლა ცუდად მოიქეცი... კიდევ კარგი, მარცხი არ მომხდარა.. კაცს თავი კინალამ გაუტეხე!

ი რ ა კ ლ ი — იცი, იოველ, ზოგი თავი თუ არ გატყდა, ისე ცხოვრების სინათლე შიგ ვერ შევა!

ი ო ვ ე ლ ი — მერე ღირდა ამად, ჩემო თვალისჩინო, ეს სისხლის ღვრა, ღირდა?

ა ლ ე ქ ს ი — როგორ თუ არ ღირდა! ყოველი დიდი საქმე სისხლით იწერება ისტორიაში...

ი ა გ ო რ ი — ჩქარა, კაცო, სპირტი და იოდი მოიტანეთ... სპირტი და იოდი, კაცს თავი აქვს გატეხილი!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — სპირტი მაკლია ახლა მე? (იოველი წამოაყენებს თოღვინთეს და გაყავს. შემოდის ვახტანგი).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — აბა, იჩქარეთ, ამხანაგებო! პირველ ღუმელში დნობა დამთავრებულია. დროა, ქვაბები ჩამოუშვათ!

ი რ ა კ ლ ი — ამხანაგებო, მოემზადეთ! ფოლადი მზად არის, ყველანი ადგილებზე!

ხ მ ე ბ ი — კაზმი მზად არის, ყველანი — ადგილზე!

ი რ ა კ ლ ი — საკონტროლო, საკონტროლო! გახსენით ღარი! წიდა — ცალკე, ლითონი — მაცივარ აუზებში!

ი ა გ ო რ ი — ფრთხილად, ბიჭებო, ღარი გახსნილია!

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ — აი შეხედეთ, როგორ ღვივის! უკვე წამოვიდა ქართული ფოლადი მაცივარ აუზებში! (გაიხსნება ღუმელის კარი და უცბად ავარვარებულ მდინარედ წამოვა გამდნარი ფოლადი დაშვებულ ქვაბში. არის ხაერთო სიხარული და აღტაცება).

ᲤᲐᲠᲓᲐ

## ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

დირექტორის კაბინეტის წინა მისაღები ოთახი. პირდაპირ-კაბინეტში შესასვლელი კარები. კუთხეში საწერი მაგიდა. კაბინეტიდან მოისმის ჩოჩქოლი. ვახტანგი ტელეფონით ლაპარაკობს.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ — დიახ, დიახ.. ისევ პროექტის ირგვლივ გრძელდება კამათი. ყველანი აქ არიან... დიახ, რაიკომის მდივანიც აქაა... არა, დაგვიანება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. (მილაკს ჩამოკიდებს. გაჩერდება. კაბინეტის კარს შეაღებს. ისმის ხმაური. კარებს დახურავს). ჰო, ჰო, ჰო, რა ბდღვნაა! პირდაპირ უსაპნოდ პარსავენ ერთმანეთს! (მილაკს აიღებს). გისმენ! ა, იაგორი ხარ? კი, გიორგი უკვე გამოვიდა. კი, ცეცხლს ყრის პირიდან, მაგრამ ზურაბმა თავისი პროექტი წარმოადგინა... თოღვინთე, გივი, ქალაქის ტყის გაშენებისა და დაცვის ტრესტის წარმომადგენლებიც ზურაბის პროექტს ემხრობიან. ვნახოთ, არ ვიცი. (დასდებს მილაკს. შემოდის რუსუდანი). სადა ხარ, რუსუდან, რატომ დაიგვიანე? აბა, შედი ჩქარა!

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ — არა, ვახტანგ... მე არ შემიძლია იმათი ჩხუბის ყურება.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ — შედი-მეთქი! დიდ სიამოვნებას მიიღებ... ირაკლის მტრები უკვე ზეიმობენ.

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ — გრცხვენოდეს, ვახტანგ! შენ მაინც რატომ ამბობ ამას?

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ — შენ გაიმეტე გასაწირად იმ კაცის გული, რომელიც შენზე ლოცულობდა.

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ — ნუ, ვახტანგ... რაც იყო, იყო, ნულარ გამახსენებ...

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ — მისი გული მხოლოდ შენ შეგხაროდა, იგი ოცნებაში ისე ფრთხილად და სათუთად გატარებდა, როგორც ანთებულ სანთელს, და შენ მაინც ჩააქრე იგი...

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ — რაო? ეგ რა სთქვი?

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ — რატომ მაინცდამაინც ახლა შეაქციე ზურგი ირაკლის?

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ — არა, ვახტანგ, აქ თურმე სხვა ამბები ყოფილა... მე ვხედავ... მე ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ მის წინაშე.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ — მაშ, გამოდის, ირაკლის აღარ ემდური?

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ — პირიქით... მინდა მასთან მივიდე და ბოდიში მოვიხადო. (ტელეფონის ზარი).

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ — (აიღო მილაკი). ირაკლიმ ილაპარაკა. მოგეცეს სიცოცხლე, გული კი იჯერა. შენი ჭირიმე, ალექსი! დასცხო მაგრამ რა დასცხო, თოღვინთე იორღა ცხენივით გააჭენა... არ ვიცი, არა, ალბათ მალე დამთავრდება. (კაბინეტიდან გამოდის თოღვინთე. რუსუდანი თვალს მოკრავს თუ არა მას — კაბინეტში შევარდება. ვახტანგიც წასვლას აპირებს, მაგრამ თოღვინთე შეაჩერებს).

ᲗᲝᲦᲕᲘᲜᲗᲔ — რა ჰქენი, ვერ გმოიძახე ნიკიფორე?

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ — ახლავე აქ გაჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რა იყო, რას გელაპარაკებოდა წელან ჩემს შესახებ რაიკომის მდივანი?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — შენზე ნაწყენია.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რაო, რა მინდაო?

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ქარხანაში ისე მოუჭირა ხელი ყველაფერს, რომ ლამის რკინასაც წვენი გაადინოსო...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — მერე-და, ეს რა ჩემი ბრალია. როცა მნიშნავდნენ, ხომ მითხრეს, მაგრად მოუჭირეო!.. მეც ავდექი და მოვუჭირე! ახლა ნამეტანი წვენი რომ გავადინე ზოგიერთებს აღარ მოსწონთ! კაცო, როცა ხელს მაგრად მოუჭერ, წვენი გამოუვა, აბა, რა იქნება!

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — აი, იმასაც ცუდ საქმედ გითვლიან, ცხოვრებაში რომ პირადულს გადაჰყევი... აღარ ძღებაო, სულ ბაღებსა და აგარაკებს იშენებსო... (ვახტანგი შედის კაბინეტში).

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — (მარტო). ეგ კი მართალია. არ იქნა, არ გაძღა ეს ოხერი გული... რაც უნდა ბევრი შეიძინო, მაინც მეტი გინდა... ასე გგონია, თითქოს მაინც ღარიბი ხარ! (შემოდის იოველი). სადა ხარ, კაცო, რატომ დაიგვიანე?

ი ო ვ ე ლ ი — გივისთან გამოვიარე, ოქრო...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — იოველ! ასეთ დროს ნუ გიყვარს დამალვა! გაიგე, აქ რა ამბავია? (კაბინეტიდან ისმის ხმაური. თოლვინთე შეაღებს კარს და უსმენს. იოველი მიდის უსმენს, თავს დახრის, ყურებს თითებით დაიცობს და გამობრუნდება. რადიოს ჩართავს. ისმის ორკესტრის ხმა).

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რას შვრები, კაცო, რა დროს მუსიკაა... გამორთე ჩქრა, რადიო!

ი ო ვ ე ლ ი — რატომ, ოქრო, განა ცუდი მუსიკაა, არ გსიამოვნებს?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — კაცო, ახლა იმისთანა მუსიკა მესმის, აგერ, რომ მასთან შედარებით ბეთხოვენის მეცხრე სიმფონია ყვავის ჩხავილია... არ გესმის, რა ამბავია? ზურაბი და ირაკლი ბდღვნიან ერთმანეთს.

ი ო ვ ე ლ ი — აბა, შევალ ახლა, ოქრო, და ორივეს დავამშვიდებ.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — (იჭერს). რას ამბობ, მღუპავ, კაცო?

ი ო ვ ე ლ ი — აბა, რა ვქნა, ოქრო?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — რა ქნა და იჯექი შენთვის... ამათ წაჩხუბებას რამდენი ხანია ვამზადებ, ძლივს ველირსე ამას და, შე უღმერთო, წყალში გინდა ჩამიყარო ამდენი ხნის ჩემი ნაშრომი? (შემოდის ნიკიფორე).

ნ ი კ ი ფ ო რ ე — რაშია საქმე, რატომ გამომიძახე?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — მოიწი აქეთ, ვერ მიდის კარგად შენი საქმე... ფერმისა და აგარაკის ამბავიც წამოიჭრა პროექტთან დაკავშირებით.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — გვარკვევენ?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — გვარკვევენ კი არა, ცნობები უნდათ შენგან.. შემოდი, მაგრამ ფრთხილად იყავი... ცუდი არაფერი წამოგცდეს... დამუწე პირი შენებურად...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — როგორ, კაცო? ზურაბთან ხარ თათბირზე, — პირი დამუწე... კომისია გიბარებს, — პირი დამუწე... მასწავლე ერთი, როდის გავალო ეს ოხრად დასარჩენი?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — როდის და მაშინ, როცა სადილად დაჯდები... მანამდე ზედმეტია იგი შენთვის. აბა. წამოდი ჩემთან! (თოლვინთე და ნიკიფორე კაბი-

ნეტში შედიან. შემოდის ათანასე აინტერესებს, თუ როგორ მიდის თათბირი. უსმენს. შეაღებს კარს. ისმის ტაში და ზარის წკრიალი. ვარეგს დახურავს. ჩაიქნევს ხელს, მოისმის ფეხის ხმა. (სასწრაფოდ ჭკან გავა. კაბინეტიდან გამოდის გულმოსული არჩილი, მოჰყვება გიორგი).

გ ი ო რ გ ი — არჩილ, ამხანაგო არჩილ! რატომ ასე დემონსტრაციულად მიდიხართ სხდომიდან?

ა რ ჩ ი ლ ი — იქ ახლა საჭირო აღარა ვარ, სამწუხაროდ, არც თავიდან ვყოფილვარ თურმე საჭირო.

გ ი ო რ გ ი — მართალია, ამ სხდომაზე ზურაბის პროექტი გავიდა... მაგრამ ამით ხომ არ დამთავრებულა ყველაფერი!

ა რ ჩ ი ლ ი — ვიცი, იჩივლებთ! ცენტრალურ კომიტეტში გადაგაქვთ საკითხი! ისინი გაარკვევენ სიმართლეს, მაგრამ მე აქ ხომ მთავარი ინჟინერი ვარ, თქვენ კი პარტიული ხელმძღვანელი, და რა პირით გინდათ ილაპარაკოთ იქ, როდესაც გეტყვიან, რატომ თეთრს შავისაგან ვერ არჩევთო!

გ ი ო რ გ ი — თუ ასე ფიქრობთ, მით უმეტეს, ბოლომდე უნდა იბრძოლოთ. თქვენს რწმენას, თქვენს სიმართლეს ნუ დაუთმობთ, მაგრამ მოწინააღმდეგის სიჯიუტესაც პირად წყენად, შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ. გულის მოსვლით საქმე არ გაკეთდება.

ა რ ჩ ი ლ ი — მე ადამიანი ვარ, გიორგი, ადამიანი, და არ შემიძლია გულდამშვიდებულმა ვუცქირო ამ სისაძაგლეს.

გ ი ო რ გ ი — ცდები, თუ ფიქრობ, რომ მე დამშვიდებული ვუყურებდე ამ საქმეს.

ა რ ჩ ი ლ ი — არ ვიცი, რისთვის უნდა ვიჯდე ისეთ სხდომაზე, სადაც თავმჯდომარეს საკითხი უკვე სახლში გადაუწყვეტია და სხდომაზე მხოლოდ იმისათვის მოდის, რათა ხელი ააწევინოს უმრავლესობას!

გ ი ო რ გ ი — არა ხარ მართალი. ზურაბი ამ სხდომაზე მოტყდა. მართალია, მან გაიმარჯვა, მაგრამ მთელი თავისი ენერგია და ავტორიტეტი დაახარჯა ამას. ახლა ყველაფერს ვერ გეტყვი... წადი პარტბიუროში, იქ დამიცადე... მე ახლავე მოვალ. (არჩილი გადის. გიორგი დაბრუნდება კაბინეტში. კაბინეტიდან გამოდის თოღვინთე).

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — (მარტო) კი, შენი ჭირიმე... კი, შენ შემოგევლე... მორჩა პროექტი აღარ არის!.. ახლა წავიდეს და იაროს ინსტანციებში. წინ, თოღვინთე, წინ წადექი. თავდაბლობა რა შენი საქმეა!.. ცხოვრება დოღია, უკან არაფის არ უნდა ჩამორჩე... თუ გზა შეგიკრეს, გაარღვიე, გეცილებოდნენ, არ დაუთმო... ასეა, გენაცვალე, ცხოვრებას ასეთი მკაცრი კანონი აქვს... (შემოდის იოველი).

ი ო ვ ე ლ ი — ყოჩაღ, თოღვინთე! ახლა უკვე საბოლოოდ გადარჩა ჩვენი ბალი... დაიხსომე, მე პირველი გილოცავ გამარჯვებას.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — რა გუნებაზეა ახლა ვაჟბატონი?

ი ო ვ ე ლ ი — რა ქნას.. ასეთი დამარცხების შემდეგ, ცხადია, იგი აქ აღარ გაჩერდება.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — აიკიდოს ახლა ზურგზე თავისი ნახაზები და ამტკიცოს, თუ დროისა და თანხის რამდენ ეკონომიას მისცემს მისი პროექტი სახელმწიფოს.

ი ო ვ ე ლ ი — შენ რომ მტკიცედ არ დაგეჭირა, ოქრო, თავი, ჩვენი საქმე ნამდვილად დაღუპული იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — შენ კი რა ჰქენი? იცი, რა ჩაიდინე? აშკარად დავინახე, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეს ხელი აუწიე!

ი ო ვ ე ლ ი — მართლა, ოქრო? მართლა დაინახე?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — დავინახე, მაშ, ბრმა ხომ არ გგონივარ?

ი ო ვ ე ლ ი — ასე მომეჩვენა, ირაკლის პროექტი გაიმარჯვებს მეთქი და...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — მერე-და, ეს როგორ მოგივიდა! ჩვენი საერთო მტრის პროექტის მიღებას, როგორ აუწიე ხელი, არა გრცხვენია?

ი ო ვ ე ლ ი — მტრის პროექტი კი არა, თუ მიხვდები, ოქრო, მე ჩემს ცოლშვილს ავუწიე ხელი... ასე რომ არ მოვქცეულიყავი, გიორგი სულ გამაუბედურებდა.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — აბა, წადი ახლა და იმ შენს გიორგის დაუჭირე მხარი... შექმენით ბლოკი და იბრძოლეთ ჩემს წინააღმდეგ. (თოლვინთე მიდის, იოველი მას უკან გამოეკიდება).

ი ო ვ ე ლ ი — დაიცა, გეთაყვა! ამხანაგო თოლვინთე, თოლვინთე მევარკაპცოვიჩ! (იოველი გადის. შემოდიან გიორგი და ზურაბი).

გ ი ო რ გ ი — მე არ მომეწონა, ზურაბ, დღევანდელი შენი პოზიცია. თოლვინთეს, როგორც იქნება, მოვუვლით, მაგრამ შენი დაღუპვა კი არ გვინდა... უკანასკნელად გაფრთხილებ...

ზ უ რ ა ბ ი — როგორ?.. მაფრთხილებთ?..

გ ი ო რ გ ი — შენმა პროექტმა დღეს პირდაპირ გამაცა... და მერე, როგორი დაჟინებით იცავდით თქვენ მას!..

ზ უ რ ა ბ ი — ნუთუ მე ჩემი პროექტის დაცვის უფლება არა მაქვს?

გ ი ო რ გ ი — დაცვაც არის და დაცვაც, ამხანაგო ზურაბ, ნუთუ არ გესმის, შენი პროექტი — ქარხნის ახლო მდებარე ხევის ამოვსების შესახებ, თუ რამდენ დროსა და ხარჯებს მოითხოვს სახელმწიფოსაგან? შენ კომუნისტი ხარ... კომუნისტი კი კერძო მოსაზრებებს არ უნდა აჰყვეს და ყოველთვის საზოგადოებრივს უნდა აყენებდეს წინ.

ზ უ რ ა ბ ი — ამხანაგო გიორგი!

გ ი ო რ გ ი — კი, ეს ნამდვილად აგრე არის.

ზ უ რ ა ბ ი — თქვენ უმართებულოდ სჯით ჩემს მოქმედებას.

გ ი ო რ გ ი — აბა, მითხარით, რა თქვენი საქმეა ბალი და ბოსტანი, ფერმა და აგარაკი, ძროხებისა და ხბოების დევნა?.. თუ აგრე გაგრძელდა, ეს წვრილმანი ამბები კიდევ უფრო ჩაგითრევენ და იმ ძველი ზურაბისგან ალარაფერი დარჩება.

ზ უ რ ა ბ ი — ამხანაგო გიორგი!

გ ი ო რ გ ი — დიახ, ვინც წინ იხედება, იგი მომავალს უსწორებს თვალს... წყალი რომ დადგება, იცი, რა ემართება? ჭაობად გადაიქცევა ხოლმე.

ზ უ რ ა ბ ი — მაშ, გამოდის, რომ მე ჭაობის სნებით ვარ შეპყრობილი!

გ ი ო რ გ ი — ნუ გიკვირს, პირადი ინტერესებით გატაცებულს, მუდამ ასე ემართება. აი დღეს, შენ ტექნიკურ კომისიაში თაბაგარი დაამარცხე, მაგრამ იქ, ჩვენთან როგორ ფიქრობთ, გაიმარჯვებთ?

ზ უ რ ა ბ ი — კარგი, მაცალეთ... ცოტახანს კიდევ მაცალეთ. აქ დაფიქრებაა საჭირო. (მიდის ტელეფონთან. აკრიფა ნომერი). ინსტიტუტია? თამარ! გთხოვთ გადასცეთ, რომ მე დღეს ლექციას ვერ ჩავატარებ. არ შემიძლია. სამაგიერო ლექცია დანიშნეთ, როდესაც გსურდეთ. დიახ, დღეს არ შემიძლია... კარგი, ვიფიქრებ, გიორგი...

გ ი ო რ გ ი — კარგი, წადი და იფიქრე... მაგრამ ისე იფიქრე, რომ ძველი ზურაბი გაგვიცოცხლდეს! (კაბინეტიდან გამოდიან ირაკლი, ვახტანგი, ნიკიფორე, რუსუდანი და სხვები. რუსუდანი ისევ ბრუნდება კაბინეტში, ირაკლი გამარჯვებულივით უცქერის ზურაბს. ზურაბს თითქოს უნდა რაღაც უთხრას ირაკლის, მაგრამ მოარიდებს თვალს და გადის).

ი რ ა კ ლ ი — ჩემო გიორგი, ნუთუ ყველაფერი ავტორიტეტებს უნდა შევწიროთ?

გ ი ო რ გ ი — კარგი, ნუ ღელავ... ახლა სწორედ ზურაბთან მქონდა ლაპარაკი.

ი რ ა კ ლ ი — მითხარი, რა უნდათ? ნუთუ ქვეყნის სამსახური შურსა და გაბოროტებას უნდა იწვევდეს ადამიანებში?

გ ი ო რ გ ი — ხომ იცი, ბრძოლის გარეშე ცხოვრებაში არაფერი კეთდება. ყოჩაღად იყავი. გული არ გაიტეხო. ორივე პროექტს ახლა მე თვითონ მოვუვლი. (გიორგი გადის. შემოდის ვახტანგი).

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — ირაკლი, რუსუდანი აქ არის, შენთან ლაპარაკი უნდა.

ი რ ა კ ლ ი — ჩემთან რა უნდა, მამამისს მიულოცოს გამარჯვება.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი — აგერ, ისიც... აბა, მოდი და ხალისიანად შეეგებე. მშვიდობით, საამქროს უნდა მივხედო! (ვახტანგი გადის. რუსუდანი მიუახლოვდება ირაკლის).

რ უ ს უ დ ა ნ ი — ირაკლი, შენ ალბათ გგონია, რომ მე ახლაც მამის პროექტის მომხრე ვარ!

ი რ ა კ ლ ი — ბოდიში, რუსუდან, ახლა არ შემიძლია მაგაზე ლაპარაკი.

რ უ ს უ დ ა ნ ი — ირაკლი, არ წამოხვალ?

ი რ ა კ ლ ი — სადა?

რ უ ს უ დ ა ნ ი — მამა ვნახოთ, მოველაპარაკოთ...

ი რ ა კ ლ ი — მე მას ვძულვარ.

რ უ ს უ დ ა ნ ი — არა, ირაკლი! შენი შეძულება შეუძლებელია. შენ ყველას უყვარხარ, რადგან მართალი ხარ, პირდაპირი ხარ, კარგი ხარ... მეც მიყვარხარ, მაგრამ... მაპატიე, მე დამნაშავე ვარ... თავიდან გაბედულად ვერ ამოგიდექი მხარში. მამა მე უსაზღვროდ მიყვარს და მეცოდება. ის მარტოკაა. მასზე ცუდად მოქმედებს თოღვინთე და ოველი... მე შენი იმედი მქონდა... შენი დამაცრხებით დღეს მეც დავმარცხდი. ნუ, ირაკლი, ნუ შეურიგდები ამ დამარცხებას... მამაჩემის ნუ მოგერიდება... მეც შენთან მიგულვე... იბრძოლე გაბედულად...

ი რ ა კ ლ ი — მერე შენ აიტან ამდენ ბრძოლას, ამდენ დამცირებას?

რ უ ს უ დ ა ნ ი — ყველაფერს, ირაკლი, შენთან მე არაფრის შემეშინდება! (რუსუდანს კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხებს, ცრემლი მოერევა და გაიქცევა. ირაკლი სახტად დარჩება. თითქოს რაღაცას დაეძებს, ფანჯარში გადაიხედავს. შეისწორებს ტანსაცმელს და სასწრაფოდ გადის: შემოდის ზურაბი. მოტეხილია, თითქოს მოხუცდაო. მიდის ტელეფონთან და ციფრებს აკრეფს).

ზ უ რ ა ბ ი — დიახ. მე ვარ, თოღვინთე, ახლავე ჩემთან გამოცხადდი. (ყურმილს ჩამოკიდებს). აი ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი ჩემს ვენახს და ძალიან გამიჭირდა... ასე მეგონა, ცოცხალ არსებას ვეთხოვები-მეთქი... ო, რა ყოფილა შენი ხელით ნაღვაწ-ნადაგი! ძნელად თმობს გული, რაზედაც ამაგი მიგიძღვის თურმე ადამიანს. მაგრამ, რა გაეწყობა... ვხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავ, რომ დიდი შეცდომა მომივიდა. კაცმა რომ თქვას, რა ჩემი საქმე იყო ის ბაღი, ან ის აგარაკი. (ფეხაკრებით შემოდის ათანა).

ათანა — ხომ არ შეგაწუხებთ, ბატონო?

ზურაბი — მოდი, ათანა. რა გინდა?

ათანა — მეგონა, თქვენ თვითონ გჭირდებოდით...

ზურაბი — რაო? ეს საიდან დაასკვენი?

ათანა — რა ვიცი, წელან გნახეთ, ბაღს ათვალიერებდით. ცრემლიც კი მოგერიათ, ისე გეწყინათ რაღაცა. ხომ არ წაულიათ, ან ხომ არ დაუზიანებიათ რამე? თუ რამე მოხდა, ჩემი ბრალი არ არის, ბატონო...

ზურაბი — ვიცი, ათანა. ვიცი, შენ პატიოსანი კაცი ხარ... აი, ამ თვის ფული მიიღე.

ათანა — მხსნით, ბატონო! მე ფულისათვის კი არ მოვსულვარ. მეც მიყვარს ის ბაღი, შევეჩვიე. თუ რაიმე გაფუჭებულია, მითხარით, იქნება გავასწორო. თუ არა, ფული რა შუაშია. აგერ, თოღვინთე მევარკაცოვიჩს ნახევარი წელიწადია დაპირებული ფული არ მოუცია, მაგრამ მე მაინც ერთგულად ვუვლი იმ ბაღს.

ზურაბი — როგორ თუ არ მოუცია! ახლავე აქ მოვა და კარგად შევახურებ. (შემოდის თოღვინთე).

თოღვინთე — გილოცავ, გენაცვალე! ბრწყინვალე გამარჯვებას, გილოცავ! შენი ნიჭისა და შენი პროექტის ჭირიმე! ამ თავიდან რა არ გამოვა... თუმცა არც მე დავხვედრივარ ირაკლი თაბაგარს უკაცრავად... ხომ ვუტირეთ ყოფა! ჰო, მართლა, ზურაბ ბატონო, აგერ, ჩვენი ბიჭები, ჩვენი გამარჯვების მაყარიჩს იხდიან იოველისას, თუ არ მივედით და არ დავლოცეთ, ძალიან ეწყინებათ.

ზურაბი — კი, მაგრამ, ჯერ ეს მითხარი, ამ კაცს ფულს რად არ აძლევ?

თოღვინთე — რა ფულს, ზურაბ ბატონო?

ზურაბი — აი ჩვენი ზიარი ბაღის მოვლისათვის რომ ერგება...

თოღვინთე — ნუ გეწყინება და ვერ მივცემ, გენაცვალე!

ზურაბი — რატომ, კაცო? მე ვაძლევ და შენ უარს ეუბნები? განა ათანა შენი ბიძაშვილი არაა?

თოღვინთე — ეგ კია ბიძაშვილი, მარა ფული ნამდვილი ღვიძლი ძმაა ჩემი.

ზურაბი — ნუ სულელობ, მიეცი. სირცხვილია ათანას მოტყუება.

თოღვინთე — მაგას ჩვენი ბაღიდან იმ ფულზე მეტი მიაქვს ღამღამობით.

ზურაბი — მე შენ გეუბნები, მიეცი-მეთქი, გასაგებია? (ზურაბი ზიზღით შეხედავს თოღვინთეს და შედის თავის კაბინეტში).

ათანა — არ მინდა... არ მინდა, თოღვინთე მე შენი ფული, თუ გიჭირს, გქონდეს, მე ფული არ მითხოვია.

თოღვინთე — არ მითხოვია!.. არ მინდა!.. ჩუმად! საჩივლელად კი მოხვედი... მე შენთვის თოღვინთე არა ვარ! ბიძაშენის სახელი დაგვიწყებია და ფულის კი არ გავიწყდება. მე კაცი მინდოდა შენგან გამომეყვანა. ალაგილზე მოგაწყე, ხალხში გაგრიე და შენ დირექტორთან მიჩივლე? ინტრიგა დამიწყე? გაეთრიე აქედან! გაეთრიე, შე მათხოვარო! (შემოდიან ალექსი და იაგორი. ყურს მოჰკრავენ ამათ ლაპარაკს).

ალექსი — გესმის, იაგორ, რა სასიამოვნო საუბარია ამ ოთახში? ასე მეგონა, თოღვინთე კაცს კი არა, ძაღლს ელაპარაკებოდა?

თოღვინთე — თქვენ რა გინდათ აქ? თუ საამქროში სამუშაო არა გაქვთ?

ალექსი — ირაკლი გვინდა, საქმე გვაქვს მასთან...

თოღვინთე — მერე აქ რამ მოგიყვანათ? ირაკლი თაბაგარი ვერ მოესწრება იმ დღეს, რომ მისი კაბინეტი აქ იყოს.

იაგორი — იგი თათბირის შემდეგ საამქროში უნდა მოსულიყო. ახალი პროდუქციაა შესამოწმებელი. როგორ მოვიქცეთ, მოვუცადოთ თუ...

თოღვინთე — კი არ უნდა მოუცადოთ, უნდა იმუშაოთ. ნახეს მიზეზი კაბინეტში სახეტიალოდ. თაბაგარის ფანტასტიკური გეგმების იმედი ნუ გაქვთ! მორჩა, გათავდა, გაფრინდა თქვენი ირაკლიც და მისი გეგმაც.

ალექსი — არა, თოღვინთე, რაც მე მიყავი, შენ ის ირაკლისთან არ გაგივა.

თოღვინთე — ერთი ამას უყურეთ? გაეთრიე აქედან, შე ლოთო, შენა! იაგორ! იმის მაგიერ, რომ გამოგესწორებინა კაცი, შენც ამას აჰყევი?

იაგორი — შენ რა გელაპარაკო, თოღვინთე, როგორც ვატყობ, მაინც ვერაფერს გაიგებ. დირექტორი სად არის? მასთან გვაქვს სალაპარაკო.

თოღვინთე — ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო, — შენზეა ნათქვამი.

ალექსი — შე უბედურო, შენა, შენც ხალხში გაგრიეს, მაგრამ ვერც ზნე იცვალე და ვერც ფერი. იცი, მე რა ძვირად დამიჯდა შენი გაცნობა? მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემზე უკეთესად არავინ იცის, თუ რა შვილიც ბრძანდები. დაგავიწყდა, რამდენი ჩემისთანა კაცი გააფუჭე! მაგრამ, არაფერია, ირაკლი თაბაგარი კარგ დროს გაგეჩხირა ყელში. იმან მე შენ მიერ გათხრილი ორმოდან ამომიყვანა და გამადიდებელ შუშაში დამანახვა, თუ ვინა ხარ შენ!

თოღვინთე — ა, გამადიდებელი შუშებით დაიწყეთ უკვე ყურება, ყმაწვილებო? აბა, აქ რა გინდათ, წაბრძანდით ახლა ობსერვატორიაში და უყურეთ ვარსკვლავებს. იქნება იქ კუდიანი ვარსკვლავი აღმოაჩინოთ.

ალექსი — არა, ერთი კუდიანი ვარსკვლავი აქაც გვყავს აღმოჩენილი, მაგრამ მალე მოვწყვეტთ იმ კუდს!

თოღვინთე — იაგორ! შენ ხომ გაიგონე! ამ თავხედობას მე ლოთ ალექსას არ შევარჩენ.

ალექსი — შენ ძალიან გინდოდა, რომ მე გავლოთებულიყავ, მაგრამ ვერ მოგართვეს. იაგორ, წამოდი დირექტორთან!

თოღვინთე — დირექტორს თქვენთვის არ სცალია. ჩვენ თათბირი გვაქვს ახლა.

იაგორი — შენ გეყოს, რაც ითათბირე მასთან. ახლა ჩვენ შევალთ. (იაგორი და ალექსი შედიან კაბინეტში).

თოღვინთე — (მარტო). შეხედე, როგორ გათავხედდნენ! (უნდა შევიდეს კაბინეტში, მაგრამ შეშინებული შეჩერდება). ეს ვაჟბატონები ნეტავ ჩემს წინააღმდეგ ხომ არ აწყობენ რამეს? ო, ირაკლი! ირაკლი! აბა, ვნახოთ ვის უფრო მაგარი კბილი აქვს? (ტელეფონის ზარი). ვინა ხარ? ოველი? რა დროს გაშლილი სუფრაა? ჰო, ჰო, ტელეფონში ვერ გეტყვი. აქ ცა მოღრუბლულია. ჭექა-ქუხილიც დაიწყო. მოდი, სჯობს აქ იყო. მეხი? აბა, რა ვიცი, ვის დაეცემა. (დადებს მილაკს). ნეტავ შენ დაგეცემოდეს იგი თავზე! (შემოდის ირაკლი. დაფიქრებული მიემართება დირექტორის კაბინეტისაკენ. შენიშნავს თოღვინთეს).

ირაკლი — ზურაბი აქ არის?

თოღვინთე — აქ არის, პატივცემული ირაკლი.

ი რ ა კ ლ ი — ჩვენი ოსტატებიც, მგონი, აქ არიან, მითხრეს, ჩემს საძებნელად წამოსულან.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — კი, აქ არიან. რაღაც მოწყენილი მეჩვენები, ამხანაგო ირაკლი, ეს კი კომუნისტს არ შეეფერის. თუ თქვენ გრძნობთ, რომ მართალი ხართ, უნდა იბრძოლოთ. მართალია, მე ზურაბს დავუჭირე დღეს მხარი, მაგრამ, თუ დამარწმუნებენ თქვენს სიმართლეში, შეიძლება აზრი შევიცვალო.

ი რ ა კ ლ ი — თოლვინთე, შენ უკვე მიგიღეს პარტიის კანდიდატად?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — შეტანილი მაქვს განცხადება... ვიცი, შენ და გიორგი იქნებით წინააღმდეგი, მაგრამ ჩემს მუშაობას ყველა ხედავს.

ი რ ა კ ლ ი — ხედავენ, ხედავენ! თოლვინთე, იმ ფერმისათვის რომ ამდენ ენერგიას ხარჯავ, შემოსავალს მაინც თუ გაძლევს?

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — იმდენს არაფერს, რაც ზოგიერთებს ჰგონიათ, მაგრამ შრომა და ზრუნვა დიდი სჭირდება. აგერ, აქ სამუშაოზე რომ ვარ, აქაც ის ფერმა და აგარაკი მიტრიალებს თავში.

ი რ ა კ ლ ი — იცი, თოლვინთე, შენისთანა ბედნიერი კაცი მეორე არ იქნებოდა ქვეყანაზე, რომ ეს ქარხანა არ გიშლიდეს ხელს.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — არ მესმის, ვერ მიგიხვდი, ამით რისი თქმა გნებავთ?

ი რ ა კ ლ ი — აგარაკი გაქვს, ფერმა გაქვს, ბაღიც შესანიშნავი გააშენე. მართალია, ამას აკლია ერთი ახალგაზრდა ქალი... აი, თუ გნებავთ, ისეთი, როგორიც ჩვენი დირექტორის ქალიშვილია, მაგრამ...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — არავითარი მაგრამ... შენ შეგშურდა ჩემი ბედნიერება და ამიტომ შეგნებულად მიშლი ხელს!

ი რ ა კ ლ ი — პირიქით. შენ ეს ქარხანა გიშლის ხელს. თავში სულ აგარაკი, ბაღი და უიმედო სიყვარული გიტრიალებს. საქმისთვის ველარ იცლი... ამის გამო გაღიზიანდი, ბოროტი გახდი და ყველას ხელს უშერ დასახრჩობად.

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — მე არავის ვახრჩობ... ეს თქვენ მიპირებთ მე დახრჩობას...

ი რ ა კ ლ ი — ამიტომ მეგობრულად გირჩევ: რომ არ იწვალო და სხვასაც ხელი არ შეუშალო, უკეთესია, წახვიდე აქედან...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — და შენ დაგითმო ჩემი ადგილი? არა, გენაცვალე! ამას შენ ვერ ეღირსები...

ი რ ა კ ლ ი — სამწუხაროდ, ამ ქარხანაში შენ არავითარი ადგილი არ გიკავია. ეს ქარხანა შენთვის იგივეა, რაც ფერმის ძროხა, რომელსაც სწველი, მაგრამ...

თ ო ლ ვ ი ნ თ ე — თქვენ ინტრიგანი ხართ! მე თქვენ პასუხს მოგთხოვთ ამ სიტყვებისათვის. რა უფლებით ბედავთ ჩემთან ასეთ ლაპარაკს?..

ი რ ა კ ლ ი — მე ამის უფლებას მაძლევს დანაშაული, რომელიც მიგიძღვის ალექსის, იაგორის, დათუნიას და სხვათა წინაშე, იმათ წინაშე, ვისაც შენ დახმარების მაგივრად ხელს უშლიდი. მე ამის უფლებას მაძლევს შენი დამოკიდებულება დირექტორის მიმართ. შენ ისარგებლე მისი სუსტი მხარეებით, მლიქვნელობით, დაიმსახურე მისი ნდობა, ყველაფერს, რაც შენს კარიერას და პირად სარგებლობას არ ემსახურებოდა, გამოუცხადე ბრძოლა. ყველას, ვინც შენს მოქმედებას კრიტიკულად შეხედავდა, მოუნდომე ქარხნიდან გაძევება. მაგრამ ვნახოთ, რაც გამოვა აქედან. მე შენ ახლა დამარცხებულ კაცად მიგაჩნივარ, მაგრამ, იცოდე, ჩემი საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ხალხის და პარტიის საქმეა და იგი ბოლოს მოგიღებს შენ! (კაბინეტიდან გამოდიან ზურაბი, იაგორი და ალექსი).

ზ ურ ა ბ ი — ირაკლი, თქვენ აქა ხართ?

ი რ ა კ ლ ი — დიახ, მე მინდა თქვენ მოგელაპარაკოთ.

ი ა გ ო რ ი — ჩვენ შენს საძებნელად წამოველით და აი დირექტორთან კი მოვხვდით...

ზ ურ ა ბ ი — თქვენ დარჩით, არ წახვიდეთ. (იღებს ტელეფონის მილაკს) ნიკიფორე ხარ? დიახ, ზურაბი გელაპარაკები. დღეიდან მე ხელს ვიღებ ჩემს კერძო ბაღზე, ხოლო ფერმასა და აგარაკს, რომელიც თოღვინთესა და იოველის ზიარად მქონდა გაშენებული, ქარხნის საერთო მეურნეობას ვუერთებ. ეს უკვე განვუცხადე პარტიულ ხელმძღვანელობას და შენ პირადად გავალებ, დაუყოვნებლივ ყველაფერი გადაბარო.

ი რ ა კ ლ ი — ამხანაგო ზურაბ! რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ზ ურ ა ბ ი — დიახ, ახლა მე უკვე გულისტკივილით ვუცქერი ჩემი განვლილი ცხოვრების ზოგიერთ წვრილმანს... ასე მგონია, რაღაც მეტად საჭირო და ძვირფასი თვისება დავკარგე... და ახლა, როდესაც ვეკითხები ჩემს, თავს, თუ რატომ მოგვიდა, ზურაბ, ყოველივე ეს, პასუხს ვერ ვპოულობ. პირიქით, დიდ სიბრიყვედაც მეჩვენება, რადგან რაღაცა პატარა ბაღისათვის მეტად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს ვახშობდი...

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ზურაბ! ეს რა ჩაიდინე, ზურაბ ბატონო, მღუპავ, ღენაცვალე?

ზ ურ ა ბ ი — ახლა ნურაფერს მისაყვედურებთ. შენ კი, თოღვინთე, კარგად ჩაუფიქრდი, რაც აქ მოისმინე და, როდესაც ჩემს შესახებ დაიწყებ მსჯელობას, ღრმად ჩაიხედე შენს გულში, იქნებ იქაც იყოს საჭირო მსგავსი ღონისძიების ჩატარება.

ი რ ა კ ლ ი — აი, ეგ მესმის! ახლა შენ სულ სხვა ზურაბი ხარ... კეთილი, ძლიერი... მებრძოლი ზურაბი... (შემოდის აღელვებული ნიკიფორე).

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ამხანაგო ზურაბ! ახლა თქვენ მელაპარაკეთ ტელეფონით?

ზ ურ ა ბ ი — დიახ, დიახ, მე...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — სმენამ ხომ არ მიღალატა? რა მოხდა, რაშია საქმე?

ზ ურ ა ბ ი — შეასრულეთ, რაც გითხარით, გასაგებია? ირაკლი, წამოდი! (იაგორსა და ალექსის) თქვენ, ამხანაგებო, თქვენც წამობრძანდით... (თოღვინთეს). თქვენ კი, ცოტა ხნით მადროვეთ. (გადიან).

ნ ი კ ი ფ ო რ ე — თოღვინთე მევარკაცოვიჩ, თქვენ მაინც ამიხსენით, რაშია საქმე?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, მე თვითონ არაფერი გამეგება! (შემოდის კარპიოზი).

კ ა რ პ ი ო ზ ი — ეს თქვენი დაწერილია, ჭუკული?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — მერე რა გინდა?

კ ა რ პ ი ო ზ ი — არაფერი, მარა, სანამ მე კარებში ვდგავარ, ამ ქაღალდით ვერავის, ვერაფერს გავატან.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — რაო? შენც უფროსობა დაიწყე? ახლავე მოგხსნი სამუშაოდან!

კ ა რ პ ი ო ზ ი — (ნიკიფორეს). ერთი წაიკითხე, ჭუკული, რა წერია შიგ.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — „გაატანეთ 10 კილო პური, 5 კილო ხორცი, 1 კილო კარაქი და სხვა სურსათი“.

კ ა რ პ ი ო ზ ი — ვერა, ჭუკული, სასადილოს სურსათს კერძო საჭიროებისათვის ვერავის გავატან.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ახლავე წადი და შეასრულე ჩემი ბრძანება, თორემ ყველას ჯავრს შენზე ვიყრი!..

კ ა რ პ ი ო ზ ი — ა! ა! კარპიოზს მოხსნით ვერ შეაშინებ. დილას რომ მომხსნა — საღამომდე ხუთ ამაზე უკეთეს ადგილს ვიშოვნი... ეს ქალალდი კი შეინახე, მეორე გვერდი დაუწერელია და გამოგადგება.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მორჩა, ახლა კი აღარ დავმუწავ პირს... (კარპიოზი გადის, მას ნიკიფორეც მიჰყვება. შემოდის იოველი).

ი ო ვ ე ლ ი — რა ამბავია, რა მოხდა, ჩემო თვალისჩინო?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — შენმა სიძემ ყველანი ირაკლიზე გაგვცვალა... დაგვღუპა, დანა გამოგვისვა ყელში... არ გებრალები? ხედავ, რა დღეში ვარ... სიკვდილზე უარესი ამბავი მჭირს.

ი ო ვ ე ლ ი — რას ამბობ, ოქრო, სიკვდილზე უარესი რაღა იქნება ქვეყანაზე?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — აი, ის არის, როცა კაცი სიკვდილს ნატრულობს და ის კი ახლოსაც არ ეკარება.

ი ო ვ ე ლ ი — ჩემზე ხომ არა ხარ ნაწყენი, ჩემო თვლისჩინო?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — არა, შენზე არ მაკლია გული. შენ, რაც შეგეძლო, ყველაფრით ხელს მიწყობდი... განსაკუთრებით რუსუდანისადმი მიძღვნილი ლექსი რომ ირაკლის დაუბრუნე, ამან ცოტა ხანს კი მომფხანა გული... (ამ დროს კაბინეტიდან გამოდის ზურაბი. იოველი შეამჩნევს მას, თოღვინთე კი ვერ ხედავს).

ი ო ვ ე ლ ი — ეს რა სათქმელია, ოქრო.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — მაგრამ მე ახლა ზურაბთან მაქვს საქმე... თუ თოღვინთე ვყოფილვარ, ზურაბს სასტიკად გადავუხდი!

ი ო ვ ე ლ ი — როგორ, ოქრო?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — როგორ და ისე, როგორც კი საშუალება მომეცემა. მე მძაგს იგი.

ი ო ვ ე ლ ი — როგორ თუ გძაგს? რას ამბობ, ჩემო თვალისჩინო? არ გახსოვს, შენი გულისათვის რამდენჯერ წაეჩხუბა ირაკლის, გიორგის!.. იგი შენ ახლაც თავის უმცროს ძმას გეძახის...

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ის რომ ბრმა იყოს, ჩემი რა ბრალია, მე ის ახლა აღარაფერში მჭირდება!..

ი ო ვ ე ლ ი — თოღვინთე მევარკაცოვიჩ!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ბაღი წავიდა, რუსუდანი წავიდა... ახლა შენთვის დამილოცნია ის შენი გამოყრუებული ბერიკაცი! (ზურაბი თოღვინთეს სიტყვას შეაწყვეტინებს).

ზ უ რ ა ბ ი — ყოჩაღ, ყმაწვილო, ყოჩაღ! შესანიშნავი აღსარება მოვისმინე. არ მეგონა, თუ ასე გამწირავდი... ყოჩაღ, დიდი მადლობელი ვარ შენი!..

ი ო ვ ე ლ ი — (თოღვინთეს). ფუჰ, შენს კაცობას!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ზურაბ!!!

ზ უ რ ა ბ ი — დამიახლოვდი... თავი შემაყვარე, დღენიადაგ მელაქუცებოდი და ეს ყველაფერი თურმე იმიტომ გჭირდებოდა, რომ... (ზურაბი დადის. იოველი მას უკან ლანდივით დასდევს, უნდა მდგომარეობა გამოასწოროს).

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ბოდიში, მაგრამ ჩემი ახსნა-განმარტების შემდეგ თქვენ აგრე სასტიკი არ იქნებით...

ზ ურ ა ბ ი — შენ გეგონა, რომ ზურაბი ბრმა იყო... ვერაფერს ხედავდა... გიორგი მართალი ყოფილა... დიახ, ბრმა ვიყავი, მაგრამ დადგა დრო და მეც თვალი ამეხილა. ისევ თქვენ ამიხილეთ იგი.

ი ო ვ ე ლ ი — რას ამბობ, ოქრო!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ზურაბ ბატონო!

ზ ურ ა ბ ი — შესანიშნავი აღსარება იყო. მაგრამ ის კი არ მეგონა, თუ ასე სასტიკად გამწირავდი. წადი, გამშორდი, აწ ჩემმა თვალებმა აღარ გნახოს!

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — როგორ თუ გაგშორდე? არა, ასე იოლად არ გაგშორდები... ახლა ჩემი პარაკლისიც მოისმინე.

ზ ურ ა ბ ი — საჭირო არ არის. მე ისედაც ბევრი გისმინე შენ.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — თავს არ ვზოგავდი... დღედაღამე არ მეძინა, ვიღწვოდი, ვშრომობდი... დიდი ვაი-ვაგლახით დაგიახლოვდი... პირველად შენი ზიარი ბალი რომ გავაშენე, საკუთარ ფეხზე დავდექი, შემდეგ ფერმისა და აგარაკის აშენებამ სულ მეშვიდე ცაზე ამიყვანა... შენ კი ყველაფერი ეს აიღე და წყალში ჩამიყარე! შენ რა გიჭირს... ნიჭიერი კაცი ხარ, ერთ-ორ პროექტს კიდევ გამოაცხობ, მაგრამ მე რა ვქნა, მე, შენ ჩემი ცეცხლითა და ცოდვით სავსევ!

ზ ურ ა ბ ი — რაც გინდა, ის ჰქენი, ოღონდ ახლა კი გამშორდი აქედან. თქვენც, პატივცემულო იოველ, თქვენც მიბრძანდით.

ი ო ვ ე ლ ი — როგორ თუ მეც? არა, ოქრო, არა, ჩემო თვალისჩინო!.. (ზურაბი აღელვებული გადის. იოველი მას უკან გამოუდგება, უნდა კაბინეტში შეყვეს, მაგრამ კარი შუბლზე მოხვდება და უკან გამობრუნდება).

ი ო ვ ე ლ ი — (თოღვინთეს). რა ვქნათ ახლა, ოქრო, ეს რა უბედურებაში ჩაგვაგდო ზურაბმა? (შემოდის გაიოზი).

გ ა ი ო ზ ი — უკაცრავად... სასწრაფოდ პარტბიუროში გიბარებენ, ბატონო.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — რაო, ვინ მიბარებს, რა უნდათ?

გ ა ი ო ზ ი — არ ვიცი. ასე თქვეს, ცეკას ინსტრუქტორია მოსულიო. თქვენ და იოველს, ორივეს, გიბარებენ.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ალბათ კიდევ ახალი ამბავია... წავიდეთ, იოველ, წავიდეთ, თუ მუხლებმა იქამდე მიგვიტანა!

ი ო ვ ე ლ ი — ჩემთან რა უნდათ? მე რა შუაში ვარ, ყმაწვილო?! (იოველი და თოღვინთე გადიან. შემოდიან ზურაბი, ირაკლი, ალექსი, იაგორი და გაიოზი).

ზ ურ ა ბ ი — გონს ვერ მოვსულვარ. ასე მგონია, ბურანში ვარ. ეს რა მოვისმინე? ვაჰ, ჩემს სიბრმავეს...

ი რ ა კ ლ ი — რა იყო, ზურაბ, რა მოგვიდა?

ზ ურ ა ბ ი — აი აქ... გული მატკინეს, ბიჭო გული!

ი რ ა კ ლ ი — გულის წამალი, ისევ გულშია, ჩემო ზურაბ.

ზ ურ ა ბ ი — ვაი, ჩემს ჭკუას! ვის ავყევი. შენ კი გულიდან მოგიგლიჯე! ოი, შენ ჩემო უგუნურო თავო, ბრიყვო და სუსტო მოსაზრებავ! (ზურაბი და ირაკლი კაბინეტში შედიან. ისმის ქარხნის საყვირის ხმა).

ი ა გ ი ო რ ი — გესმის? დასვენება უკვე გათავდა, ალექსი. წავიდეთ საამქროში.

ა ლ ე ქ ს ი — როგორც ვხედავ, ზოგიერთებისათვის ახლა იწყება სამუდამო დასვენება.

ი ა გ ო რ ი — წავიდეთ... რაღაც ისეთ გუნებაზე ვარ, რომ დღეს განსაკუთრებული ხალისით ვიმუშავებ. (იაგორი და ალექსი გადიან. შემოდის ელიკო. იგი დირექტორის კაბინეტისაკენ მიიჩქარის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ი ო ზ ი — შეჩერდი, არ შეიძლება შესვლა.

ე ლ ი კ ო — შენ ვინ გეკითხება. დიდი ხანია კარისკაცად დაგაყენეს?

გ ა ი ო ზ ი — კი, შენმა სიყვარულმა დამაწინაურა ასე.

ე ლ ი კ ო — კარგი ახლა, გული ნუ გამიწყალე, მოცილდი კარს!

გ ა ი ო ზ ი — ნუ ბრაზობ, თორემ ნაადრევად დამიბერდები. ეს რა არის, გოგო? (ელიკო დაიხრება და კაბაზე დაიხედავს ამ დროს გაიოზი აკოცებს).

ე ლ ი კ ო — ღმერთო, მომკალი... ეს რა მიყავი, ბიჭო? ხელახლად პირის დაბანა დამჭირდება.

გ ა ი ო ზ ი — მერე მაგას რა სჯობს... დაიბანე და კიდევ უფრო გალამაზდები.

ე ლ ი კ ო — არც კი გრცხვენია!

გ ა ი ო ზ ი — პირიქით, ვამაყობ შენი სიყვარულით... ისე მიყვარხარ, ისე, რომ პირდაპირ აღარ ვიცი...

ე ლ ი კ ო — ასე ამბობ და წამდაუწუმ კი მაწვალებ.

გ ა ი ო ზ ი — რომ არ გაწვალო? ო, თქვი, მაშინ რას იზამ?

ე ლ ი კ ო — მაშინ?.. მაშინ.

გ ა ი ო ზ ი — ჰოდა, გყვარებიხარ. (მოჰკიდებს ხელს და თავისკენ შემოატრიალებს).

ე ლ ი კ ო — დედა, რაღა ვქნა ახლა! აგერ, რუსუდანი მოდის და მგონია დაგვინახა. (შემოდის რუსუდანი).

რ უ ს უ დ ა ნ ი — ელიკო, მამა თუ ნახე? მითხარი, როგორ არის?

გ ა ი ო ზ ი — დამშვიდდი, რუსუდან, ზურაბი მაგარი კაცია. ნუ გეშინია, ახლა ირაკლიც მასთანაა.

რ უ ს უ დ ა ნ ი — ირაკლი? რამე უსიამოვნება ხომ არ მოსვლიათ კიდევ ერთმანეთში?

გ ა ი ო ზ ი — რას ამბობ, რუსუდან! ზურაბმა ირაკლის გარდა ყველა დაითხოვა და ახლა მასთან ზის და ბოდიშს უხდის. ჩემი ყურით გავიგონე, რომ უთხრა: „ნუთუ შენ შეგიძლია ხელი გაუწოდო იმ კაცს, რომელმაც ამდენი მწუხარება და ტკივილი მოგაყენაო?!“

რ უ ს უ დ ა ნ ი — მაშ, მამა და ირაკლი არ ჩხუბობენ?

გ ა ი ო ზ ი — პირიქით, რუსუდან, ისინი შერიგდნენ.

რ უ ს უ დ ა ნ ი — მართლა?! (აღტაცებული რუსუდანი გაიოზს გადაეხვევა).

გ ა ი ო ზ ი — ელიკო, ხომ ხედავ, ჩემი ბრალი არ არის!

ე ლ ი კ ო — შენ არ აკოცო, თორემ... იცოდე, გიყურებ!

რ უ ს უ დ ა ნ ი — ელიკო! დავიბენი... რა ვქნა... მიჩვენე, მამაჩემი... (რუსუდანი, ელიკო და გაიოზი შედიან კაბინეტში. შემოდის გიორგი, თან მოჰყვება თოღვინთე).

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ამხანაგო გიორგი, მითხარით, გამაგებინეთ მაინც ჩემი დანაშაული...

გ ი ო რ გ ი — მე თქვენ გითხარით, ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელიც გელაპარაკათ. ახლა წადით და იმაზე იფიქრეთ რაც გითხრეს. მე აქ ახლა ზურაბთან მაქვს საქმე.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — ზურაბთან? კი, მაგრამ, მე რა დაგიშავეთ, ამხანაგო გიორგი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — არაფერია... მალე შენთვისაც მოვიცლით... (გიორგი კაბინეტში შედის).

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — (მარტო) ეჰ, სად წავხდი კაცი! ამას როგორ ვიფიქრებდი! კაცს დირექტორის მაგიდაზე მეჭირა თვალი, და ახლა მის კარებს უნდა ვუყურო? ამასაც რომ მაყვედრებენ! უფლებებს რატომ აჭარბებდიო, აგარაკი რად გინდოდაო, ბაღი რატომ გააშენეო... კაცო, გავაშენე, თუ არა ხომ არ გამიხმია ის ძირამოსაგდები, ისა! ვთქვათ, რაღაც დავაშავე, მაგრამ ეს მაინც როგორ მითხრეს შენ კაცი კი არა, ბრმა ნაწლავი ყოფილხარო! მორჩა, არაფრის თავი აღარა მაქვს... უკვე ყველაფრის ხალისი წახდა. (შემოდის კარპიოზი, განცხადებით ხელში).

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — ახლა ვნახოთ, ჭუკული, როგორ იყრი ჩემზე ჯავრს. აი, ჩემი განცხადება. გამათავისუფლეთ სამუშაოდან. (შეამჩნია თოლვინთეს მოწყენილობა). რა იყო, ჭუკული, რა მოგვიდა?

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — არაფერი შეგიტყვია?

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — მამის სული წამიწყდეს, თუ რამე ვიცოდე.

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — თანამდებობიდან გადამაყენეს. ირაკლი თაბაგარი კი უფრო აწიეს ზევით.

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — ასეა, ჭუკული, ასე იცის... ცხოვრება ფუნიკულიორია. ერთი ვაგონი რომ ზევით ადის, მეორე კისრის ტეხით მოგორავს ქვევით...

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — მერე სწორია ეს? თუ არ ვარგივარ, გენაცვალე, რადა მწევ ასე მაღლა... იმიტომ ხომ არა, შემდეგ რომ გიდელივით გადმომიშვა ძირს!

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — კი ხარ ცოდვა, ჭუკული, კი!

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — გული მატკინეს, კარპიოზ, გული... ნამეტანი დამჩაგრეს... გამლანძღეს, გამთათხეს... აი, ეს შევსებული ანკეტა და პარტიაში შესვლის განცხადებაც დამიბრუნეს...

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — ახია შენზე. რატომ დროზე არ მიაქციე შენს საქმეს ყურადღება?

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — მეც ამას არ ვტირი! ახლა კი ვიცი, რაშიც ვარ დამნაშავე, მაგრამ რად მინდა... ურემი რომ გადაბრუნდა, გზაც სწორედ მაშინ გამოჩნდა ჩემდა სამწუხაროდ...

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — კაი მეურმე, ჭუკული, ურემის გადაბრუნებამდე უნდა ირჩევდეს გზა-კვალს, თუ არა, ურემი რომ გადაბრუნდება, მერე ხარებიც კარგად ხედავენ თავიანთ უბედურებას.

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — ხალხის თვალის ასახვევად ფუსფუსებდიო...

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — კი.

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — ირაკლის წინააღმდეგ ინტრიგებს ეწეოდიო...

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — კი.

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — ქარხნის წინსვლისათვის არ ზრუნავდიო...

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — კი. კი.

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — მერე, მართალია ეს?

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — კი, მართალია.

ᲗᲝᲚᲕᲘᲜᲗᲔ — რა არის მართალი?!

ᲙᲐᲠᲠᲘᲝᲖᲘ — მოდი, ერთი ჰქენი შენ... დაწერე გაცხადება და ითხოვე პატიება. შენ ახლა ნამდვილად სხვების ჭკუის სასწავლებლად ხარ დასჯილი.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — მერე ეგაა სამართალი? შენ რომ ჩემი უფროსი ხარ, რაღა მე მსჯი სხვების ჭკუის სასწავლებლად. არ სჯობს, სხვა დასჯა და მე ვისწავლო ჭკუა? მაგრამ არაფერია... წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დრჩებიანო.

კ ა რ პ ი ო ზ ი — მაგის იმედით ნუ იქნები, ჭუკული, თორემ...

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — თორემ რაო?

კ ა რ პ ი ო ზ ი — კომუნისტებმა, ხომ იცი, ჭუკული, როგორი ექსკავატორი გამოიგონეს? ყარაყუმის ქვიშას ისე ხვეტავს, რომ აუღებელი არსად ერთი კენჭი არ რჩება და შენ ვინ დაგტოვებს?

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — არაფერია, სხვებმა იტირონ, თუ არა მე კიდევ გავმართავ წელს. აქ თუ არ დამაფასეს, სხვაგან წავალ, სხვაგან და იქ დავამტკიცებ ჩემს ვაჟკაცობას.

კ ა რ პ ი ო ზ ი — იცი, ჭუკული, ყვავმა რა თქვა? შავ ზღვაზე რომ გადავფრინდები, იქ თოვლივით თეთრ კვერცხს დავდებო, მაგრამ, როცა გადაფრინდა, იქაც შავი კვერცხი დადო.

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — შენც დამცინი, ხომ? ახია ჩემზე...

კ ა რ პ ი ო ზ ი — როგორ? არა ხარ ღირსი თუ? გეკადრება, რაც მოგივიდა. ახლა კი მშვიდობით. (კარპიოზი დახევს გნცხადებას და მიდის).

თ ო ღ ვ ი ნ თ ე — როცა სამსახურში ვიყავი, დიდი მაგიდა და დიდი თანამდებობა მქონდა, დიდ კაცად ვჩანდი. ახლა, რომ მომხსნეს, თითქოს დავპატარავდი და დავჩიავდი... თურმე ის მაგიდა ყოფილა დიდი და მე კი ჩემი თავი მეგონა (ტელეფონის ზარი, თოღვინთე იღებს ყურმილაკს). მე ვარ, თოღვინთე ვარ, თოღვინთე! ალო! ალო! ალო! (დადო ყურმილაკი) ხედავ, როგორც კი ჩემი სახელი გაიგო, იმ წუთში ყურმილაკი ჩამოკიდა. უკვე ყველას გაუგია. მორჩა, ყველაფერი გათავებულია... რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!.. (თოღვინთე გადის. გაიღება კაბინეტის კარები. შემოდიან ზურაბი, ირაკლი, გიორგი, რუსუდანი, დათუნია, ვახტანგი, იაგორი და ალექსი).

გ ი ო რ გ ი — ამხანაგო ზურაბ, მცირე ხნით კიდევ უნდა შეგაწუხოთ პროექტის საკითხზე.

ზ უ რ ა ბ ი — რა იყო, გიორგი?

გ ი ო რ გ ი — დღეს ცენტრალურ კომიტეტში ვარ დაბარებული. იქ ორივე პროექტს განიხილავენ. თქვენი პროექტის განმარტებითი ბარათი ხელმოუწერელია. საჭიროა თქვენი...

ზ უ რ ა ბ ი — (ბარათს გამოართმევს გადაფურცლავს. შემდეგ გადასდებს). არა, ამხანაგო გიორგი, მე ჩემს პროექტს ხელს არ მოვაწერ. მე ახლა ყველაფერს მივხვდი. მიიღე ჩემგან გულწრფელი მადლობა, რომ სახიფათო გზას ამაცდინე.

გ ი ო რ გ ი — (ზურაბს ხელს ჩამოართმევს). ასე სჯობს, ზურაბ. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ თქვენ ამ დასკვნამდე მისულიყავით.

ზ უ რ ა ბ ი — გვიან, მაგრამ მაინც მივხვდი... მინდა ჩემი შეცდომა ისევ მე გამოვასწორო. დღეიდან მთელ ჩემს ძალ-ღონეს რვალის საამქროს გაფართოების საქმეს მოვახმარ.

ი რ ა კ ლ ი — ამხანაგო ზურაბ, გთხოვთ მაპატიოთ, თუ ზოგჯერ უხეში ვიყავი თქვენთან.

ზ უ რ ა ბ ი — არა, ირაკლი, რაც მე უხეშობად მეჩვენებოდა, სწორედ ისაა შენი ღირსება.. ასეთად დარჩი ბოლომდე. მართალია, მე ძველსა და ახალს შორის გამართულ სულიერ ჭიდილში საგრძნობლად წავიბორძიკე, მაგრამ თქვენ, ამხანაგებო, თქვენ გამომიყვანეთ ამ მდგომარეობიდან... რუსუდან, გამოდის, რომ შენც აჯობე მამაშენს ახლის გრძნობაში!.. აი, ჩემი ექიმები. სავსებით გამომაჯანსაღეს. მე საუცხოოდ ვგრძნობ თავს. ასეთი თავისუფალი დიდი ხანია არ ვყოფილვარ. ასე მგონია, რაღაც მძიმე ტვირთი მოვიშორე მხრებიდან. აბა, მეგობრებო, ახლა კი შევუდგეთ ირაკლის პროექტის განხორციელებას!

ფ ა რ დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე კაკუშაძე

# წიგნის სასახლე

★

## რომანი

„როცა ხელში მაქვს ახალი წიგნი, საგანი, რომელიც დამზადებულია სტამბაში ასოთამწყობის, ამ თავისებური გმირის ხელით, იმ მანქანის შემწეობით, რომელიღაც სხვა გმირს რომ გამოუგონებია, მე ვგრძნობ, რომ ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა რაღაც ცოცხალი, მეტყველი, საუცხოო რამ“.

მ. გორკი.

1.

ჭრაქი საცოდავად ბჟუტავდა.

დამწვარი პატრუქი ლამბაქს კიდეზე გადმოჰკიდებოდა და თანდათან იხრებოდა ქვევით, თითქოს ლამობდა, ფერმკრთალი ალის მომაბეზრებელ ციმციმს გასცლოდა.

პატარა ალის ენა პეპელასავით ფარფატებდა, კრთოდა და ძლივს ანათებდა დაბალჭერიანი მიწურის კედლებს, მოძველებულ ავეჯს და მაგიდაზე დაწყობილ ჯამ-ჭურჭელს.

ოთახში ნესტის სუნი იდგა.

შემოსულმა კარი ზურგით მიხურა და, ვიდრე სიბნელეს თვალს შეაჩვევდა, შეჩერდა.

— შენა ხარ, ფიდო? — გაისმა ხმადაბლა და შემოსულმა შენიშნა ხილაბანდშემოხვეული დედაკაცი, რომელიც ძველებურ, მოაჯირიანი ტახტის ბოლოზე ჩამომჯდარიყო და უძილობისაგან მოქანცული თვალებით შესცქეროდა მას. ტახტზე იწვა ავადმყოფი, რომელსაც ფერადი ნაჭრებისაგან შეკერილი თხელი საბანი ეხურა.

ავადმყოფი თვალღია იწვა, პირი გაეღო და გამხდარი, გაუპარსავი ლოყები დროგამოშვებით უთრთოდა. ის მძიმედ სუნთქავდა, მკერდიდან ხიხინის ხმა ამოსდიოდა, თითქოს ლურსმნებზე ხერხს ატარებენო.

— ელისო, როგორ არის ვანო? — ხმადაბლა ჰკითხა ფიდომ ქალს და მისკენ ნაბიჯი გადადგა.

— ისე შენი ავად მახსენებელი იყოს, როგორც ეს არის, ამ ქვეყნისაკენ პირი არ უჩანს! — ჩურჩულით უპასუხა ელისომ და ხელით ანიშნა, სკამზე ჩამომჯდარიყო.

— სადილობის აქეთ სძინავს. გამოიღვიძებს და ესიამოვნება, — ჩამწყდარი ხმით განაგრძო მანვე და წამოდგა, ფიდოს ქუდი ჩამოართვა. ქუდზე ალმასის თვლებივით მბრწყინავი თოვლის ფიფქები დაინახა და იკითხა:

— თოვს?

— თოვს! — ამოიხვნეშა ფიდომ და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლ-

ზე დამდნარი თოვლის წვეთები მოიწმინდა, სკამზე ჩამოჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო.

— ბავშვი არ გაგიცივდეს, ელისო, კიდევ დაახურე რამე, — შეწყინა ფიდომ, როცა თვალი მოჰკრა ფანჯარასთან მიდგმულ სკივრზე მწოლარე პატარა ირაკლის. ბავშვს ორად დაკეცილ ქეჩაზე ეძინა. თავი გაცვეთილ მუთაქაზე ედო და სიცივისაგან მოკუნტულიყო.

— რა დავახურო, ჩემო ფიდო, აღარაფერი შეგვრჩა, რაც გაგვაჩნდა ყველაფერი გავყიდეთ, — ნაღვლიანად შესჩივლა ელისომ, მძინარე ბავშვთან მივიდა და საბანი ამოუკეცა.

ხმაურზე ავადმყოფი შეიშმუშნა. ერთი წამით მიაჩერდა ფიდოს, მაგრამ თვალები ისევ მილულა.

— ელისო, წყალი დამალევინე! — ძლივს გასაგონი ხმით წარმოთქვა ავადმყოფმა.

ელისო სწრაფად შეტრიალდა. ოთახის ერთ-ერთ კუთხეში ნახევრად მიწაში ჩაფლულ ქვევრს ფიცრის სარქველი მოხადა, ტოლჩით წყალი ამოიღო, ჭიქა აავსო და ავადმყოფს მიაწოდა.

ავადმყოფმა თავი ძლივს წამოსწია. უფერული ტუჩები ჭიქას მიადო და ოდნავ მოსვა. მერე თავი ისევ ბალიშზე დადო და ფიდოს გადახედა. სიყრმის მეგობარი რომ დაინახა, ეამა. ღიმილმა დაუფარა ნაოჭებიანი სახე.

— კარგა ხანს გეძინა, ვანო, მოისვენებდი!..

— არა, ფიდო, მე ჯერ კიდევ არ მომისვენია. კიდევ ცოტა ხანი და... მოვისვენებ! მალე, სულ მალე უბედურებასაც ბოლო მოეღება! — უპასუხა და სუნთქვა შეეკრა, ხველა აუვარდა, სახე შეეცვალა და კისრის ძარღვები დაებერა. როცა დამშვიდდა, ბუტბუტით დაუმატა: — უბედურებასაც აქვს ბოლო!..

— შე დალოცვილო, რა გული გაგტეხია. მე სასიხარულო ამბავი მოგიტანე, შენ კი... ქვეყანას ეშველა და სადაცაა მზე ჩვენს ქოხმახებსაც მოადგება, ხვალ ჩვენები შემოდიან ქალაქში. კარგად უნდა გახდე, თავს ძალა უნდა ღალატანო და ლოგინიდან წამოდგე!

— რაო, რა თქვი? გაიმეორე! — ავადმყოფმა ლოგინიდან წამოიწია. სიხარულისაგან თვალები საცრისოდენა გაუხდა და აღტაცებით შესძახა:

— შენ ამბობ, ჩვენები მოდიანო!

— ხვალ დილით, ვანო, ხვალ დილით!..

ავადმყოფი ისევ დაეშვა საწოლზე. დიდხანს უხმოდ და გაუნძრევლად იწვა, თითქოს უნდოდა ღრმად ჩაწვდომოდა ფიდოს ნათქვამის აზრს, რომელიც ათეულწლობით გულში უღვივოდა.

ავადმყოფი ასოთამწყობის მეხსიერებაში ელვის სისწრაფით გაირბინა წარსულმა, თვალწინ წარმოუდგა ტანჯვა-ვაების დღეები, თავისი უფერული, უსიხარულო ცხოვრება.

შვიდი წლისა იყო, როცა მამამ სტამბაში შეგირდად მიაბარა. ცხრა წლის ბავშვს დღეში ათშაურად თორმეტ საათს ჩარხს ატრიალებინებდნენ. უდედმამოდ დარჩენილ თვრამეტი წლის ყმაწვილს ცოლი შერთეს და ახლა, ოცდათექვსმეტი წლის ვაჟკაცი სიკვდილს ებრძოდა იმავე მიწურში, სადაც დაიბადა.

პირველი ორი შვილი ჩვილებივე დაეხოცა. მესამე, ირაკლი, ბუნებით ძლიერი და ამტანი გამოდგა, ადრე დაიწყო შავი პურის ქერქის ლოღნა და გაჭირვება გადაიტანა.

ვანოს იმედი ირაკლი იყო. მისთვის სიცოცხლესაც არ იშურებდა. ასოთ-ამწყობის შავი ხვედრისათვის შვილი არ ემეტებოდა და სკოლაში მიაბარა.

ბნელ წარსულიდან ვანოს რამდენიმე ნათელი დღეც ახსოვდა, რა დროს-აწყებდა თავის წინაპართა მიწა-წყლიდან ხალხის მხსნელად მოვლენილ ახალგაზრდას, შავგვრემანსა და შავივე წვერით შებურვილს, რომელსაც ხშირი თმით დაფარული მაღალი შუბლიდან და გონიერი თვალებიდან იმედის შუქი გამოუკრთოდა?!.

ერთხელ, სუსხიან ზამთარში, როდესაც თხელ ხალათებში აკანკალებული სტამბის მუშები ღუმელს შემოსხდომოდნენ, მათთან ერთი ახალგაზრდა შემოვიდა; შემოსულს შავი პიჯაკი ეცვა, უბრალო ქუდი ეხურა. მისი პირველი სიტყვებიდანვე მუშებმა ისე იგრძნეს, თითქოს დიდი ხნის მეგობარი მოსულიყო მათთან. ის ახალგაზრდა ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მათ, თავგამეტებული, დაუნდობელი ბრძოლისაკენ და აფრთხილებდა იმედგატეხილ და უმიზნო ადამიანებს არ აჰყოლოდნენ.

მისი ნათქვამის აზრი ახსოვდა. ის ბედნიერებაზე ლაპარაკობდა. ის ამბობდა, რაც შექმნა მუშის მარჯვენამ, მასვე უნდა დაუბრუნდესო. ჩვენ ახლა, განთიადის წინ ვიმყოფებით, ჩვენი ცხოვრების ჩარხის შემომბრუნებელი ქალა დაგროვდაო. შეუპოვარი ბრძოლა გვჭირდება და ჩვენი ბედნიერების კარიც გაიღებაო.

ეს იყო კობა...

ვანო კიდევ ერთხელ შეხვდა კობას ქართული ამხანაგობის სტამბის შენობაში და კობამ იქაც იგივე გაიმეორა.

ვანოს ის შემდეგში აღარ უნახავს, მაგრამ მისი ნათქვამით ჩასახული იმედი დღესაც არ ჩაქრობია.

დავრდომილსა და მომაკვდავს, ახლაც კობას სიტყვები მოაგონდა.

— ახდა. ჰა? ახდა! — წამოიძახა ვანომ და შუბლზე ჩამოცურებული ხილაბანდი შეისწორა. — ფიდო, ნეტავი ყოფილა დედამიწაზე ისეთი კაცი, რომ სიხარული არ სდომოდა?

— არა მგონია!

— როდესაც დიდ სიხარულს განიცდი, ჩემო ფიდო, ყველაფერი გავიწყდება!

— ეგრეა, ვანო, ეგრე, შენ მართალი ხარ!

— ჰოდა, განა შეიძლება ეს სიხარული რამემ ჩააქროს?

— დიდ სიხარულს რა ჩააქრობს. არავითარ მწუხარებას მაშინ ძალა არა აქვს!

— ხო, მეც მაგას ვამბობ, დიდი სიხარული — დიდი ბედნიერებაა!

— ბედნიერებაა!

— ირის პატარა სიხარულიც, — ჩაფიქრდა ვანო და ხმადაბლა განაგრძო, — ჩვენც ვყოფილვართ გახარებულნი, აი, ასეთ ბუნაგებში გაგვიტარებია ჩვენი ყმაწვილკაცობა და როცა ჩვენამდის მოღწევია მზის სუსტ შუქს — ბედის ეს ნამცეცა წყალობა დიდად მოგვჩვენებია, მაგრამ ჩვენი ცხოვრება ხომ მარტო ეს არ ყოფილა. ჰაი დედასა, განა ამ ხელებით არ ვცდილობდით ნაღვერდლის ცეცხლად გადაქცევას?!.

— აკი, გავაჩაღეთ კიდეც შეუნელებელი კოცონი?!.

— ახლა ვხვდები, თუ ხუცებმა სამოთხე ისე თავგამოდებით რისთვის და-

ხატეს. ნეტარება, რომელიც აქ არის საჭირო, აქვე არის შესაძლებელი. ხალხს ამქვეყნიური მონური ცხოვრებისათვის ჯილდოს საიქიოს ჰპირდებიან!

— გაუცრუვდათ იმედები, ვანო, კაცობრიობის ძილს ბოლო ძოელო, უკვე თენდება!

— დიახ, ერთხელ ამდგარი ხალხი არავის დაანებებს თავის ბედნიერებას!

— რა არის ბედნიერება, ფიდო? — უცებ თვალებგაშტერებით შეაჩერდა ვანო, თითქოს ბურანიდან ახლა გამოერკვაო.

— თავისუფლება! მაღალი კეთილყოფის გრძნობა. ბედნიერებაში ჩვენ ვგრძნობთ თავისუფლებას, საკუთარი ძალ-ღონის შემოქმედ უნარს, ხალხის დაუძლეველობაში წარმოშობილი სურვილების განხორციელებას. თავისუფლება ადამიანის სრულყოფაა!

— ჰო, მესმის, ბედნიერებისათვის ბრძოლის დროს ადამიანს ძალ-ღონე უასკეცდება. ვიცი, ვიცი, ჩემო ფიდო, ადამიანს გაუასკეცდება შემოქმედების უნარი. რა დიდი სიხარულია, როცა კაცი გრძნობს საკუთარ ძალას. მთებს დასძრავს, მზეს ლაქებს მოაშორებს და თავისუფალ ხალხისათვის ნათელ სასახლეებს ააგებს... ეჰ! — ამოიოხრა ვანომ და სიხარულისაგან ცრემლდანამული თვალებით შეხედა ფიდოს, მერე ოთახის ბინდბუნდში მოსძებნა ცოლი და შვილი, — გულზე მომეშვა. მთელი ჩემი სიცოცხლე უბედური ვიყავი. ახლა აღარ ვნაღვლობ, ხვალ ჩვენები შემოვლენ... ჩემს ირაკლის სხვა გზა ელის!

ვანომ ლოგინიდან წამოიწია. გაწყალებული პერანგი კონკებად ჩამოეკიდა მის გამხდარ გულ-მკერდს. ჩონჩხადქცეული ხელით შუბლზე ხილაბანდი შეისწორა.

— რაც უფრო დარწმუნებული იქნები შენს ძალაში, უნარში, რაც უფრო მტკიცე რწმენა გექნება, მით უფრო დიდ სიხარულსა და ბედნიერებას მიაღწევ. ყოველგვარი სიკეთე კი შენი ახლობლებისათვის, სამშობლოსათვის, შენი ქვეყნისათვის უნდა გინდოდეს, ირაკლი, შვილო, გესმის?

— მესმის, მამა, მესმის! — უპასუხა შვილმა და საწოლიდან წამოდგა.

პატარა ნესტიან სარკმელს გათენების ფერმკრთალი ბინდი აეკრა. მამლებმა მეორედ იყივლეს.

— ახლოს მოდი, შვილო, მე დავიღალე... — მერე მინელებული, ჩამწყდარი ხმით მიუბრუნდა ფიდოს, — შენ გიტოვებ ირაკლის. მარჯვე მუშა იქნება... იმ დიდ სიხარულს ამას ვუსურვებ, ფიდო!..

## 2

ქალაქი ჯერ კიდევ ნისლით იყო მოცული, გაფითრებული წყვდიადი მას კიდევ საბნად ეხურა, როდესაც ირაკლი ოთახიდან პირის დასაბანად გამოვიდა, მას ტოლჩით ხელში დედა გამოჰყვა და დერეფნის სვეტზე ჩამოკიდებულ თითბრის მრგვალ პირსაბანში წყალი ჩაუსხა.

კიდევ ერთხელ აციმციმდა ქალაქში აქა-იქ მბჟუტავი სინათლე და უკანასკნელ ვარსკვლავებთან ერთად ჩაქრა.

ირგვლივ ყველაფერი მკვეთრად გამოჩნდა. განთიადი იწყებოდა. ეკლესიების გუმბათები და მაღალი შენობების სახურავები სარკესავით ლაპლაპებდა. ტრამვაის სადგურის მაღალ ღუმელიდან კვამლის შავი ღრუბელი ამოსკდა. მის გვერდით პატარა მილებიდან ოშხივარის სქელი და თეთრი ქულები შიშინითა და ქშენით ამოვარდა. რკინიგზის სახელოსნოების საყვირმა ერთხელ კიდევ

შეღმუვლა დილის ბინდბუნდს და ასე გააცილა ღამე. ატყდა პატარა ქარხნების მომწოდებელი საყვირების კივილი, შემოსახვევებზე ტრამვაების რაბრახი და ახმაურდა ხალხი. ქვაფენილებზე გაისმა მუშების აჩქარებული ფეხის ხმა.

ქალაქმა გამოიღვიძა.

ირაკლი გაზაფხულის დილის ხალისით დამტკბარი, დიდხანს იბანდა ცივი წყლით პირს. ძლივს იშორებდა ძილის სურვილს. ლოგინიდან თან რომ გამოჰყვა. სახე შეიმშრალა და შინ შევიდა.

— შვილო, არ შეარცხვინო მამაშენის სახელი! — გარდაცვლილი ქმრის მოგონებაზე ელისოს გული აუჩუყდა და დაუმატა, — დაგენაცვლე, შვილო, სიდუხჭირეს ვერ აგაცდინე! განა მინდოდა იმ დასაქცევ სტამბაში შენი გაგზავნა? მამაშენის სიცოცხლე ხომ იმ სტამბამ შეილია? მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ხომ გინდა?!. — მეტი ველარაფერი თქვა, ცრემლებმა ხმა ჩაუწყვიტა.

— ნუ ტირი, დედა! — მიმართა გულაჩუყებულმა ირაკლიმ, — აკი ძია ფიდომ თქვა, რომ მალე მზიან ბინებში გადავალთო სამუშაოდ, ახლა ძველებური მუშაობა კი აღარ იქნება, კომუნისტები სულ სხვანაირად იმუშავებენო, მუშებს ისე გაუფრთხილდებიან, როგორც თვალისჩინსაო; ნუ ინაღვლებ!.. სკოლაშიც შევალ და ვისწავლი; სწავლაც უფასო იქნებაო, — ამშვიდებდა ირაკლი დედას.

მზის პირველი სხივები ეთამაშებოდნენ ვაზის ყლორტებს და ალუბლის თეთრ ყვავილებს. ყვავილები ტოტებს უამრავ პეპელებივით დასეოდნენ, მისი სურნელი ირაკლის ოთახის ფანჯარაში იჭრებოდა. ამ დროს ფიდომაც შემოაღო ალაყაფის კარი და ირაკლის შესძახა:

— წავიდეთ, არ დაგვაგვიანდეს!

ირაკლი შეკრთა. ამ სიტყვებში მან სულ სხვა ძახილი იგრძნო. მას სკოლაში წასასვლელად კი არ იწვევდა მისი სიყრმის ამხანაგი, არც ფიდოს პატარა გოგონა ნათელა ეპატიჟებოდა სათამაშოდ, არც დედა გზავნიდა საქმეზე და არც უბნის ბიჭები ეძახდნენ.

„წავიდეთ, არ დაგვაგვიანდეს“ უცნაურ ძახილად მოესმა, მიხვდა, რომ ამ დილით იწყებოდა მისი ახალი ცხოვრება.

მანამდე უზრუნველმა ბავშვმა უკან დაიხია და გაფითრებული მიეკრო დედას. მაგრამ ფიდოს ვაჟკაცურმა გამომეტყველებამ, მაღალი შუბლისა და ხშირი წარბების ქვეშ მოქცეულმა იმედიანმა თვალებმა წამსვე გონებაზე მოიყვანეს იგი.

ფიდო ერთგული კაცი იყო. საშუალოზე ცოტა უფრო მაღალი, განიერი მკერდითა და მხარ-ბეჭით. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ განვლილ ცხოვრებას თავისი დაღი დაემჩნია მისთვის.

ის უბრალო ადამიანი იყო. ლურჯი ხალათი და მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. მაგრამ სახეზე შეხედავდით და მის აზრიან თვალებში ღრმა ადამიანურ ფიქრს შეიცნობდით. ეტყობოდა, ამ კაცმა იცოდა სიცოცხლის ფასი. მისი მზერა ყველაფერს წვდებოდა, უმნიშვნელო წვრილმანებიც არ გამოეპარებოდა. იცოდა რა იყო წინათ, ხედავდა დღევანდელ დღეს, მომავლის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ისიც გაეგო, რომ მომავალს, დიდსა და საოცნებო მომავალს, დიდი გარჯა და შრომა სჭირდებოდა.

ერთხელ მნახველი არასოდეს არ დაივიწყებდა ფიდოს ენერგიულ გამოხედვას. გულში ჩარჩებოდა მისი სანდომიანი სახე.

ირაკლისათვის ძია ფიდო მისაბაძი ადამიანი იყო. ბავშვობიდანვე უყვარდა ძია ფიდო და იმ ერთი სამახსოვრო ღამის შემდეგ ხომ განსაკუთრებული პატივისცემა იგრძნო მისდამი. იმ ღამეს ფიდო ჩვეულებისამებრ მოვიდა ირაკლის ავადმყოფ მამასთან. ლაპარაკს შეჰყვნენ. ფიდო გატაცებით მოუყვა სამოქალაქო ომში მასზე გადამხდარი ამბები. ირაკლიც გატაცებით უსმენდა და ფიდოსადმი სიყვარულით იმსჭვალებოდა.

*
* *

ახლა, როცა ძია ფიდო კვლავ მათთან მოვიდა, სიხარულმა შეიპყრო ირაკლი. აღფრთოვანებით შეხედა მას, რომელსაც წითელი დროშის ორდენი უბრწყინავდა მკერდზე.

1921 წელს, იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებგადახდილი ფიდო თბილისში დაბრუნდა. შინ ცოლი — ირინე და პატარა გოგონა ნათელა დახვდა. მენშევიკების დროს გაჭირვებამ და შიმშილმა შეიწირა მისი ორი ვაჟიშვილი და მოხუცი მშობლები. ოჯახი გაპარტახებული დახვდა. მის მუდამ მშფოთვარე და ჭაპანწყვეტით სავსე დღეებში ნათელა მისთვის ნუგეშად და დამამშვიდებელ ალერსად გადაიქცა.

ფიდოს გული არ გასტეხია. უძლეველ ძალას გრძნობდა. ამას ემატებოდა თავისი საქმის — სტამბის დიდი სიყვარული.

ხშირად უთქვამს: ამ ჩვენს ქვეყანაში ყველა სიყვარულით უნდა მუშაობდეს, რადგან სადაც სიყვარული არ არის, იქ შრომის ნაყოფიც ნაკლებია. არც ერთი საქმე დასაწუნი არ არის, ყველა ხელობა კეთილშობილური საქმეაო.

ამ დილას ფიდოს ირაკლი ხელობის შესასწავლად მიჰყავდა...

*
* *

ფიდო და ირაკლი ჭავჭავაძის ქუჩის დაღმართზე ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ.

— მე ვიცი, შენც ჩემს ნათელასავით გიყვარს წიგნების კითხვა... მამაშენსაც უყვარდა... საწყალი, ჭკვიანი კაცი იყო, — ფიქრიანად წარმოთქვა ფიდომ და, გაღმა ზურმუხტივით ამწვანებულ მახათას მთას გადახედა, — ჰო და, ჩემო ირაკლი, ხალხის საკეთილდღეოდ კარგი წიგნების გამოცემა დიდი საქმეა. ხალხი წიგნს ისე ეწაფება, როგორც მწყურვალი წყალს. მწერლები ხალხს აკეთილშობილებენ და სულიერად ამაღლებენ. ჩვენ რომ არ ვიყოთ, ჩვენ, სტამბის მუშები, ისინი თავიანთ აზრებს და ფიქრებს ვერ გადასცემდნენ ხალხს, ამიტომ უნდა გახსოვდეს, რომ ჩვენი ხელობაც დიდი საქმეა! ამ საქმეს ისე მოვაწყობთ, როგორც კომუნისტური პარტია მიგვითითებს. მერე შენ ნახავ, რა დიდ სამსახურს გავუწევთ ხალხს, ოღონდ სიძნელისა ნუ შეგეშინდება, ნურც შრომის შეგეშინდება, უშრომლად ადამიანი ღირსი არ არის ლუკმაპური ჭამოს!

სტამბა ბევრჯერ ენახა ირაკლის. ხშირად მიუტანია მამასთან საუზმე, მაგრამ არასოდეს არ დაუთვალიერებია. გული არ უდგებოდა მბეჟუტავი ნავ-

თის ლამპებით განათებულ ჯურღმულებში. მას არ აინტერესებდა საღებავებით გათხუპნული ადამიანები, რომელნიც მანქანების ირგვლივ მოუსვენრად დაფუსფუსებდნენ. ახლა სტამბას თვითონაც უნდა შეჰგუებოდა. უცნაურ განცდაში იყო... ახალი რაღაც იწყებოდა მის ცხოვრებაში და ამიტომ გული ეთანაღრებოდა.

ფიდო ისევ მომავალზე ესაუბრებოდა:

— ნიჭიერი ბიჭი ხარ, ყოჩაღი, მალე ისწავლი ხელობას. ოსტატი გახდები, კარგ ჯამაგირს დაგინიშნავენ, დედასაც არჩენ და... საღამოობით ისწავლი კიდეც. განათლებული კაცი გამოხვალ... სტამბასაც სჭირდება ნასწავლი ადამიანები!..

დილის ნიავი უწეწავდა ირაკლის აბრეშუმივით მბზინავ კულულებს. შუბლზე მალიმალ გადაისვამდა ხოლმე ხელს და თმას ისწორებდა. მის მოკრძალებულ გამოხედვაში მოჩანდა, რომ მის გულში რაღაც აზრი ისახებოდა. ფიდოს ყოველი სიტყვა ირაკლის, როგორც სიხარულის მანიშნებელი, ისე ჩაესმოდა.

რუსთაველის პროსპექტზე, სამსართულიანი შენობის ალაყაფის კარში შევიდნენ. რიყის ქვით მოკირწყლულ ეზოს ოთხმხრივი აივნებიანი შენობა გალავნად შემოჰკვროდა. ეზო უზარმაზარ ჭასა ჰგავდა. მის შუაგულში ამოყვანილი იყო რკინის რიკულებით გადახურული ნარეცხი წყლის სადენი. ამ სადენის ირგვლივ საპნიანი წყლისა და საღებავების უსიამოვნო სუნი იდგა. შიგნით, აივნის გასწვრივ, საბეჭდი მანქანის ძველი, დაჟანგებული დოლები, ლილვაკები და ჩამსხვრეული ნაწილები ეყარა.

სტამბას ამ შენობის სარდაფი ეკავა.

ფიდომ ირაკლი ჩაიყვანა აგურით ნაშენი ვიწრო კიბით. კიბესთან ჭიანჭამი ბებერი ალუბლის ხე იდგა. ამ ხის გაშავებულ ტოტებზე, რამდენიმე ყვავილს შეამჩნევდით, რომელიც საცოდავად გამოიყურებოდა. კიბე ჩადიოდა გრძელ, ნესტიან დერეფანში, რომლის ფართო კარის შემდეგ სტამბა იწყებოდა.

ეს სარდაფი ერთ მთლიან თაღებით დასერილ ოთახს წარმოადგენდა. ჭერი და იატაკი დაფარული იყო ქეშად დაწყობილი აგურებით. სინათლე სარდაფში დერეფნიდან შედიოდა, რომელიც სავსე იყო დაბეჭდილი თუ სუფთა ქაღალდების გროვებით, ყუთებით, სავსე და ცარიელი კასრებით.

ყველგან საშინელი სუნი იდგა.

ფიდოს ირაკლი ისევ შემკრთალი მიჰყვებოდა და ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს მის თავს რაღაც უცნაური და საშინელი ამბავი უნდა მომხდარიყო.

ამ სარდაფიდან კარების გასწვრივ გამოყოფილი იყო შუშაბანდით გარშემოვლებული პატარა ფართობი, აქ იყო მოთავსებული სტამბის ყოფილი მეპატრონის და ახლა კი დირექტორის კაბინეტი, რომლის მისასვლელიც კედელთან მოწყობილ საშრიფტო კასების მწკრივებს შორის გადიოდა.

სტამბაში ახლა უკვე ელექტრონი ენთო.

მუშები ფუსფუსებდნენ. კარებთან, შესვლისთანავე, ერთმა გაუპარსავმა, პირხმელმა და გრძელულვაშა ასოთამწყობმა შეაჩერა ფიდო.

— ფიდო, შენ თვითონ ნახე, ძმაო, გუშინაც გითხარი, აღარ შემიძლიან ამდენი გაცვეთილი ასოების ცვლა, — და ფიდოს ამონაბეჭდი გაუწოდა, რომელიც კორექტორს უკვე გაესწორებინა და ასოების შესაცვლელი ნიშნებით

დაეხაზა მთელი ფურცელი, — რით გავასწორო, რით შევცვალო ასოები, როდესაც საღი შრიფტი აღარ გაგვაჩნია?!.

— დირექტორს უთხარი, უკვე დროა წაიღოს ეს უვარგისი შრიფტი და გადააგდოს, ადამის ჟამისაა! — დაუმატა შრიფტ-კასების მწკრივში მდგარმა მეორე ასოთამწყობმა.

— კარგი, მოველაპარაკები, — უპასუხა მათ ფიდომ.

ახლა ის მეორე მუშამ შეაჩერა. მას გაშლილი ქაღალდის ფურცლები ეჭირა, ეტყობოდა რაღაცაზე ნაწყენი იყო, შუბლი უკმაყოფილოდ შეეკრა.

— ფიდო, რა ვქნა ძმაო, ქაღალდი ისეა დასველებული, რომ ბეჭდვა ყოვლად შეუძლებელია. აბა ნახე, სინესტისაგან დალპა ამ დერეფანში, საწყობად მაინც მოგვცენ ის, პირდაპირ დუქანი რომ აუფიცრავთ.

— მაგაზე სახლის პატრონთან ლაპარაკი მქონდა, დიდი ქირა მთხოვა, დირექტორს უნდა ვუთხრათ. ყოველ შემთხვევაში ამ ორ დღეში მოვაგვარებთ მაგ საქმეს. მანამდე სარდაფიდან უნდა ამოვიტანოთ ქაღალდი, თორემ მართლაც სულ გაფუჭდება.

— მეტი გზა არ არის, ამხანაგო ფიდო, რამე უნდა ვიღონოთ!..

ირაკლი ხედავდა რა სიყვარულითა და მოკრძალებით ხვდებოდნენ ფიდოს მუშები, იმასაც კარგად ამჩნევდა, რომ ფიდო მზრუნველობით ეკიდებოდა მათ, ყველას საქმიან პასუხს აძლევდა.

ფიდომ ირაკლი დირექტორის კაბინეტის კარებთან გააჩერა.

ცოტა ხანს აქ დამიცადე, მალე მოვალ. — უთხრა ფიდომ და თვითონ დირექტორის კაბინეტში შევიდა.

ირაკლი მორიდებით და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა თავის მოშავალ სამუშაო ადგილს.

დირექტორის კაბინეტის გასწვრივ, დაზგებსა და ყუთებს შუა გასასვლელი გზა მარცხნივ უხვევდა და სადღაც სიბნელეში იკარგებოდა. იქ მტვერსა და წყვდიადში ოცდახუთსანთლიანი, ბრტყელ თალფაქიანი, ჭერიდან მავთულზე ჩამოშვებული ელნათურები ბჟუტავდა. რამდენიმე საამწყობო მწკრივის იქით გრუხუნებდნენ მანქანები. რკინის მოაჯირიან ბაქანზე დაფიქრებულნი იდგნენ დამწყობები და გრუხუნის ტაქტთან ერთად, მთელი სხეულით იზნიქებოდნენ. სარდაფის ბოლოდან რომელიღაც დაზგის უცნაური რახრახი მოისმოდა, თითქოს, რკინის მავთულებს ჭრიან და თუნუქის კოლოფებში ლურსმანს ყრიანო.

გარშემო საშინელი ხმაური იდგა.

ირაკლის თვალწინ წარმოუდგა თავისი საყვარელი მთაწმინდის წყნარი უბანი, ბილის მზე და ფუნიკულორიდან მონაქროლი გრილი ნიავი. მოენატრა კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი სურვილი იყო. იცოდა, რომ დღევანდელ დღეს საკუთარი შრომით იწყებდა ცხოვრებას, გრძნობდა, რომ ბევრი საინტერესო რამ ელოდა აქ, მაგრამ მაინც იუცხოვა აქაურობა და მარტოობა იგრძნო. მას მოესურვა ფიდოსთან ახლო ყოფილიყო და მისი მამობრივი ალერსი და სითბო ეგრძნო.

დირექტორის კაბინეტში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ეტყობოდა ფიდო მალე არ გამოვიდოდა. ლოდინით მოღლილმა გაბედა და კაბინეტში შევიდა.

ფიდო დირექტორს ელაპარაკებოდა.

ირაკლი ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა დირექტორს, რომელსაც საკმაოდ ძველი ტანისამოსი ეცვა. გახსნილ შავ პიჯაკიდან მოუჩანდა ორ ღილზე

შეკრული ყვითელი ხავერდის ჟილეტი, რომელიც ღიპზე გადასჭიმოდა. ჟილეტის ერთი ჯიბიდან მეორემდე საათის ოქროს ძეწკვი ეკიდა. თეთრ, ქათქათა ტილოს პერანგს საყელო არა ჰქონდა. ეტყობოდა, ჰალსტუკი შემოეხსნა. თავზე ჩვეულებრივი შავი შლიაპა ეხურა. მსუქან პირისახეზე მღვრიე თვალების გამოხედვაში მოუსვენრობა ეტყობოდა.

სტამბის ყოფილი მეპატრონე, ახლა კი დირექტორი, ივან სტეპანიჩი, ბავშვობაში ჩარხზე მუშაობდა, შემდეგ შეისწავლა ასოთამწყობობა და ექვსი წელი დაჰყო ამ ხელობაზე. ცოლი შეირთო და ქაშვეთის ქუჩაზე წიგნის სავაჭრო მაღაზია გახსნა, ძველი წიგნებით ვაჭრობაში საკმაო მოხერხებულობა გამოიჩინა, ფული დააგროვა და საგამომცემლო საქმეში დაიბანდა. შრიფტი და სტამბისათვის საჭირო მანქანები შეიძინა. დაიქირავა ასოთამწყობები, მბეჭდავები, მკინძავები და დიდი მონდომებით შეუდგა საქმეს.

ეს სტამბა შეისყიდა ერთ გაკოტრებულ მესაკუთრესაგან. ქაშვეთის ქუჩიდან ამ სარდაფში გადმოვიდა და თავისი საწარმოს გაფართოება დაიწყო. იღებდა ყოველგვარ შეკვეთას. სულ მალე შეკვეთის შესრულებაში მთელ ქალაქში მეტოქე არა ჰყავდა. ხელფასის მხრივ, შედარებით სხვებთან მაინცდამაინც არა ძუნწობდა, ამით შემოიკრიბა კარგი ხელოსნები, კარგი მასალა დააგროვა და სწრაფი გამდიდრების პერსპექტივა გადაეშალა, მაგრამ რევოლუციამ მოუსწრო. ივან სტეპანიჩი მიხვდა, რომ განკითხვის ჟამი დადგა. შეურიგდა ბედს და ხელი ჩაიქნია გამდიდრებაზე. ხოლო რაც ჰქონდა შეძენილი, მას პატრონის გრძნობით უვლიდა და ცდილობდა მათ შენახვა-შენარჩუნებას.

კერძო საკუთრების ლიკვიდაციის პერიოდში ივან სტეპანიჩი თავისი სტამბის დირექტორად ორი მოსაზრებით დანიშნეს: პირველი მოსაზრება ის იყო, რომ კარგი ხელოსანი იყო და საქმე კარგად ესმოდა, მეორე, სტამბის დოვლათს არაჩვეულებრივად უფრთხილდებოდა. ივან სტეპანიჩმა კმაყოფილებით მიიღო ეს თანამდებობა და ცდილობდა თავისი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა.

— ჩვენ ასოები კი არა, პირდაპირ ნაგავიღა დაგვრჩა, დროა ვიზრუნოთ ახალი შრიფტის შეძენისათვის! — გულისწყრომით ეუბნებოდა ფიდო დირექტორს.

— რაო, ნაგავიო! — ბრაზიანად გაიმეორა ივან სტეპანიჩმა ფიდოს სიტყვები და კალამი ხელიდან გააგდო. თითქოს სისხლი თავში აუვარდაო. სახეზე წამოჭარხლდა. გულში, ფარულად, სტამბაში ყველაფერს მაინც ისე უყურებდა, როგორც თავის საკუთრებას და საშინლად ეწყინა. — ნაგავი?! შენ ამით გინდა თქვა, რომ მუშაობაში შემოწმებული ნივთი აღარაფერი ღირს?! — დირექტორს ათრთოლებულ ტუჩებზე დამცინავი ღიმილი აღებეჭდა, — ხომ არ გგონია გეხვეწებით დამიბრუნოთ ჩემი სტამბა, ან საფასურით ამინაზღაუროთ?! ჩამომართვით? ღმერთმა შეგარგოთ, ალალი იყოს! მაგრამ მე არ მესმის, ამ ძველ, ნაამაგარ შრიფტს რად შეურაცხყოფთ?! ეს შრიფტი არ იყო, რომ შენც, მეც, ყველა ამათ პურს გვაჭმევდა? — სწრაფად წამოდგა, ფიდოს მაჯაში ხელი წაატანა და საამწყობო დაზგებთან მიიყვანა.

ფიდო ივან სტეპანიჩს კარგა ხანია იცნობს, მაგრამ ის ასე აღელვებული არასოდეს არ ენახა.

— შრიფტი დაძველდა, გაცვდა! ჰმ!.. — გესლიანად ჩაიცინა, — მა რა იქნება. შეხედე რანაირად არჩევენ ანაწყობს, ისე დაუზოგველად ჰყრიან კასებში, თითქოს რიყის ქვა იყოს. თქვე დალოცვილებო, გირვანქა ციცეროში თორმეტ აბაზს ვაძლევდი, პეტიტში სამ-სამ მანეთს ოქროთი. ესეც ოქროა, ფიდოჯან,

ამას მოვლა უნდა. შეხედე ამ შეკვრას, ახალ შრიფტს „პატაში“ გადასხმია... ეს დასაშვებია? პარტუჯრედის მდივანი ხარ, უნდა მიაქცევინო მუშებს ამაზე ყურადღება, მე არ მიჯერებენ!

სასტამბო ნივთებისადმი გულაცრუებული მოპყრობა მართლაც ამკარად ჩანდა.

ფიდომ თანხმობის ნიშნად, უფრო კი დასამშვიდებლად, ივან სტეპანიჩს მხარზე ხელი დაადო.

— ნივთს გაფრთხილება უნდა, მართალი ხარ, ივან სტეპანიჩ, მაგრამ შრიფტსაც სჭირდება შეცვლა. ეს შრიფტი საკმაოდ ამუშავე. დასვენების დრო მოუვიდა, ახლა საქმე იმაზე მეტი გვაქვს, ვიდრე წინათ გვქონდა, მაშასადამე, შრიფტიც მეტი გვინდა.

— ხელუხლებელი შეკვრებიც ჩაარჩიეს, ფიდო!

— მაინც არ გვყოფნის, ამას გარდა, ივან სტეპანიჩ, ლილვაკებს ტყავი გადააცვდა, დაიძენძა და მთავარი საზრუნავი ახლა ეს არის. შენც კარგად იცი, ძალიან აფუჭებს შრიფტს, ტყავი უნდა ვიშოვნოთ როგორმე...

— ჰო, მართალია, საღებავს ვეღარ სრესავს, ვეღარც ანაწილებს. საბეჭდი ფუჭდება. — დაემოწმა უკვე დამშვიდებული ივან სტეპანიჩი და ჩაფიქრდა.

— მუშაც წვალობს. მერე, ივან სტეპანიჩ, საწყობის საქმეა მოსაგვარებელი, ქაღალდიც...

— მართალი ხარ, — შეაწყვეტინა სიტყვა ივან სტეპანიჩმა, — წინათ შემკვეთელს მოჰქონდა თავისი ქაღალდი და... ეს ადგილი მყოფნიდა. ახლა, როგორ მოვიქცეთ, არ ვიცი. სახლის პატრონი მამასისხლის ფასს მოითხოვს ბინის ქირად. ხელსაყრელ ფასად ვერ დავითანხმე. ძალიან ჯიუტი კაცი ყოფილა. — გაიღიმა დირექტორმა, მერე ფიდოსთან მდგომ ბავშვს მოჰკრა თვალი და იკითხა:

— ვისია ეს ბიჭუნა?

ფიდო ირაკლის მოუბრუნდა და თავზე ხელი გადაუსვა, თითქოს უნდა ამით ბოდიში მოუხადოსო.

— ჩვენი ვანოს ბიჭია!

— ო, კარგი ბიჭი ჰყოლია! — დირექტორმა ნიკაპზე თითები მოუცაცუნა ირაკლის.

— რა გქვიან, ბიჭიკო?

— ირაკლი! — მორიდებულად უპასუხა თავდახრილმა ირაკლიმ.

— ივან სტეპანიჩ, ეს ბავშვი მოწაფედ მინდა ავიყვანო.

— ცოდოა, ფიდო, ჯერ პატარაა, დაიჩაგრება.

ფიდომ გაიღიმა.

— სულ ხომ ამ სარდაფში არ ვიქნებით, მალე გადავალთ კარგ შენობაში და...

— შენ იცი, ფიდო! — დირექტორმა ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო, დახედა, ისევ ჯიბეში ჩაიდო და კარებისკენ გაემართა. — მე ახლა ლილვაკების ტყავის საყიდლად წავალ, ერთ ადგილას მეგულება.

ფიდომ ირაკლი საამწყობო კასებთან მიიყვანა და ერთ ახალგაზრდა, ახოვანი ტანის შავგვრემან ყმაწვილს მიმართა:

— გიორგი, ეს ვანოს შვილია, შენი ოსტატის შვილი, ყოჩაღი ბიჭია და შენ იცი, როგორც შეასწავლი ხელობას. ღღეიდან შენი მოწაფე იქნება!

ირაკლიმ შეშფოთებული თვალები მიანათა გიორგის მოღიმარ სახეს. ამის სახეზე უნდოდა ამოეკითხა თავისი მომავალი ბედი. ირაკლი დამშვიდდა როდესაც პატიოსანი მუშის სახეზე გულთბილობა შენიშნა.

გიორგიმ ასოთკასაზე საპწკრე ჩამოდო, მტვრით გამურული შრიფტის ყუთი გვერდით კასასთან დაუდგა, მერე ირაკლი ორივე ხელით აიტაცა მაღლა და ზედ შეაყენა.

3

შეეჩვია ირაკლი სტამბას. უკვე ვეღარ ამჩნევდა უწესრიგობას. თანდათან გაიგო, რომ აქ რაღაც წესი და რიგი იყო, მაგრამ სივიწროვეს ვერ ურიგდებოდა.

საღებავისა და შმორის სუნსაც შეეჩვია, ხმაურსაც და მალე ჩურჩულით ლაპარაკის გაგებაც შესძლო.

შრომა უხალისო არ იყო.

ყველა თავგამოდებით მუშაობდა. ყველა ცდილობდა რაც შეიძლება მეტი საქმე გაეკეთებინა და ხელფასიც მეტი მიეღო.

ოცდახუთსანთლიან ელნათურებსაც შეეგუა ირაკლი. ეს სუსტი ელნათურები, პირველად ძლივს რომ ანათებდა სარდაფის წყვდიადს, ახლა საკმარისად ეჩვენებოდა და ბნელაში მოფუსფუსე მუშების სახეებზე, ადვილად კითხულობდა მათ განწყობილებას.

მუშები უხალისოდ როდი იყვნენ. არც ერთი მათგანი არ იყო, რომ მუშაობის დროს რამე საოხუნჯო სიტყვა არ ეთქვა, ამხანაგებიც სიცილ-ხარხარით ეხმაურებოდნენ.

მოწაფისათვის განკუთვნილ ექვს საათს ირაკლი ისე შეუმჩნევლად ატარებდა, რომ ხშირად სწყინდა კიდეც, როდესაც საქმე დაუმთავრებელი რჩებოდა.

ირაკლის დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარა ის გარემოება, რომ სტამბაში იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც კარგი მშობლებივით ზრუნავდნენ მუშების ოჯახებზე, მათ ხელფასზე, დასასვენებელ სახლში და სანატორიუმებში გაგზავნაზე. საცხოვრებელ ბინებზე და საერთოდ ყველაფერ იმაზე, რაზედაც კაცს უხდება ზრუნვა.

ხმამაღლა მსჯელობდნენ ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე, ერთმანეთს ეკამათებოდნენ, ჩხუბობდნენ კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც რიგდებოდნენ, გამოიტანდნენ რაღაც ისეთ დასკვნას, ისეთ გადაწყვეტილებას, რომ ყველა კმაყოფილი რჩებოდა.

მათი ლაპარაკი დამაჯერებელი იყო:

— ლენინმა და სტალინმა ასე თქვეს, ასე გვასწავლეს! — იმეორებდნენ ბელადების ბრძნულ აზრებს.

ირაკლი ლენინსა და სტალინს მხოლოდ სურათებიდან იცნობდა.

ერთ საღამოს, როცა ფიდო ნათელას რუსულ ენას ასწავლიდა, ირაკლი მასთან ოთახში შევიდა და ყოველთვის მორცხვმა და გაუბედავმა, ახლა თამამად სთხოვა:

— ძია ფიდო, თქვენ ლენინისა და სტალინის წიგნები გექნებათ, წაკითხვა შინდა, მათხოვეთ!

როდესაც ფიდომ გაკვირვებით შეხედა, ირაკლიმ საჩქაროდ დაუმატა:

— გაზეთში გავახვევ, სუფთად შევინახავ, თვალის ჩინივით გავუფრთხილდები!

ფიდომ მამობრივი ღიმილით უთხრა:

— ჯერ ადრეა!

ირაკლიმ უკან არ დაიხია.

— მე რუსული საკმაოდ კარგად ვიცი, გავიგებ!

ფიდოს უნდოდა ირაკლი დაერწმუნებინა, რომ ლენინისა და სტალინის ნაშრომების კითხვა მისთვის ჯერ ნაადრევი იყო, მაგრამ ახლაგაზრდა ყმაწვილს კოპებშეკრულ სახეზე შეატყო დიდი სურვილი და თაროდან რამდენიმე წიგნი გადმოუღო.

ირაკლი გულდასმით შეუდგა წიგნების კითხვას. მას ხშირად უხდებოდა ერთი და იგივე წინადადების რამდენჯერმე ამოკითხვა, საიდანაც ხვდებოდა, რომ ქვეყანაზე იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც არ მუშაობდნენ და კარგად ცხოვრობდნენ.

ესენი იყვნენ მეფაბრიკეები და მემამულეები.

ლენინი და სტალინი კი იმას ამბობდნენ, რომ მუქთახორები უნდა გავანადგუროთ და მშრომელთა ხელით შექმნილი მანქანები და ქარხნები საერთო სახალხო საკუთრებად გადავაქციოთო.

მრავალი ციფრი მოყავდათ მათ. ანგარიშობდნენ ყველაფერს, მანქანებს, საქონელს, მიწას, ფულს და გამოდიოდა, რომ ეს ყველაფერი მუშებსა და გლეხებს ეკუთვნოდა, მაგრამ მესაკუთრენი ყველაფერ ამას ძალით, პოლიციის დახმარებით ართმევდნენ მშრომელებს.

ამასთან, მუშებსა და გლეხებს მხოლოდ მესაკუთრენი კი არა მტრობდნენ, თურმე მუშებიდან და გლეხებიდანაც გამოდიოდნენ მოღალატეები, თავიანთი კლასის გამყიდველნი. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც თითქოს ხალხისათვის საკეთე სურდათ, რომელნიც შუამავლებივით გამოდიოდნენ მესაკუთრეთა და მუშებს შორის. ისინი მუშებს არიგებდნენ: რად გინდათ აჯანყება და დავიდარაბა, მშვიდად მოვრიგდეთ. თვალთმაქცურად წინ უდგებოდნენ ხალხს და არ აძლევდნენ საშუალებას მონობის ბორკილები დაემსხვრიათ.

ამისთანა ადამიანებს ლენინი და სტალინი ამათრახებდნენ, მასხარად იგდებდნენ, მიწასთან ასწორებდნენ!

ირაკლისათვის ნათელი ხდებოდა, თუ რა მრისხანე ძალას წარმოადგენდა მშრომელი ხალხი მჩაგვრელი კლასისათვის.

ირაკლის მოაგონდა თბილისელი წურბელა, ფაბრიკანტი ბოზარჯიანცი.

ახლა მიხვდა, თუ როგორ ჰყავდა მას დამონებული თბილისის ღარიბი ფენები, მათ შორის მისი საცოდავი დედაც.

მამაკაცები ფაბრიკაში მუშაობდნენ, შინ კი, ქალები და ბავშვები პაპიროსის „გილზებს“ ამზადებდნენ და ამავე გილზებს თამბაქოთი ავსებდნენ.

ბოზარჯიანცს უსიამოვნო გამომეტყველება ჰქონდა, ის დაბალი, სქელი და დამრგვალებული ტანისა იყო. დიდი ღიპი კიდევ უფრო დაბალ შესახედავობას აძლევდა. მის დასიებულ, გადმოკარკლულ თვალებს უსიამოვნო გამოხედვა ახასიათებდა. ევროპული ტანსაცმელი მის უშნო ტანს მეტად ცუდად ედგა. კვირაობით ჩამოივლიდა გუდოვიჩის ქუჩიდან, სადაც ეკლესიასავით დახატული ქვის სამსართულიანი შენობა ჰქონდა.

ოქროსსახელურიანი ჯოხის ქნევით გაჰყვებოდა ვიწრო ქუჩებს და ბნელ

სოროებში ჰყოფდა თავს, მის მიერ „შეწყნარებულ“ და „გაბედნიერებულ“ სამუშაოზე აყვანილ ხალხის სანახავად.

მას მუდამ თან ახლდა ორი ოსტატი: ბეგა და არსენა, დაწინაურებული მუშები, რომლებსაც ანდობდა უბანში სამუშაოს განაწილებას და ხელფასის გაცემას. ბეგა და არსენა გაიძვერა და დაუნდობელი წურბელები იყვნენ.

ბოზარჯიანცი შეაღებდა რომელიმე ღატაკის კარს, მოჩვენებითი გულისტკივილით გამოჰკითხავდა მათი ცხოვრების ამბავს, ერთ-ორ სახუმარო სიტყვასაც ეტყოდა და ვერცხლის ათშაურიანს მიუგდებდა. მერე მიუბრუნდებოდა თავის მხლებლებს:

— მიეცით ამ ხალხს სამუშაო, მადლია, იცხოვრონ!

ბოზარჯიანცმა წინასწარ იცოდა თუ ვისთან უნდა მისულიყო, სად რამდენი მუშახელი იყო. „ხელის გამართვის“ მიზნით რამდენიმე მანეთსაც დაუტოვებდა და მომადლიერებულ მასპინძელს ტკბილადაც ეტყოდა:

— რა საჭიროა მადლობა, ღვთის შვილები ვართ, ცოცხლები ვიყოთ და გავსწორდებით.

ამ მანეთებით კი ამ ხალხს თავის კლანჭებში მოიგდებდა ხოლმე და დიდხანს ეწეოდა მათ ექსპლოატაციას.

წყალსადენთან, სადაც ირაკლი ბავშვებთან ერთად ხშირად თამაშობდა, ხნიერი ქალებისაგან ბევრჯერ გაუგონია:

— ღმერთმა უშველოს ბოზარჯიანცს, ის რომ არ ყოფილიყო, წამლის ფულს ვინ მომაქვავებდა?!.

მაგრამ ირაკლის, ისიც ბევრჯერ გაუგონია, როდესაც მუქთა შრომით წელშიგაწყვეტილ დედაკაცებს მწარე ბოღმით უთქვამთ:

— მეტი რა ძალა მაქვს, სხვა რა შავ ქვას ვახალო თავი... ოჯახისა და ბავშვებისათვის ვერ მომივლია... ჩემს ქმარს დღეში ორ აბაზზე მეტი არა აქვს, ამ გაჭირვებაში მეც რამე თუ არ გავაკეთე, არ შეიძლება!

— ეგ წაწყმედილი ბოზარჯიანცის მოცემული სამიშაური თუ თვრამეტი კაპიკი მაინც საჭიროა. თვალები გამიწყალდა, ველარაფერს ვხედავ, მაგრამ როგორ მივანებო თავი, როცა მაგისი ვალიდან ველარ ამოვედი? ბევრჯერ გადავწყვიტე, ვეტყვი ბეგას ან არსენას: „ხვალ ნულარ მომიტანთ სამუშაოს, თქვენი აღარა მინდა რა“, და სწორედ ამ დროს, თითქოს დაბარებულიაო, თვითონ მოვა ხოლმე. ტკბილად მომიკითხავს, ბავშვებს კამფეტს დაურიგებს, მერე თავის ვალსაც გამახსენებს, აქეთ ჩემს გაჭირვებაზე ჩამომიგდებს მასლაათს, მეც უარს ველარ ვეუბნები... თვალი დაუდგეს გაჭირვებას!

ირაკლის ხშირად შუაღამეზეც გამოღვიძებია და ლამფის მბჟუტავ შუქზე დაუნახავს თავისი საწყალი დედა, რომელიც მაგიდასთან მჯდარა და კუზიანივით წელში მოხრილი, გამალებით ამოძრავებული თითებით გრეხდა და ახვევდა პაპიროსის „გილზებს“.

შაბათობით, როცა არსენა და ბეგა ხალხს ანგარიშს უსწორებდნენ, ყაყანი და ჩხუბი იმართებოდა ოფლითა და სისხლით მონაპოვარი „კაპიკების“ დაკლების გამო. მაშინ ბეგასა და არსენას ქედმაღლურად უთქვამთ, რომ ბოზარჯიანცი თქვენში არავითარ „ხეირს“ არა ხედავს, რომ ის „მადლისათვის“ გაძლევთ სამუშაოს, თქვენ კი ამას არა ხედავთო.

დედაკაცები ქოქოლას აყრიდნენ.

— გაგიწყრეთ „ხეირიც“ და „მადლიც“.

მაშინ ირაკლი ვერ ხვდებოდა თუ რა „ხეირზე“ და რა „მადლზე“ იყო ლაპარაკი.

ახლა კი მიხვდა, რას ნიშნავდა „ხეირი“, მიხვდა, რა „ხეირი“ ჰქონდა მეპატრონეს გაძვალტყავებული ხალხისაგან.

ერთხელ ირაკლიმ ფიდოს ბოზარჯიანცი და მისი „ხეირი“ მოაგონა. მერე ჰკითხა:

— ჩვენ რომ ვმუშაობთ, ჩვენი ნაშრომით ვინ სარგებლობს?

ფიდომ ირაკლის თვალებში ჩახედა და მიხვდა, რომ ყმაწვილს უკვე გონება გახსნოდა.

— ჩვენ ვსარგებლობთ, ჩვენ!

— როგორ?

— როგორ და ისე, რომ საბჭოთა კავშირის მიწა-წყალზე რაც კეთდება, საერთო-სახალხო საკუთრებაა, სახელმწიფო განაგებს ამ საკუთრებას, მშრომელთა ქვეყანაში კი სახელმწიფო ჩვენა ვართ, შენ, მე, ის. ხალხის შექმნილი ხალხს ხმარდება. დასვენება, კურორტები, სწავლა-განათლება, უფასო მკურნალობა. ყველაფერი ეს ხომ ხალხზე ზრუნვაა, მშრომელ ხალხზე.

— თუ არ ვიმუშავებ ?

— ეგ როგორ შეიძლება?! სოციალისტურ სახელმწიფოში ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს!

ამის შემდეგ ფიდომ ირაკლის ურჩია მუშფაკში შესულიყო. ახალგაზრდული გატაცებით ირაკლი დაეწაფა სწავლას. ბევრი რამ ახალი გაიგო. გონება გაუხსნა მარქსიზმ-ლენინიზმის დიდმა მოძღვრებამ.

4

მოწაფეობის წლები ირაკლიმ ივან სტეპანიჩის სარდაფში გაატარა. მეორე წელს, როდესაც ყოფილი მეპატრონე დირექტორობიდან გაათავისუფლეს და მის მაგიერ სპირიდონ იმნაიძე დანიშნეს, სტამბა ამ სარდაფიდან ერთ-ერთი შენობის პირველ სართულზე გადაიტანეს.

რამდენიმე წლის განმავლობაში ირაკლი კარგი ოსტატი დადგა. ძველი ასოთამწყობები მას უკვე ისე ეჭცეოდნენ, როგორც მათი ხელობის ღირსეულ მემკვიდრეს.

ირაკლის სწამდა, რომ ყველა ხელობას ესაჭიროებოდა კულტურული და მცოდნე ადამიანები. უყვარდა სტამბის საქმე, უყვარდა წიგნი, ყოველდღიური სწავლა კი მას დედნების კითხვასა და აწყობაში დიდად ეხმარებოდა.

*

* *

ერთ დილას სტამბის ეზოში ხმაურით შემოვიდა ყვავილებით სავსე ფორანი. მეფორნის გვერდით იჯდა სტამბის მომმარაგებელი კირილე შაფაქიძე, რომელსაც იღლიაში პორტფელი ამოეჩარა და დილის სუსხით შეწუხებულს ქუდი ცხვირამდე ჩამოეფხატა.

მუშაობის დაწყებამდე საუბარში გართული მუშები ყვავილების დანახვაზე წამოიშალნენ და ფორანს გარს შემოეხვივნენ. ყველამ დაიწყო ყვავილების სინჯვა და არჩევა.

კირილე შაფაქიძემ ქუდი გაისწორა, პორტფელი მეფორნეს გადასცა და ხალხს შესძახა:

— ასე ვერ მოგცემთ ყვავილებს, საამქროს უფროსები მოიყვანეთ და გავანაწილებ. ეს მე ჩემთვის არ მინდა, თქვენთვის ვიწვალე!..

— მაგ ყვავილების მოტანას სჯობდა სამუშაო ხალათებზე გეზრუნა, — უსაყვედურა პავლე ალექსეევმა.

— რა ვქნა, ჩემო პავლე, დირექტორმა ბრძანა სასწრაფოდ ყვავილებით მორთეთ საამქროებიო და მეც, ხომ ხედავთ, ვიშრომე, აგერ, რამდენი ბალახბულახი მოვზიდე. ტანსაცმელისათვის თანხები ჯერ არა გვაქვს, თორემ აქამდეც შეგმოსავდით. სამკერვალო ფაბრიკა ფულის გადარიცხვას ელოდება. ხალხო, ახლა მომეშველეთ გადმოვალაგოთ ეს ყვავილები.

ამ ყვავილებში ირაკლის ძალიან მოეწონა ერთ კარგა მოზრდილ ქილაში მოთავსებული პატარა ყვავილი, მისი ფოთლები თუთის ფოთლებსა ჰგავდა. ფოთლებში გაშლილი პირისფერი ყვავილები ბავშვის უმწიკვლო ბაგესავით გამოიყურებოდნენ. ყველა ეტანებოდა ვარდებს, ალეანდრებს, პალმებს, მაგრამ ამ პატარა, ნაზი ყვავილისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ირაკლიმ გადაწყვიტა სწორედ ეს ყვავილი დაედგა თავის სამუშაო ასოთკასასთან.

პავლე ალექსეევსაც თურმე თვალი ამ ყვავილზე ეჭირა. მან ერთი წუთით დაასწრო ირაკლის და ხელი დატაცა.

— აი, ნახეთ თუ ელენეს არ აურბენინოს, — შენიშნა ერთმა მუშამ.

— არ მოუხდება თუ?

— ზრუნვაც ასეთი უნდა გულის სწორისათვის.

— კარგი წყვილია, მე და ჩემმა ღმერთმა!

ამ სიტყვების გაგონებაზე ირაკლის ყვავილზე გული აღარ დასწყვეტია. სამაგიეროდ მან ფიკუსის პალმას წაავლო ხელი და თავის საამქროში შეიტანა.

აწკარუნდა ზარი. მუშაობას შეუდგნენ. შავი ულვაშების სწორებით სალინოტიპოდან გახარებული გამოვიდა პავლე და საამქროს კმაყოფილებით გადახედა.

ხან ერთ მუშასთან მივიდოდა, ხან მეორესთან, ღიმილით მიმართავდა მათ. ღინჯად, დაფიქრებით უსმენდა ყველას, მერე რჩევას აძლევდა, გულისყურით უსწორებდა სამუშაოს. ყოველ მის მოძრაობაში რაღაც იდუმალი სიხარული გამოიხატებოდა. გულში ღიღინებდა კიდეც.

ირაკლისთან მივიდა. აქ პავლემ ფიკუსის ორი ერთმანეთში გადახლართული ფოთოლი შეასწორა და ხუმრობით დაუმატა:

— სამუშაო საათებში ხვევნა დაუშვებელია!

ირაკლის გაეღიმა.

პავლეც ღიმილით შევიდა თავის საამქროს შუშაბანდიან კაბინეტში.

ცოტა ხნის შემდეგ ფიდო და სპირიდონიც შემოვიდნენ.

— როგორ არის საქმე, შეარჩიე თუ არა კარგი ასოთამწყობი ლინოტიპზე გადასაყვანად? — ჰკითხა სპირიდონმა პავლეს და პაპიროსის კვამლი ღრმად ჩაისუნთქა.

— ვერავინ შევარჩიე, ამხანაგო დირექტორო, ალბათ ვერც შევარჩევ. კვალიფიციური ასოთამწყობები ისედაც მაკლია, ახალი მოწაფე მივიღოთ, ასე აჯობებს!

ფიდომ პავლეს გამომცდელი თვალით შეხედა და სპირიდონს მიუბრუნდა:

— მე ვიცი ვინც უნდა გადავიყვანოთ. ირაკლი კერესელიძეზე რას იტყვით?

პავლეს ერთი წუთით თვალწინ წარმოუდგა მოხუცებული ვასო კუტივაძის საამქრო, სადაც ელენეს გვერდით ლინოტიპზე იმუშავებდა ჯანლონთ სავსე და საქმის ერთგული ახალგაზრდა მუშა ირაკლი კერესელიძე. მაგრამ იმანაც გაუელვა გონებაში, რომ ირაკლი, ასეთი წარმოსადეგი ყმაწვილი ელენეს გვერდში იქნებოდა. შეკრთა პავლე და ელდანაკრავივით წამოიძახა:

— არა, ირაკლი არ შეიძლება!

— იქნება შენ თვითონ გინდა გადასვლა? — შეეკითხა სპირიდონი.

პავლე სიამოვნებით გადავიდოდა ელენესთან, მაგრამ ახლა ამის თქმა არ შეიძლებოდა. პარტკომმა კანდიდატი უკვე დაასახელა; მეორეც, პავლე საამქროს უფროსი იყო და ხალხი რას იტყოდა, ლინოტიპზე რომ გადასულიყო?

— მეე?! როგორ?! — ნაწყენი ხმით უპასუხა პავლემ.

— მაშ რა გაქვს ირაკლის საწინააღმდეგო! — მწყრალად ჰკითხა ფიდომ.

— ამხანგო ფიდო, მიზეზი ის არის, რომ მაგისთანა კარგი ასოთამწყობი საამქროში თითქმის მეტი არავინა მყავს.

— ეგ მართალია. ხელოსნებში ყველაზე უკეთესი და ყველაზე ახალგაზრდაა... — წარმოსთქვა ფიდომ.

— ლინოტიპზეც სწორედ ასეთია საჭირო, — ჩამოართვა სიტყვა დირექტორმა ფიდოს და პავლე ირაკლის დასაძახებლად გაგზავნა.

პავლე კაბინეტიდან გავიდა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა.

— იქნება თვითონ პავლეს უნდა სალინოტიპოში გადასვლა, ვერ ბედავს სურვილის გამომჟღავნებას. ალბათ იმიტომ არის ირაკლის გადაყვანის წინააღმდეგი?

— არა, ამხანაგო სპირიდონ, ირაკლი კარგი ხელოსანია და მისი მოშორება უმძიმს. ეს შენც კარგად იცი, ყველა საამქროს უფროსს ასე სჩვევია.

ირაკლი უხერხულად შეჩერდა დირექტორის წინ. სიტყვის მოლოდინში საბწკრეში ჩალაგებულ ასოებზე გამურული თითები აათამაშა.

დირექტორმა მას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— მე და ფიდომ გადავწყვიტეთ სალინოტიპო საამქროში გადაგიყვანოთ. კარგი არ იქნება?

— რა მოგახსენოთ, მე ლინოტიპზე აწყობა არ ვიცი!

— შეისწავლი. — გაამხნევა ფიდომ.

— რა დროს ჩემი მოწაფეობაა?!

— ჯერ ახალგაზრდა ხარ, სწავლა სიბერემდეო!..

— ალბათ ხელფასზე ფიქრობს, — შენიშნა დირექტორმა, — ხელფასი შეგენახება. როცა შეისწავლი აწყობას, დამიჯერე, ერთი-ორად გამოიმუშავებ, ნუ გეშინია. შევთანხმდით?!

ირაკლიმ დუმილით უპასუხა.

*

* *

ამ საამქროში ერთი ლინოტიპი მუშაობდა. მის გავარვარებულ ქვაბში ლითონი თოვლივით თეთრად დნებოდა. გამდნარი ლითონის ორთქლი კი თამბაქოს კვამლივით მიიზლაზნებოდა ჭერისაკენ.

ცხელოდა.

ლინოტიპი საათივით წიკწიკებდა და მხოლოდ დროგამოშვებით აჩხრიალდებოდა, თითქოს ლითონის მაგიდაზე ვერცხლის ფულებს ჰყრიდნენ. მანქანის

განმანაწილებელი ლარტყი, ეტყობოდა კარგად მუშაობდა, რომ თითრეული სტრიქონის დამთავრების შემდეგ მატრიცები ყულაბაში თავისუფლად მისრიალებდნენ. ჩამოსხმული სტრიქონები კი, კალმახებივით გამოხტოდნენ საამწყობო დაფაზე და ერთიმეორეზე სვეტად ლაგდებოდნენ.

სახელოებაკეცილი ელენე მანქანასთან იჯდა და მის კლავიშებზე თავის გრძელ, ლამაზად მოყვანილ თითებს ელვის სისწრაფით ათამაშებდა. ისე იყო გართული მუშაობით, თითქოს ლინოტიპს კი არა, პიანინოს მიჯდომია და საყვარელი მელოდიის ჰანგებს გაუტაცნიაო.

ელენე ბროძელი, ტანადი და შავგვრემანი, ხალისიანი ქალიშვილი იყო. მარჯნისფერი ტუჩები ისე უღიმოდა, თითქოს საალერსო სიტყვის თქმას აპირებენო. მარგალიტებივით უბრწყინავდა თეთრი კბილების მწკრივი. მოშვილდულ, შავ წარბებქვეშ შავივე თვალები უციმციმებდნენ. ეს სიცოცხლით სავსე თვალები მოუსვენრად დახტოდნენ დედნის სტრიქონებზე და მანქანის კლავიშებზე.

ელენე ძველი ასოთამწყობის შვილი იყო. ადრე დაობლებული მამის მეგობრებმა სამხედრო სტამბაში ლინოტიპზე მოწაფედ მიაბარეს. ეს იყო პირველი და ერთადერთი ლინოტიპი თბილისში. ელენე მონდომებით მოეკიდა ამ ხელობის შესწავლას. იმ სტამბაში ელენემ ოთხი წელი დაჰყო. ერთხელ პროფკავშირის კრებაზე პავლე ალექსეევს გაეცნო. ახალმა ნაცნობებმა ერთმანეთისადმი სიმპატია იგრძნეს. შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მალე ვაჟმა ქალს გული გადაუხსნა და ელენეც მიენდო მშრომელ ვაჟკაცს. ერთად მუშაობა გადაწყვიტეს. და როცა მათ სტამბაში პირველი ლინოტიპი მიიღეს, პავლემ დირექტორს სთხოვა და ელენე თავის საამქროში გადმოაყვანინა.

დირექტორი მეორე ლინოტიპის დადგმაზე მომუშავე ვასო კუტივაძეს ელაპარაკებოდა, ირაკლი გაოცებით შესცქეროდა ელენეს. მისი სილამაზით დატყვევებულს, უკვირდა რატომ დღემდე ვერ შეემჩნია ეს შეუდარებელი მომხიბვლელობა.

ლინოტიპი მოულოდნელად შეჩერდა. ელენე წამოდგა. ხელი ჩაავლო სტრიქონებით გავსებულ საამწყობო დაფას და დაზგისაკენ გაემართა. ანაწყობი დაზგაზე დააწყო და მაშინვე ლინოტიპს დაუბრუნდა.

ირაკლის თვალებში ელენემ საოცნებო ლანდივით გაირბინა. თვალი შეავლო. თითქოს გაუღიმა კიდეც. ირაკლის ეს ღიმილი სამუდამოდ ჩარჩა გულში.

ელენეს წინადაც იცნობდა, წლების მანძილზე ხვდებოდა მას, როგორც კომკავშირის უჯრედის მდივანს, როგორც მუშფაკის სტუდენტს, როგორც ერთი სტამბის თანამშრომელს, სამუშაოზე, სასადილოში, კრებებზე. მისი ცოცხალი და ცქრიალა სახე ხიბლავდა მას, მაგრამ მის გულში არასოდეს არ გამოუწვევია ისეთი გრძნობა, თუნდაც ოდნავ მაინც რომ დამსგავსებოდა დღევანდელ განცდას.

— კარგი ბიჭი შეგირჩევიათ, ამხანაგო დირექტორო, სანამ ამ ლინოტიპს დავდგამდე, მანამდე შევასწავლი კიდეც ხელობას, აბა, მიდი და ელენეს გვერდში ამოუდექი. — გამოელაპარაკა ვასო კუტივაძე ირაკლის და თამბაქოს წევითა და არყის სმით გამოხუნებულ ულვაშებზე ხელი გადაისვა.

ვასოს ხმამ ირაკლი გამოარკვია, როგორც ნამძინარევმა თვალები დაახამხამა, მაგრამ იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება განიცადა, რომ მაინც ვერ გამოერკვა.

— ელენე, შენ იცი, როგორც მოამზადებ ირაკლის ამ ახალი ლინოტიპისათვის, მეც დაგეხმარები. — მიმართა ვასომ ელენეს.

— მე კარგად ვიცნობ ირაკლის, ადვილად აითვისებს, დიდი ჯაფა არ დამჭირდება. არხეინად იყავით, ძია ვასო.

— აბა თქვენ იცით! — ჩაილაპარაკა ვასომ და იქვე დაზგაზე დაწყობილ ლინოტიპის ნაწილების წმენდა განაგრძო.

ელენემ ირაკლის შეხედა და შეკრთა. ის სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. იგრძნო, ყურებამდე გაწითლდა.

— ირაკლი, ეგ ყვავილი ტუმბოზე გადადგი და სკამზე ჩამოჯექ, — განგებ ცივი ხმით მიმართა ელენემ, თითქოს ამით ანიშნა, ეგ დაჟინებული მზერა არ შეგეფერებაო.

შერცხვა ირაკლის. პავლეს მოტანილი ყვავილი ტუმბოზე გადადგა. მას აღარ უნდოდა ელენესაკენ შებრუნება. გაიფიქრა: „ნეტავ რად დავთანხმდი სალინოტიპოში გადმოსვლაზეო“. მაგრამ მალე, ელენეს გაბედულმა ხმამ და დამაჯერებელმა დარიგებამ სრულიად გაჰფანტა ირაკლის გულში დაბუდებული ეჭვი. ელენე კი აუჩქარებლად უხსნიდა ლინოტიპის ნაწილებს, ის ირაკლისთვის ისევ ამხანაგად იქცა.

— ჯერ მანქანის მთავარ ნაწილებს გავეცნობით. ეს არის კლავიატურა, ანუ ის ასოთკასა, რომელზეც ამდენ ხანს მუშაობდი. შეახებ თუ არა ხელს, იმ წამსვე ყულაბიდან ჩამოვარდება მატრიცა, რომელსაც ეს პატარა ბორბალი საპწკრეში მიიტანს.

ირაკლი გულმოდგინედ უსმენდა ელენეს და მანქანის სწავლის ინტერესი თანდათან უცხო

ზვირთებს. ხიდის ქვეშ, ლილისფერ ლოდებს ქშენით ეხეთქებოდა აქაფებული მტკვრის ტალღები და შხუილით მიემართებოდა ქვევით.

მზისგან ბრინჯაოსფრად გარუჯული ორი პატარა ბიჭუნა ქვიტკირის კედლიდან ხტებოდა. ისინი მჩქეფარე ზვირთებს ცურვით მიჰყვებოდნენ კედლის ბოლომდე. და იქ, ვეებერთელა ქვის ქიმზე ხელებჩაბღაუჭებულნი ფოფხდებოდნენ, ადიოდნენ მაღალ კედელზე და ისევ თავდაყირა ეშვებოდნენ წყალში.

ირაკლიმ თვალი გააყოლა მტკვრის მდინარებას, წლობით დაგროვილ ნაგვით სავსე ნაპირებს რომ ეხეთქებოდა.

ვორონცოვის პატარა ხიდამდე მარჯვენა სანაპირო ერთ მთლიან სანაგვეს წარმოადგენდა. ქალაქის სიბინძურეს აქ ეზიდებოდნენ და ისეთი სუნი იდგა, რომ გამვლელს თავსა ატკიებდა.

ირაკლიმ ამხანაგებით სატივესკან ჩაუხვია.

პაპანაქება სიცხეშიც კი ატალახებული ეს გზა, ბორნამდე მიდიოდა. ძველ ბურჯებიან ქვიტკირის გალავანთან გზა ორად იყოფოდა: ერთი მარცხნივ, ბოსტანსა და სასაფლაოს გორაკს შუა, ლენინის ქუჩისაკენ აღმართით ადიოდა, მეორე კი, მდინარე ვერეს მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა საბურთალოს ხიდამდე და საქართველოს სამხედრო გზატკეცილს უერთდებოდა.

ბოსტანსა და ძველ ცირკს შუა, ქოხმახებს შორის, სანაპირო ფართოვდებოდა. სასაფლაოს კლდის ძირში, ორი სახერხი ქარხანა იყო, სადაც წყლიდან ამოზიდული სველი ბოძები ეწყო. მტკვარზე კი, ორთაყვირმოხსნილი და თოკებით ნაპირზე მიბმული ტივები ირწეოდნენ.

ტივები სავსე იყო ბრინჯაოსფრად დამწვარი მობანავე ახალგაზრდებით. იშვიათად თუ გამოერეოდა მათში მზის სხივებით გაურუჯავი სხეული.

ერთი ხმაური და ჟრიამული იდგა, წყალში ტყაპატყუპი ისმოდა. ერთმანეთს ეძახდნენ, ერთიმეორეს უჩვენებდნენ ცურვის ახალ ხერხებს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იცინოდნენ და გაჰკიოდნენ.

ირაკლი და მისი მეგობრები მიჰყვებოდნენ გზას, ხედავდნენ მზეზე გამოფენილ ახალგაზრდობის სიხარულს და მათი გულიც სიხარულით ივსებოდა.

ირაკლი ახლაც ელენეზე ოცნებობდა. იგონებდა ელენეს ყოველ სიტყვას, მის ყოველ გამოხედვას და გულის სასწორზე სწონიდა, ცდილობდა ელენეს ნათქვამისათვის სარჩული დაედო, გაერკვია ცბიერად ხომ არაფერს ეუბნებოდა?! მას ჯავრიც მოსდიოდა, თუ რად აღელვებდა ელენეს ყოველი სიტყვა, რად სძიძგნიდა მის გულს ნათქვამის აზრი? მისი შაგვრემანი, მოღიმარე სახე თვალთაგან არ შორდებოდა. ხანდახან გადაიხრებოდა დედნის ასაღებად, ქურდულად გამოხედავდა ირაკლის, წამწამებს შორის თვალები მოეჭუტებოდა, თითქოს ეს-ეს არის უნდა გააპოს თავისი მარჯნის ბაგეები, გამოაჩინოს თავისი თეთრი კბილები და მერე გადაიგდოს კისერი უკან, რომ დამცინავად აკისკისებულიყო. ირაკლის გულისთქმას თუ გაამხელდა ამით მთელ საამქროს შეჰყრიდა. და ვეღარ წარმოედგინა მას, თუ რას იზამდა მაშინ ირაკლი?!.

მაგრამ არა, ელენე ლინოტიპისკენ შებრუნდებოდა და ბაგემოკუმული, წამწამებდახრილი განაგრძობდა კლავიშებზე თითების თამაშს.

მტკვარში, ბორნიდან თითქმის ობსერვატორიამდე, ვიწრო ზოლად გადაჭიმული იყო ტირიფებითა და ბუჩქებით დაფარული კუნძული. ეს კუნძული მწვანე გვირგვინსა ჰგავდა — გრძელსა და ვიწრო ზურმუხტს ვერცხლის ჩარჩოში. ამ მწვანე პატარა კუნძულს გარშემო ერტყა მზით გაბრწყინებული ქვიშნარი.

თბილისში ასეთი ბუნებრივად წარმოქმნილი საბანაო ადგილი სხვაგან არსად მოიპოვებოდა. აქ თავს იყრიდნენ ქალაქის ყველა უბნიდან: დიდუბიდან, ვერიდან, კუკიიდან, მთაწმინდიდან, ჩუღურეთიდან და ისნიდანაც.

ამხანაგებმა პარკის ხეივანი გაიარეს. ბაღის ბოლოში წალეკილ ჯებირთან შეჩერდნენ და ტანსაცმელის გახდა დაიწყეს.

ირაკლიმ ტანთ გაიხადა. მზეზე ნაწრთობი ბრინჯაოსფერი მხრები და მკლავები გამოუჩნდა. მოჭიდავესავით სავსე და განიერი მკერდი ბალნით ოდნავ დაჰფარვოდა. მისი ტანი კუნთებად იყო ქცეული. წვრილი წელი და გრძელი ფეხები შვენოდა ვაჟკაცს. მთელი მისი სხეული ძალასა და სიჯანსაღეზე მეტყველებდა.

ბიჭებმა ქამარშემოკრული ტანისამოსი ცალი ხელით მაღლა, წყალს ზევით დაიკავეს და მდინარეს ქეშად გაჰყვნენ. მხოლოდ მდინარის შუა მანძილის გაცურვა მოუხდათ, რადგან აქ წყლის სიღრმე მათ სიმაღლეს აღემატებოდა. ერთი-ორი მოსმის შემდეგ, ფეხი ისევ წყლის ფსკერზე მოიკიდეს და კუნძულზე გადავიდნენ კიდეც.

ირაკლის ამ კუნძულზე უყვარდა სიარული. მის შუა ადგილას, მაღალი ტირიფების ქვეშ პატარა მოედანი მოსძებნა. ირაკლი ცურვის შემდეგ ქვიშაზე წვებოდა და წიგნის კითხვას ან ოცნებას ეძლეოდა.

ცურვაში დიდ სიამოვნებას გრძნობდა. მაშინ ის თავის თავს ფრინველისა და თევზის სილაღეს ადარებდა და უსაზღვრო ხალისი ეუფლებოდა. ამიტომ ამ პატარა ადგილს, აქ ამართული შვიდი ტირიფის ჩრდილს, ბუჩქებს შორის მტკვრის ლივლივა ტალღების ცქერას, არაფერი ერჩივნა.

— აბა გამომყევით! — შესძახა ირაკლიმ და ხელებაწვდილი ნელ-ნელა შევიდა წყალში. ჯერ მუხლებამდე, მერე წელამდე, შემდეგ მკერდამდე და ასე განაგრძო სვლა, თითქოს წყლის სიღრმე აღარ მატულობდა, თითქოს წყალი ირაკლის მხოლოდ მკერდამდე სწვდებოდაო. ასე გასჭრა ტალღები. ცოტა ხნის შემდეგ კი, თითქოს წყალმა შთანთქაო, ჩაიძირა. როცა თავი კვლავ ამოჰყო, შუა ტალღებში იყო, აქ, ის ტალღებზე გაწვა და ისე მოეწყო, თითქოს სავარძელში ჩაჯდაო. მერე მძლავრი მხარულით ამხანაგებისაკენ გასცურა.

— შესანიშნავად ცურავ, ძმაო, შესანიშნავად! — აღტაცებით წარმოსთქვა ერთმა ამხანაგთაგანმა.

— იბანავეთ, ბიჭებო, იბანავეთ, ახლა მე გიყურებთ!

ირაკლი ქვიშაზე გაწვა. თითქოს ელენემაც მის წინ მოიკეცა ცისფერყვავილებიან კაბაში. შესცქეროდა და სცხვენოდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, რომ მის გამოხედვაში ოდნავი სიხარული მაინც შეეტანა, მოეხსნა ეს რაღაც უცნაური ტვირთი, გულზე რომ მძიმედ აწვა, რომ ქენჯნიდა და სტანჯავდა.

ერთ წამს ისიც წარმოიდგინა, ვითომ გაბედა და უთხრა კიდეც ეს საკვირველი სიტყვა. ელენემ მშვიდად მოუსმინა, თითქოს ჩაფიქრდა კიდეც, მაგრამ, მერე? რა უნდა ექნა მერე ირაკლის? ეს მას ვერ წარმოედგინა და გადაწყვიტა, ასე უთქმელად გულში ეტარებინა თავისი ფიქრი.

— ირაკლი, ამ მზეზე მთლად დაიწვები, წავიდეთ, ძმაო! ბურანში წასულ ირაკლის უთხრეს ამხანაგებმა.

ირაკლიმ თავი მაღლა ასწია და ნასიცხარი, ამღვრეული თვალებით უკმაყოფილოდ შეხედა ამხანაგებს, ეწყინა რომ ფიქრში გართულს ხელი შეუშალეს.

— თუ გინდათ, წადით, მე აქ დავრჩები... — უგულოდ მიუგო ირაკლიმ.

ბოლო ხანებში ირაკლის ამხანაგებიც ამჩნევდნენ მოწყენილობას. მაგრამ მიზეზი ვერ გაეგოთ. ახლაც, რაკი გაიგეს, რომ ირაკლის ცალკე ყოფნა უნდოდა, მარტო დატოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

მზე დიდი ხანია მთაწმინდას ამოეფარა, წითლად შეღებილ ღრუბლებს ოქროს სხივები სერავდნენ.

მზე არ ჩანდა, მაგრამ დასავლეთიდან თითქოს ალავარდნილი კვამლი ამოდიოდა და ცის ოქროსფერ ფარჩას თანდათან ჰფარავდა.

ბინდდებოდა.

ირაკლი მტკვრის მარცხენა ნაპირზე გამოვიდა.

რამდენიმე კაცი დარჩენილიყო საბანაოდ.

იქვე ახლოს, ბუჩქებში კამათელს თამაშობდნენ.

ირაკლი იქით გაეშურა. უნდოდა გულიდან მოეცილებინა აკვიატებული ფიქრები და ბუჩქებს შუა, დატკეპნილ სილაზე ჩაცუცქულ, მოთამაშეების ჯგუფს მიუახლოვდა. მებორნისაგან წამოღებული „ღამურა“ ლამპა ოდნავ ანათებდა მოთამაშე ბიჭების მზისგან დამწვარ სახეებს.

მოთამაშენი აზარტში შესულიყვნენ.

ერთი, ტანწვრილი, აზიურ ჩექმებში და შევიოტის შარვალ-ხალათში კოხტად პირგაპარსული ყმაწვილი იყო. შავი წარბების ჩრდილში დიდრონი ლამაზი თვალები მოუსვენრად უელავდნენ, კბილებში გაერჭო ჩამქრალი პაპიროსი, მარცხენა ხელში ხუთ და ათ თუმნიანები ჩაებღუჯა და ცალ მუხლზე წაჩოქილი, მარჯვენა ხელით კამათელს აგორებდა.

მეორე ცალ მუხლზე წაჩოქილი, მარცხენა ხელი მუხლზე დაყრდნობილი, მოუთმენლად დაჰყურებდა კამათლებს.

ირაკლი უნებურად დააცქერდა მის ფართო პირისახეს, მოკლე და ოდნავ პაჭუა ცხვირს და მოაგონდა ბავშვობის მეგობარი, ხუჭუჭთმიანი, შუბლმაღალი, შავგვრემანი ბიჭი, ვახტანგ მღებრიშვილი.

ირაკლი განცვიფრებით შეაჩერდა ბავშვობის ამხანაგს, არა სჯეროდა, რომ ის იყო. ბავშვობისას ისეთი კეთილი, პატიოსანი, სათნო, ამხანაგების მოყვარული და წიგნების მოტრფიალე მეოცნებე ბიჭი იყო.

— ამას აქ რა უნდა? — წაიჩურჩულა თავისთვის ირაკლიმ.

ვახტანგი დამარცხებულ მოჭიდავესავით ნელა წამოდგა. შუბლზე ჩამოშლილი თმა თითებით გადაივარცხნა.

ირაკლი თვალს არ აშორებდა ვახტანგის დახეულ ტანსაცმელს და მრავალ ადგილას დაკერებულ ფეხსაცმელებს.

ვახტანგი მოშორდა ამხანაგებს, ის კუნძულის კოცონზე ქანდაკებასავით უძრავად გაჩერდა. ღრმად ისუნთქავდა თამბაქოს კვამლს და გონებადაძაბული ჩაშტერებოდა მორევს, რომელიც გაშმაგებით შხუოდა და ტრიალებდა.

1920 წლის დასაწყისი იყო, როდესაც რკინიგზის დეპოში მომუშავე ვახტანგის ქვრივი დედა მასავით დაქვრივებულ მუშას მისთხოვდა და ვახტანგიც თან წაიყვანა. მას აქეთ ირაკლის აღარ ენახა ვახტანგი.

და ახლა, თვალწინ წარმოუდგა მისი გაჭირვებული ცხოვრება და გული ეტკინა, რომ მისი ბავშვობის მეგობრის ბედი ასე უკუღმართად წარმართულიყო.

ირაკლი ნელი ნაბიჯით გაემართა ვახტანგისაკენ, მხარზე ხელი დაჰკრა და გაუღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგი შეკრთა.

— ბიჭო, ვერ მიცანი შენი ამხანაგი, ირაკლი?

ვახტანგის თვალები გაუფართოვდა. ხელიდან პაპიროსი გაუვარდა და გაშტერებული შეაცქერდა.

— რა დაგემართა, სადა ხარ, განა აგრე უნდა, ამხანაგს რომ ივიწყებ?? ერთხელ მაინც გამოგევლო შენი უბნისკენ, სადაც დაიბადე და გაიზარდე, მოგეგონებინა ტოლი და სწორი!

ვახტანგის სახეზე დაბეჩავებული კაცის ღიმილმა გადაირბინა.

— ირაკლი, შენა ხარ? ძლივს გიცანი! — უთხრა და მაშინვე თვალები დაბლა დახარა.

— პირდაპირ მითხარი, სად იყავი, რას აკეთებდი, ნუ დამიმალავ! მეგობრად მიგულე, იქნებ დახმარების აღმოჩენა შემეძლოს, კაცი კაცითა ცხოვრობს! — მიმართა ირაკლიმ ვახტანგს და გულში გადაწყვიტა, ამხანაგი ამ საზარელ მდგომარეობიდან გამოეყვანა. უცებ მიხვდა რომ მას დახმარება ესაჭიროებოდა.

— ჩვენ ცხოვრებამ სამუდამოდ გაგვთიშა, ირაკლი!

— რას ამბობ, ბიჭო! ბავშვობა ერთად გავატარეთ. ერთმანეთი გვიყვარდა. ახლა ისეთი რა ზღვარი ჩამოწვა ჩვენს შორის, რომ გავეთიშოთ? — არ ეშვებოდა ირაკლი.

შეატყო თუ როგორ ეძნლებოდა ვახტანგს მიზეზის თქმა. ადამიანის პატიოსნების მამხილებელი ეს სიძნელე ესიამოვნა ირაკლის. გაიფიქრა: — „მთლად არ დაღუპულა“.

— მე გეტყვი, რამაც გაგვთიშა. სიღარიბემ და გაჭირვებამ. კიდევ იმან, რომ სიღარიბეს და შიმშილს მამინაცვლის უსულგულობა დაერთო. და შენც ხელი მიჰყავ ცუდ საქმეს... ძალად ახშობ გულში კეთილშობილურ გრძნობებს. ასე არ არის? — შეეკითხა ირაკლი და თვალებში ჩააცქერდა.

ირაკლი თვალს არ აშორებდა ვახტანგს, რომელიც თანდათან მხრებში იხრებოდა და არც მხილებას ერიდებოდა. ეტყობოდა არ მოელოდა ირაკლისაგან დაუნდობელ გაკიცხვას.

— რაღა აქ გაგიბი მუსაიფი, ჩემთან წამოდი.

— არა, არა, მე ვერსად ვერ წამოვალ!

— წამოდი! — ხელი ჩაავლო მკლავში ირაკლიმ.

— არავითარ შემთხვევაში! — გაუძალიანდა ვახტანგი.

ირაკლიმ მაგრად ჩასჭიდა მკლავში ხელი და სახლისაკენ ძალით წაიყვანა.

*

* *

ელისო ტახტზე ლოგინს შლიდა.

— დედა, აბა თუ იცნობ, ვინ მოგიყვანე?! — ოთახში შესვლისთანავე შეეკითხა ირაკლი.

ელისო ვახტანგს დააცქერდა.

— ვერა, შვილო, ვერ ვიცანი!

— გახსოვს ქვრივი საბედა? იმისი შვილია.

— ვახტანგი?

ელისომ ვახტანგი იცნო. თვალზე ცრემლი მოადგა.

— როგორა ხარ, შვილო, როგორ გყავს დედა? განა ასე უნდა? მეზობლების დავიწყება როგორ შეიძლება? ვერ მოვიკითხეთ ერთმანეთი!

ელისომ გაიხსენა თავისი მეგობარი.

ვახტანგი თავჩაქინდრული იდგა და არ იცოდა რა ეთქვა.

— დედი, ვახშამი გამოგვიტანე, ძალიან გვშია.

— ახლავე, შვილო, ახლავე! — და ელისო სამზარეულოში გავიდა.

ირაკლიმ ვახტანგი ტანისამოსის კარადასთან მიიყვანა და კარი გაუღო.

— აირჩიე, რაც მოგეწონოს, ჩაიცვი!

— რას ამბობ, ირაკლი? არ მინდა! — წამოიძახა სახტად დარჩენილმა ვახტანგმა.

ირაკლიმ შეატყო, რომ ვახტანგი მის ტანსაცმელს არ ჩაიცვამდა და თვითონ გადმოუღო შალის შარვალი, უკრაინული ხალათი, აბრეშუმის წინდები, ერთი ხელი საცვალი და უხმარი ფეხსაცმელები.

— ვიდრე დედა შემოვიდოდეს, აბა, ფერისცვალება მოახდინე! — ბრძანების კილოთი მიმართა ირაკლიმ და ვახტანგს წელზე ქამრის მაგიერ შემოკრული ბაწარი შეხსნა.

ვახტანგს ყველაფერი კარგად მოადგა. მხოლოდ ხალათი მოუვიდა ცოტა სრული და ისიც შეუმჩნეველი დარჩა, როცა ქამარში მოხდენილად შეიკეცა.

— ეს როგორ გამოვიცვალე, კაცო? — სიხარულით წარმოსთქვა ვახტანგმა და სარკეში გაკვირვებული დააცქერდა თავის თავს.

— ხედავ, როგორ გამოიცვალე, შვილო, საქორწილოდ გამოწყობილსა ჰგავხარ, საწყალ დედაშენსაც გაეხარდება შენი ნახვა! — გახარებული ამბობდა ელისო და თან სუფრას შლიდა.

თეთრ, ქათქათა სუფრაზე ელისომ ბროლის სამარილე და ლამაზად დაბრაწული შოთი პურები დააწყო. მერე ხონჩით გამოიტანა მწვანილი, რომელსაც წყლის წვეთები ალმასის თვლებად შერჩენოდა.

— პამიდორი და კიტრები შენებურად დათალე, ირაკლი. — უთხრა დედამ და ქორფა კიტრებით და პამიდორით სავსე ხონჩა ირაკლის მიუდგა. — მე ქათამს მივხედავ, არ ჩაიხარშოს.

ელისომ ქარვასავით ჩაყვითლებული მსუქანი დედალი და ჩაცივებული თეთრი ღვინო შემოიტანა.

— წვენი ხელუხლებელია, შვილო, იქნებ მიირთვათ?!.

— კარგი იქნება, მოიტა! — ვახტანგის ჭაჭის არაყიც მოუხდება, დედა!

ვახტანგმა არაყი გადაჰკრა, ყველის ნაჭერი შეატანა. სულ მალე ისე იგრძნო თავი, თითქოს ამ ოჯახის წევრი ყოფილიყოსო.

— ჩემზე ნაკლები არაფრითა ხარ, არც ჯანით, არც გონებით, ნუთუ არ შეგიძლია მტკიცედ გადაწყვიტო და ცხოვრებას დაუბრუნდე?! — ეკითხებოდა ირაკლი და თან სთავაზობდა ქათმის საუკეთესო ნაჭრებს.

— არ მეგონა, თუ კაცად გამოვდგებოდი. მე ამაზე მიფიქრია, ბევრი მიფიქრია, შემშინებია ჯიდეც ამ ფიქრისა. გამოგიტყდები, გონება ღვინოში ჩამიხრჩვია. ხშირად გავსულვარ ქუჩაში. უქნარა ადამიანებს რომ შეეხვდებოდი, თითქოს თვალწინ სარკე მიდგასო, თავზარი დამეცემოდა ხოლმე, მაგრამ...

— ხვალ ძია ფიდოს მოვილაპარაკები. — გააწყვეტინა სიტყვა ირაკლიმ, — და ნახავ, რომ პატიოსანი შრომა კაცად გაქცევს. შრომაში ბედნიერებას ჰპოვებ!

პირველი ნაწილის დასასრული

# ლიტერატურული კრიტიკა

კეზრე ბახტურიძე

## გალაკტიონ ტაბიძე

★

„ყოველი დროის და გარემოის ჭეშმარიტ პოეტს გაიგებს ხალხი“, — ამ სიტყვებით ამთავრებს გალაკტიონ ტაბიძე თავის ერთ-ერთ ადრინდელ ლექსს. პოეტის ეს დებულება სრული ჭეშმარიტებაა, ვინაიდან სწორედ ამიტომ გახდა გალაკტიონ ტაბიძე ხალხისათვის გასაგები და ხალხის მიერ აღიარებული დიდი პოეტი. მისი შემოქმედება შეჭმარტი პოეტური შთაგონებით არის აღბეჭდილი, ნამდვილი პოეტური განცდა ახასიათებს მის ლექსებს და ამიტომ არის იგი ჩვენი დროის საბჭოთა ეპოქის მხატვრული სიტყვის ცნობილი ოსტატი.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ველური რეაქცია გამეფდა. ხალხი გმინავდა თვითმპყრობელობის უღელქვეშ. რეაქციის შავბნელ ძალებს მკვეთრად დაუპირისპირდნენ რევოლუციური ძალები. იმართებოდა გაფიცვები, დემონსტრაციები, საპირველმაისო გამოსვლები. ჭაბუკი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე გაბედულად დადგა რევოლუციის მხარეზე. მუშათა არალეგალურ პირველმაისობას უძღვნა მან თავისი პირველი ლექსი, თვითონვე წაუკითხა რევოლუციით აღგზნებულ მუშებს და იმ დღიდან მათი განუყრელი მეგობარი გახდა.

პოეტმა ის სევდაც გაიზიარა, რომელსაც მოეცვა რეაქციის მძიმე წლებში ინტელიგენციის ერთი ნაწილი. საგრძნობლად დიდმნიშვნელოვანი ხარკი მიუზღო მან პესიმისტურ განწყობილებას, სულიერ კაეშანს, ცრემლსა და ვარამს. ლურჯა ცხენებს მიანდო მან თავისი ბედი, ლექსი და პოეზიის ქნარი.

მისტიციზმი, დეკადანსი და სიმბოლიზმი დაეუფლა გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ინტონაციას. მაგრამ აქაც შეინარჩუნა მან საკუთარი პოეტური ხმა და ბრმა მიმდევარი არ გამხდარა ევროპული სიმბოლიზმისა.

დიდი ქართველი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის ტრადიციების გაგრძელება და განვითარება სცადა გალაკტიონ ტაბიძემ თავისი პოეზიის ამ პერიოდში. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოვლინდა „ლურჯა ცხენებში“.

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეების, უსულდგმულო დღეების, ნისლის თარეშის, სამარის ბნელი ხვეულების, გამოუცნობი ქიმერების აღიარებასთან ერთად იმედით შთაგონებული პოეტი ამბობს:

> მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა...
> როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი.
> ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!

იმედის ეს საკმაოდ ძლიერი ნაპერწკალი არ შეიძლება არ შეამჩნიოს და არ იგრძნოს ადამიანმა იმ საერთო პესიმისტური განწყობილების ფონზე, რომ-

ლითაც აღბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები. პოეტი დარწმუნებულია, რომ ბრძოლისა და თავისუფლების შუქთა კამარა არ შეიძლება დაჰფაროს რაიმე ძალამ, იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ როგორც შეუძლებელია ზღვის აბობოქრება დაოკდეს, როგორც შეუძლებელია ბედის ტრიალი, ე. ი. ცხოვრების დინება და მოძრაობა შეჩერდეს, ისევე შეუძლებელია შუქთა კამარის დაჩრდილვა, მისი დაფარვა და განადგურება.

გალაკტიონ ტაბიძის სევდა გამოწვეულია რეაქციის გამარჯვებით რევოლუციურ მოძრაობაზე, გამოწვეულია ჩვენი ცხოვრების იმ ყველაზე სამარცხვინო და ველური პერიოდის საშინელებით, რომლის მიმართაც ალექსანდრე ბლოკი ამბობდა:

Всю жизнь жестоко ненавидя
И презирая этот свет!
Пускай грядущего не видя, —
Дням настоящим молви: нет!

პოეტმა ზურგი შეუბრუნა სტოლიპინის „ნერვული აზნაურული ხელით“ გათოკილ ცხოვრებას, მან უარყო რეაქციის სუსხით დამძიმებული დღეები, და ამოიგმინა: „სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა“-ო, მაგრამ უპერსპექტივო სასოწარკვეთამდე იგი მაინც არასოდეს არ მისულა. ბურუსით მოცული დღეების იქით ის მუდამ ჭვრეტდა უკეთეს მერმისს, ნათელ მომავალს. ეს გარემოება იმითაც იყო შეპირობებული, რომ ისეთი დიდი დიაპაზონის შემოქმედი, როგორიც არის გალაკტიონ ტაბიძე, ცხადია, ვერ დაკმაყოფილდებოდა რომელიმე ვიწრო ლიტერატურული სკოლის შესაძლებლობით. მისთვის შემბორკველი იქნებოდა ერთი განსაზღვრული შემოქმედებითი კრედო. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ გ. ტაბიძის პოეზიაზე გარკვეული დროის განმავლობაში დიდ გავლენას ახდენდა სიმბოლიზმი, მისთვის მაინც ვიწრო აღმოჩნდა ამ ლიტერატურული მიმართულების ფარგლები. პოეტი უფრო გამლილი, შორეული სივრცეებისაკენ მიისწრაფოდა, ცდილობდა მთლად არ მოწყვეტოდა ცხოვრების ფესვებს, სინამდვილესა და ყოფიერების ნიადაგს და ამით სცილდებოდა, არღვევდა ამა თუ იმ პოეტური ჯგუფის ზღუდეებს. აქ უნდა ვეძიოთ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მჭიდრო კავშირი ქართულ კლასიკურ ლიტერატურასთან და ბუნებრივი გაგრძელება ამ ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებისა.

ამიტომ სრულიად არ გვეჩვენება არაბუნებრივად, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას გალაკტიონ ტაბიძე აღფრთოვანებით შეხვდა. პოეტმა, რომელიც ოდესღაც, მოღლილი სულით კვნესდა — „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდეო“. საკუთარ თავთან ყოველგვარი კონფლიქტისა და ბრძოლის გარეშე მონახა ცხოვრების ახალი გზა — რევოლუციური ცეცხლით განახლებული ცხოვრებისაკენ მიმავალი ფართო გზა. ეს გზა პოეტს წინათაც ოცნების თვალით დაუნახავს, წარმოუდგენია ქვეყანა, „სადაც ეიემი ჰყვავის მზიანი, სადაც არ არის სულა მწუხარე“.

სწორედ ეს საოცნებო მხარე გადაუშალა პოეტს თვალწინ ძლევამოსილმა რევოლუციამ. აქედან იწყება ახალი ეტაპი პოეტის შემოქმედებაში. უკვე შემოუბრუნებელ წარსულად იქცა შეუცნობელი უდაბნო, ქარის უმწეო ქვითინი, ბილიკზე დაფრქვეული დაღლილი და მოწყენილი ატმის ყვავილები, უღრანი ტყის შემაზრზენი გუგუნი, იისფერი თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ცვენა.

გალაკტიონ ტაბიძემ მთელი თავისი შემოქმედებით ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჭეშმარიტად დიდი მხატვარი, ნამდვილი შემოქმედი არ შეიძლება დარჩეს გულგრილ დამოკიდებულებაში თავის ეპოქასთან, შეუძლებელია მან გარკვეული ურთიერთობა არ დაამყაროს ისტორიის მამოძრავებელ ძალებთან, შეუძლებელია არ გამოეხმაუროს თავისი მხატვრული აზრით, პოეტური სიტყვით მისი თანამედროვეობის წამყვან მოვლენებს.

იყო საკმაოდ გავრცელებული და ფეხმოდგმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ „როცა ზარბაზნები მქუხარებენ, მაშინ მუზებს დუმილი შეიპყრობსო". რა თქმა უნდა, ეს წმინდა წყლის ფილისტერული აზრი წარმოიშობა მხოლოდ მათ შორის, ვინც დასაღუპავად განწირულ კლასს ეკუთვნის, ვინც მოუცავს შიშს სინამდვილის წინაშე, ვისთვისაც დღევანდელ ვითარებაში არ იჭედება ხვალინდელი დღე, ვისაც მერმისი არ უღიმის, ვისთვისაც მომავალი გაურკვეველია და წყვდიადით არის მოცული.

ხოლო იმ მწერლის მხატვრულ შემოქმედებაზე, რომლისთვისაც უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა უმთავრეს მიზანს შეადგენს, განუზომლად დიდმნიშვნელოვანია რევოლუციის გავლენა. რევოლუციის პათოსი, მისი ცეცხლოვანი რომანტიკა მასშტაბს უფართოებს პოეტურ აზროვნებას, ძალას ჰმატებს მწერლის აღმაფრენას, ახალ ჯავარს სძენს ლექსის მუსიკალობას, აძლიერებს რიტმს, ამაგრებს მის ძარღვს და შინაგან ექსპრესიას.

ვ. ი. ლენინი თავის შესანიშნავ სტატიაში „ლევ ტოლსტოი როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე", ამბობდა: „და თუ ჩვენს წინაშე ნამდვილად დიდი მხატვარია, მაშინ მას უნდა აესახა თავის ნაწარმოებებში რევოლუციის თუნდაც რამდენიმე არსებითი მხარე". როგორც ვიცით, ლევ ტოლსტოიმ, როგორც უდიდესმა რეალისტმა, მართლაც ასახა თავის შემოქმედებაში რუსეთის პირველი რევოლუციის დამახასიათებელი მხარეები.

ასე იყო თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო მწერლის შემოქმედებითს ცხოვრებაში. ამ ერთადერთ ნამდვილ და სწორ გზას ვერ ასცდა ვერც გალაკტიონ ტაბიძე. ოქტომბრის რევოლუციის თემაზე შექმნილ მის ლექსებსა და პოემებში პოეტური მგზნებარებით არის ასახული ცხოვრების განმაახლებელი ამ ისტორიული ფაქტორის მთელი სიდიადე და გრანდიოზულობა.

ცხრაას ჩვიდმეტ წელს დაწერილი ლექსით „დროშები ჩქარა!" პოეტი აღტაცებით მიესალმა ცეცხლის მზით ქვეყნის გადანათებას. აქ ღრმა განცდით არის ნაჩვენები თავისუფლებას მოწყურებული სულის აღფრთოვანება და სიხარული.

გალაკტიონ ტაბიძის წინაშე არ წამოჭრილა დილემის სახით ასეთი კითხვა: რევოლუციის მხარეზე, თუ მის წინააღმდეგ? მისთვის თავიდანვე ნათელი და გარკვეული გახდა პოეტის ადგილი რევოლუციაში, რადგან მტკიცედ ჩათვალა თავი რევოლუციის ჯარისკაცად, აბობოქრებული დღეების თანაზიარად. იგი გატაცებით მღერის:

ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება:
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

პოეტი შვებას განიცდის იმის გამო, რომ უკვე დასრულდა საშინელი წლები, თვითონ კი განვლო ჯერ არსმენილი ცეცხლთა ფენის ქარტეხილები და მოიტანა „საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო საკუთარი პოზიციის გარკვევით როდი კმაყოფილდება გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციის მიმართ. იგი მგზნებარე მოწოდებით მიმართავს საქართველოს პოეტებს:

> დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
> და სისხლიანი სდგას ანგელოსი,
> ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს,
> ჩვენ პოეტები საქართველოსი!..

ეს მოწოდება ნაკარნახევია იმის მოლოდინით, რომ დედამიწაზე კვლავ აგუგუნდება სამუმი, კვლავ გააფრთებით შეიძლება დაიქუხოს ბრძოლების მეხმა. ამ ბრძოლებისათვის მზადყოფნისაკენ მოუწოდებს პოეტი თანამოკალმეებს. მზადყოფნა კი აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან ერთხელვე დაძრული რევოლუციური ვულკანი მსოფლიო მოვლენად უნდა იქცეს, მან უნდა გაამეფოს ქვეყნად შრომა და სიხარული. ამ ქარტეხილებს კი უნდა მოჰყვეს საგაზაფხულო სანახაობა, საოცნებო ფერთა სიუხვე, სითბო და ამღერება. ხოლო, როცა მსოფლიო განახლებისათვის ბრძოლის ქარიშხალი აგუგუნდება, პოეტს სწამს, რომ იგი მებრძოლთა ფოლადისებურ რიგებში იპოვნის თავის ადგილს. ამ განწყობილებებში მკაფიოდ ჩანს წარსულში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი ტრადიციის ძალა და გავლენა.

ქართული კლასიკური ლიტერატურა ძირითადში სწორედ განმათავისუფლებელი იდეებით, მოვლენების რეალისტური აღქმით და მომავლის რომანტიკით ხასიათდებოდა. ეს ტრადიცია ნაყოფიერად იქნა გამოყენებული და რევოლუციის ცხოველმყოფელი გავლენით შემდგომ განვითარებული ქართველი საბჭოთა მწერლების, პირველ რიგში გალაკტიონ ტაბიძის მიერ.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისაკენ ძლიერმა სწრაფვამ ჩამოაყალიბა პოეტის მოქალაქეობრივი სახე. იგი უკვე ნათლად და ბუნებრივად ასახავს რევოლუციურ იდეებს. პოეტურ მეტყველებაში უხვად იყენებს ხალხური ენის ელემენტებს, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს, გასაგებს და მახლობელს ხდის მის პოეზიას ხალხის ფართო მასებისათვის. გალაკტიონ ტაბიძის ადრინდელი პოეტური ქვეტექსტი გათავისუფლდა შემნილბავი ბუნდოვანებისაგან. ეს ქვეტექსტი უკვე გარკვევით ჩამოყალიბებულ აზრად, ნაწარმოების დომინანტად იქცა. მაგრამ ამით სრულიად არ შებღალულა პოეტის ბუნებრივი ლირიკის მომხიბლაობა, მისი რომანტიკული პათოსი. პირიქით, ლირიკული მოტივი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი, ხოლო რომანტიკული პათოსი — უშუალოდ გამომდინარე გახდა რეალური სინამდვილიდან.

თუ წარსულში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ძლიერად გაისმოდა ჩარხუკულმართი დროებისა და საზოგადოებრივი დაკნინების გამოძახილი, რამაც პოეტის სულიერი სამყარო დაუმეგობრა სასაფლაოს, ღამის წყვდიადს, მთვარის ნაზ სხივებს, რევოლუციურმა სინამდვილემ ახალი თემატიკით, ახალი პოეტური სახეებით გაამდიდრა და გარდაქმნა მთელი მისი შემოქმედება. წარსულის უკუღმართობას, სინამდვილესთან თავის ღრმა კონფლიქტს პოეტი ასე გამოხატავდა:

> მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო გზა მისი მცნების,
> მაგრამ კაცთ გესლით დავუძლურდი და მოვიშხამე!...

მიუხედავად ამისა, სიყვარული და რწმენა მომავალი კეთილდღეობის გამომჭედელი უბრალო ადამიანისადმი, საყოველთაო-სახალხო ტკივილების და-

ამებისა და სიკეთის გამარჯვებისადმი პოეტს არასოდეს არ დაუკარგავს. მას ღრმად სჯეროდა და სჯერა, რომ ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს აღმოფხვრას და გაანადგუროს სამშობლოს, ხალხის, პოეზიის მარადიულობა. მას კარგად ესმის, რომ მყუდროება და უძრაობა სპობს ყოველგვარ წინსვლას, განვითარებასა და აღმაფრენას. ამიტომ გაისმის მისი სიტყვები საბრძოლო მოწოდებად:

დაჰქროლე ქარო, მე არ მიყვარს ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა, დაჰქროლე ქარო...

ეს არის პოეტური გამოძახილი თავის დიდ წინაპართან — ილია ჭავჭავაძესთან. ილიაც ხომ აღტაცებული იყო „თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგით“. ამის გამო შენატროდა ილია თერგს: „ნეტავი შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“...

ამ პრინციპით არის განსაზღვრული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების გარკვეული ეტაპი, როცა იგი მტკიცე სურვილს გამოთქვამს:

ახმაურდეს ყველა ჩანგი
და გამძაფრდეს გულთა ძგერა!
ვერ დამაცხრობ, ვერ დამძალავ,
ვერ გამისწრებ, ვერა, ვერა.
მაინც ვიცი, მაინც ვიცი,
ვერაფერი შესცვლის შვებას,
აღტაცებას იმედისას
და მსოფლიო გამარჯვებას...

ძირითადად ეს პრინციპი უძევს საფუძვლად გალაკტიონ ტაბიძის ბევრ ნაწარმოებს, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა დროს. ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას პოეტი დიდი მოქალაქეობრივი ენთუზიაზმით შეეგება. მისთვის უყოყმანოდ ცხადი და გარკვეული იყო, რომ ქვეყნის, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განახლებასა და გარდაქმნაში მხატვრულ შემოქმედებას თავისი დიდმნიშვნელოვანი მისია უნდა შეესრულებინა, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწეს თავისი ნიჭის ძალა და ელვარება თანამედროვეობის სამსახურში უნდა ჩაეყენებინა. მიმართავს რა მათ, გალაკტიონ ტაბიძე ამბობს: „გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერისი ხელოვნება? მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა“. საბჭოთა საქართველოს ხმა პოეტის შეგნებაში გაიგივებულია მხატვრული შემოქმედების ხმასთან. როცა პოეტი ამბობდა, „პოეზია უპირველეს ყოვლისაო“, იგი გულისხმობდა სწორედ ისეთ პოეზიას, რომლითაც ღრმად იქნებოდა ასახული ეპოქის ფართო მასშტაბი, გულისხმობდა ისეთ პოეზიას რომელიც ვიწრო ინდივიდუალისტურ განცდებზე მაღლა დააყენებდა მოქალაქეობრივ მოტივებს, სოციალურ პრობლემებს და მათ გახდიდა ლექსის მამოძრავებელ ძალად, მის შთამაგონებელ ფაქტორად.

პოეტის ლირიკას დიდი ზემოქმედების ძალა შეჰმატა პოლიტიკურმა სიმახვილემ, პუბლიცისტურმა პათოსმა, რამაც მის ლექსებსა და პოემებში კიდევ

უფრო მკაფიო გახადა განცდების ძალა, ბუნებრიობა და უშუალობა. მას სურს, რომ ლექსი, სიმღერა და შთაგონება სულ მაღლდებოდეს, „როგორც ცხოვრება, როგორც სოფელი“, დაუსრულებლად ვრცელ საზღვრებს გასცდეს სიმღერის ამაყი სულისკვეთება, რადგან მხოლოდ ამით გაცისკროვნდება მზის სხივებითა და ძლიერი შუქით პოეტის შემოქმედება. მხატვრულ აზრს უკვდავეობას მხოლოდ მასების სამსახური დაუმკვიდრებს:

ხელოვნებისთვის მთა ბუმბერაზი
და ვარსკვლავებიც ამბობენ ამბავს,
მხოლოდ მასისთვის სიმღერა კარგი
უკვდავებისკენ გზას გაიკაფავს.

სიმღერის უკვდავება მდგომარეობს მის საბრძოლო პათოსში, იმ შთამაგონებელ მქუხარებაში, რომელიც განამტკიცებს ხალხში რწმენას და სიყვარულს სიცოცხლისადმი, დაუცხრომელი წინსვლისადმი, აღანთებს ხალხის გულში გამარჯვებისა და მარადიული ბედნიერების იმედს.

პირადული, ვიწრო-ინდივიდუალური ინტერესებით შემოფარგვლა, საზოგადოებრივი იმპულსის დაკარგვა შემოქმედის ტრაგედიაა, რის გამო მისი შემოქმედება კრიზისის ჩიხში ემწყვდევა. თუ შემოქმედმა დაკარგა საზოგადოებრივი ფუნქცია და სოციალური მოვლენები სუბიექტივისტურ მასშტაბში მოაქცია მაშინ იგი, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს მოვლენების მხატვრულ განზოგადებას და ყველაფერს წარმოგვიდგენს, როგორც პიროვნულს, კერძოობითს, მხოლოდ ერთი ადამიანის საქმეს, ერთი რომელიმე კერძო პიროვნების ნაფიქრს და განცდილს. ამით, რა თქმა უნდა, მხატვრულ შემოქმედებას ეცლება ნიადაგი და ეფემერად იქცევა.

გალაკტიონ ტაბიძის განვლილ გზაზე იყო ასეთი განკერძოების საფრთხე, საზოგადოებრივი ვითარებისაგან მოწყვეტის საშიშროება. მაგრამ პოეტმა ეს საფრთხე დაძლია, რადგან მას არასოდეს არ დავიწყებია, რომ

ბავშვობიდანვე ჩვენი ცხოვრება
იყო მარტოდენ რევოლუციის
მქუხარე ძალთან დამეგობრება.

ცხოვრების აზრს და დანიშნულებას პოეტმა მიაგნო დაუცხრომელი სულის მღელვარებაში, სიცოცხლისაკენ დაუსრულებელ ლტოლვაში, თავისუფლებისაკენ, მზისა და ბედნიერებისაკენ შეუნელებელ მისწრაფებაში.

მშვიდად და აუღელვებლად გალაკტიონ ტაბიძეს არც ერთი მოვლენა არ განუცდია. რაგინდ „ნეიტრალურ“ თემასაც არ უნდა ეხებოდეს, იგი მოზიდული რკალივით არის დაძაბული, ასხლეტას ლამობს, გრძნობათა ნიაღვარს აუშვებს, მგზნებარე განცდებს ააფორიაქებს და წამოშლის. იგი ვერ შერიგებია აზრს, რომ შეიძლება ლექსის მიტოვება „უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარედ“, ვინაიდან

მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,
დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;
ინდუსტრიალურ ალს გაუმარჯოს,
და პროლეტარულ აბობოქრებას!..

პოეტს არა აქვს უფლება მშვიდად, უზრუნველად ყოფნისა, რადგან, გალაკტიონ ტაბიძის აზრით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი არის მებრძოლი
ახალი ქვეყნის მშენელი,
წინა სდგას ცხარე ბრძოლებში
როგორც ქვიტკირის კედელი!

ლევ ტოლსტოისადმი გაგზავნილ ერთ თავის კერძო წერილში, რომელიც დათარიღებულია 1857 წლის 17 მაისით, ნ. ა. ნეკრასოვი ამბობდა, რომ „სიცოცხლის მიზანი და აზრი სიყვარულია (ფართო გაგებით)". ნეკრასოვის აზრით, სიყვარულის გარეშე არ არსებობს გასაღები არც საკუთარი, არც სხვათა არსებობისა და მხოლოდ სიყვარულით აიხსნება, რომ თვითმკვლელობა არ ქცეულა ყოველდღიურ მოვლენად. „...თქვენ ამჩნევთ, — განაგრძობს ნეკრასოვი, — რომ სხვისთვის (ან სხვებისთვის) დიდად საჭირო ხართ — და უცებ ცხოვრებას ეძლევა აზრი, ადამიანი უკვე აღარ გრძნობს იმ ობლობას... ადამიანი შექმნილია სხვის დასაყრდენად, იმიტომ რომ მასაც სჭირდება დასაყრდენი. თუ საკუთარ თავს წარმოიდგენთ როგორც ერთეულს, — სასოწარკვეთილებაში ჩავარდებით".

აქ მოცემულია სავსებით ნათელი ფილოსოფიური შეხედულება ადამიანის როლზე, მის ადგილსა და დანიშნულებაზე ცხოვრებაში, პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებაზე სხვა ადამიანების მიმართ, მოცემულია ადამიანის, როგორც სოციალური მოვლენის, ფუნქცია, მისი არსებობის მიზანი და აზრი.

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი აღნიშნავდა, რომ ჩვენი პლანეტა ნაკლებად არის მოწყობილი სიამოვნებისა და უზრუნველი ცხოვრებისათვის. მას სჭირდება გარდაქმნა, გადაკეთება და მხოლოდ მაშინ იგრძნობს ადამიანი ნამდვილ სილაღეს, მაშინ შეიცნობს თავის თავს, როგორც სიხარულისა და ბედნიერებისათვის გაჩენილი არსება. ცხოვრების გარდაქმნა კი მხოლოდ ბრძოლის ქარცეცხლში ხდება.

ლექსში „ახლა — განა ისეთი დროა?" გალაკტიონ ტაბიძე ავითარებს ნეკრასოვისა და მაიაკოვსკის ამ შესანიშნავ ტრადიციას:

შენ ვაქაცი ხარ? გსურს ისევ ტრფობამ
გული აანთოს, თვალი დალულოს;
ეხლა ვაქაცი ქალს უნდა უჯდეს
და მუდამ იმას ესიყვარულოს?

პოეტი გმობს პირადულ, ხორციელ ვნებას და უმიზნო ტრფიალს. მას ცხოვრების მიზნად და აზრად ისეთი სიყვარული დაუსახავს, რომელიც ნეკრასოვისებური „ფართო გაგებით" უნდა წარმოვიდგინოთ. ვისაც თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა შეგნებული აქვს, იგი ვერ დარჩება გულგრილ დამოკიდებულებაში ადამიანთა ბრძოლისადმი უკეთესი მომავლის შესაქმნელად. გ. ტაბიძეს ღრმად აქვს შეგნებული, რომ შრომის მძლავრი სხივებით უნდა მოირთოს მამული, ამასთან საჭიროა, რათა „ავამეტყველოთ სიცოცხლის გერი, ჯერ კიდევ ბნელში სულგანაბული". ბნელში სულგანაბული სიცოცხლის გერი კი ექსპლუატაციის უღელქვეშ მგმინავი ადამიანია, რომელსაც სჭირდება ჩვენი თავი და სიცოცხლე, როგორც დასაყრდენი, როგორც ხსნის იმედი და თავისუფალი ცხოვრების გამომჭედელი. ხოლო ვინც შრომასა და ბრძოლას გაურბის პირადული, წარმავალი, ეროტიული, წუთიერი სიამისათვის, ვისაც მხოლოდ ტკბილი ცხოვრება სურს ირგვლივ გაჩაღებული ბრძოლის მკაცრ ვითარებაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ გამოგვყვება, დასცხრეს, დამუნჯდეს.
ასეთი კაცი არ გამოდგება,
იგი ვაჟკაცი ქალს უნდა უჯდეს.

რა თქმა უნდა, აქ არ არის ნაგულისხმევი ის დიდი გრძნობა სიყვარულისა, რომელიც კაცის ბუნების ამამაღლებელი, სულის სისპეტაკის მაჩვენებელი და ადამიანობის უმაღლესი ნიჭის გამომხატველია. პირიქით, სიყვარული, შრომა, ბრძოლა და სინათლე მიაჩნია გალაკტიონ ტაბიძეს ცხოვრების ქვაკუთხედად, ადამიანის დანიშნულებად და ბედნიერებად.

რევოლუციის აზრი, მისი დიადი გარდამქმნელი ძალა პოეტმა მხატვრული გზნებით გამოხატა ლექსში „იმიტომ ხდება რევოლუცია". აქ ნაჩვენებია რევოლუციის გავლენა ხალხის ცხოვრებაზე და მისი გიგანტური შედეგები. რევოლუციის გავლენას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ახალი სიცოცხლით აღივსება პოეტის, საერთოდ ადამიანის არსებობა. რევოლუციას მოაქვს საქმისადმი შეწმენა, სიხარული, აღფრთოვანება და აღმაფრენა. იგი კლავს უიმედობას, ეჭვნესას და წუწუნს:

პოეტი, ეხლა გამდგარი განზე,
დროგადასული და მოხუცია,
უნდა შეერთო მასიურ ტალღებს,
ამიტომ ხდება რევოლუცია.

ასეთია პოეტის შეხედულება ნამდვილი მხატვრული შემოქმედების შესახებ.

პუბლიცისტური პათოსით, პოლიტიკური სიმახვილით არის დამუშავებული რევოლუციის თემა გალაკტიონ ტაბიძის პოემაში „ჯონ რიდი". მეგობარი ამერიკელი რევოლუციონერი პოეტისადმი მიძღვნილ ამ ნაწარმოებში მოცემულია 1917 წლის გრანდიოზული მოვლენები რუსეთში, კერძოდ, მოსკოვსა და პეტროგრადში. ეს პოემა სამართლიანად ითვლება რევოლუციური პოეზიის ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებად არა მარტო გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

დაძაბული რევოლუციური ბრძოლისა და ნგრევის სურათების დახატვით პოეტი ნათლად წარმოგვიდგენს იმ საყოველთაო — სახალხო მოძრაობას, რამაც დაამხო მონობა და გამარჯვება მოუპოვა მშრომელებს. პოემა „ჯონ რიდი" არ წარმოადგენს დაკანონებული, საყოველთაოდ მიღებული წესებით შექმნილ პოეტურ ნაწარმოებს დახვეწილი სტრიქონებით, გარითმული ბოლოკიდურებით, გარეგნული პოეტური სამკაულებით. ყოველგვარი შელამაზების გარეშე. შინაგანი რიტმითა და ექსპრესიით გადმოგვცემს პოეტი რევოლუციურ მოვლენებს, შეიარაღებული მასების შეუდრეკელ ნებას, ამბების ელვისებურ განვითარებას. სამრეკლოებიდან რელიგიური ექსტაზის მომგვრელი ზარის ხმის ნაცვლად ტყვიამფრქვევების დაუსრულებელი კანონადა. ობივატელის აცრემლებული თვალები, სისხლის ტბა-ქალაქის გახელილი თვალი. საათი მთელ საუკუნეს უდრის. მოკლულთა გვამებით ავსებული კლინიკები. ხალხით გაჭედილი სადგურები. მოსკოვიდან პეტროგრადისაკენ მიმავალი უკარ-უფანჯრო მატარებელი, რომლის კიბეები და სახურავები დაფარულია რუხი მაზარებით. ნიუ-იორკიდან მოსული პოეტი ჯონ რიდი ოქტომბრის რევოლუციამ დაამეგობრა საქართველოდან ჩასულ გალაკტიონ ტაბიძესთან. რევოლუციურმა ბრძოლებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუყრელ ძმებად შეაკავშირა ისინი. პოემა მთავრდება ასეთი შთამაგონებელი სტრიქონებით:

წითელი მოედანი.
სადაც განისვენებს
ჯონ რიდი —
პოეტი რევოლუციის,
დელეგატი
III ინტერნაციონალის. —
პიროვნება, რომელთან ერთად
განვიცადე რევოლუცია...
მთელი სიმწარე მოვლენების
და მთელი სიტკბო,
რომ ეს სტიქია
უჩემოდ არ ჩატარებულა...

ო, რა თამამად
ცეცხლისკენ ვვლიდი —
ჯონ რიდი
პოეტი რევოლუციის...
დელეგატი
ინტერნაციონალის.

ამ ნაწარმოების შინაგანი წყობა, შინაგანი აღნაგობა ორგანულად არის შეხამებული რევოლუციური მასების მღელვარე სულიერ განწყობილებასთან. მასში მკაფიოდ ჩანს აბობოქრებული ცხოვრების რიტმი, ქუჩების, მოედნების გოლიათური სუნთქვა და მაჯისცემა. აღნიშნულ ნაწარმოებში პეტროგრადი დახატულია როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აკვანი, ხოლო მოსკოვი — როგორც ახალი, საბჭოთა ეპოქის მედროშე. პოემა „ჯონ რიდის“ ავტორს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

სიცოცხლე! დიადი, სიცოცხლე გვინდა!
სიცოცხლე გვინდა ასი, ათასი!
შორი ალპების წყაროზე წმინდა,
სამხრეთის მზეზე უდიადესი.

მაგრამ სიცოცხლე შრომისა და მუდმივი ბრძოლის წყურვილის გარეშე პოეტს არა აქვს წარმოდგენილი. შრომა შემოქმედების განუყრელ ნაწილად მიაჩნია პოეტს. მისი აზრით, „შრომა და სიხარული არის შემოქმედება“, ამიტომ, განა შეიძლება სრულფასოვან ადამიანად ჩაითვალოს ის, ვინც არ იცის შრომის ფასი და ძალა, ახალგაზრდული, დაურთგუნველი ძალა, რომელიც აწმყოს საფუძველია და მომავალიც მას უნდა ემორჩილებოდეს! შრომაში იგი ხედავს ხალისიან კრთომას, რომელიც მთელ ქვეყანას უნდა დაეუფლოს. იგონებს რა ძველი ცხოვრების საშინელებას, ხოლო შემდეგ — ადამიანთა ბედის გასაგრთელებლად ცის კაბადონზე აელვარებულ განთიადს, პოეტის ოცნებაში ცოცხლდება წარსული, როცა

ვფიქრობდით, როდის გამოაშუქებს
მზე გათენების და იმედისა,
როდის იქნება ხალხის ტანჯულის,
სამართლიანი ქვეყნად უფლება,
თანასწორობა, შრომა, სიმართლე,
ერთობა, ძმობა, თავისუფლება.

ეს ოცნება დღეს რეალობას წარმოადგენს. ეს ოცნება სინამდვილედ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ აქცია, რევოლუციამ, რომელმაც გაიმარჯვა ვ. ი. ლენინის იდეებით. მწვავედ განიცდის პოეტი ვ. ი. ლენინის გარდაცვალებას. მაგრამ იგი სასოწარკვეთილებას არ ეძლევა, რადგან ღრმად არის დარწმუნებული, რომ

> დიდი ლენინის აზროვნების სინათლე მიწას,
> მიალწევინებს სასურველს და ბედნიერ მიზანს.
> სტალინის ფიცი მისი მტკიცე საწინდარია —
> თავდადებულნი სამშობლოსთვის მასთან არიან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გალაკტიონ ტაბიძის განწყობილებას გამოხატავს ლექსი „წერილი მეგობრებისადმი". ავტორი ოცნებობს იმ დროზე, როცა მას საშუალება ექნება უფრო მძლავრად გაშალოს ფრთები. ეს კი მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც საქართველოშიც დაბერავს რევოლუციის განმაახლებელი სიო. ავტორი საშინელებად თვლის იმ გარემოებას, რომ „ისეთ ქვეყანას — როგორც ჩვენი საქართველოა, რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს". პოეტი აღტაცებით მიესალმება განახლებისა და აღორძინების გზაზე მტკიცედ დამდგარ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს, სადაც დაითრგუნა სიბნელე და კაშკაშებს თავისუფლების დიადი მზე:

> სიბნელე? არასდროს, არასდროს!
> სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს!
> სინათლეს გაუმარჯოს,
> სინათლის ყვავილებს!

რევოლუციის ზეიმს, ქვეყნის დანგრეული მეურნეობის აღდგენას, საბჭოთა ხუთწლედებს, ორი სისტემის ბრძოლაში კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვებას უმღერის გალაკტიონ ტაბიძე „ოქტომბრის სიმფონიაში". ეს ლექსი თავისი პუბლიცისტური ელერით ენათესავება მაიაკოვსკის შემოქმედებას. მასში საკუთარი პოეტური ხმით, მასალის ორიგინალური დამუშავებით მიღწეულია ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნათა მთელი სიდიადე. პოეტი არ ხატავს რევოლუციის ნატურალისტურ სურათებს. იგი წარმოგვიდგენს რევოლუციას, როგორც ქვეყნის განმაახლებელ ქარიშხალს, ყველაზე უფრო წმინდა, კეთილშობილური, ამმაღლებელი ბრძოლის ნათელ სიმფონიას. ამ სიმფონიის ჰანგებში ისმის მზის თვალმომჭრელი სხივებით გაბრწყინებული დროშების რხევა. რევოლუციას პოეტი წარმოგვიდგენს, როგორც სიმფონიას, ადამიანის სულს რომ ასპეტაკებს, მისი ბუნება კეთილშობილების მწვერვალზე რომ აჰყავს. ამ სიმფონიით გალაკტიონ ტაბიძე უმღერის ადამიანს, რომელმაც თავდადებული ბრძოლით შეძლო თავი დაეღწია ცხოვრების საშინელი წუმპისაგან, ადიდებს ადამიანს, მაგრამ ამითაც არ. არის კმაყოფილი. პოეტის აღტაცების საგანს შეადგენს ადამიანი, რომელიც შრომით, ბრძოლით, თავდავიწყებით მიიკვლევს გზას ახალი მწვერვალებისაკენ.

ამით გალაკტიონ ტაბიძემ შორს მოიტოვა ის გზა, როცა რევოლუცია მას ეხატებოდა აბსტრაქციულად, განყენებულ მოვლენად. ამ მოტივებზე იყო აგებული მისი უაღრესად მუსიკალური ნაწარმოებნი: „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები", „მას გახელილი დარჩა თვალები", „მღვრიე ქარი" და მთელი ციკლი

სხვა ლექსებისა, სადაც შინაარსი ადგილს უთმობს ფორმას, შინაგანი სიღრმე—მუსიკალურ ტკბილხმოვანებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამამულო ომის დროს გალაკტიონ ტაბიძე მთელი თავისი პოეტური არსენალით სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე დადგა. ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოთა მეომრებს იგი აღაფრთოვანებდა თავისი მაღალი მხატვრული სიტყვით. ამ დროს პოეტმა მთელი თავისი მხატვრული შემოქმედება დაუმორჩილა პრინციპს: „ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი". იგი მგზნებარედ მოუწოდებდა სამშობლოს დამცველ ლომგულ ვაჟკაცებს:

> წინ, ამხანაგო, მტრის ურდოს ჰკარ, შეიპყარი, ჩაჰკალი!
> გლეჯდეს, მუსრავდეს მტრის ტანკებს ეს წელიწადი ახალი!

მტერზე გამარჯვების წინაპირობას, მტრის შემუსვრის გარდუვალობას პოეტი ხედავს ოქტომბრის რევოლუციის სიდიადეში, როცა მასების რევოლუციურ აღტკინებას სათავეში ედგა კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

ომამდელ და ომის წლებში შექმნილ ნაწარმოებებში გალაკტიონ ტაბიძემ განსაკუთრებული ძალით გამოავლინა საბჭოთა პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარულის ცხოველმყოფელობა და სიდიადე. ეროვნული თემატიკა პოეტის შემოქმედებაში რევოლუციური ჰუმანიზმით არის გაშუქებული. იბრძვის რა კოსმოპოლიტიზმის, წვრილბურჟუაზიული ილუზიების, კაპიტალის მეაბჯრეთა წინააღმდეგ, ამით პოეტი იბრძვის კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ, სადაც გამეფებულია ნიცშესეული ამორალიზმი, ომის ფსიქოზი, მკვლელობის, პორნოგრაფიის კულტი, რასიული დისკრიმინაცია; ამით პოეტი ებრძვის მისტიციზმის ბურუსს, პესიმიზმს, რომელიც წარმოშვა მომავლის წინაშე ცხოველურმა შიშმა კაპიტალისტურ სამყაროში და რასაც ფართო ადგილი აქვს დათმობილი კაპიტალისტური ქვეყნების ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

კაპიტალისტური სამყაროს გახრწნა, მისი სრული მარაზმი გალაკტიონ ტაბიძეს ასახული აქვს ბევრ თავის საუკეთესო ლექსში. უცხოეთში ყოფნამ იგი საბოლოოდ და მტკიცედ დაარწმუნა, რომ მხოლოდ სოციალიზმი და დემოკრატია მიანიჭებს ხალხს თავისუფალ, ბედნიერ ცხოვრებას. პოეტი სიამაყის გრძნობით ადარებს საბჭოთა სინამდვილეს კაპიტალისტურ მონობასთან და მიდის დასკვნამდე: სასიკვდილოდ არის განწირული ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე დამყარებული ცხოვრება, მისი ხსნა არ შეუძლია არავითარ ძალას. კაპიტალიზმის დაღუპვა აუცილებელია, ვინაიდან „შუღლის და რბევის მძვინვარე ღმერთი არის იმისი ბაირაღტარი".

გალაკტიონ ტაბიძე მგზნებარედ იცავს ხალხთა ურთიერთობის იდეას, საერთო მიზნისათვის ბრძოლის საჭიროებას. მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ განუყრელ მეგობრულ ურთიერთობაში მიაღწევენ ხალხები თავიანთ საბოლოო მიზანს, თავიანთი სანუკვარი ოცნების განხორციელებას.

გაჰყავს რა პარალელი საბჭოთა სამშობლოსა და უცხოეთს შორის, პოეტი ამბობს:

> რას, რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ,
> რომ ის ჩასთვალო მზიდა და მთვარედ,
> არ ღირს მსოფლიოს მთელი სიმდიდრე
> ერთ გაქროლებად, სამშობლო მხარედ.

უცხოეთში გამეფებული ჩაგვრა-მონობა, ცრემლით დანამული გზები, შემოღამების მწუხარება და მილიონობით მშრომელთა წამება პოეტს აღავსებს სიამაყის გრძნობით სოციალისტური სამშობლოს გამო, საღაც დიდი ხანია გათენდა, სიხარულისა და ბედნიერების დღე დაუდგა ადამიანებს. უცხოელ მეუბას სურს თავის ქვეყანაში იხილოს თავისუფალი და მზიური ცხოვრება, ამიტომ წარმოთქვამს იგი მგზნებარე სიტყვას საბჭოთა ხალხის მიმართ:

დაე გარდიქმნეს ეს უცხოეთი...
გაუმარჯოსო საბჭოთა კავშირს,
გმირთა უსწორესს...
იმ ძლევამოსილ რევოლუციის
აზრს გაუმარჯოს...
მაშ გაუმარჯოს თქვენს მილიარდს მზეს,
ძირს ბნელი ღამე!

გალაკტიონ ტაბიძე სოციალისტური ლირიკის საუკეთესო წარმომადგენელია. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლექსის კულტურის შემდგომი განვითარებისა და ამაღლების საქმეში. გ. ტაბიძის მდიდარმა პოეტურმა ბუნებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ლექსის მხატვრული ფორმის, მუსიკალური ჟღერის, პოეტური ხმის დახვეწაში.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ქმედითი კომპონენტები შეპირობებული და განსაზღვრულია ნაწარმოების შინაარსით, მისი მხატვრული აზრით და შინაგანი ბუნებით. პოეტის წერის მანერა არ არის გულგრილი, მშვიდი, აუღელვებელი. იგი მუდამ პოლემისტური, დაუცხრომელი და ექსპრესიულია.

პოეტი ვერ ეგუება სტერეოტიპულ, ეტალონურ დამოკიდებულებას მოვლენისადმი. როგორც ჭეშმარიტი მხატვარი, იგი მტერია ყოველგვარი შტამპისა და სიმშრალისა. მისთვის უცხოა მხატვრული აზროვნების პრიმიტივიზმი. მაგრამ არის შემთხვევა, როცა გალაკტიონ ტაბიძე ავიწროებს თავის პოეტურ დიაპაზონს, კვეცავს პოეტურ აღმაფრენას და დგება გაუბრალოების საფრთხის წინაშე. ჭეშმარიტად ხალხურობის გამომხატველ სტრიქონთა შორის ზოგჯერ გამოერევა ხოლმე პოეტურ ფანტაზიას მოკლებული, ემოციურად სუსტი ადგილები. მაგალითად, აგვიწერს რა მცხეთის მახლობლად ნატახტარისაკენ ძველი ხიდის გაუქმებას და ზაჰესთან ახალი ხიდის აგებას, პოეტი ასე გადმოგვცემს ბებერი, ხავსიანი ხიდის განცდას:

ხედავს მარა არ სჯერა რომ
გაჰყავთ ახლათ შრომა
და ფრიალებს თავისუფალ
შრომის მტკიცე დროშა.

პირდაპირ დაუჯერებლად მოეჩვენება ადამიანს, რომ ეს სტრიქონები გალაკტიონ ტაბიძის კალამს ეკუთვნის! უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება გამოწვეულია ახალი, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი პოეტური მასალის თავისებურებით, შინაარსისათვის შესაფერისი მხატვრული ფორმის გამონახვის სიძნელეებით. მაგრამ განა შეიძლება გადაულახავი სიძნელე წარმოიშვას ისეთი შემოქმედის წინაშე, რომელმაც მრავალი შედევრი შესძინა ქართული პოეზიის საგანძურს?

მკითხველს სურს ღრმად სჯეროდეს, რომ ასეთი ხასიათის სიძნელეები შე-

მთხვევითია და ორგანულ, დაუძლეველ მანკს არ წარმოადგენენ გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ბუნებისათვის.

მშვიდობისათვის ბრძოლის, ერების თანასწორუფლებიანობისათვის, ხალხთა შორის ლენინურ-სტალინური მეგობრობისათვის ბრძოლის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. მისი გონების თვალწინ ისახება მომავალი, თავისუფალი კაცობრიობის ხვალინდელი დღე, რომელიც ამაყ მწვერვალად აქვს წარმოდგენილი:

იმ სიმძლავრეს, იმ სიმაღლეს...
ჯერ ძლივს ხედავს ჩვენი თვალი,
რამდენ შვებას და სიცოცხლეს
მოაქანებს მომავალი.

პოეტი დარწმუნებულია, რომ თვალუწვდენ სიმაღლეს ვერ დაჩრდილავს ბნელი ძალა:

ვერვინ შესძლებს — ამ სტიქიას
დაუკარგოს ფეროვნება,
როს თანასწორ მზესთან მივა
თვითეული ეროვნება.

მაშინ კი, როცა კაცობრიობას თანაბრად ამოუბრწყინდება თავისუფლების მზე, როცა ძველი ცხოვრება მარტოოდენ მწარე მოგონებად გადაიქცევა, შრომის სუფევისათვის მებრძოლი პოეზია თავისი წარმტაცი სიმაღლეებით ამ მზიური ყოფის ერთგულ მფარველად დარჩება. ასეთ მომავალს, პოეტის ღრმა რწმენით, უთუოდ მოიპოვებს კაცობრიობა, ვინაიდან:

ამხანაგებო! გვწამდა — თანაბრად
გააშუქებდა მზე სულ ყველაზე,
ამ რწმენით, სულით დამშვიდებული
ჩვენ ავდიოდით საღრჩობელაზე.

ამასთან ერთად საგულისხმოა მთავარი რამ — საზოგადოებრივი ცხოვრების განუწყვეტელი, მუდმივი განვითარება. ამიტომ პოეტს კაცის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნია — იყოს განახლებისა და წყვდიადის გათენებისათვის მებრძოლი რაინდი, კვალდაკვალ მიჰყვეს ცხოვრების განვითარებას, დასწვას, დალეწოს, გაანადგუროს, რაც ხელს უშლის ხალხის წინსვლას. ბუნებისაგან განსხვავებით, რომელსაც განსაკუთრებული საარსებო კანონზომიერება აქვს, საზოგადოებრივი ცხოვრება მუდმივ ცვალებადობაშია, რაც ავალებს ადამიანს არ ჩამორჩეს საერთო ლტოლვას განახლებული მომავლისაკენ. მან არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ

კვლავინდებურად ირხევიან ალვის ხეები,
ცად ატყორცნილი ყინვის მთები დგანან მეფურად,
კვლავინდებურად შრიალებენ ხშირი ტყეები.
კაცთა სიცოცხლე კი არ მიდის კვლავინდებურად.

ვინც ამ მოვლენებს ალღოს ვერ აუღებს, იგი დასაღუპავად არის განწირული და მკაცრი იქნება ისტორიის მიერ მისთვის გამოტანილი განაჩენი.

განსაკუთრებული ძლიერებით გამოვლინდა გალაკტიონ ტაბიძის პუბლი-

ცისტური პათოსი პოემებში „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“. იგი დიდების ჰიმნს მიუძღვნის სოციალიზმისა და დემოკრატიის ზეიმის ეპოქას, რევოლუციით განახლებულ საქართველოს ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი უმღერის ადამიანთა იმ გმირ თაობას, რომელიც სძლევს უდიდეს სიძნელეებს ახალი ქვეყნის ასაგებად. სოციალისტური სამშობლო გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ერთი დიდი მხატვრული სახეა, იგი მისთვის შთამაგონებელი, მამოძრავებელი და წარმმართველი გრანდიოზული ძალაა. პოეტი დიდების ჰიმნს უმღერის ახალი ეპოქის მშენებელთა რევოლუციურ აღმაფრენას, მათ გმირულ სულისკვეთებას, საბრძოლო რევოლუციურ დროშას — კაცობრიობის ბედნიერებისა და თავისუფლების სიმბოლოს. პოეტის მხატვრული აზროვნების სულსა და გულს, მის აზრსა და მიზანს წარმოადგენს შთამაგონებელი მოწოდება:

> დაე, ისმოდეს კვლავ სიმღერაში
> ახალი ღელვის ელვა მზიური,
> ვულს მიეც სული და დაიქუხებს
> იმისი ლტოლვა ტიტანიური!

უაღრესად საინტერესო ინტერპრეტაციას აძლევს გალაკტიონ ტაბიძე პროლეტარიატის ჰიმნს. „ინტერნაციონალს“ იგი უწოდებს ჩვენი დროის ჟრუანტელს. ჰიმნის ჰანგებში პოეტს მოესმის ძველი ცხოვრების, ხავსმოდებული ტაძრების მსხვრევა, ზეციდან ძველი ვარსკვლავების აყრა, მწვერვალს მოწყვეტილი და მოლიპულ გზაზე დაქანებული სასახლეების ხმაური და ზათქი. „ინტერნაციონალის“ მელოდიებში პოეტს თვალწინ ესახება იაკობინელთა მტკიცე რაზმები, ვერსალელთა მიერ კომუნარების მხეცური ჟლეტა, ფრანგ-პრუსიელთა ომის გრიგალი, არალეგალურ სტამბათა მანქანების ბორბლის გუგუნი, ცხრაასხუთი წლის რევოლუციური ბრძოლების ქუხილი, პრესნის ბარიკადები და ბორკილების მძიმე ჟღარუნი. „ინტერნაციონალი“ ჩვენი და მთელი კაცობრიობის გაღვიძებული მუშათა კლასის საბრძოლო ჰიმნია, რომელსაც მიჰყავს იგი ერთადერთი სწორი გზით:

> წადით პირდაპირ ამ გზით და მუდამ
> მაღლა გეჭიროთ წითელი დროშა,
> ჩვენ კი ყოველთვის თქვენთან ვიქნებით
> გამარჯვებისა და ბრძოლის დროსაც.

•

* *

საქაროველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე დღეს თავისი შემოქმედების ზრდისა და აღმავლობის პერიოდში იმყოფება. მისი მხატვრული სიტყვა გულწრფელად, ნაყოფიერად ემსახურება კომუნიზმის მშენებლობის ნათელ იდეას. ეჭვი არ არის, რომ ამ იდეის ცხოველმყოფელი გავლენით პოეტი კვლავ შეუქმნის მშობლიურ საბჭოთა ლიტერატურას დიადი ეპოქის ღირსეული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებს, და თავისი შემოქმედებით გაამართლებს კომუნიზმის მშენებლობის ჯარისკაცის საპატიო სახელს.

---

# ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## არკადი გაიდარის მოთხრობები

☆

არკადი გაიდარი (1904 — 1941), როგორც საბავშვო მწერალი, თანაბრად საყვარელი და ძვირფასია საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების ბავშვებისათვის.

თავის მხატვრულ მოთხრობებში („თემური და მისი რაზმი", „სკოლა", „ჩუკი და გეკი" და სხვ.) არკადი გაიდარი იჩენს ბავშვების სულიერი სამყაროს იშვიათ ცოდნას. იგი ცოცხლად და პოეტურად მოუთხრობს პატარებს სინამდვილის მრავალფეროვანი მოვლენების შესახებ.

არკადი გაიდარის მოთხრობებში ასახულია სამშობლოს დაცვის, პატიოსნების, გულწრფელობის და ამხანაგისადმი უანგარო დამოკიდებულების გრძნობები, მაგრამ ეს მოცემულია არა მშრალად, მორალური სენტენციის სახით, არამედ ბავშვთა სულიერი ცხოვრების ყველა ნიუანსის წარმტაცი მხატვრული წარმოსახვით.

მოთხრობის „სამხედრო საიდუმლოების" სიუჟეტის ბირთვს შეადგენს ზღაპარი მალჩიშ-კიბალჩიშის შესახებ. ზღაპრის შინაარსობრივი ქარგა ასეთია: ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული ორი სამყარო: შრომის სამყარო, სოციალიზმის ნათელი ქვეყანა, რომელსაც იცავს საბჭოთა არმია, ხოლო მეორე — ძალადობის სამყარო, „სამეფო ბურჟუინებისა" (ბურჟუაზიისა), რომელსაც სურს გაანადგუროს მშრომელ ადამიანთა მშვიდობიანი, თავისუფალი ცხოვრება.

მალჩიშ-კიბალჩიში არის გმირი ბავშვი, რომელიც მსხვერპლი გახდა ქვეყნის შინაური მტრების მავნებლურ მოქმედებისა. ღრმა მღელვარებით ვკითხულობთ იმ სტრიქონებს, რომლებიც გვიხატავს მალჩიშის სულიერ განწყობილებას დაკითხვის მომენტში. იგი ამაყად დგას მტრის წინ და არ გათქვა სამხედრო საიდუმლოება. მალჩიში დაიღუპა, მაგრამ უკვდავი დარჩა მისი სახელი, რადგან უკვდავი და უძლეველია ის ქვეყანა, რომელსაც ასეთი მხნე და ერთგული ბავშვები ჰყავს.

მწერალი დამაჯერებლად უხსნის ნორჩი თაობას ჩვენი ქვეყნისა და მისი არმიის ძლიერების საიდუმლოებას: სამხედრო საიდუმლოება ხალხთა ძმობასა და ერთიანობაშია.

მოთხრობაში ნაჩვენებია პიონერთა მზიური და მრავალფეროვანი ცხოვრება; სხვადასხვა ეროვნების ბავშვთა შორის სიყვარულისა, ინტერნაციონალიზმის, ურთიერთპატივისცემის, კოლექტივიზმისა და სოლიდარობის მაღალი გრძნობების აღმოცენება და განმტკიცება. საბჭოთა ბავშვები ლაღად და თავისუფლად ცხოვრობენ სამხრეთ ყირიმის პიონერულ ბანაკში და შეადგენენ ერთიან მეგობრულ კოლექტივს. ბავშვთა ამ კოლექტივს შეადგენენ პიონერები: ტამბოველი სიმონ ბარანკინი, პოლონელი ვლადიკი, ჩერქეზი ინგულოვი, ბაშკირელი ემინი და სხვები. მათ აერთიანებთ უდიდესი სიყვარულის გრძნობა საბჭოთა ქვეყნისადმი, სადაც ხალხთა შორის ნამდვილი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა არსებობს. საბჭოთა ბავშვების მეგობრულმა ოჯახმა არ იცის ობლობა. პიონერი ალკა ობოლია, მისი დედა, რევოლუციონერი მარიცა მარგულისი, მოკლული იქნა რუმინეთში თეთრგვარდიელების მიერ. მიუხედავად ამისა, ალკა თავს არ გრძნობს ობლად. პიონერხელმძღვანელი ახალგაზრდა ქალი ნატკა შეგალოვი მშობლიური მზრუნველობით ეპყრობა მას, ალერსით შეჰყურებს მის ნათელ და ჭკვიან თვალებს. პატარა ალკასაც შეუგრძნია ნატკას მკერდის მაამებელი სითბო. მაგრამ განა მარტო ეროეულების კეთილდღეობაზე ზრუნავს ნატკა? არა, მისთვის თანაბრად საყვარელია ყველა პიონერი. მისი სურვილია საბჭოთა ქვეყნის შორეული კუთხეებიდან მოსულ პიონერებს (იქ კი არიან: ლენინგრადელები, მურმანსკელები, უკრაინელები, ურალელები, შუავოლგისპირელები,

---

არკადი გაიდარი. მოთხრობები. საბლიტგამი, 1952.

ტამბოველები და სხვები) შეუქმნას ისეთი პირობები, რომ არც ერთმა მათგანმა არ იგრძნოს თავი უცხოდ და უპატრონოდ.

ნატკას სახით მწერალმა წარმოგვიდგინა მოწინავე საბჭოთა ქალიშვილის, კომკავშირელი პიონერხელმძღვანელის ხორცშესხმული სახე. ნატკა ბავშვთა შესანიშნავი კოლექტივის საკეთილდღეოდ არ ზოგავს თავის მჩქეფარე ენერგიას, ნიჭსა და უნარს. იგი ისწრაფვის უკეთესისაკენ, არ კმაყოფილდება მიღწეულით.

ბავშვები ოცნებობენ იმაზე, რომ გახდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლნი, ქვეყნის სახელოვანი ადამიანები. ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი პოემაში „კარგია" ურჩევდა ახალგაზრდებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ ვისთვის მიებაძათ, ვისი ცხოვრება მიეჩნიათ მისაბაძ მაგალითად, რომ:

ახალგაზრდას, რომელიც ფიქრობს
ცხოვრება დაიწყოს,
და არ იცის მიჰბაძოს ვის, —
ვეტყვი დაუფიქრებლად:
— შენთვის მაგალითი უნდა იყოს
ცხოვრება ამხანაგ ძერჟინსკის.

გაიდარის ბავშვთა კოლექტივის თითქმის ყველა წევრს აქვს შეგნებული, რომ სწორედ ძერჟინსკის საქმიანობაა მისაბაძი. პიონერი ვლადიკო ოცნებობს, გახდეს ძერჟინსკივით პროლეტარიატის საქმისათვის მამაცი მებრძოლი. აი, როგორ საინტერესოდ გვიხატავს ბავშვთა ამ მისწრაფებას ავტორი:

— „ვლადიკ, — ცნობისმოყვარეობით შეეკითხა ტოლკა, — აი, შენ ყოველთვის რაღაცას იგონებ. ისურვებდი, რომ შენ ნამდვილი ძველებური რაინდი ყოფილიყავი? მახვილით, ფარით, არწივით, ჯავშანში გამოწყობილი?

— არა, — მიუგო ვლადიკმა, — მე ვისურვებდი ეყოფილიყავ არა ძველებური რაინდი ფარითა და არწივით, არამედ ახალი, ვარსკვლავითა და მაუზერით, როგორც, მაგალითად, ერთი კაცი.

— როგორც ვინ?

— როგორც ძერჟინსკი" (გვ. 26).

არკადი გაიდარის ეს მოთხრობა, მის სხვა მოთხრობებთან ერთად, შთააგონებს ჩვენს ნორჩ თაობას, რომ ბედნიერება საზოგადოების მაღალი იდეალებისათვის, ხალხის უკეთესი მერმისისა და თავისუფალი ცხოვრებისათვის ბრძოლაშია. აღწერილი ამბები ბავშვებში აღვიძებენ და აძლიერებენ რევოლუციური სიფხიზლის გრძნობას. ახალგაზრდა თაობა, თავის მშრომელ ხალხთან და არმიასთან ერთად, მუდამ ფხიზლად და მზად უნდა იყოს სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის.

„მედოლის ბედში" მოთხრობილი ამბავი ეხება ბავშვს, რომელიც პიონერული რაზმის მედოლეა. ეს ბავშვი თავიდანვე არ იყო ცუდად აღზრდილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მამამისი დააპატიმრეს, ხოლო დედინაცვალი კი გათხოვდა, იგი დარჩა სრულიად უპატრონოდ. პატარა სერიოჟა ადვილად ექცევა მავნე და ბნელი ძალების გავლენის ქვეშ. მას არ შესწევს უნარი გამოიცნოს ფარული მტერი, რომელსაც ბოროტი განზრახვები ამოძრავებს საბჭოთა საზოგადოების მიმართ. ცხოვრების სწორი გზიდან ამცდარი ბავშვი კარგა ხნის შემდეგ შეიცნობს შენიღბულ მტერს და შეუპოვარ ბრძოლას აჩაღებს მასთან. ბოლოს იგი გამარჯვებული გამოდის მტერთან ბრძოლაში, ვინაიდან პატარა მედოლე ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც ადამიანები ღრმა ჰუმანური გრძნობით არიან გამსჭვალული ერთმანეთისადმი. ასეთ ქვეყანაში ყოველგვარი გამარჯვების საფუძველია თვითონ საბჭოთა ხალხი, რომელიც დაეხმარა პატარა მედოლეს და დაუბრუნა მას ბედნიერი ბავშვობა. მოთხრობის დადებითი გმირები კეთილშობილი რუსი ადამიანები არიან. მათ შეუძლიათ როგორც ძლიერი სიყვარული მეგობრისადმი, ისე ძლიერი სიძულვილი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის შინაური თუ გარეშე მტრებისადმი.

„მედოლის ბედი" გამოცდილი მწერლის ნაწარმოებია. მასში ჩანს, რომ ავტორმა ბევრი განიცადა და შეიგრძნო, ღრმად ჩაიხედა ცხოვრების წიაღში და მზის სინათლეზე ამოიტანა ახალი ეპოქის სოციალური სიმართლე. ამ მოთხრობის პირველ ნაწილში გაიდარმა რეალისტურად განაზოგადა ადამიანთა შორის ძმური ურთიერთობა, ცხოვრების მოვლენები, რომლებიც გვაღელვებენ თავიანთი სიცოცხლით, შრომის პათოსით, პატრიოტული შემართებით. აქვე ავტორი ხაზს უსვამს მამასა და შვილს შორის დამოკიდებულების რომანტიკულ ხასიათს. ეს კარგად იგრძნობა მათ შორის გოეთეს ლექსის „მთის მწვერვალების" შესახებ გამართულ დიალოგში.

— „მამა! — ვუთხარი მე.. ეს კარგი სიმღერაა, მაგრამ ეს ხომ ჯარისკაცული არაა.

— როგორ არაა ჯარისკაცული? აი ეს მთები, ბინდი. რაზმი მიდის. იგი დაიღალა, სიარული უჭირს. მხრებზე სამოცგირვანქიანი ტვირთი... შაშხანა, ვაზნები. გადასასვლელზე კი თეთრები არიან. „მოითმინეთ, — ამბობს მეთაური, — ცოტა კიდევ, მივალთ, გავრეკავთ, და მაშინ დავისვენებთ. ზოგი დილამდე და ზოგი საუკუნოდაც“... როგორ არაა ჯარისკაცული? სწორედ რომ ჯარისკაცულია (გვ. 146 — 147).

გაიდარის ნაწარმოებში სინამდვილე გამოიყურება მთელი სისრულითა და მრავალფეროვნებით. ახალგაზრდა თაობას შეუძლია მისაბაძ მაგალითად დაისახოს გაიდარის ბავშვების გულწრფელი მეგობრობა, მათი ფხიზელი და შემოქმედებითი დამოკიდებულება ბუნებასთან და ადამიანებთან.

არკადი გაიდარის მოთხრობები თარგმნილია ბ. შელიას მიერ. მოთხრობაში „სამხედრო საიდუმლოება“ აქა იქ იგძნობა ზოგიერთი შეუსაბამობა. მოვიყვანოთ რამდენიმე ასეთი მაგალითი: „Звенящие трамваи, которые то сходились, то разбегались своими путаными дорогами“ ასეა თარგმნილი „ტრამვაის ვაგონებიც, რომლებიც ხან ერთმანეთს ხვდებოდნენ და ხან ი ფ ა ნ ტ ე ბ ო დ ნ ე ნ თავიანთი დ ა ქ ს ა ქ ს უ ლ ი გზებით“ (გვ. 8). „Нина! окликнула Натка, увидав на террасе свою незадачливую помощницу“ — „ნინა! — დაუძახა ნატკამ, როცა ყათარზე თავისი მ ა რ ცხ ი ა ნ ი თანაშემწე დაინახა“ (გვ. 14). „Далеко в море дымили уходящие к горизонту военные корабли. Отовсюду из-под густой непросохшей зелени доносилось звонкое щебетанье“ — „შორს ზღვაში ი კ ვ ა მ ლ ე ბ ო დ ნ ე ნ ჰორიზონტისკენ მიმავალი სამხედრო გემები. ყოველი მხრიდან ხ შ ი რ ი ნ ა მ ი ა ნ ი მ წ ვ ა ნ ი დ ა ნ მოისმოდა წკრიალა ჭიკჭიკი“ (გვ. 16). ან კიდევ „Звенел кандалами и взвивал чапаевскую саблю“ — „ბორკილებს აჩხარუნებდი და ჩაპაევისეულ ხმალს ა ნ დ ი დ ე ბ დ ი“ (გვ. 173) და სხვ.

წიგნს წამძღვარებული აქვს ვალენტინა ძიძიგურის საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი წერილი, რომელიც მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს გაიდარის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

**მარიამ ხვედელიძე.**

---

## საბჭოთა მასწავლებლის პორტრეტები

☆

ნიჭიერი საბჭოთა ჟურნალისტი ელენე კონონენკო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მომავალი თაობის აღზრდის საკითხებს.

წიგნში „ჩვენ და ბავშვები“ მხატვრული ოსტატობითაა გადმოშლილი ჩვენი სკოლის დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრება, საბჭოთა პედაგოგის მორალური კეთილშობილება და ბედნიერი ბავშვების ყოველდღიურობა.

სახალხო მასწავლებლის რთული და მადლიანი შრომა ავტორს მკვეთრი ფერებით აქვს დახატული. მწერალი ჩვენს მასწავლებლებს „ლამაზ ადამიანებს“ უწოდებს. ეს შემთხვევით ნათქვამი ფრაზა როდია. როდესაც კონონენკოს მიერ გამოძერწილ მასწავლებელთა ტიპებს ეცნობით, მართლაც სულიერად ლამაზ, მგრძნობიარე, კეთილშობილ ადამიანებად წარმოგვიდგებიან ისინი.

წიგნში მრავალი მასწავლებლის დასამახსოვრებელი პორტრეტია წარმოდგენილი. აი, მოხუცი მასწავლებელი ქალი ზინაიდა კონსტანტინოვნა, რომელსაც თავისი სიცოცხლის სამი მეოთხედი ბავშვებთან გაუტარებია. რა მხნედ, თამამად, ხალისიანად გამოიყურება ის; ჭაღარით შემოსილი კია. რა აწრთობს მის ენერგიას, ხასიათს? თავისი შრომისადმი, მომავალი თაობისადმი სიყვარული. შემთხვევითი როდია, რომ ეს მოხუცი ქალი ბავშვებთან ერთად იზიარებს ტურისტული ლაშქრობის სიძნელეებს; მათთან ერთად მღერის, ცეკვავს და სპექტაკლებშიც მონაწილეობს.

„იცით რა, — ამბობს იგი, — რომ შეიძლებოდეს ცხოვრების კვლავ თავიდან დაწყება, ისევ ამ პროფესიას ავირჩევდი. მე ვნეტარებ სკოლაში მუშაობის დროს. ჩემ თავს ვგრძნობ მომავალი ცხოვრების ერთ-ერთ შემოქმედად“ („ნათელი სიცოცხლე“).

---

ე. კ ო ნ ო ნ ე ნ კ ო. „ჩვენ და ბავშვები“, თარგმანი ეთერი რაზიკაშვილისა. საბლიტგამი. 1953.

სულიერად ლამაზი პედაგოგების ვრცელ გალერეას ხატავს მწერალი სხვა ნაწარმოებებშიც. ამ ადამიანებმა არ იციან, რა არის მოდუნება, ისინი უარს არ ამბობენ არც ტაიგაში შრომაზე, არც ფიზიკურ მუშაობაზე. მათი ბუნების მთავარი და ძირითადი თვისება ისაა, რომ საქმის ნოვატორები არიან, ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი პედაგოგის მოწოდების სიდიადე.

მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს გაბედულად აყენებს მწერალი ნარკვევში „ათვალწუნებული მასწავლებელი". რაშია საქმე? რატომ არ უყვართ ბავშვებს მასწავლებელი-ქალი? მან ხომ მშვენივრად იცის საგანი, მეთოდური ოსტატობაც ჩინებული აქვს. ირკვევა, რომ ბავშვებს ის უპატივცემლოდ, არაგულითადად ეპყრობა, უმიზეზოდ უყვირის, გამოხედვაც კი ყოველთვის დამამცირებელი აქვს.

საერთოდ, ბევრი მწვავე, პრობლემატური საკითხი აქვს გამოტანილი ავტორს. მათი გაცნობა ბევრს ჩააფიქრებს, ასწავლის და გადაასინჯვინებს, გადააფასებინებს საკუთარი ქცევის „ნორმებს".

მწერალი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი პედაგოგების უმრავლესობა სრულყოფილად ფლობს თავის ხელოვნებას. ამ მხრივ გამონაკლისს არც ახალგაზრდა მასწავლებლები წარმოადგენენ. საინტერესოა მოთხრობა „ივან ლუკიჩი". ძველი თაობის მასწავლებელს, პენსიონერ ივან ლუკიჩს ზერელე და ცალმხრივი წარმოდგენა აქვს ახალგაზრდა მასწავლებლებზე. ის საკმაოდ დასცილდა პრაქტიკულ პედაგოგიურ მუშაობას, მაგრამ საკმარისია ერთი უნებლიე შემთხვევის გამო დაუახლოვდეს სინამდვილეს, რომ მისი „შეხედულება" სავსებით გაქარწყლდეს.

საბჭოთა წყობილების პირობებში აღზრდილმა მასწავლებლებმა თავი ისახელეს დიდ სამამულო ომში, როგორც მამაცმა და დისციპლინიანმა მებრძოლებმა. საგანგებო ყურადღებას იპყრობს მწერლის ერთი ნაწარმოები, რომლის შინაარსი ასეთია: მოსწავლეები ძნელად წარმოიდგენენ, რომ წყნარი ხასიათის პედაგოგი შეიძლება მეომრად იქცეს საჭიროების შემთხვევაში. მაგრამ, ამ „პროგნოზის" მიუხედავად, ერთ-ერთი მასწავლებელი მართლაც გმირი გახდება...

მასწავლებლის შრომის უდიდესი შეფასება ამოიკითხება უფრო დიდებულ შტრიხშიც: გმირ არტილერისტს სარდლობა აცნობებს, რომ სამშობლო სოფელში მას ბრინჯაოს ძეგლი უნდა დაუდგან. გმირი აცხადებს, რომ იგი მთავრობას სთხოვს, ასეთი ძეგლი დაუდგან არა მას, არამედ მის საყვარელ მასწავლებელ ქალს...

ტყუილად როდი ამბობს ავტორი: როდესაც ბავშვები მასწავლებლის მკერდზე ორდენს პირველად ხედავენ, ერთგვარ გაკვირვებასაც კი იჩენენ. ჯერ ხომ მათი გონება იმდენად მომწიფებული არაა. მაგრამ მთელმა ხალხმა იცის, რომ მასწავლებლის გმირობა — ეს მისი ყოველდღიური უმწიკვლო შრომაა.

სიყვარულითა და სიმართლით ლაპარაკობს კონონენკო მასწავლებლის შრომის სიხარულზე: ცხოვრობს იგი ტაიგაში თუ ციმბირში, ლენინგრადში თუ იაროსლავლის პატარა სოფელში, მისი გულისძგერა ერთვის სამშობლოს გულისძგერას. ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებით განაზოგადებს ავტორი ჩვენი პედაგოგების მდიდარ, მრავალფეროვან მოღვაწეობასა და გამოცდილებას.

ჩვენს ბავშვებს უყვართ სამშობლო. საკმარისია სამშობლოს სიყვარულის სიმები შეარხიოთ მათში, და ისინი მიატოვებენ ბევრ მცდარ და არასწორ წინანდელ მოქმედებას. ამიტომ საჭიროა, ბავშვს ვაცნობდეთ ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გმირობის სურათებს, ჩვენს უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემის წინაშე.

რამ მოახდინა გადამწყვეტი გავლენა კონონენკოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობის პატარა გმირზე? საუბარმა, რომელიც მან შემთხვევით მოისმინა. აი, რა უამბეს მას: ერთ სკოლაში ინგლისელი ბავშვები მოვიდნენ (რა თქმა უნდა, კაპიტალისტებისა და მდიდრების შვილები). ჩვენი ბავშვები მათ შეხვდნენ არა ისე, როგორც ეს ინგლისელ ლორდებს ესიამოვნებოდათ. არა, ისინი გამოცხადდნენ სუფთად ჩაცმულნი, სერიოზულნი და ამაყად გამომზირალნი. ინგლისელთა შეკითხვებზე ჩვენი ბავშვების პასუხებმა დააბნიეს, გააწითლეს სტუმრები. აი, ჩვენგან რამდენიმემ ინგლისური ენა იცის, მათგან კი ერთმაც არ იცის რუსული. ისინი არც ჩვენს მწერლებს იცნობენ, ჩვენ კი მათ მწერლებსაც მათზე უკეთესად ვიცნობთ.

ამ სცენაში ჩანს ნამდვილი უპირატესობა ჩვენი ბავშვისა, რომელიც მთელი თავით მაღლა დგას ბურჟუაზიული სისტემის პირობებში აღზრდილ ბავშვზე.

განა ყოველთვის გვახსოვს ეს უფროსებს? ბავშვს ზოგჯერ ხელს ვკრავთ გაუხეშებისაკენ. გვავიწყდება, რომ ის ჯერ კიდევ ბავშვია, რომ მისი ყველა მოქმედება ყოველთვის როდი შეესაბამება მის შინაგან სურვილებს. ამიტომაც არის, რომ წარამარა, პირველი უნებლიე დანაშაულის ჩადენისთანავე ბავშვს ზოგჯერ ხულიგნის სახელით ვნათლავთ. როგორც კონონენკო

მიუთითებს, ეს ნაკლები წინააღმდეგობის, არასწორი გზაა. უფრო ადვილია ყვირილი, ვიდრე დარწმუნება, უფრო ადვილია დასჯა, ვიდრე ბავშვის სულსა და გულში ჩაწვდომა.

მაგრამ არსებობს მეორე უკიდურესობაც. ზოგიერთები ბავშვებს ისე ზრდიან, როგორც სათბურის ყვავილებს. ასეთი „გაზრდილი" შეუფერებელი იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის. ფაფუკხელებიანი ადამიანი ვერ ააშენებს კომუნიზმს. აი, რას ამბობს კონონენკოს ერთი მოთხრობის გმირი — მშობელი: „მინდა, რომ ჩემი შვილი იყოს კომუნისტი, ნებისყოფიანი, მამაცი მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა; მინდა, რომ ის გაბედულად შეხვდეს ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მას ცხოვრების გზაზე გადაეღობება. მინდა, რომ მას არ ახასიათებდეს სიმხდალე, ამპარტავნობა, ანგარება და სხვა ქვენაგრძნობა"...

ე. კონონენკოს წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს მასწავლებლებს და მშობლებს, კომკავშირულ და პიონერულ მუშაკებსაც.

„ჩვენ და ბავშვები" კარგად არის ნათარგმნი ე. რაზიკაშვილის მიერ. დასანანია, რომ წიგნის ქართულ გამოცემაში რამდენიმე კარგი ნარკვევი და მოთხრობა გამოტოვებულია.

**ვ. ბაიაძე**

---

## გიორგი კაჭახიძის ლექსები

★

გიორგი კაჭახიძის პოეტური შემოქმედება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკადად ერთვის ქართულ საბჭოთა პოეზიას. მან იმთავითვე დაიმკვიდრა დამოუკიდებელი ხმა და ინტონაცია. პოეტის შემოქმედებითი გზა არა ერთი და ორი ბრწყინვალე ლირიკული ლექსით აღინიშნა. მაღალ იდეურობასთან და პროფესიულ ოსტატობასთან ერთად გ. კაჭახიძის პოეზია გამოირჩევა მძლავრი ემოციურობით და კოლორიტულობით, მას უყვარს ნოყიერი, ბარაქიანი სიტყვები, პოეტი სამშობლოს გულისცემას ყურს უგდებს და მას ეხმაურება.

გ. კაჭახიძის ლექსები უმღერიან ჩვენი ქვეყნის გმირულ სინამდვილეს, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს. მის თავდადებულ ბრძოლასა და შრომას. პოეტი აღტაცებით გვიხატავს ი. სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის სახალხო გრძნობას. განსაკუთრებით სისხლჭარბი სიყვარულით ხატავს პოეტი ჩვენი ქვეყნის პიონერებს. ბუნების სურათებისადმი ეს ლტოლვა, გ. კაჭახიძის ლექსებს არ აძლევს ყალბ რომანტიკულ და ეგზოტიკურ იერს. მკითხველი გრძნობს, რომ პოეტს თავდავიწყებამდე უყვარს მისი ქვეყნის მიწა-წყალი.

გ. კაჭახიძის ლექსთა კრებული „სიმღერა გრძელდება" იხსნება ლექსით „განუყრელი ვართ ჩვენ და მშვიდობა". ამ ლექსში მშვიდობა წარმოსახულია განპიროვნებული სახით. მშვიდობის ცნება განუყრელია ჩვენი დიდი სამშობლოსა და ხალხისგან. მშვიდობა მთელი მსოფლიოს პროგრესიული კაცობრიობის საბრძოლო დროშაა, შრომისა და ბედნიერების სიმბოლოა. მშვიდობისათვის საერთაშორისო მოძრაობა გადაიქცა ყველა ხალხის ნებისა და სურვილის გამოხატულებად:

> მის ხმაში ყველგან ხალხის ხმა ისმის,
> სძულს ქვეყნად ომის უამინდობა,
> მოსკოვი არის მედროშე მისი. —
> განუყრელი ვართ ჩვენ და მშვიდობა.

მხატვრულად და გულწრფელი უშუალობით დაწერილია ლექსი „დიდი პარტიის დიდი ყრილობა". პოლიტიკურად მახვილ ამ ლექსის სტრიქონებში პოეტმა შეძლო გადმოეცა პარტიის მე-19 ყრილობის სიდიადე, საბჭოთა ხალხისა და პარტიის წინაშე დასახული ამოცანების გრანდიოზულობა. მე-19 ისტორიული ყრილობა კომუნიზმის მშენებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის შუქურაა, რომელიც თავის შემოქმედ სიბრძნეს გვაცნობს დიდი ლენინისა და სტალინის ენით:

---

გ. კაჭახიძე. სიმღერა გრძელდება. სახელგამი, 1953 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოდით გულით, —
და ჰა, იგიც ძალღონეს გვმატებს,
ეს მეცხრამეტე პარტყრილობა, შუქურა ჩვენი,
გვაცნობს შემოქმედ თავის სიბრძნეს და გულისნადებს
ბრძენი მამების — ლენინისა და სტალინის ენით.

„სადაც ცხოვრებაა, პოეზიაც იქაა, და მაშასადამე, პოეზიის შინაარსიც — ამბობდა ბელინსკი — მხოლოდ შინაარსია ჭეშმარიტი საზომი პოეტის შემოქმედებისაო", ამ დებულებას აძართლებს გ. კაჭახიძის პოეზია. პოეტი საბჭოთა ეპოქაში ცხოვრობს და ეს მდიდარი ცხოვრება წარმოადგენს მისი პოეზიის შინაარსს: ლექსში „ჩემი ცხოვრების სიმღერა" პოეტი სიხარულით და გულწრფელობით ამბობს: მას შემდეგ რაც მოხდა ოქტომბრის რევოლუცია ჩვენი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით აღარსად ისმის გლეხის გოდება და კვნესა, ყველგან შრომის საამო ღაღადი ისმის, ხალხი უმღერის იმ დიდ შემოქმედს, რომელმაც ბედნიერება და თავისუფლება დაუმკვიდრა მას.

ოდას დამშვენდა კარმიდამო ქუდად,
გავარდისფერდა, — მას შემდეგ ღვივის,
და აღაფრთოვანებს შიგ შემსვლელს მუდამ
სამშობლოს მამის — სტალინის ღიმი.

წიგნში ყურადღებას იპყრობს მაღალიდეური და მხატვრული ოსტატობით შესრულებული ლექსი „კარგ დროს მოხვედი". ამ მოცულობით პატარა, მაგრამ დიდი შთამაგონებელი ძალის ლექსში მკითხველს ხიბლავს ღრმა ლირიზმი, თავისუფალი და ძალდაუტანებელი ლაღი რიტმი. ჭეშმარიტი პოეტური ოსტატობით ამღერებული ამ ლექსის თვითეული სიტყვა თუ სტრიქონი გაჟღენთილია გულწრფელი უშუალობითა და სიმართლით. მისი მთავარი ღირსება მაინც ისაა, რომ პოეტი ერთი კონკრეტული თემის ფარგლებში ახერხებს წარმოგვისახოს გმირი საბჭოთა ხალხის შექმნილი დიადი აწმყო, ჩვენი ნორჩი თაობის ბედნიერი მომავალი:

გატყდა ხრიოკი — უდაბნოშიც გაჩნდა ქალაქი,
სასახლეებად გაიზარდნენ შავი ქოხები.
ქვეყნის ბეღელი სავსე არის შრომის ბარაქით, —
იბედნიერე, შვილო, ქვეყნად კარგ დროს მოხვედი.

იბედნიერე, შენს ყვავილებს ჩვენს დიდ მთა ველში
არ მოაკლდებათ მზის ნათელი, ნამის ციმციმი.
როგორ მიცინი! გაიცინე, მე მაგ თვალებში
გამარჯვებული კომუნიზმის თვალი მიცინის...

1941 წ. 22 ივნისს გერმანელი ფაშისტები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. ამ დიდი ისტორიული გამოცდის ჟამს, პოეტის ლექსები აღაფრთოვანებდენ საბჭოთა ხალხს პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით და მტრისადმი სიძულვილს აღუძრავდნენ მას:

ტყიდან ქვემეხმა შესძრა ქვეყანა,
სროლა გამოდგა მარჯვე, ქებული:
სვავი წივილით ძირს დაექანა
და აქ დაეცა ცეცხლმოდებული.

იმ ადგილას, სადაც ფაშისტური სვავი დაეცა, ბალახმა ვერ გაიხარა — „რა გესლიანი სვავი ყოფილა, რა შხამიანი დედის შობილი". მტერზე გამარჯვებული საბჭოთა ხალხი დადგა მშვიდობის სადარაჯოზე და სხვანაირ მოტივზე ამღერდა პოეტის ლექსიც:

მოდის ქალი, დუმილს ურღვევს მწვანე სივრცეს
ჯაბის ჯალთა ნიავივით ყანას არხევს...
მთოხნელებმა თავსაფრის ქვეშ უმალ იცნეს
საყვარელი მასწავლებლის სათნო სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ ზოგიერთ ლექსში შეინიშნება მხატვრულად დაუმუშავებელი სტროფები, სადაც არ იგრძნობა პოეზიის ცეცხლი, ისინი მოგვაგონებს გალექსილ პუბლიცისტიკას:

ძმობის დიდ გზაზე ერთმანეთს ვშველით,
ერთად ვმოქმედებთ გაჩენის დღიდან

ანდა

ერთად ვამწვანებთ ჯეჯილით მიწას,
ქუჩებს ვამრავლებთ სოფლად, ქალაქად,
ომისგან ხალხთა სიცოცხლეს ვიცავთ
და ვზრდით სახალხო შრომის ბარაქას.

მშვენივრად მოფიქრებულ ლირიკულ ლექსში „ახალი წელი“ ასეთ არაპოეტურ სტრიქონებს ვხვდებით:

და დატრიალდა წელი ახალი,
დღეების დიდი ჯარის პატრონი,
აგერ ხარაჩო შეკრა მალალი,
იქ აამღერა ექსკავატორი.

გ. კაპანაძე სათუთი გრძნობის პოეტია. ზემოთ მოყვანილი სტრიქონები კი ამცირებს მის პოეტურ ღირსებას.

საერთოდ, გ. კაპანაძის ახლახან გამოცემული წიგნი შენაძენია ქართული საბჭოთა ლიტერატურისათვის.

**ბ. ალექსიძე.**

---

## ზერცენის ფილოსოფიური თხზულებების ქართულად გამოცემის გამო



ზერცენის ფილოსოფიური შეხედულებანი ძირითადად ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში შელინგის, ფიხტეს, კანტის, ჰეგელისა და მათი რუსი მიმდევრების ფეოდალურ-მონარქიულ შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ წლებში ზერცენი აქვეყნებს თავის პირველ ფილოსოფიურ შრომებს — „დილეტანტიზმი მეცნიერებაში“ და „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“. აქ ზერცენი უკვე გვევლინება, როგორც მებრძოლი მატერიალისტი. ებრძოდა რა სამყაროს წარმოშობის იდეალისტურ შეხედულებას იგი თანმიმდევრობით იცავს ბუნების ობიექტურობისა და მარადიულობის აზრს. „ჩვენი გარემომცველი საგნები, — წერდა ზერცენი, — არ შეიძლება ჰეშმარიტი არ იყვნენ უკვე იმიტომ, რომ ისინი არსებობენ“ (გვ. 137 — 139).

ზერცენი მატერიისა და ცნობიერების დამოკიდებულების საკითხს წყვეტს მატერიალიზმის პოზიციებიდან. მისთვის ეჭვგარეშეა, რომ ობიექტურად არსებული სამყარო პირველადია, ხოლო ცნობიერება, აზროვნება — მეორეული; რომ აზრი მატერიის განვითარების განსაზღვრული საფეხურის აუცილებელი შედეგია. ამიტომ ზერცენისათვის ცნობიერების ისტორია სამყაროს ისტორიის გაგრძელებაა. „ცნობიერება სრულებითაც არ არის ბუნებისათვის გარეშე რამ, არამედ იგი მისი განვითარების უმაღლესი ხარისხია“ (გვ. 177).

ზერცენი ნაშრომში „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“ გვაძლევს შემეცნების თეორიის საკითხების მატერიალისტურ გაგებას. მისი აზრით, ადამიანის გრძნობად ორგანოებს აქვს უნარი შეიმეცნოს ჩვენს გარეშე არსებული ობიექტური სინამდვილე. იგი შემეცნების პროცესში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ცდას. „ცოდნის წყაროა ცდა, შთაბეჭდილებანი; — მიუთითებს ზერცენი, — შთაბეჭდილებანი გადმოგვცემენ სახეებს და ამასთან ერთად მორალურ დამაჯერებლობას, რწმენას, რომ ისინი შეესაბამებიან არსებულ საგნებს“ (გვ. 389).

---

ა. ზ ე რ ც ე ნ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტომი I, სახელგამი, 1953 წელი.

ამასთანავე, გერცენი მოითხოვს ცდაში მოცემულის აზრობრივ დამუშავებას. ამ დებულებით იგი დგება შემეცნების პროცესში ემპირული და რაციონალური მომენტების ერთიანობის აუცილებლობის ნიადაგზე. სწორედ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ეყრდნობა გერცენი ამავე თავის ნაშრომში — „დილეტანტიზმი მეცნიერებაში“ გადაჭრით მოითხოვს მეცნიერების ცალკერებასთან, ფილოსოფიის ბუნებისმეტყველებასთან დაკავშირებას და აყენებს პრაქტიკულ ამოცანას — მოვაბრუნოთ მეცნიერული აზროვნება საბუნებისმეტყველო პრობლემების ღრმა და ყოველმხრივი დამუშავებისაკენ, განვდევნოთ დილეტანტები, დოგმატიკოსები, მისტიკოსები და საერთოდ ყველა ისინი, ვინც ხელს უშლის მეცნიერების განვითარებას.

გერცენი, ისევე როგორც ყველა მარქსამდელი მატერიალისტი, ვერ ამაღლდა სამყაროს შემეცნების ნამდვილ მეცნიერულ გაგებამდე. გერცენის შემეცნების თეორიის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იგი მხოლოდ ადამიანურ აზროვნებას მიაწერდა აქტიურობას და არ ესმოდა საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის რევოლუციურ-გარდამქმნელი როლი.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, გერცენი შემეცნების თეორიაში მატერიალისტური კონცეპციის მატარებელია. გერცენისათვის დიალექტიკა ის იარაღია, რომლის შემწეობით ხდება ძველის, დახავსებულის დანგრევა და ახალის, პროგრესულის წარმოშობა. იგი დიალექტიკას უწოდებდა „რევოლუციის ალგებრას“, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო პროგრესული იდეების გამომუშავება და საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში ძირეული გადატრიალება.

მარქსამდელ ფილოსოფიაში გერცენმა პირველმა მოგვცა გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის დოგმატური და რეაქციული ბუნების მძაფრი კრიტიკა. გერცენის დიალექტიკა არსებითად განსხვავდება ჰეგელის დიალექტიკისაგან. გერცენმა უკუაგდო განვითარების პროცესის იდეალისტური ახსნა. წინააღმდეგ ჰეგელისა, რომელიც უარყოფს ბუნების განვითარებას, გერცენი ხაზს უსვამს არა მარტო მატერიალური სამყაროს უსასრულობას, არამედ მისი განვითარების უსასრულო ხასიათსაც.

გერცენი „წერილებში ბუნების შესწავლის შესახებ“, იმ აზრს იცავს, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში განვითარება მარადიული პროცესია, რომელსაც არასოდეს არ ახასიათებს შეჩერება. „თვით ბუნებაში, — ამ მარადიულ აწმყოში, — აღნიშნავს გერცენი, — რომლისთვისაც უცხოა სინანული და იმედი, — ცოცხალი, როცა ვითარდება, განუწყვეტლივ უარყოფს ვანვლილ ფორმას, ამხილებს იმ ორგანიზმის არაბუნებრივობას, რომელიც მას გუშინ სავსებით აკმაყოფილებდა“ (გვ. 131).

ნაშრომში „დილეტანტიზმი მეცნიერებაში“ გერცენი გვაძლევს რუსი ჰეგელიანელების თეორიულ და პოლიტიკურ შეხედულებათა კრიტიკას. მან ღრმად შეიცნო რა დიალექტიკის რევოლუციური სული, მოგვცა სწორი გაგება ჰეგელის დებულებისა: „ყოველივე, რაც ნამდვილია, გონიერია და ყოველივე გონიერი ნამდვილია“. გერცენის აზრით, არსებული ნამდვილია, რამდენადაც იგი წარმოადგენს განვითარების აუცილებელ ეტაპს, მაგრამ, როგორც კი არსებული განვითარების პროცესში მოამზადებს ახალს, არანამდვილი ხდება და მის წინააღმდეგ ბრძოლა სავსებით გამართლებულია. გერცენის ეს შეხედულება მიმართული იყო ჰეგელისა და მისი რუსი მიმდევრების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ზემოაღნიშნული დებულება გამოეყენებინათ არსებული, დახავსებული წყობილების გასამართლებლად.

ფილოსოფიურ საკითხებს გერცენი ეხება, გარდა თავისი ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომებისა, ცალკეულ სტატიებში, წერილებსა და დღიურებში. ასე, მაგალითად, სტატიაში „ბ-ნ რულიეს საჯარო ლექცია“ გერცენი გვაძლევს მეტაფიზიკოსებისა და, საერთოდ, ვულგარული ევოლუციონერების შეხედულებათა კრიტიკას. ამავე სტატიაში გერცენი უარყოფს ლინეის სახეთა უცვლელობის თეორიას და სწორ შეფასებას აძლევს დარვინის სახეთა წარმოშობისა და განვითარების თეორიას.

გერცენი არ იყო ბოლომდე თანმიმდევარი მატერიალისტი, მან ვერ შეძლო მატერიალიზმის გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების მიმართ. როგორც ლენინი აღნიშნავდა, იგი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე.

გერცენმა ხალხთა მასების როლის ახსნის საკითხში წინ გაუსწრო მარქსამდელ მატერიალისტებს. იგი ხალხთა მასებს განიხილავდა, როგორც ისტორიული განვითარების აქტიურ მოქმედ ძალას. „ხალხები, — წერს გერცენი, — რაღაც საცოდავი რამ იქნებოდნენ, რომ ისინი თავის ცხოვრებას თვლიდნენ მხოლოდ ერთ საფეხურად უცნობი მომავლისაკენ. ისინი მებარგულეებს ემსგავსებოდნენ, რომელთა ხვედრია მხოლოდ ტვირთის სიმძიმე და გზის სიძნელე, ოქროს საწმისი კი, რომლებიც მათ მიაქვთ, — სხვებისა არის“ (გვ. 125).

გერცენი იყო თავისი დროის გამოჩენილი მწერალი და დიდი პუბლიცისტი. გერცენმა შესანიშნავად მიუყენა თავისი შემეცნების თეორიის მატერიალისტური პრინციპი ესთეტიკის საკითხების დამუშავებას. იგი ხელოვნებაში გარკვევით დგება რეალიზმის პრინციპებზე და ქმნის მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიაც განხილულია თანამედროვეობის საკირბოროტო საკითხები.

გერცენი, როგორც მწერალი — რეალისტი, ებრძვის „წმინდა ხელოვნების" რეაქციულ თეორიას, რომელიც აპოლიტიკურობასა და უიდეობას ქადაგებდა ლიტერატურაში. იგი ხელოვნებისაგან მოითხოვს, რომ იყოს რეალისტური, ცხოვრების სწორი ამსახველი და ხალხის ინტერესებს გამომხატველი. გერცენისათვის „წმინდა ხელოვნება" წარმოადგენს ცხოვრებისაგან მიწყვეტილ, აბსტრაქტულ, ბუნდოვან ხელოვნებას.

გერცენი ღრმად იყო დარწმუნებული რუსი ხალხის დიად მომავალში, მის ისტორიულ პროგრესში: „რწმენა მომავლისა — ჩვენი უკეთილშობილესი უფლებაა, ჩვენი ხელშეუვალი სიკეთეა; გვწამს რა მომავალი, გული სავსე გვაქვს სიყვარულით აწმყოსადმი. და ეს რწმენა მომავლისა მძიმე წუთებში გვიხსნის ჩვენ სასოწარკვეთილებისაგან, და ეს სიყვარული აწმყოსადმი იცოცხლებს კეთილი მოქმედებებით" (გვ. 128).

•
• •

ორიოდე სიტყვა თარგმანის შესახებ. მთარგმნელებს — გ. კვარაცხელიას და ლ. კალანდაძეს ძირითადად დაძლეული აქვთ გერცენის რთული ენა. თარგმანში აქა-იქ გვხვდება სტილისტურად გაუმართავი წინადადებები და რედაქციული შეცდომები.

ასე, მაგალითად: 204-ე და 205-ე გვერდებზე „Элемент" რამდენიმე ადგილას თარგმნილია „სტიქიად", რაც ცვლის ავტორის აზრს. გერცენი წერს: Такое подчинение единству и всеобщему — настоящий элемент мышления" (რუსული გამოცემა, გვ. 147). თარგმანშია: „ერთიანობისა და საყოველთაოსადმი ასეთი დამორჩილება აზროვნების ნამდვილი ს ტ ი ქ ი ა ა" (გვ. 204).

აზრობრივი დამახინჯების მაგალითს ვხვდებით 276-ე გვერდზე: „ნეოპლატონიზმმა უფრო სერიოზულად და უფრო ფართოდ მოჰკიდა ხელი ამ საკითხებს: მან ი დ ე უ რ ი, საერთოდ აღმოსავლური ბევრი რამ შეითვისა..." უნდა იყოს: „ნეოპლატონიზმმა უფრო სერიოზულად და უფრო ფართოდ მოჰკიდა ხელი ამ საკითხებს: მან ი უ დ ე უ რ ი (юдаический), საერთოდ აღმოსავლური ბევრი რამ შეითვისა..." (რუსული ტექსტი, გვ. 200). „Наукообразный" ხშირად თარგმნილია, როგორც „მეცნიერული", მაშინ როდესაც გერცენი გარკვევით ასხვავებს „наукообразный"-ს, ე. ი. „მეცნიერების მაგვარს" და „научный"-ს — მეცნიერულს" (იხ. გვ. 237, 253 და სხვ. ქართული გამოცემისა და გვ. გვ. 171, 185 რუსული გამოცემისა).

418-ე გვერდზე „противоборство" თარგმნილია „დაპირისპირებულთა ბრძოლად». უნდა იყოს: „ურთიერთბრძოლა". რატომღაც სიტყვა „сосредоточение" უმეტეს ადგილას (გვ. გვ. 196, 207 და სხვ.) თარგმნილია უცხო სიტყვით: „კონცენტრირება", მაშინ როდესაც ქართულ ენაზე მოგვეპოვება შესაფერისი ცნება — „თავმოყრა". თარგმანში გვხვდება ტერმინების აღრევაც. მაგალითად, სიტყვები: „бытие" და „небытие" ერთ შემთხვევაში თარგმნილია „ყოფიერებად" და „არყოფიერებად" და მეორე შემთხვევაში — „ყოფიერებად" და „არყოფნად" (გვ. გვ. 209, 210, და სხვ.).

გვხვდება კორექტურული შეცდომებიც, რომლებიც აზრს ამახინჯებენ და გაუგებარს ხდიან. მაგალითად: 219-ე გვერდზე ვკითხულობთ: „იგი ცნობდა განუყოფადისა და სიცარიელის პოლარობას..." უნდა იყოს: „პოლარობას". 375-ე გვ. ნაცვლად „ფენომენოლოგიისა", არის „ფენოლომოგია".

მიუხედავად ზემოაღნიშნული ზოგიერთი ნაკლოვანებისა, მთლიანად თარგმანი, როგორც აღინიშნა, დამაკმაყოფილებელია.

გერცენის რჩეულ ფილოსოფიურ თხზულებათა I ტომის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა, მით უმეტეს, რომ ქართულ ენაზე დღემდე არ მოგვეპოვებოდა დიდი რევოლუციონერი დემოკრატის ნაწერები.

ა. მახარაძე,
ჯ. ჯუღნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინტერესო ნარკვევი ზღვაოსნობის ისტორიიდან

☆

გიორგი ჩიკვაიძის წიგნი „ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორიიდან“ მიზნად ისახავს მასალის პოპულარულ-მისაწვდომი გადმოცემით გადაუშალოს მკითხველს ის ხანგრძლივი და საინტერესო გზა, რომელიც წყლის ტრანსპორტმა, კერძოდ საზღვაო ფლოტმა, განვლო უძველეს დროიდან დღემდე.

ჩვენი საბავშვო ლიტერატურა მეტად ღარიბია ზღვის თემაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებებითა და პოპულარული ხასიათის ნარკვევებით. ეს ნაკლოვანება მით უფრო აღსანიშნავია, რომ ქართველ ხალხს, როგორც წარსულში, ისე დღეს გამოჩენილი ზღვაოსნები ჰყავდა და ჰყავს.

წარსულში ჩვენი წინაპრები — ძველი კოლხები კარგად იცნობდნენ „ზღვის საქმეს“. ავტორს მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, რომ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება ერთი მეტად საინტერესო ექსპონატი, რომელიც საკმაო შუქს ფენს კოლხიდის ძველ საზღვაო კავშირ-მიმოსვლის საკითხებს. ეს არის თანამედროვე ხომალდის ღუზების ყველაზე შორეული წინაპარი. იგი წარმოადგენს მსხლისებრი ფორმის საკმაოდ კარგად გამოყვანილ გრანიტის ლოდს, წონით 8 — 10 ფუთს, რომლის ზემო ნაწილში გახვრეტილია ყური, თოკის მისაბმელად. ზღვაოსნობის ისტორიიდან ცნობილია, რომ ამგვარი ღუზები იხმარებოდა ბერძენთა სანიჩბო ხომალდებზე ჯერ კიდევ VII — V ს. ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ქუთაისის მახლობლად, მდინარე რიონზე ნაპოვნი აღნიშნული ექსპონატი ამტკიცებს არა მარტო ნაოსნობის არსებობას ძველს საქართველოში, არამედ მისი განვითარების მაღალ დონესაც. დღეს საბჭოთა საქართველოს, რომლის საზღვაო ხაზის სიგრძე 200 კმ აღემატება, ორი პირველხარისხოვანი (ბათუმი, ფოთი) და ორი უფრო პატარა (სუხუმი და ოჩემჩირი) სავაჭრო ნავსადგურები აქვს.

წიგნის პირველ ნაწილში ავტორი მოუთხრობს მკითხველს ზღვაოსნობისა და ხომალდმშენებლობის განვითარების ისტორიის მთავარი ეტაპების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ზღვაოსნობას საუკუნეების ისტორია აქვს და მას ოსტატურად ფლობდნენ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ეგვიპტელები, ფინიკიელები და ბერძნები, თანამედროვე საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ შუა საუკუნეებში. პირველი მაუწყებელი იმისა, რომ ადამიანმა შეძლო ზღვის დაპყრობა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა გააძლიერეს ინტერესი საზღვაო საქმისადმი. ზღვები და ოკეანეები, რომლებიც მრავალი საუკუნეების მანძილზე შიშსა და ძრწოლას იწვევდა ადამიანებში, ამიერიდან კონტინენტების დამაკავშირებელ საშუალებად იქცა. ამიტომ სავსებით სწორია ავტორი, როდესაც აღნიშნავს, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები პირველ საკვანძო ეტაპს წარმოადგენს თანამედროვე საზღვაო ფლოტის განვითარების ისტორიაში.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები და მწერლები, აღწერენ რა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქას, დუმილით უვლიან გვერდს იმ სამარცხვინო ფაქტს, რომ „განათლებული ევროპიელების“ „მისიამ“ ამ ახალი ქვეყნების ხალხებს უბედურება, გაღატაკება და ფიზიკური განადგურება მოუტანა. ცნობილია ფაქტი, რომ „ცივილიზებულმა ევროპიელებმა“ ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის კონტინენტებზე გამოჩენასთან ერთად დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი განადგურება. ევროპიელი ავანტურისტები ცეცხლითა და მახვილით „უყრიდნენ“ თავს აურაცხელ სიმდიდრეს და ევროპაში გამოჰქონდათ. წიგნში ავტორი ახალგაზრდა მკითხველების ყურადღებას ამახვილებს ამ გარემოებაზე.

„დიდი რუსი ხალხი, — კითხულობთ წიგნში, — არ რჩება განზე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და საზღვაო საქმის განვითარებაში. მამაცმა მეზღვაურმა სიმონ დეჟნევმა... 1648 წელს განახორციელა ისტორიული საზღვაო ლაშქრობა აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს გარშემო. მან აღმოაჩინა და აღწერა ჩუკოტკის ვეებერთელა ნახევარკუნძული და დაამტკიცა აზიისა და ამერიკის შორის თავისუფალი გასავლელის არსებობა. გაბედულმა რუსმა მეზღვაურებმა: ფეოდოროვმა, გვოზდევმა, ჩიჩაგოვმა, ბერინგმა, ჩირიკოვმა და სხვებმა არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიაში“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსმა ხალხმა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების საქმეში ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში და წყნარი ოკეანის ჩრდილო ნაწილ-

---

გ. ჩიკვაიძე. ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორიიდან. საბლიტგამი. 1952.

ში. ავტორმა საკმაო ადგილი დაუთმო თავის წიგნში ამ ისტორიულ ეპოპეების აღწერას, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, საჭირო იყო ამ ნაწილის კიდევ უფრო გაფართოება.

მეორე საკვანძო ეტაპი ზღვაოსნობის განვითარების ისტორიაში, წერს ავტორი, ორთქლის მანქანის გამოგონება იყო. ორთქლის მანქანის პრაქტიკულად გამოყენება ჯერ ინგლისში და შემდეგ ნაოსნობაში შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსმა გამომგონებელმა ივანე პოლზუნოვმა (1728 — 1766), ინგლისელ ჯეიმს უატამდე ოცზე მეტი წლით ადრე, 1763 წელს, გამოიგონა და ააგო მსოფლიოში პირველი ორთქლის მანქანა. სარეცენზიო წიგნში გამახვილებულია ყურადღება იმ გარემოებაზეც, რომ ამერიკელ ფულტონზე 3 წლით ადრე ნიჟინერმა რუსმა გამომგონებელმა ი. კულიბინმა 1804 წელს დაამუშავა ე. წ. თვლიანი „წყალმავლის“ პროექტი, მაგრამ კულიბინის ამ პროექტმა, ისე როგორც იმ ეპოქის ბევრმა სხვა გამოგონებამ, განხორციელება ვერ ჰპოვა ცარიზმის ეპოქაში.

კარგადაა გაშუქებული წიგნში გემთმშენებლობის განვითარების ისტორიის შემდეგი — მესამე და მეოთხე — ეტაპებიც, რომლებიც დაკავშირებულია ხომალდმშენებლობაში რკინისა და ფოლადისა და შიდა წვის ძრავების გამოყენებასთან.

ავტორი ნაოსნობის ისტორიის გადმოცემით არ კმაყოფილდება. იგი გვაცნობს თანამედროვე საზღვაო ხომალდების ტიპებს, ხომალდების კონსტრუქციებსა და სისტემებს, მოგვიფხრობს საზღვაო ნავთსადგურებზე, მათ მოწყობილობაზე, ხომალდოსნობის საფუძვლებზე, საზღვაო ხომალდების რაგვარობაზე დანიშნულების მიხედვით, დ. სხვ. წიგნის ამ ნაწილს განსაკუთრებული შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ახალგაზრდა მკითხველს არ გაუძნელდება გაიგოს, თუ რით განისაზღვრება, მაგალითად, ხომალდის საზღვაოსნო თვისებები, რა არის ცურვადობა, დადგრადობა, ჩაუძირველობა, სვლადობა, მობრუნებადობა და სხვა.

წიგნის ამავე ნაწილში ავტორი მოგვითხრობს სატრანსპორტო, სავაჭრო, სარეწი და ტექნიკური ფლოტების ტექნიკურ აღჭურვილობაზე და მათ მნიშვნელობაზე სახალხო მეურნეობის სისტემაში.

სარეცენზიო წიგს ამ ნაწილში ერთი სერიოზული ნაკლი გააჩნია. ავტორმა არ დაგვანახვა, თუ რა როლს თამაშობს სავაჭრო ფლოტი კაპიტალისტური მონოპოლიების ხელში მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში. არაფერია თქმული იმის შესახებაც, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში სავაჭრო-სატრანსპორტო ფლოტი, ისევე როგორც კაპიტალისტური მეურნეობის სხვა დარგები, პერიოდულ კრიზისს განიცდის.

დიდი ინტერესით იკითხება წიგნის მესამე ნაწილი, რომელიც სამხედრო-საზღვაო ფლოტს, მის ისტორიას, განვითარების ძირითად ეტაპებსა და თანამედროვე საბრძოლო ხომალდების უმთავრეს ტიპებს გვაცნობს. ცნობილია, რომ პირველი ჯავშნიანი კრეისერი, წყალქვეშა ნავი, ნაღმოსანი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში შეიქმნა. რუსეთმა მისცა მეცნიერებას ხომალდმშენებლობის ისეთი კორიფეები, როგორც იყვნენ ს. ო. მაკაროვი და ა. ნ. კრილოვი. წიგნში მოცემულია ა. ნ. კრილოვის მოკლე ბიოგრაფია, დახასიათებულია მისი როლი რუსეთისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების შექმნაში.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ავტორს შედარებით მკრთალად აქვს გაშუქებული რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირული ისტორია, არ არის ხაზგასმული, რომ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ბევრი მნიშვნელოვანი აღმოჩენის აკვანი იყო ტექნიკისა და მეცნიერების დარგში.

გ. ჩიკვაიძის წიგნის ერთ-ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მას დართული აქვს ზღვაოსნური ტერმინების განმარტება. საგულისხმოა, რომ ქართულ ენაზე დღემდე არ მოგვეპოვება საზღვაო ტერმინოლოგია. ამ მხრივ სარეცენზიო წიგნი დიდ ინტერესს იწვევს. უნდა ვივარაუდოთ, რომ გ. ჩიკვაიძის მიერ დადგენილი საზღვაო ტერმინები უახლოეს მომავალში საფუძვლად დაედება ქართველი საზღვაო ტერმინოლოგიის სრულად დამუშავებას.

ნარკვევი დაწერილია კარგი ქართული ენით.

გ. ჩიკვაიძის წიგნი „ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორიიდან“ კარგ სამსახურს გაუწევს ჩვენს მოზარდ ახალგაზრდობას.

დოც. დ. ჩხიკვიშვილი

# შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხატვრული ლიტერატურა


| | | |
|---|---|---|
| | | გვ. |
| ელიზბარ ზედგინიძე — ქორწილი. მოთხრობა | | 3 |
| თენგიზ გოგოლაძე — ოქროყანა. მოთხრობა | | 18 |
| ოთარ კუპრავა — დედის სურათთან. ლექსი | | 62 |
| ვერა შუბლაძე — სამი ლექსი | | 65 |
| ჯანსულ ნიჟარაძე — კრემლის ვარსკვლავი. ლექსი | | 68 |
| ვ. ყუშიტაშვილი — რთველი კახეთში. ლექსი | | 69 |
| დავით სულიაშვილი — დაუცხრომელი გული. ბიოგრაფიული მოთხრობა. პირველი წიგნის დასასრული | | 70 |
| ნანა კანდელაკი — მძიმე გამოცდა. მოთხრობა | | 95 |
| სერგეი ანტონოვი — ბიბლიოთეკარი ქალი. მოთხრობა. თარგმ. მარიამ აგიაშვილისა | | 103 |
| იონა ვაკელი — რვალი. პიესა. დასასრული | | 110 |
| ნოე კაკუშაძე — წიგნის სასახლე | | 139 |


## ლიტერატურული კრიტიკა


| | |
|---|---|
| პეტრე ბახტურიძე — გალაკტიონ ტაბიძე. წერილი | 162 |


## ბიბლიოგრაფია


| | |
|---|---|
| მარიამ ხვედელიძე — არკადი გაიდარის მოთხრობები | 176 |
| ვ. ბაიაძე — საბჭოთა მასწავლებლის პორტრეტები | 178 |
| ბ. ალექსიძე — გიორგი კაჭახიძის ლექსები | 180 |
| ნ. მახარაძე, ჭ. ჭყონია — გერცენის ფილოსოფიური თხზულებების ქართულად გამოცემის გამო | 182 |
| დ. ჩხიკვიშვილი — საინტერესო ნარკვევი ზღვაოსნობის ისტორიიდან | 185 |



რედაქტორი

ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11.75. უე 13413. შეკვ. № 754. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი 3-23-42.